DAS GEORGISCHE VOLK

ეროვნული ბიბლიოთეკა



ორგანო ქართული ეროვნული პოლიტიკისა და კულტურისა

შინაარსი

1. აჯანყების ოცი წლის თავზე . . . . ბ. ბებურიშვილი
2. საბჭოთა რეჟიმის [illegible] . . . . ი. გურული
3. საბჭოთა საქართველოს სახე . . . . ინგო ლაშაური
4. ბოლშევიზმის ძირები და მისი გაბატონება რუსეთში . . . . . დ. სალირაშვილი
5. აღმოსავლეთი ევროპა . . . . . ბ. ვარდანი
6. ლამეები, სიზმრები (ლექსი) . . . . ბ. ბ—ძე
7. საქართველოს სათავენი . . . . . ბრ. რობაქიძე
8. ეროვნული ერთობის საფუძვლები ვ. ნოზაძე

№ 12/14

აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი.
ბერლინი 1944 წ.

აჯანყების ოცი წლის თავზე

ეროვნული თუ სოციალური ბრძოლის ასპარეზზე ყველაზე უფრო მჭრელი მახვილი და სახიფათო იარაღი — აჯანყებაა. იგი მოითხოვს ბევრ მსხვერპლს, — და ხშირად მიზანს ვერ აღწევს. ეს იცის ერმა, ეს იცის აჯანყებულმა ფენამ, — მაგრამ ისტორიაში აჯანყება დღესაც მეორდება.

ჩვენი გრძელი ისტორია კარგად იცნობს ეროვნულ აჯანყებას, ვინაიდან საქართველო აჯანყების სამაგალითო ქვეყანაა. მარტო მეცხრამეტე საუკუნე რომ მოვიგონოთ, საქართველოში ოცდახუთჯერ მაინც მოხდა აჯანყება. 1801 წლიდან 1900 წლამდე აჯანყებითი ბრძოლის დროშა მრავალჯერ აფრიალდა და მრავალჯერ ჩამოიგლიჯა, სისხლში გასვრილი. დამარცხების მიუხედავად, — უტევანი ისევ აჯანყებას რჩებოდა.

ცივი გონების საზომით: აჯანყება წინასწარ განწირულია უმრავლეს შემთხვევაში, — მაგრამ, როგორც ეტყობა, მარტო გონება არა სწყვეტს აჯანყების საკითხს და იარაღზე ხელის წავლებას სხვა გამომწვევი მიზეზები უნდა ჰქონდეს.

აჯანყების საკითხი არ განისიჯება საფუძვლიანი ანგარიშით, — აქ ამგვარი ხასიათის ბრძოლაში უფრო მეტი, თუ გნებავთ, ირრაციონალურია, ანუ მოქმედება გამოწვეულია მწარე გრძნობით: — ასეთ სიცოცხლეს, სიკვდილი სჯობია!

როდესაც ერის ნაწილი, უმრავლესობა თუ უმცირესობა, იმ დასკვნამდე მიდის, რომ მონობაში სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია, მაშინ აჯანყება უკვე აუცილებლობას წარმოადგენს, თუგინდ წინასწარ განწირულიც იყოს იგი. ასეთი საჯანყებო დასკვნის გამოტანა თითოეულ ისტორიულ ხანაში სხვადასხვა უმეშვეო მიზეზებითაა გამოწვეული, მაგრამ მას ისტორიულად ყოველთვის ღრმად აქვს ფესვები გადგმული.

ყველა ერი აჯანყებულა დამპყრობელის წინააღმდეგ, — მაშასადამე, — დაპყრობას არავინ ურიგდება. ევროპის ერთა ისტორია ცნობილია აჯანყებათა მთელი რიგით. ხალხი, რომელიც თავისთავს ერად გრძნობს, — ყველა ერი ეროვნულ პიროვნებას განიცდის, თავის ეროვნულ სახეს სცნობს, სხვის მიერ დაპყრობასა და უცხო ბატონობას არ შეურიგდება. მაშასადამე: ერი ცდილობს გადაიგდოს დამპყრობელის უღელი; ერი ლამობს გააძევოს ბატონი. ესაა წადილი და ბუნებრივი სურვილი: — თავისუფლებისა. მაშასადამე, ყველა ეროვნულ აჯანყებას საფუძვლად უძევს: განთავისუფლებისათვის ბრძოლა, თავისუფლებისათვის მიღწევის მიზანი. თავისუფლებისათვის მიღწევის ეს მიზანი გარკვევით შეგნებულიც რომ არ იყოს და დროშაზე ასოებით წარწერილი, — აჯანყება მაინც, თავისთავად, თავის ხასიათში სწორედ ამ მისწრაფებას ატარებს.

შეიძლება აჯანყება გამოწვეულია იმ მძიმე შემთხვევის გამო, რომ გაბატონებული ერის ჯარისკაცებმა, სალდათებმა, ქალებს შეურაცყოფა მიაყენეს და ხალხი აწამეს (ქალები გააუპატიურეს და ძაბრივით ღვინო ჩაასხეს! გლეხებს ცემეს! აჯანყება მთიულებში, კახეთ, ხევსურეთში, 1802 წ.);

აჯანყება შეიძლება გამოიწვია დაბეგვრამ და ცუდათ მოპყრობამ (ხარკამეჩი დაგვეხოცა, ქირა არ მოგვცეს! 1804 წ. აჯანყება მთიულეთში).

შეიძლება აჯანყებამ მოიცვას ხალხი მტრის სიძულვილით (არა გვსურს რუსები! აჯანყება მთიულეთში 1804 წ.).

შეიძლება აჯანყება მოხდეს პოლიტიკური მიზეზის გამო (ჩვენ გვსურს ჩვენი მეფეც, ქართლ-კახეთის აჯანყება 1812 წ.).

შეიძლება იგი მტრისადმი გაბოროტებით აღმოხდეს (ციმბირელმა კაცმა რა იცის ჩვენი ზნეჩვეულება! აჯანყება კახეთისა და მთიულეთის, 1813 წ.).

შეიძლება აჯანყება იმის გამოც დაიწყოს, რომ მღვდელ-მთავრები დახოცეს (ასეთი ამბავი თავს არ დაგვტყდომია ურჯულოების დროსაც კი! იმერეთის აჯანყება 1819 წ.);

შეიძლება აჯანყება იყოს შედეგი სამეურნეო კრიზისისა (იქმნა შეჭივრებისა გამო! აჯანყება რაჭაში, 1820 წ.);

შეიძლება აჯანყება იყოს გადასახადების სიმძიმის გამო (შაურის გულისათვის! აჯანყება გურიაში 1840 წ., იმერეთში);

შეიძლება აჯანყება ფულის სიძვირემ მოგვცეს (ცეცხლის ფასი დაედო ყველაფერს! აჯანყება თბილისში, 1849 წ.),

შეიძლება იგი გამოწვეულია სოციალურ ნიადაგზე, სოციალური ჩაგვრის შედეგად (ბატონყმობა, მიწის სიმცირე! აჯანყება სამეგრელოში, გურია, იმერეთ, ქართლში, 1857—62 წ. წ.);

შეიძლება იგი ადმინისტრატიული უწესოების გამოა მომხდარი (აჯანყება საინგილოში, 1863 წ.);

შეიძლება აჯანყება იმიტომაც მოხდა, რომ გადასახადს მოუმატეს (თქვენ ცხენს არჩენთ, ჩვენ კი ცხენი გვარჩენს! აჯანყება თბილისში, 1865 წ.);

შეიძლება აჯანყებამ ხალხი შეიპყროს იმით, რომ მას საკუთარი ადმინისტრაცია მოესპო და უცხოს მიღება არა სურს (აჯანყება აფხაზეთში 1866 წ.);

ან იმიტომ, რომ ახალი წესები მისთვის შეუგუებელია, როცა იგი უცხოს მოაქვს (აჯანყება სვანეთში, 1875 წ.);

ან იმიტომ კიდევ, რომ უცხო ძალა ჯარსა ჰკრებს! (ჩვენს შვილებს რუსს არ მივცემთ სალდათად! აჯანყება კახეთში, 1878 წ.);

ან და იმიტომ, რომ უცხო ძალა სარწმუნოებრივ დევნას იწყებს (აჯანყება აჭარაში 1882 წ., გურიაშიც) და სხვა და სხვა.

მრავალია აჯანყების გამომწვევი მიზეზი — იგი შეიძლება სულ უბრალოც იყოს (ამის გულისათვის როგორ შეიძლება აჯანყდეს კაცი!); მაგრამ ყველა ამ აჯანყებულ დაპყრობილი ერის მდგომარეობაში მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათი აქვს და თავის საშოში ბუნებრივადაც თავისუფლებისათვის სწრაფვას ჩასახავს.

მეცხრამეტე საუკუნის გასწვრივ ქართველმა ხალხმა ოცდახუთი აჯანყება გამოსცადა და ყველა იგი დამარცხებით დასრულდა. გარნა ხალხი თუ კიდევ მაინც აჯანყებას მიმართავს, ეს იმის აუცილებელი ნიშანია, რომ იგი უკიდურეს მდგომარეობაშია და იარაღს ჰკიდებს ხელს. მაშასადამე: აჯანყება თავისთავად შეურიგებლობისა და სასოწარკვეთის შედეგია. ხალხი არ ეთვისება უცხო ბატონობას, ებრძვის მას, ხოლო როცა ჩვეულებრივი ბრძოლით იგი მას ვერ იშორებს, სასოწარკვეთილი იარაღს ხელს ჰკიდებს, რათა მტერს თავი შეაკლას: აჯანყებულს თავისუფლებისათვის სიკვდილი ურჩევნია!

აჯანყება არის აღმოხეთქვა ხალხის სიძულვილისა, გულისძვრა დაჩაგრულისა დამჩაგვრელის წინააღმდეგ. ესაა განუზომელი ეროვნული წყრომა და შეუდარებელი ეროვნული რისხვა მტრისაკენ მიმართული; როცა ეს წყრომა მწვერვალს აღწევს, რისხვა — ცას, მოთმინების ფიალა ივსება და სიძულვილი ნაპირებიდან გადმოდის, იწყება გულისძვრაც: აჯანყების ალი ედება ქვეყანას.

ძველად აჯანყება ადვილიც იყო. სამხედრო ტექნიკა არ იყო ჯერ კიდევ მაღალ საფეხურზე ასული და კაჟიანი თოფი თუ მაჭახელა, თუმცა მაშინაც ძნელი საშოვნელი იყო, მაინც მოსახერხებელი. აჯანყებულნი მტრის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ ხმარობდნენ შინაურ იარაღსაც: — ცულს, წალდს, ნამგალს, ცელს, კეტს! მოწინააღმდეგე ყოველთვის უკეთესად იყო შეიარაღებული, რადგან ბატონი ერი მოწყობილი ჯარის საშუალებით ებრძოდა ყოველნაირ აჯანყებას, — და სუსტად შეიარაღებულ აჯანყებულებს სასტიკად ამარცხებდა. ვერც წყობითა და წესრიგით შეიძლებოდა აჯანყებულნი ძლიერნი ყოფილიყვნენ: წყობა და წესრიგი ჯარის დამახასიათებელია. ვერც სტრატეგიაში იქმნებოდნენ აჯანყებულნი გამობრძმედილნი! (ესეც მეცნიერებაა!) აშკარაა: ვერც ტექნიკურად, ვერც სტრატეგიულად აჯანყებულნი ჯარის წინააღმდეგ უპირატესობას ვერ მოიპოებდნენ. გარნა აჯანყებას ახასიათებს ყოველთვის: — ბრძოლის ჟინი, მაგარი ნებისყოფა და თავისუფლების წყურვილი! აჯანყება მარად მტკიცეა სულით და მუდამ შეუდრეკელი გულით. იგი მაინც მარცხდება; სისხლის გადენა და ძაძებია მისი ნაყოფი. გარნა არის კიდევ ერთი უხილავი და შეუხები შედეგი: ზნეობრივი დაკმაყოფილება, ბრძოლის ჟინის მოკვლა და თავისი თავის წინაშე სიმართლის დამტკიცება, ისტორიის გზაზე თავისი მეობის გამოყვანა და დამკვიდრება.

მსხვერპლთა მიუხედავათ, ასეთ ბრძოლაში იზრდება ერი, კაჟდება მისი ნება და სალკლდევდება მისი გული; ერი ხდება სულიერად მაღალი და თავისი პიროვნების შემცნობი და მოაღადებელი. ამიტომ ყოველ დამარცხებულ აჯანყებას აქვს თავისი უდიდესი გამარჯვება: — გამარჯვება ზნეობრივი, გამარჯვება სულიერი, გამარჯვება ეროვნული სახის დადგინებით.

1918 წელში საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თავისუფალი სახელმწიფო დააფუძნა და თავისი საკუთარი ეროვნული ოჯახის მოწყობას შეუდგა. იგი ცდილობდა ყველა მეზობელთან კეთილი ურთიერთობა დაემყარებინა, და მათ შორის, რუსეთთანაც. ამ გეზით საქართველომ რუსეთთან ხელშეკრულებაც დასდო 1920 წლის შვიდ მაისს, რომლის მიხედვით მოსკოვმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და აღუთქვა მის შინაურ საქმეებში არ ჩარეულიყო. ასეთი ხელშეკრულების მიუხედავად რუსეთი 11 თებერვალს 1921 წელს თავს დაესხა საქართველოს და გადათელა იგი. მაშასადამე: რუსეთმა გასტეხა სიტყვა, ნაკუწებად აქცია ხელშეკრულება, დაიპყრო თავისუფალი საქართველო; დაიპყრო და შემოიღო იქ რუსული ბოლშევიკური წესწყობილება. ამით რუსეთმა დაანგრია ქართული ეროვნული ოჯახი და მსოფლიოს ამცნო: ქართველი მუშები და გლეხები აჯანყდნენ, წითელი ჯარები მხოლოდ დაეხმარნენ მათ მენშევიკურ-კაპიტალისტური წესწყობილების მოსასპობად და კომუნიზმის დასამყარებლათო! ამ ცნობაში თითოთეული სიტყვა, რასაკვირველია, ყალბი იყო.

ჩვენი ოჯახი, აგია თუ კარგი, — ჩვენია და საკუთარი. იქ ჩვენ კაპიტალიზმი გვექნება თუ კომუნიზმი — ეს ჩვენი საქმეა; სამოთხეს დავამყარებთ იქ ჩვენ, თუ ჯოჯოხეთს, — ესეც ჩვენი საქმეა. რუსეთმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ ვითომდა ქართველი ხალხის გასაბედნიერებლად მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა და დაუმყარა მას რუსული სამოთხე.

ასეთი ბოროტი ზნეკვრობის წინააღმდეგ ქართველმა ხალხმა იბრძოლა, რაც შეეძლო: ხუთი მხრივ შემოსეულ რუსეთს ეომა და ამ ომში დამარცხდა. ქართულ სახელმწიფოს ჰყავდა ჯარი, მართალია: მცირე და სუსტიც. მაგრამ მან ებრძოლა როგორც შეეძლო მრავალრიცხოვან და ძლიერ რუსულ ჯარს და ეს ბრძოლა წააგო. რუსეთმა საქართველოში შემოიღო რუსული წესწყობილება და დააყენა რუსული ჯარები.

ცხადია: საქართველომ თავისუფლება დაჰკარგა და მას ძლიერი დამპყრობელი დაეპატრონა.

ცივი გონების ადამიანს უნდა ეფიქრა: მორჩა, გათავდა! ჩვენ რუსეთს ვეღარ ამოვუდგამთ ფეხს საქართველოდან, — ამიტომ მას უნდა შევურიგდეთ და დავემორჩილოთ. მოვუცადოთ ახალ დროს, ველოდეთ ახალ მოვლენებს და იქნებ მერმე მოხერხდეს რამეო. მაგრამ, არა! ასე არ იმსჯელა ხალხმა. და არც ასე გადასწყვიტა მან.

ბარის საქართველოში ბოლშევიკური წესების შემოღების შემდეგ, საბჭოთა მთავრობა სვანეთს მიადგა. სვანეთი ძნელად მისავალი მხარეა და ხალხმა ბოლშევიკების მიღებაზე ცივი უარი განაცხადა. ამას მოჰყვა იარაღით ბრძოლა, რომელმაც არაერთი მსხვერპლი შეიწირა, და სვანეთის აჯანყება 1921 წ. დამარცხდა. სვანეთის აჯანყებას მთელი ქართველი ხალხი სულ განაბული უთვალთვალებდა და თვითონაც მას ბრძოლის ჟინი ეღვიძებოდა და უძლიერდებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას ხალხი არ შეურიგდა; ქართული საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებული იყო რუსეთის მუხანათური მოქმედების გამო და რუსულ ბოლშევიკურ წესწყობილებას არ ეგუებოდა. დაიწყო პირველად პასიური ოპოზიცია, რომელსაც ხელისუფლების მხრივ დაწნევა მოჰყვა. ორი მოწინააღმდეგე ძალა — უცხო ბოლშევიკური და ქართული — ერთი მეორეს ეჯახებოდა ცხოვრების ყოველ დარგში. ქართველობა შეურაცყოფილი იყო ბრძოლის წაგებითა და ეროვნული თავისუფლების დაკარგვას მწარედ განიცდიდა. პასიური ბრძოლა თანდათან ქმედიან ხასიათს ღებულობდა და ხელისუფლება ძალადობას მიმართავდა. აქტიური მებრძოლნი უკვე იმალებიან, სარდაფებში ჩადიან ან ტყეში გარბიან. იწყება ეგრედწოდებული არალეგალური მუშაობა და ბრძოლა. პირველად ეს ხდება თავისთავად, ბუნებრივად. აქ გადამწყვეტ როლს ფსიქოლოგია თამაშობს. აჯანყების სურვილი იბადება. აჯანყების ტემპერატურა ჩნდება.

შეთქმულება ორგანიზაციაა აჯანყებისათვის. ყველაზე ძნელად იგია მოსაწყობი და ეს თვითეულმა იცის. ასეთი საფრთხის მიუხედავად, საქართველოში შეთქმულება მოეწყო და მასში ფრიად დამსახურებული და ხანდაზმული ხალხი იღებდა მონაწილეობას. საფრთხე სინამდვილედ იქცა: შეთქმულობა აღმოაჩინეს 1922 წ. ეს იყო სამხედრო აჯანყებისათვის გამზადებული შეთქმულება და, რასაკვირველია, შეთქმულნი მხედარნი იყვნენ. 15 მხედარი სიკვდილით დასაჯეს.

საქართველოში ტრიალებდა კიდევ აჯანყებულთა სულის მეორენაირი, აქტიური გამოხატულება. ესენი იყვნენ შეიარაღებული მებრძოლი ძალები, რომელნიც ხელისუფლებას იარაღით ებრძოდნენ: კრაწაშვილისა, მათიაშვილისა — კახეთში; კასრაძისა, ფავლენიშვილისა, ლაშქარაშვილისა — ქართლში; ფორიასი — ბორჯომის რაიონში; გოგუაძის, მუხაშაურის, მათითაიშვილისა — გურიაში და სხვ.; მაგრამ ყველაზე უფრო სახელგანთქმული და აქტიური იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმი.

ძველი აჯანყებანი სპონტანური, იჩქითი იყვნენ ხოლმე: მათ არც წინასწარი დიდი მზადება ჰქონიათ და არც დაგეგმული ზრახვანი; ძველი აჯანყებანი მოიკოჭლებდნენ ხოლმე ორგანიზაციის სისუსტით და ხშირად გარკვეული მეთაურობის გარეშეც ხდებოდნენ. მაგრამ 1921 წლის საქართველოში და შემდეგ, შინაურ ასპარეზზე, მართალია არა ღიად და აშკარად, არამედ მალულად, არა-ლეგალურად ქართული პოლიტიკური პარტიები ბატონობდნენ და ისინი ხალხის მეთაურობას სცდილობდნენ. მაშასადამე: იყო ორგანიზაციაც და ხელმძღვანელობაც. ამ მოვლენის ნაკლი ჩვეულებრივია: — პარტიობა ძალთა განაწილებასა და ორგანიზაციულ დაყოფვას ნიშნავს. ბრძოლისათვის — კი საჭიროა მთლიანი ძალის შექმნა, დანაწილებულ ერთეულთა გაერთიანება და შემჭიდროება, ერთ კალაპოტში მოთავსება. მაგრამ ქართული პარტიები, რომელნიც თავისუფლების ხანაში ერთმანეთს დაჯახებული იყვნენ, დაპყრობის შემდეგაც

აგრძელებდნენ ერთმანეთ შორის ქიშპობასა და მეტოქეობას; ამას დაემატა კიდევ ის მძიმე ბრალდება, რომ გაბატონებულმა პარტიამ საქართველო წააგო და ამის გამო ყველა პარტია მას პასუხსა სთხოვდა, უნდობლობას უცხადებდა. პარტიათა შორის ინერციით გაგრძელებული ბრძოლა და ახლად წამოჭრილი დავაც უნდა შენელებულიყო, ამოწურულიყო და გაერთიანებული ძალებით შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა მომზადებულიყო. ამ საკითხის მოგვარება არც ისე იოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბრძოლის მიზანი აბრძანებდა პარტიებს ეს ნაბიჯი გადაედგათ. მართლაც, სულ მალე შესდგა ინტერპარტიული კომიტეტი, რომელსაც ამ ეროვნული ბრძოლის მეთაურობა უნდა გაეწია. ძნელია დღეს ჩვენთვის ამ მეთაურობის მოღვაწეობის აღწერა, — ბევრი რამ არ ვიცით ჯერ კიდევ. მაგრამ საერთოდ მისი ბრძოლა ცნობილია და მის გამო ზოგადი შეხედულების მიღებაც შეიძლება.

ინტერპარტიული კომიტეტი ცდილობს მოვლენებს უხელმძღვანელოს და დამპყრობელისადმი სწრაფ ზრდაში მყოფი მოწინააღმდეგობის ნებისყოფა ერთი გეზით მიმართოს. მაგრამ ჯერ ამას ხელს უშლის თვით კომიტეტში პარტიათა-შორისო დავა და მეტოქეობა, რომელიც გარედ მის ორგანიზაციულ სიმტკიცეს ასუსტებს და ძალებს ქსაქსავს. ეს ამბავი განსაკუთრებით გამოჩნდა მალე, როცა ხევსურეთში აჯანყება მოხდა, 1922 წ. შემოგვმის დამდეგს. აჯანყებამ ამ მხარეში ფართო ხასიათი მიიღო თავიდანვე, ბრძოლებიც ხელისუფლების წინააღმდეგ სასტიკად დაიწყო, მაგრამ ბრძოლის გეგმა არ შესრულდა პარტიული მეტოქეობისა გამო და აჯანყებაც სასტიკად დამარცხდა. ცხადია, ბრძოლის წარმოების ასეთი დიდი ნაკლი პარტიებს არ გამოეპარებოდათ და იგი უნდა გამოსწორებულიყო. მაგრამ თვით პარტიების მდგომარეობა და არა-ლეგალური მუშაობა — ბრძოლის წარმოება ძნელდებოდა იმ რღვევისა და ჯაშუშური სისტემის შედეგად, რომელიც ხელისუფლებამ საქართველოში დაამკვიდრა და რასაც დღითიდღე აძლიერებდა. ამ საქმის ოსტატი იყო ჩეკა. ამ ორგანიზაციის მსგავსი არასოდეს არსად არსებულა, — ეს შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას. ხელისუფლება ჩეკის საშუალებით არღვევდა: ქართულ ოჯახს, ქართულ მორალს, ქართულ საზოგადოებას და ქართულ პარტიებს, — ესე იგი: ჩეკა ძარღვებს აგლეჯდა და უწიწკნიდა ქართველ ხალხს, რაც თავის მხრივ წინააღმდეგობის დაჭიმვას იწვევდა. მთელი საქართველო გაიყო ორ სალაშქრო ბანაკად: რუსეთის დამჭაშები ჩეკის მეთაურობით და მებრძოლი ქართველი ხალხი ქართულ პარტიათა ხელმძღვანელობით. ჩეკამ ამიტომ განსაკუთრებული იერიშები პარტიებზე მიიტანა და მის ნგრევას ლამობდა. ჩეკამ ბევრგან გაარღვია ფრონტი, ბევრგან შექმნა ხარვეზი და ვინაიდან მთელი სახელმწიფო აპარატი მთელი სიმძიმით პარტიების გაჟყლეტას ლამობდა, თავდაცვითი ბრძოლა პარტიებს გაუჭირდათ. ქართულმა პარტიებმა თავისი ხელმძღვანელობის რეორგანიზაცია არა ერთჯერ მოახდინეს და დაბოლოს აირჩიეს შეტევითი ბრძოლის ხასიათი. დაარსდა დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელსაც შემოკლებით დამკომი დაერქვა. ეს დამკომი გახდა ეროვნული ბრძოლის მედროშე და მისი სტრატეგი.

დაზვერვითი ბრძოლის ხანაში ჩეკა დიდ ზიანს აყენებდა პარტიებს და საერთოდ მებრძოლთ; ბევრს იჭერდნენ, ბევრს ასახლებდნენ რუსეთში, ბევრს ხვრეტდნენ. აჯანყებისათვის მზადებამ ბევრი მსხვერპლი შეიწირა და ხალხი სასოწარკვეთილების გზაზე დააყენა. ყოყმანი და დაყოვნება უკვე შეუძლებელი იყო: — მოზღვავდა ბრძოლის აღმაფრენა, აიწია და გადავიდა ნაპირებზე დაკვრის წადილმა, აჯანყების სიცხემ ორმოც გრადუსს მიაღწია და დაუწყო სულთმობრძავის კრიზისი. აჯანყება, დღეს თუ არა ხვალ, უეჭველი აუცილებლობით უნდა აღმოხეთქილიყო. ამას ყველა გრძნობდა. ეს ყველამ იცოდა: ხალხმაც და ჩეკამაც; ხელისუფლებისა და ხალხის შორის წინააღმდეგობის წნევის უმაღლესად განვითარება ამას აშკარად აჩვენებდა. და 29 აგვისტოს 1924 წ. ქართველი ხალხის აჯანყებამ რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ იფეთქა...

ტრაგიზმითა და დრამატიზმით აღსავსეა ხელჩართული შეტაკება ქართველი ერისა რუსეთთან და მის დამჭაშებთან 1924 წელში. აჯანყების ალი მოედო მთელ საქართველოს და ქართველი ერის ყველა ფენამ დიდი მსხვერპლი გაიღო: მუშა და გლეხი, ვაჭარი და მოხელე, მასწავლებელი და მოწაფე, მოხუცი და ჭაბუკი, მამაკაცი და დედაკაცი, ვაჟი და ასული, — ყველა გამოვიდა ბრძოლის ველზე. დაქირავებულ ჩეკისტთა და რუსულ დამჭაშების მცირე რიცხვის გარდა, მთელი ერი, დიდ პატარიანად წინააღუდგა დამპყრობელ რუსეთს და ამ გამოსვლით, საქართველომ ეროვნული ერთობის განვითარება უმაღლეს მწვერვალზე მიიტანა და ერთი მთლიანი ნებისყოფით გამოსჭედა იგი. 1924 წლის აჯანყება — ეროვნული ერთობის წარჩინებული და დიდებულ გამოსახვაა, — ასახვა ერის მთლიანობისა და ბრძოლის შემოქმედებისა: ეროვნული თავისუფლებისათვის. ბევრია თავგანწირულობისა და გმირობის მაგალითი, ბევრია თავდადებისა და ვაჟკაცობის წარმტაცი სურათი. ერთსულოვნად ერი ჩაება ბრძოლაში, და აჯანყება მაინც დამარცხდა. საშინელი და თავზარდამცემი იყო ხელისუფლების შურისძიება, აუწერელი მისი მხეცობა: ხვრეტდნენ უდანაშაულო ხალხს და ციხიდან სასაკლაოზე გაჰყავდათ დიდი ხნით ადრე დაჭერილი ხალხი. ხოცვა-ჟლეტა მონღოლისებური სისასტიკით ხდებოდა და გოდების მწარე მოთქმა ცამდე აღწევდა. ეს გაჟლეტა ისეთი დიდი იყო, რომ მართალი თქმაა თბილისელი ერთი ყაბის ყოვლად ცინიკური და შემზარავი პასუხი ერთი მუშტარისადმი, რომელმაც მას შესჩივლა, ხორცი ძვირიაო. პასუხი იყო: იაფი ხორცი თუ გინდა დედაჯან, წადი საბურთალოზე, იქ ქართველებს ბევრსა ჰკლავენ-ო.

აჯანყების შემდეგ საქართველო შეიმოსა შავი მძიმე ძაძით. მაგრამ ეს გლოვა იყო გმირულად დაღუპულ რაინდზე. მგლოვიარე ამაყი იყო თავისი გმირებით; კმაყოფილი იყო თავისი გაღებული სისხლით; შვება მიეცა მის აჯანყებულ სულს და დიდი მღელვარების შემდეგ რისხვათა ტალღებმა დაიწია და დადგა, თუმცა ფსკერზე ხეტიალი გრძელდებოდა.

1924 წლის აჯანყება დამარცხდა. როგორც ყველა აჯანყებას, მასაც ჰქონდა თავისი საბედისწერო ნაკლი. მთელ საქართველოს სივრცეზე სამხედრო ორგანიზაციების ფარულად მოწყობა მეტისმეტად ძნელი საქმეა. კიდევ უფრო ძნელია იარაღით მათი აღჭურვა და საიდუმლოების დაცვა, როცა ჩეკის წუნკალი ფეხდაფეხ მოგდევს. და თუ აჯანყების დაწყების გეგმა თავიდანვე ჩაიშალა, — მაშინ საქმე სწრაფად დაღუპულია.

აჯანყების გამარჯვებისათვის ორი აუცილებელი პირობაა საჭირო: შინაური და გარეული. აჯანყება პირველ რიგში უნდა შეეცადოს ცენტრების ხელში ჩაგდებას ესე იგი პირველად თბილისი და ბათუმი უნდა დაეკავებინათ. ვინაიდან პროვინციებიდან ანუ კუთხეებიდან დაწყებული აჯანყების ჩაქრობა ხელისუფლებისათვის იოლია. საქართველოს აჯანყების გეგმაში სწორად იყო დასახული თბილისის შიგნიდან აღება. და ეს არ გამართლდა; თუ რა მიზეზით, ამის შესახებ სხვადასხვა მოურიგებელი მოსაზრებაა.

აჯანყების გამარჯვებისათვის საჭირო პირობაა აგრეთვე აჯანყებული ქვეყნისათვის ხელსაყრელი საგარეო მდგომარეობა. თუ არსაიდან ჩამიჩუმი არ ესმის, დამპყრობელ ქვეყანა მტკიცედაა და მას არავითარი საგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეო და საშინაო გართულება, ომი თუ რევოლუცია არ აწუხებს, — აჯანყება ამ შემთხვევაშიც განწირულია. დამპყრობელს ასეთ შემთხვევაში ყოველთვის შეუძლია აჯანყება სისხლში ჩაახრჩოს. 1924 წლის აჯანყება ისეთ საერთაშორისო ვითარებაში მოხდა, როცა ყველგან, ევროპაში, და რუსეთში, სიწყნარე იყო. მსოფლიო ომისაგან დაღლილ-დაქანცული ევროპა ახლად დაარსებულ ერთა ლიგის პირველ ოცნებაში იყო და საუკუნო ზავის ნატვრას მისცემოდა. რუსეთში გარეგნული სიმშვიდე სუფევდა და საბჭოთა ქვეყანა ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობას ამყარებდა. არც ერთ სახელმწიფოს არ შეეძლო აჯანყებული საქართველოსათვის დახმარება გაეწია, დახმარება საქმიანი. — 1924 წლის საქართველოს აჯანყება ასეთ მშვიდობიან გარემოში მოხდა და მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. არ დარჩენილა არც ერთი ევროპიული გაზეთი — ჟურნალი, არც ერთი საერთაშორისო ყრილობა, რომ თავისი გულითადი თანაგრძნობა და მხურვალე სიმპატია აჯანყებული, გმირული პატარა ხალხისათვის არ გამოეცხადებინა. ევროპამ იგრძნო და გაიცნო მაშინ საქართველო. პარლამენტებში, მთავრობის წრეებში, პოლიტიკურ პარტიებში, ერთა ლიგაში თუ სხვადასხვა ყრილობებზე, საქართველოს გამარჯვებას ულოცავდნენ: — ბაწია, ვაჟკაცი საქართველო ვეებერთელა რუსეთს იარაღით აღუდგა თავისი ეროვნული თავისუფლების დასაცავად და ამით მთელს მსოფლიოს ამცნო თავისი უდრეკი ნებისყოფის გამოხატულებაო. საქართველოს სურს თავისუფლება, საქართველოს სწადია დამოუკიდებლობა, — გისმოდა ყოველ მხრივ აქ, — და მოითხოვდნენ რუსეთისაგან: — გაეყვანა მას თავისი ჯარები საქართველოდან. ევროპის მხრივ ეს იყო მორალური დახმარება.

საქართველოს დიდი ეროვნული აჯანყება 1924 წელს, მართალია, დამარცხდა, მაგრამ ხალხი რუსეთს ამის გამო მაინც არ შერიგებია და დაიწყო ბრძოლა ძველი ნაცადი ხერხით: პასიური წინააღმდეგობით.

თანამედროვე ომის დაწყებამდე, (და ალბად დღესაც), ჩეკა ისევ მძვინვარებდა და ხალხის უკმაყოფილებას ციხით, გადასახლებით და ხვრეტით ებრძოდა. ეს ბრძოლა მუდმივი იყო და დღესაც გრძელდება საქართველოში. ხოლო თანამედროვე ომის ასპარეზზე — რუსეთსა და გერმანიის შორის საომარ ველზე, რუსულ ბატონობაში მყოფმა ყველა ერის შვილებმა და ბოლშევიკური რეჟიმით უკმაყოფილო რუსებმაც კი — იარაღი დაჰყარეს და ტყვედ გადმოვიდნენ. არც ერთ ომში ნებაყოფლობით ამდენ ჯარისკაცს არ გადაურბენია, საშიშროების მიუხედავად, მტრის ბანაკისაკენ. ქართველ წითელარმიელებს რომ რუსეთის დაცვა ან საბჭოთა კავშირის გულისათვის ბრძოლა სურვებოდათ — ტყვედ არ წამოვიდოდნენ. მათ რომ რუსეთი ჰყვარებოდათ და რუსული რეჟიმი მათთვის ბედნიერება ყოფილიყო, — ისინი თავს შეაკლავდნენ მტერს და ტყვედ არ ჩავარდებოდნენ. მაგრამ მათ იოლად მიანებეს თავი ბრძოლის ველს და კიდევ მეტი: შემდეგ იარაღს მოჰკიდეს ხელი. ტყვეებს რომ რუსეთის დაცვა და ბოლშევიზმის გულისათვის თავგანწირვა ნდომოდათ, — ისინი ტყვეთა ბანაკს არ დასტოვებდნენ და იარაღს ხელს არ მოჰკიდებდნენ. ძალით მათთვის იარაღი არავის აუკიდია. მაგრამ თუ იარაღი მიიღეს, — ეს მათი სურვილიც იყო. ასე მოხდა დიდ უმრავლეს შემთხვევაში. შედეგად: ათიათასობით ქართველობა შეიარაღდა და რუსეთის წინააღმდეგ ომში წავიდა — საქართველოს გამოსახსნელად, შინ დასაბრუნებლად! ეს მოვლენა არის იმ აჯანყებათა გაგრძელება და იარაღით ბრძოლა, რომელსაც ქართველი ხალხი წარსულში რუსეთის მიმართ აწარმოებდა. ესაა საქართველოს უდიდესი აჯანყება! ქართველი ხალხის ახალგაზრდობის დიდზე დიდი უმრავლესობა სამი წლის განმავლობაში ებრძოდა რუსეთს და ამ ბრძოლას დღესაც განაგრძობს. ეს უფრო მეტია ვიდრე შინაური ძალებით მოწყობილი აჯანყება, — აქ ჩვენ მოკავშირე გვყავს და მოკავშირესთან ერთად ვიბრძვით. ეს ბრძოლა ჯერ დასრულებული არაა.

1924 წლის აჯანყების მიზანი: საქართველოს განთავისუფლება, ჯერ კიდევ მიღწეული არაა, — თავისუფლების დროშის ქვეშ დღეს იარაღით ხელში იბრძვიან შვილები იმ ხალხთა, რომელიც აჯანყებებმა შეიწირეს: გმირულად დაღუპულთა სული ჩვენ მიგვიძღვის, და როგორი ვითარებაც არ უნდა შეიქმნეს, ჩვენი ბრძოლის მიზანი ყოველ პირობებში მუდმივად რჩება: საქართველოს გამოხსნა რუსეთისაგან და სამშობლოს თავისუფლება.

ბ. ბებურიშვილი.

ვ. ნაბაძე

საბჭოთა რეჟიმის რაობა

„ჩვენ შევქმენით ახალი ცხოვრება, ახალი წყობა, უკლასო საზოგადოება. ჩვენი რევოლუციის მონაპოვარია შესანიშნავი კონსტიტუცია, რომლის მსგავსი არავის აქვს, ნამდვილი სახალხო სასამართლო, რომლის ბადალი არავის მოეპოება. ჩვენ გავანაღდეთ ეროვნებათა თანამშრომლობის მაღალი იდეა.

თქვენთვის ყოველივე ეს მიუღებელია. შემარიგებელ ხაზს ჩვენსა და თქვენს შორის ვერ ვხედავ“.

ასეთი დასკვნა გაუკეთა ჩემმა მოსაუბრემ მის გრძელ მსჯელობას. იგი ლაპარაკობდა დინჯად, აუღელვებლად, რწმენით. მის გამომეტყველებაში ყალბ ხაზს ვერ შეამჩნევდით და მას ჰქონდა უცოდველი ბავშვის გამოხედვა; მისი მსჯელობა ჰგავდა მექაში მიმავალ მუსულმანის გაზეპირებულ ლოცვას, რომელმაც არ იცის რა არის საღი და კრიტიკული აზროვნება.

ეს იყო კაცი 45—50 წ., ტყვედ ჩავარდნილი, მგონი, ყირიმში, 1942 წ., საბჭოთა სინამდვილის კარგი მცოდნე, მის თავისებურებაში საკმაოდ ჩახედული; იქაური დონის მიხედვით ღრმად განათლებული; რეჟიმის გულწფელი მუშაკი და მოზრდილი თანამშრომელი.

ჩვენი შეხვედრა იყო ახირებული. ერთმანეთს ვერაფერი ვერ გავაგებინეთ. განშორებისას მე ვიგრძენი ამ ადამიანისადმი საშინელი სიბრალული. იგი ჰგავდა მარსიდან მოფრენილს. მას ამ ქვეყნიური არაფერი გაჩნდა და არაფერი გაეგებოდა.

ჩვენ ვერ ვთანხმდებოდით საზოგადოთ მიღებულ და კანონებელ ცნობების განმარტებაშიც კი. ეს იყო სულიდან ხორცამდე უცნაური ფანატიზმით შეკმული ადამიანი და ეს ფანატიზმი მასში არა ნორმალობამდე იყო მისული:

მე მოვსთხოვე მას განმარტება საზოგადოთ ქართველი ინტელიგენციის განადგურებისა და კერძოდ დიდი მეცნიერის — გრიგოლ წერეთლის დახვრეტაზე. მოუთმენლად ველოდი პასუხს, როგორ დამისაბუთებდა ამ უზარმაზარი მეცნიერების დაკვლას ჩემი მოსაუბრე. — ადამიანი რომელიც პოლიტიკაში არასოდეს არ გარეულა, უაღრესად ფაქიზი მაღალი მორალის პიროვნება, დიდი ქართველი.

ჩემი მოსაუბრე ოდნავ არ დაბნეულა, როგორც ყველაფერზე აქაც პასუხი მის თავში მზად აღმოჩნდა — „ჰო, ეს მართალია, მიპასუხა მან, მაგრამ ალვუაზიესაც მოსჭრა რევოლუციამ თავი, ხომ იცით!“ — ეს სიტყვები მან თუთიყუშივით გადმოაგდო პირიდან. მე არა მარტო გავიგონე ეს სიტყვები, არამედ, ასე მგონია, დავინახე კიდეც როგორ უაზროდ და უხეშად დაეცა ჩვენს მაგიდაზე, როგორც მთიდან მოშვავებული გაურანდავი ქვა.

მისი შუშის თვალები ოდნავ არ განძრეულა. იგი საშუალო საუკუნის ნიჭიერად დახატულ ფრესკასავით იდვა ჩემს წინ და შეინძრა მხოლოდ მაშინ, როცა მე მოთმინებიდან გამოსულმა, გაბრაზებით ხმას ავუწიე.

არ ვიცი საქართველოში რამდენ ადამიანს აქვს თავის ქალაში ტვინის უჯრედები ამნაირად ჩალაგებული, აზროვნება ასეთ ყაიდაზე მოწყობილი, ზნეობა და მორალი ასეთნაირ შეფარდებაზე შელაგებული. შეიძლება ვივარაუდოთ შეუცდომლად, მათი რიცხვი ჩვენს ეროვნულ საზოგადოებაში მნიშვნელოვან ფენას არ უნდა წარმოადგენდეს.

ერთია როცა ამათუიმ პოლიტიკურ ან რელიგიურ სისტემას იზიარებ, ამათუიმ სექციის წევრი ხარ. ამ შემთხვევაში იდეალის მხოლოდ წარმოდგენა შეიძლება. აზროვნებაში განსახებულ იდეალს როგორც გინდა ისე წარმოიდგენ. აქ ყველაფერი მიმზიდველად და ლამაზად გეჩვენება, მაგრამ როცა რეალობაში შევდივართ, მაშინ სხვაა. აქ თვალდახუჭული მოძრაობა შეუძლებელია; მით უმეტეს, როცა საქმე ეხება სახელმწიფო ორგანიზაციის მოწყობას, ერის, საზოგადოებისა და პიროვნების ბედს.

1941 წ. როცა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომი დაიწყო კომუნისტური რევოლუცია უკვე დამთავრებული იყო. ამ რევოლუციამ მხოლოდ სისასტიკესა და ხანგრძლიობაში გადააჭარბა დანარჩენებს. შედეგების მხრივ ასეთი უმწეო, სულიერად, მორალურად და პოლიტიკურად ღარიბი რევოლუცია ისტორიამ არ იცის.

24 წელი იბობოქრა კომუნისტურმა რევოლუციამ და ერთს შედეგს მიაღწია: ძველი კლასები იქმნა მოსპობილი და განადგურებული.

ვინც რუსის ხალხს იცნობს მისთვის უხეშობა და მსხვერპლის სიდიდე ნათელი იქნება. ვიკითხოთ მხოლოდ: მართლა საჭირო და აუცილებელი იყო სოციალური კლასების მოსპობა? მათი ნივთიერად და ფიზიკურად სავსებით განადგურება? — რასაკვირველია, არა. აქ არის კომუნისტური რევოლუციის მთელი სისუსტე. ამიტომ გადაიქცა იგი ერის, საზოგადოების და პიროვნების ჯალათად.

ცხოვრების ულმობელმა კანონმა თავისი მოითხოვა და გაიტანა. ამ განადგურებული სოციალური კლასების ნაცვლად ახალი შეიქმნა და ჩამოყალიბდა. ცნობილია კომუნისტური არისტოკრატია, კომუნისტური შეძლებული წოდება, მდიდარი და ღარიბი სოციალური ფენები. ცნობილია აგრეთვე კომუნისტი მილიონერები, რეჟიმის მიერ დაშვებული და დაკანონებული. ადვილი არ იქნება მომავალი ისტორიკოსებისთვისაც იმის მტკიცება, რომ ახალი მილიონერები ძველზე უკეთესია, უფრო მორალური და ზნეობრივი სიფაქიზით დაჯილდოებული?

არ აქვს მნიშვნელობა რანაირად მიიღო ივანემ თუ პეტრემ ეს მილიონები, ჩითის გაყიდვით თუ ხოტბის წერით ან საპროპაგანდო სცენარის მოხერხებულად დადგმით. ასე რომ კომუნისტური რევოლუციის მიღწევა — უკლასო საზოგადოების შექმნა ვერ ყოფილა ის უებარი წამალი, რომლის საშვალებით ახალი ცხოვრების შექმნას ლამობდნენ. რათ ან ვისთვის იყო საჭირო ძველი კლასების დაკვლა, თუ ახალის შექმნა სხვანაირი ფორმით აუცილებელი იქნებოდა.?!

ჩემმა მოსაუბრემ გულით სცადა ერების თანამშრომლობის იდეა დაესაბუთებინა და ბოლოს ზოგ თავის შერჩეულ საბუთებში თითონ შეეპარა ეჭვი, როცა იძულებული იყო ზოგიერთ კითხვაზე პასუხი მოეცა.

რატომ კავკასიასა და საქართველოში რუსული ენა უნდა იყოს სახელმწიფო ენად დაკანონებული? რატომ ლიახვზე თუ არაგვზე ასაგებ ხიდის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა კრემლში უნდა დაამტკიცონ? რატომ საქართველომ უსათუოდ იმდენი ჩაი უნდა მოიყვანოს, რამდენიც საბჭოთა კავშირის ხალხების მადას დააკმაყოფილებს? — ხომ შეიძლება საქართველომ თავისი ჩაი უკეთეს ფასებში ბალკანეთში, ცენტრალურ ევროპაში, ან სკანდინავიაში გაყიდოს ვიდრე მოსკოვში, სამოედებსა ან ჩუვაშეთში? შეიძლება დაასახელოთ საბჭოთა კავშირის გარდა მეორე ქვეყანა, სადაც პოლიტიკით ზომავდენ ყველაფერს, პოლიტიკა შეჰქონდეთ ყველაფერში: ოჯახში, ეკლესიაში, სკოლაში, მწერლობაში, ხელოვნებაში? არსებობს ისეთი ქვეყანა სადმე, სადაც მხატვრულ ნაწარმოებს (ლექსი, რომანი, პიესა, ოპერა, ქანდაკება, ნახატი) მთავრობის ან პარტიის გენერალური ხაზის მიხედვით ასწორებდნენ? ეს გენერალური ხაზი ხომ მუდამ იცვლება ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარების მიხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით და რა მდგომარეობაში ვარდება მწერალი ან ნაწარმოები, როცა მის ღირსებას ამ ხაზის ადლის მიხედვით ზომავენ?

— ყოველივე რაც მე ჩამოვთვალე, არის არანორმალური. რაც არანორმალური არის, იგი მიუღებელია.

მართალია, ასეთი დრო იცის კატობრიობის ისტორიამ: საშუალო საუკუნოები და მისი წინა ხანა, როცა ეკლესია განუკითხავად ბატონობდა თავისი სქოლასტიკური დოგმებით. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი ბრძოლა გადაიტანეს კულტურული ერების საუკეთესო შვილებმა ამ ინსტიტუტის დასამარცხებლად, შემდეგ კაცობრიობა ფრიად წინ წავიდა. დაიწყო ჰუმანიზმის და რენესანსის ეპოქა. რომელზედაც დაფუძნდა მთელი შემდეგი და თანამედროვე კულტურა და ცივილიზაცია. დღეს კომუნიზმი ათასჯერ უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს ერების განვითარების, ადამიანის აღზრდის სულიერი და ნივთიერი კულტურის შექმნის საქმეში, ვიდრე ეს იყო თავის დროზე სქოლასტიკა.

კომუნისტურმა რევოლუციამ საბჭოთა კავშირი მიაბრუნა საშუალო და მის წინა საუკუნოების ხაზზე. არც ერთი ქვეყანა, ამდენ სიბრიყვეს, ბოროტმოქმედებას, ამდენი მსხვერპლის გაღებით არ ჩაიდენდა, რუსეთს გარდა. არც ერთ ქვეყანას ამდენი აბრუნდის გაკეთება არ შეეძლო.

თანამედროვე კულტურისა და ცივილიზაციის ერთ უდიდეს მიღწევად ითვლება სამოსამართლო უწყების განცალკავება აღმასრულებელი ხელისუფლებიდან. საბჭოთა კავშირში კი კომუნისტებმა ეგ ორი უწყება ერთმანეთს გადააბეს; მართალია, ქაღალდზე ეს უწყებები ცალცალკე არსებობს, ისე როგორც ბევრი რამ ამ დალოცვილ ქვეყანაში, მაგრამ სინამდვილეში სამოსამართლო უწყება პირდაპირ დაქვემდებარებულია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.

თანამედროვე რთულ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ასეთი დაქვემდებარება უდიდესი უბედურება და ბოროტმოქმედებაა. აქედან შეიქმნა ის უცნაური განუკითხაობა და საშინელი ტერორი, რომელიც ბატონობს საბჭოთა სამოთხეში.

აქ ყოველთვის მოსალოდნელია ადამიანი გაჩხრიკონ ქუჩაში თუ სახლში, მატარებელში, თუ სამუშაოზე ყოველგვარი ხელმოსაკიდებელი საბუთის გარეშე, ეჭვით, ყურმოკრული ნათქვამით, ჭორით. გაჩხრიკონ და დაპატიმრონ, დააპატიმრონ და თავი მიათალონ ძირში.

საბჭოთა კავშირში უდანაშაულოდ დასჯილი ადამიანების სტატისტიკა ვინმემ რომ შეადგინოს, აღმოჩნდება: დასაბამიდან დღევანდლამდე არც ერთ ქვეყანაში ამდენი უდანაშაულოდ დასჯილი არ შეიძლება იყოს, როგორც 24 წ. მანძილზე ამ იდეალურ მუშათა და გლეხთა ქვეყანაში, სადაც თითქო ყველაფერი უაღრესი სამართლიანობით არის დალაგებული.

როცა ყოველივე ეს იცის იქაურმა, ადამიანმა და მაინც გულწრფელად ამ რეჟიმს იცავს, გიკვირს, ვერ აგიხსნია, როგორ? საიდან შეიქმნა ასეთი უცნაური ფანატიზმი ამ საშინელების დასაცავად?

მოვსინჯოთ გამორკვევა, რა მიზეზებმა შექმნა და ჩამოაყალიბა ის კადრები, რომლებიც ასე გულმოდგინეთ იცავენ ამ რეჟიმს, რეჟიმს, რომელიც მიუხედავად ყოველ გვარი შეღავათისა და გამართლებისა, კაცობრიობის ისტორიაში დარჩება სამარცხვინოდ, როგორც მონობა და ინკვიზიცია.

კომუნისტური რეჟიმის გაბატონება მოხდა განსაკუთრებულ პირობებში, კულტურისა და ცივილიზაციის ისეთ რაიონში, სადაც არსებობდა ყოველმხრივ შესანიშნავი ხელსაყრელი პირობები დიდ სოციალურ მსხვრევიდან ასეთი სამარცხვინო და მახინჯი შედეგები მიეღოთ, როგორიც არის საბჭოთა წყობილება.

მე-19 საუკუნეში კაპიტალისტურმა განვითარებამ დასავლეთში შექმნა სოციალიზმის შესახებ კოსმოპოლიტური ზანგელა (ზანგელა — შავ წითელი). სისტემები. ეს სისტემები მოედვა მთელ მსოფლიოს. თვითეულმა ერმა მოინდომა მისი გამოყენება თავისი დონისა და ინტერესების იხედვით. პირველად რუსეთმა სცადა მისი განაღდება, როცა რუსეთზეა ლაპარაკი აქ განსაკუთრებული სიფთხილე და მიუდგომლობა არის საჭირო.

1914—18 წ. ომის დასაწყისში რუსეთი წარმოადგენდა ვეებერთელა ჩამორჩენილ კოლონიალურ იმპერიას, რომელიც არამც თუ განიცდიდა ყოველმხრივ დასავლეთის გავლენას, არამედ ყოველმხრივ დამოკიდებული იყო დასავლეთზე. აი ეს უკულტურო და ჩამორჩენილი რუსეთი შეუდგა ორი დიდი ამოცანის გადაწყვეტას: ა) თავის გამოხსნა დასავლეთის კულტურული და ფინანსიური მევახშეობიდან. ბ) დასავლეთში შემუშავებულ სოციალ-პოლიტიკურ სისტემის ნიადაგზე სოციალიზმის განხორციელება. რუსეთში დაიწყო დასავლეთის სოციალიზმის სისტემის მწვალებლობა ერთსა და იმავე დროს როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში. მწვალებლობა საზოგადოთ ცუდი საქმეა, ხოლო უკულტურო ქვეყანაში მისი მახინჯი შედეგები დიდი უნდა ყოფილიყო.

რუსეთის სექტანტებმა მთელი დასავლეთის ცივილიზაცია და კულტურა ბურჟუაზიულად, დამპალად გამოაცხადეს, ხოლო დასავლეთიდან მიიღეს მარტო მარქსიზმი, მეცნიერული თვალსაზრისით ყველაზე სუსტი, დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი მოძღვრება. დასავლეთში მარქსიზმს უკვე დიდი ხანია არავინ სწავლობს, ხოლო უკულტურო რუსეთში მის შესასწავლად საგანგებო ინსტიტუტები ააშენეს.

საბჭოთა კავშირში მარქსისტებმა რომ მარქსის და მის საუკეთესო მოწაფეების ლენინის და სტალინის თითქო გაყალბებისათვის ხალხი დასაჯეს, არა მგონია რომელიმე მწვალებლობას ასეთი რამ ჩაედინა, ასე გაუმაძღარი ყოფილიყოს სისხლის მხრივ.

ჩვენ ვიცნობთ მწვალებლობის რამდენიმე შემთხვევას ისტორიაში, მაგრამ ასეთ საზიზღარს კი არცერთს.

როცა ისტორიულ პერსპექტივის ხაზზე ვსინჯავთ რუსეთის ამბებს, ჩვენთვის ადვილია მის მდგომარეობაში გარკვევა, რადგან ჩვენ მას საფუძვლიანად ვიცნობთ, ხოლო სხვები რომ რუსეთის ამბებში გაერკვნენ, ამისათვის განსაკუთრებული ცოდნა მიუდგომლობა და მახვილი თვალია საჭირო, და ვიდრე ამას ევროპა და ამერიკა დაინახავდეს, მანამდე შეიძლება რუსულმა კომუნიზმა კიდევ უდანაშაულოთა ზღვა სისხლი დაღიოს და ამ უდანაშაულოთა ძვლებზე მომავალი რუსეთის უძლეველი იმპერია აეგოს.

თუ რუსეთი საბჭოთა კავშირის სახით ამ ომიდან დაურღვეველი გამოვიდა, შემდეგ მისი მომავალი დიდი ხნით უზრუნველყოფილია, იგი ოკეანეებზე საფუძვლიანად დაადებს თავის ბანჯგვლიან თათებს და გათავდა. თუ რუსეთმა ეროვნულად ჩამოყალიბება და წელში გამართვა მოახერხა შემდეგ მას ბევრი რამ საკვირველის გაკეთება შეეძლება.

სამწუხაროდ, ევროპამ საკითხის სიმძიმე ამ მნიშვნელოვანი კუთხით ვერ გაითვალისწინა, თორემ რუსეთი ეხლა ევროპის გულთან ასე ახლო ვერ უნდა ყოფილიყო. ეხლა საკითხი ისმის ევროპამ უნდა გაყოს თავი რუსულ სექტანტების მწვალებლობის ხაფანგში თუ არა.

დავუბრუნდეთ ჩვენ მიერ დასმულ საკითხს. რა მიზეზებმა შექმნა და ჩამოაყალიბა ის კადრები, რომლებიც ასე გულმოდგინედ იცავენ საბჭოთა რეჟიმს?

კომუნისტური ხელისუფლება გაბატონდა განუკითხავი ტერორით. ტერორით დაიწყეს ყველაფრის განადგურება. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებები, არსებული სახალხო მეურნეობის ფორმები, სკოლა, ოჯახი, ეკლესია, ყოველივე ეს დანგრეული და განადგურებული იქმნა. ამ ნგრევას შეეწირა რამდენიმე თაობა და სოციალური კლასები. ეს კლასები დაკლული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნა უანგარიშოდ უმიზეზოდ, უაზროდ, მხოლოდ ერთი მოსაზრებით, განზრახული ექსპერიმენტის ხელის შემშლელი მიზეზები მინიმუმამდე შეემცირებინათ. კომუნისტურმა პარტიამ მოინდომა პოლიციური ზომებით უკლასო საზოგადოების შექმნა, მთელი მოსახლეობის ხელოვნურად გაღარიბება და ერთ დონეზე დაყენება. კერძო ინიციატივა აკრძალული იქმნა ყველაფერში: ვაჭრობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში. იწყება ხანა საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბებისა და კოლექტივიზაციის. მთავრობამ მთელი სახელმწიფო ერთ უზარმაზარ ქარხანად გადააქცია და ნივთიერად გათანასწორებული მოსახლეობა დაქირავებულ ყმებად. ოდნავი არ დამორჩილება დაკანონებული მდგომარეობისადმი ისჯებოდა უმაღლესი სასჯელით.

ამავე დროს სახელმწიფოს საზღვრები ჩაკეტილი იქმნა სასტიკად. კომუნისტურ სახელმწიფოს მოსახლეობას აბსოლუტურად ყოველ გვარი კავშირი გაუწყდა მსოფლიოსთან, საბჭოთა მოქალაქეს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რანაირ პირობებში ცხოვრობდნენ მისი მეზობელი ან შორეული სახელმწიფოს მოქალაქეები. ქვეყანა დაიბანგა და გაყრუვდა. იწყება ახალი თაობების აღზრდა ინტერნაციონალურ პრინციპებზე და იდეებზე. წარსულ ისტორიულ ტრადიციებთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან გადაიჭრა ყველა გზები.

ერთის მხრივ: ყოვლის-შემძლე პოლიცია, რომელიც „სამართალსა" აკანონებს, „სამართლიანობას" ანხორციელებს, ვაჭრობა მრეწველობას ხელმძღვანელობს, დოვლათს ანაწილებს; მეორეს მხრივ: ერთნაირ უუფლებო მდგომარეობაში ჩაყენებული ხალხი. საბჭოთა კავშირის მთელი სულიერი და ნივთიერი ცხოვრება დაყენებული იქმნა საშინელი კონტროლის ქვეშ, პოლიცია დარაჯად დაუდგა ყველაფერს: პრესას, გამომცემლობას, თეატრს, კინოს, სასწავლებლებს, ადამიანების აზრსა და ფიქრს, ვაჭრობა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას. თვით კომპარტიაში შეეჭრა ტერორი და სიკვდილით დასჯილი იქმნა მთელი ძველი გვარდია; ყოველგვარი გადახრები მარჯვენა თუ მარცხენა მოიშალა. ყოველგვარი საზოგადოებრივი აზრის კონტროლი დაირღვა და მოისპო ელემენტარული ზნეობრივი და ეთიური ნორმები.

კომუნისტური დოგმებით დაიყწეს ყველაფრის ზომვა: — ლექსიდან დაწყებული სიმფონიურ ორკესტრამდე. პოლიცია და მთავრობა გახდა ყველაფრის ბატონ პატრონი, ყოვლის შემძლე. ყოველივეს, რაც შენდებოდა: გზა თუ ხიდი, ქარხანა თუ ელექტრონის სადგური, საცხოვრებელი შენობა. თუ სკოლა, თეატრი თუ საავადმყოფო, მთავრობა იწერს თავის აქტივში. ასი ათასი დაქირავებული მწერლები სწერენ ამის შესახებ. მთავრობის და პოლიციის სამსახურშია აყვანილი მთელი ინტელექტუალური ძალები პოეტებიდან დაწყებული პროფესორებამდე. ყველაფრის ავტორად გამოდის კომუნისტური პარტია, მისი მთავრობა და პოლიცია, ხოლო შემდეგ ყოველივე ამის დამგვირგვინებელი პარტიის ხელმძღვანელი, ბელადი იგი ფორმალურად არსად სჩანს, თითქო არავითარი მნიშვნელოვანი თანამდებობა არა აქვს, მაგრამ ნამდვილად მთელი აპარატი მის ხელშია, ყოველგვარ მნიშვნელოვან საკითხებს თვითონ სწყვეტს; ამ ასი ათას დაქირავებულ მწერლებს, ქვეყნის მთელ ინტელექტუალურ ძალებს ნაბძანები აქვს ხოტბა შეასხან მთავრობას, პარტიას, პოლიციას, ბელადს. ხოლო თუ აღებული ხაზი რაიმე საკითხში მცდარი აღმოჩნდა, ამ დაქირავებულმა მწერლებმა შეცდომა უნდა გადააბრალონ სხვებს, ხალხის მტრებს. ამ შემთხვევაში არ ინდობენ არც შინაურს, არც გარეშეს; შეუმცდარია მხოლოდ ბელადი და მისი გენერალური ხაზი. აქედან მოხდა გაღმერთება პარტიის? მთავრობის, პოლიციის, განსაკუთრებით კი ბელადის. არც ერთ დიქტატორს თავის სიცოცხლეში არ ღირსებია ამდენი ქებადიდება, რამდენიც იოსებ ჯუღაშვილს. ამ შემთხვევაში მართლ მორწმუნე მარქსისტებმა — კომუნისტებმა, მარქსის ერთი მოზრდილი თეზა დაივიწყეს, თითქო პიროვნების როლი ისტორიაში უმნიშვნელო იყოს.

ტერორის სისასტიკე აღწევს უმაღლეს მწვერვალს: იყო წლები როცა ოჯახის წევრებს არ შეეძლო ერთმანეთში თავისუფლად მუსაიფი. ორი ან სამი მოქალაქის ქუჩაში ერთად გავლა იყო საეჭვო და სახიფათო. მამა შვილს ველარ ენდობოდა და დაჲ ძმას. როცა საღამოს ძილის დრო მოახლოვდებოდა, სრულწლოვანი ოჯახის წევრები პირველი საჭიროების ნივთებს და ფულს ადვილად მისაგნებ ადგილზე იმარაგებდენ, რომ ვინიცობაა პოლიცია მობრძანებულიყო, ადვილად შესაძლებელი ყოფილიყო გაქცევა, ისე როგორც დღეს ტოტალური ომის პირობებში, დიდი ქალაქების მშვიდობიანი მცხოვრებნი, მზად უნდა იყვნენ თავშესაფარში გასაქცევად განგაშის დროს, მტრის თვითმფრინავთა მოსვლის გამო.

შიში მძვინვარებდა ყველგან ამ ვებერთელა სახელმწიფოში, როგორც შავი ჭირი, პიროვნება და საზოგადოება საბოლოოდ დამარცხებულ იქმნა და ჩაყენებული მონის მდგომარეობაში. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, შეუძლებელია ქვეყანაში რაიმე საღი აზრი ან მიმართულება დაიბადოს. მეოთხედ საუკუნის მანძილზე ის პირები, რომლებიც მთავრობამ დაიქირავა, მონაწილე გახდნენ ამ უცნაური სოციალური ექსპერიმენტისა, ჩათრეული იქმნენ მუშაობაში და ერთგვარად დახარჯული, და ბოლოს და ბოლოს იწამეს ის რეალობა, რომელშიც თითონ თავიდან ფეხებამდე ჩაეედილი დარჩნენ. ეს დაქირავებული ხალხი და სხვადასხვა სოციალური ფენების ის ნაწილები, რომლებიც ყველაზე მეტად გამძრომი, წამწოლი, შემგუებელი აღმოჩნდნენ, გადაიქცნენ მთავრობის წოდებად: ეს ის კონტინგენტია, რომელზედაც კომუნიზმი დაეყრდნო. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირიდან გადმოსული მოქალაქეთა **დიდი უმრავლესობა** უცნაურია, საკუთარ მეობას მოკლებული, სტანდარტული აზროვნების, ანუ უკეთ: მას აზროვნება არ გააჩნია, იგი ლაპარაკობს გაზეპირებულ ფრაზებს გრამაფონის ფირფიტასავით, როგორც ამას წლეების მანძილზე ასი ათასობით დაქირავებული მწერლები ერთნაირად უჩიჩინებდნენ მოსახლეობას. საბჭოთა კავშირში მარქსი, ლენინი და სტალინი წარმოდგენილი ჰყავთ ისე როგორც ტიბეტში დალაილამა, როგორც კათოლიკე ბერ-მონაზვნებს რომის პაპი, რომელიც შეუმცდარია სადაც კრიტიკა არ შეიძლება, და არა თუ არ შეიძლება, დანაშაულადაც ითვლება.

მაშ როგორ მოხდა, რომ ასეთი უცნაური და საშინელი რეჟიმი კიდევ ფეხზე სდგას? დღევანდელი ომის მთელი სიმძიმე გადაიტანა და შიგნით ყველაფერი თავის ადგილას არის? ან მე ვაჭარბებ საბჭოთა რეჟიმის დაფასების დროს ანდა აქ კიდევ სხვა მიზეზებია, რომელსაც უნდა გავეცნოთ, ამაზე შემდეგ.

ი. გურული

ისტორიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს სახე

1921 წლის 25 თებერვალს შეწყდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება, იგი რუსეთის ორბიტში მოექცა. ამ საბედისწერო დღიდან დაიწყო საქართველოში ე. წ. „ორტოდოქსალური მარქსიზმის“ უკიდურესი მიმდინარეობის სოციალისტური ექსპერიმენტები.

ბოლშევიკური „ახალი სისტემა“ შეეხო ქართული ცხოვრების ყოველივე დარგს; დაიწყო ქართული სულის აღრევა. კომუნისტების ქურუმი ლენინი ამთავად ფრთხილად მოქმედებდა და არა ერთხელ აფრთხილებდა ქართველ კომუნისტებს, — არ დაეშვათ საქართველოში ის შაბლონი, რაც ჩაიდინეს რუს კომუნისტებმა რუსეთის თვალუწვდენ სივრცეზე.

ამიტომ პირველ ხანებში საბჭოთა იმპერიალისტური რუსეთი ფრთხილად იქცეოდა; ის არ იჩენდა დამპყრობელ სახეს, და საქართველოს მოევლინა, როგორც „მუშათა და გლეხთა“ განმანთავისუფლებელი კაპიტალიზმის უღლისაგან. შულავერში, „ღარიბ-ღატაკთა და დაჩაგრულ ეროვნებათა“ მიერ „არჩეულმა“ საქართველოს რევკომმაც თავის მხრივ „საზეიმო“ ვითარებაში დაადასტურა ეს „კეთილშობილი და სამართლიანი აქტი“ განსაკუთრებული დეკრეტით.

საბჭოთა საქართველოს „დამოუკიდებლობა“ დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ქართველ მუშებმა და გლეხებმა „მოითხოვეს“ ძმური გაერთიანება მეზობელ მუშებთან და გლეხებთან; 1921 წელს, დიდი დაბრკოლების შემდეგ, ბოლშევიკებმა გააერთიანეს ამიერ-კავკასიის რკინიგზები და 1922 წელს კი დაარსდა ამიერ-კავკასიის „ფედერაცია“, რის შემდეგ თბილისი აივსო რუსული დაწესებულებებით: ზაკსოვნარკომი, ზაკცაკი, ზაკჩეკა, ზაკპროფსოვეტი, ზაკვნეშტორგი, ზაკპლოდოვოშჩი, ზაკნარკომზემი, ზაკვოდხოზი, ზაკავტოპრომტორგი, ზაკვოენტორგი, ზაკგოსტორგი, ზაკხლოპკომი, ზაკსკოტი და მრავალი აუარებელი „ზაკები“, რომლის ჩამოთვლა მეტად ძნელია.

საქართველომ ფაქტიურად დაჰკარგა ის კუდმოკვეცილი უფლებაც, რაც მას „განთავისუფლების“ პირველ დღეს გააჩნდა; ამ გარემოებამ გამოიწვია რეაქცია თვით ქართველ კომუნისტებს შორის. ამის შემდეგ, დაივიწყეს რა ლენინის ცნობილი გაფრთხილება „რუსული შაბლონის“ თაობაზე, დაიწყეს აშკარა ცენტრალიზმი, რუსული სისტემის გაბატონება.

ნაციონალური საკითხი

ყველაზე თავგამოდებულად ბოლშევიკები „იბრძოდნენ“ ნაციონალური საკითხის გადაჭრისათვის. ლენინმა ძველი რუსეთის იმპერიას „ეროვნებათა და ხალხთა საპყრობილე უწოდა“. თავისუფლება თითეულ ერს სრულ გამოყოფამდე, ასეთი იყო მათი ლოზუნგი რევოლუციის პირველ დღესვე. მათ სპეციალური ეროვნებათა საქმის კომისარიატიც კი დაარსეს რომელსაც სათავეში ი. ჯუღაშვილი ჩაუყენეს. მოსკოვის კარნახით ქართველმა კომუნისტებმა „იშვიათად“ გადასჭრეს ნაციონალური საკითხი. ჯერ ერთი ოსმალეთს გადასცეს ჩვენი ნაციონალური ტერიტორიის (ბათომის ოლქის, ართვინი, არდაგანი) საგრძნობი ნაწილი, არც ჩვენი მოსაზღვრე მეზობლები დასტოვეს გულნაკლული, პირდაპირ ძალით, „მიაჩეჩეს“ ხელში აზერბაიჯანს კახეთის ბუნებრივი გაგრძელება — ზაქათალის ოლქი და სომხეთს კი, „ჩამოუჭრეს“ ბორჩალოს მაზრიდან კარგათ ნათალი ლუკმა.

საქართველოში „დაჩაგრულ“ ოსებს ქართლის შუაგულში — გორის მაზრაში რესპუბლიკა შეუქმნეს და ტირიფონის ველიდან „სახელმწიფო“ საზღვარი გაატარეს ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და საქართველოს შორის. მეტად „დაჩაგრული“ აფხაზებიც არ დატოვეს „უყურადღებოდ“ ბზიბისა და ენგურის შუა შეჰქმნეს აფხაზეთის ა. ს. ს. რესპუბლიკა, რომელიც განსაკუთრებული სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოსთან. სამურზაყანო, სადაც მცხოვრებთა 90 პროცენტს მეგრელები შეადგენენ აფხაზეთს „მიუსაკუთრეს“. გალის რაიონის მოწინავე ინტელიგენციის შუამდგომლობას ამ რაიონის საქართველოსთან შეერთების შესახებ, ხიშტებით შეხვდნენ, მოწინავე პირები „ბურჟუაზიულ ნაციონალისტებად“ მონათლეს და შორეულ მხარეში გადაასახლეს.

„ეროვნული“ თავისუფლება აჭარასაც არგუნეს. შეჰქმნეს აჭარის ა. ს. ს. რესპუბლიკა და საქართველოს შორის საზღვარი მდინარე ნატანებთან დაწესდა. ამგვარად საქართველოს ნაციონალურ ტერიტორიაზე სამი ავტონომიური ერთეული შეჰქმნეს. თუ გასაბჭოების პირველ წლებში, საქართველოს მთავრობის დეკრეტი სრულიად საქართველოს სახელით გამოდიოდა, ამ ბოლო დროს ესეც შეწყვიტეს. საქართველოს საბჭოთა მთავრობის განკარგულებანი სავალდებულო იყო მხოლოდ და მხოლოდ ე. წ; საკუთრივ“ საქართველოს ტერიტორიაზე, რათქმა უნდა აფხაზეთის. აჭარისა და სამხრეთ ოსეთის გამოკლებით. იყო შემთხვევა, როცა ავტონომიური რესპუბლიკები არ ემორჩილებოდნენ თბილისს ე. ი. საქ. ცენტრალურ მთავრობას. მაგალითად: აფხაზეთში გაბატონებულიყო რუსოფილური მიმდინარეობა და უშუალოდ მოითხოვდა, „ფედერაციაში“ შესვლას. ქართული ენა ამ „განაპირა სახელმწიფოებში“ მეტისმეტად შევიწროებულია, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის (შუაგული ქართლი-გორი, მაზრა) დაწესებულებებში საქმის წარმოება სწარმოებს რუსულ ენაზე. ქართული წარწერას მხოლოდ აბრებზე თუ შეხვდებით.

„საბოდიშო“ გახდა სამხრეთ-საქართველოს რაიონებიც, ახალციხე (მესხეთი) და ახალქალაქი (ჯავახეთი). მესხებს სავსებით დაავიწყეს საკუთარი ეროვნება და სტატისტიკურ ცნობებში ისინი იხსენიებიან აზერბაიჯანელებად, მათ ახალციხეში, ბენარაში, ადიგენში და სხვა რაიონებში გაუხსნეს თურქული სკოლები, და მთელი საქმის წარმოება სწარმოებს რუსულ ენაზე.

ახალქალაქის რაიონის შესახებ ამ თავად „ფრთხილად“ და „თავაზიანად“ წამოაყენეს საკითხი მისი ლენინაკანისათვის (ალექსანდროპოლი — სომხეთი) შეერთების შესახებ, იმ მოტივით, რომ ლენინაკანი ახლოა ხელმძღვანელობა უფრო ელასტიური იქნებაო, მაგრამ ამაში აშკარად მოსჩანდა „ნეოდაშნაკიზმი“. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ბორჩალოსა და ყარაიაზში. ბორჩალო — ეს ქართლის მოწინავე სადროშო „ეროვნულ“ გადაგვარების გზას ადგია.

ყველაზე „კურიოზი“ იყო ის გარემოება, რომ სვანებსაც სადაოდ ხდიდნენ, მათ „არწმუნებდნენ“ რომ ისინი არ არიან ქართველებიო და ყველაზე სავალალო მდგომარეობა იყო ე. წ. მეგრელ ნაციონალისტების „მაფალისტების „მოძრაობა, რომლებიც „ამტკიცებდნენ“ რომ მეგრელები ქართველთა ტომს არ ეკუთვნიან და მოითხოვდნენ სამეგრელოს „თვითგამორკვევას“ სწორად რომ ვთქვათ „სამეგრელოს ანუ ოდიშის რესპუბლიკის“ დაარსებას.

საბჭოთა საქართველოს მოსახლეობა იზრდება მოსულთა ხარჯზე. განსაკუთრებით ჩვენი დედაქალაქი თბილისი. ამავე დროს საქართველოში გრძელდება ძველი რუსული პოლიტიკა უცხოელთა და განსაკუთრებით რუსების ჩასახლება საქართველოში: ნავთლული იზრდება რუსებისა და სომხების ხარჯზე, ასევე ხდება ნაძალადევშიც, თბილისის ეს წმინდა ქართული უბანი რუსი მოსახლეობით აივსო. კახეთში, სადგურ წნორის წყალთან გაშენებულია რუსებისა და სომხური სოფლები.

ნაციონალურ საკითხში ადგილი აქვს ერთგვარ პროვოკაციას მეზობელ ერთა შორის. მაგალითად საქართველოს გასაბჭოების ყოველივე წლის თავზე, როცა ლაპარაკია საქდამოუკიდებლობის კრიტიკაზე, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ რომ საქართველოში იდევნებოდა და ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა განსაკუთრებით სომხური მოსახლეობა, რომ საქართველო ფართედ იყენებდა თავის ხელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებს და არსებობის საშუალებას არ აძლევდა სომხეთს, გამოდის რომ 1918 წელს ორ ისტორიულ მეზობელ ერთაშორის ატეხილი ომისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველო.

მთელს საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში გაბატონებულია რუსული ენა, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა რუსულ ენაზე მიმდინარეობს, კანონი პირველად იწერება რუსულ ენაზე და შემდეგ სწარმოებს მისი გადაქართულება. ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენის, აწყურის, ნაწილობრივ ბორჯომის, მანგლისის, ბორჩალოს, ყარაიაზის რაიონებში, სამხრეთ ოსეთსა (ქართლის შუაგული) და აფხაზეთში მთელი საქმის წარმოება სახელმწიფო დაწესებულებებში და სასამართლო ორგანოებში სწარმოებს რუსულ ენაზე. თბილისის დაწესებულებებში თუ რუსული ენა არ იცი თითქმის შეუძლებელია სამუშაოს მიღება, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-4 მუხლის ძალით ყველა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში საქმის წარმოება უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ენაზე — ქართულ ენაზე, მხოლოდ ქაღალდზეა დარჩენილი. რუსული ენა ბატონობს ყველგან და ქართულ კინოსურათების გადაღებაც რუსულ ენაზე ხდება და შემდეგ წარმოებს მისი გაქართულება. რუსული ენა გამოცხადებულია საერთო საკავშირო ენად, „დიდი ოქტომბრის რევოლუციის" ენად, მსოფლიო რევოლუციის „მამამთავრის" ლენინის ენად და ვაი იმას ვინც გაბედავს ამის უარყოფას.

ქვეყნის ეკონომიკა

ბოლშევიკებმა ცენტრალურ ლოზუნგად საბჭოების ქვეყნის ინდუსტრალიზაცია წამოაყენეს. ათი წლის მანძილზე უნდა დავეწიოთ და გაუსწროთ ბურჟუაზიულ ევროპას, სწერდნენ ისინი. საქართველო — აგრარული ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიალური რესპუბლიკად უნდა გადავაქციოთ, ამბობდნენ ქართველი ბოლშევიკები. შეჰქმნეს მთელი რიგი მძიმე ინდუსტრიებისა, მაგრამ არა საქართველოს ნაციონალური ეკონომიური ინტერესების მიხედვით, არამედ მათი შექმნა გამომდინარეობდა საბჭოთა კავშირის ინტერესებიდან და მართლაც საქართველოს ეკონომიკის მთავარი დარგები: ჭიათურის მარგანეცი, ტყიბულის ქვა-ნახშირი, ზესტაფონის ფერომარგანეცის საწარმო, ბარიტის მრეწველობა, ელექტროსადგურები, თბილისის სარემონტო ქარხანა, მაღდის ფაბრიკა, საავტომობილო სარემონტო ქარხანა, ოქროს მოპოების საბადოები, ანდეზიტის წარმოება, აგარის შაქრის ქარხანა და მთელი რიგი მსხვილი საწარმოებისა სავსებით დაუმორჩილეს საკავშირო მრეწველობის სახკომისარიატს; საქართველოს მთავრობას არ ჰქონდა უფლება ამ საწარმოებით სარგებლობისა. შოთა რუსთაველის ძეგლის ასაშენებლად საჭირო მასალის ნებართვისათვის დაუსრულებელი მიმოწერას აწარმოებდა საქართველოს სახალხოკომისართა საბჭო საკავშირო მთავრობის მიმართ.

ახალციხის რაიალმასკომმა საქართველოს კოოპერატივთა კავშირის „ცეკავშირის" წარმომადგენელს ვაშლის დამზადების ნება არ მისცა, რადგან ამ რაიონში ხილის დამზადებას აწარმოებდა მოსკოვის სატრანსპორტო კოოპერატივის ორგანიზაცია. ასეთივე იყო ციტრუსოვან და ტექნიკურ კულტურათა დარგში, მაგალითად: ლიმონისა და მანდარინის დამზადება — გასაღება საკავშირო ლიმანტრესტის ხელშია, თამბაქოს საქმეს განაგებს თამბაქოს ტრესტის საკავშირო სამმართველო, (ტაბტრესტი) მატყლი მონოპოლიის საგანია, მას განაგებს საკავშირო მატყლის ორგანიზაცია (სოიუზშერსტი.).

საბჭოთა საქართველოს ელექტროსადგურები: ზაჰესი, რიონჰესი, სოხუმჰესი, ტყვარჩელ ჰესი, აჭარჰესი, ხრამჰესის მშენებლობა და სხვა მნიშვნელოვანი სადგურები იმყოფებიან აგრეთვე საკავშირო გაერთიანების ხელში. (სოიუზენერგო) აბრეშუმის ნაწარმოები საკავშირო გაერთიანებაშია (სოიუზშიოლკი).

საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებს (ბათუმი, ფოთი, ოჩემჩირე, სოხუმი) უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ, უცხოეთიდან მოსული საქონლის და გასატანი საქონლის ექსპორტ-იმპორტი ამ სადგურებიდან სწარმოებს, განსაკუთრებით ფოთის ნავსადგური, მაგრამ ეს ნავსადგურები არ შედიან საქართველოს მთავრობის განკარგულებაში, იგი ემორჩილება საკავშირო საზღვაოსნო მიმოსვლის კომისარიატს თუ სამმართველოს.

ფოთის ქალაქის ხელმძღვანელმა დააყენა საკითხი ფოთის ნავთსადგურიდან შემოსული თანხების განსაზღვრულ პროცენტების დატოვების შესახებ ადგილობრივ ბიუჯეტის შესავსებათ, ამ ადამიანს „ნაციონალისტური" გადამხრელობა დააბრალეს და ისიც სადღაც გადაკარგეს.

საქართველოს რკინიგზები გააერთიანეს ამიერ-კავკასიის მასშტაბში და იგი უშუალოდ იმყოფება საკავშირო გზათა მიმოსვლის კომისარიატის გამგებლობაში.

როგორც ვიცით საქართველოს რკინიგზები მეტად მომგებიანია და ეს თანხა რომ ნაციონალურ ბიუჯეტში შედიოდეს საქართველოს რა უჭირდა მაშინ.

გარდა რკინიგზებისა საქართველოს გააჩნია კარგად მოწყობილი სატრანსპორტო გზები, მაგრამ მნიშვნელოვანი გზები როგორიცაა — საქართ. სამხედრო გზა, ოსეთის სამხედრო გზა, სამტრედია — სენაკი — ზუგდიდი — სოხუმი-სოჩის გზატკეცილი საკავშირო მთავრობის განკარგულებაშია, საქართველოს მთავრობას ალბად, წნორისა და ჩხარის გზები თუ გააჩნია გამგებლობის ობიექტად.

როგორც ჩანს საქართველოს სიმდიდრენი არ არიან გამოყენებული ნაციონალური ეკონომიკის სიძლიერისათვის, ამიტომ საქართველო, როგორც ძველი რუსეთის, ისე საბჭოთა რუსეთისათვის კოლონიალური განაპირა ქვეყანას წარმოადგენს, რომლის ეკონომიური რესურსები მთლიანად ცენტრალიზებულია და გამოყენებულია, როგორც საენდლეულო ბაზა საბჭოთა რუსეთისათვის.

უცნაურია სწორედ საბჭოთა სისტემა. აქ თითქოს კონსტიტუცია არსებობს, მაგრამ ეს კონსტიტუცია ისეა შებოჭილი, რომ საქ. მთავრობას უბრალო თვით მართველობის ფუნქციაც არ გააჩნია, მას არ შეუძლია დამოუკიდებლად მოაწესრიგოს თუ გინდა სამტრედიის ყვერცხის დამზადების თუ გაყიდვის ორგანიზაცია. ამა თუიმ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგს განაგებს ორი კომისარიატი, რესპუბლიკური და საკავშირო, მაგალითად: არსებობს საქართველოს მიწადმოქმედების კომისარიატიც და საერთო საკავშირო მიწადმოქმედების კომისარიატი, აქედან სავსებით გასაგებია თუ საქართველოს რომელი სახელმწიფოებრივ და ეკონომიურ უფლებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი. ვითომდა ერთადერთი „დამოუკიდებელი" კომისარიატად ითვლება განათლების სახალხო კომისარიატი, მაგრამ მთელი მისი მოღვაწეობა და მოქმედება გამომდინარეობს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. სასკოლო სამმართველოსა და საკავშირო სახკომსაბჭოს უმაღლესი სასკოლო კომიტეტის დირექტივებისაგან, ამავე დროს საქ. განათლების კომისარიატისათვის „რეკომენდირებულია" იხელმძღვანელოს რსფსრ-ის განსახკომის პრაქტიკით, რაც ჩვენებურად დაქვემდებარებას ნიშნავს.

საქართველოს ბიუჯეტის საქმეს კონსტიტუციის მიხედვით საქ. მთავრობა განაგებს, მაგრამ პარალელურად ამისა მოქმედებს საკავშირო ფინსახკომის კანონი, ასე რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუჯეტის საქმეშიც საქ. მთავრობა განზეა დამდგარი. მაგალითად, თელავისა თუ ჩხარის სარაიონო აღმასკომის ბიუჯეტი მტკიცდება მოსკოვის მიერ.

სოფელი

უწინარეს ყოვლისა იერიში მიიტანეს ჩვენი ეროვნული მეურნეობის წინააღმდეგ. საქართველო სასოფლო სამეურნეო ქვეყანაა, დიდი უმრავლესობა მოსახლეობისა მიწის დამუშავებას მისდევს. ქართველ გლეხში ისტორიულად განმტკიცებულია კერძო საკუთრების ინსტიქტი; მას უყვარს თავისი მამული, თავისი კერა, მისთვის უცხოა „ველიკორუსული“ თემური სისტემა მიწადმოქმედებისა. ის რაც მისაღებია ტამბოველი მუჟიკისათვის არ გამოადგება სიღნაღელ ან ზესტაფონელ გლეხს.

1929 წლიდან დაიწყო ქართული ეროვნული სოფლის აფორიაქება, პირველად აქაიქ შემოიღეს საკოლმეურნეო სისტემა და 1930 წლიდან კი დაიწყო მთლიანი კოლექტივიზაციაზე გადასვლა. საშინელი იყო ეს დღე საქართველოში, გლეხობის კოლმეურნეობებში მოქცევა დაიწყეს „ლაშქრული“ მეთოდით და სოფელს მოევლინენ სხვა და სხვა ბრიგადები: მიწსახკომიდან, ცეკადან, ცაკიდან, რაიკომიდან, კომკავშირის და წითელი არმიის ორგანიზაციებიდან, საშეფო საზოგადოებიდან, თავდაცვა-ავიაქიმიიდან, რედაქციებიდან და სხვ.

ერთი ხელის მოქნევით ეცნენ „ბურჟუაზიულ კერძო საკუთრებას“ და დაიწყეს მიწების, ბაღ-ვენახების გაერთიანება, გააერთიანეს არა მარტო მუშა-პირუტყვები, არამედ შინაური წვრილფეხა ფრინველებიც.

მრავალი პატიოსანი, გამრჯე გლეხი შეიწირა ამან, მრავალს სული გადასახლებაში ამოხდა, და ვინც გადაურჩა ამ უბედურებას, იმან მონურ შრომაში ამოყო თავი, განწირულებმა კი იარაღს მიმართეს, დაიწყო გამოსვლები ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში.

ამ მდგომარეობამ გამოიწვია სტალინის ცნობილი ბროშურის „თავბრუდახვევა წარმატებისაკენ“ სასწრაფოდ გამოშვება; ბოლშევიკური „ექსპერიმენტებით“ გამოწვეული შედეგი სოფლის კომუნისტებს გადააბრალეს და შეუდგნენ მთლიანი კოლექტივიზაციის ლიკვიდაციას, მაგრამ კოლმეურნეობები მაინც დატოვეს, რადგან იგი წარმოადგენს ბოლშევიკური აგრარული პოლიტიკის ერთად ერთ ძირითად სისტემას.

სოფლის მეურნეობაში ჩატარებულ „ექსპერიმენტს“ მოჰყვა ანტი-რელიგიური კამპანიები: ეკლესიებს ზარები ჩამოხსნეს და პურის ბეღლებად გამოიყენეს.

თავისუფალი გლეხი, მიწისა და მამულის მესაკუთრე, რომლის საკუთრება კანონით მემკვიდრეობის უფლებიცათ კი იყო დაცული, გადაიქცა საკოლმეურნეო მონად, დაჰკარგა საკუთარი ინიციატივა, თუ წინად გლეხი მამლის ყივილისას სამუშაოზე, გულგაღელილი, სიამაყის გრძნობით მიეჩქარებოდა, ეხლა დილის 10—11 საათამდის საკოლმეურნეო გამგეობის წინ ყაყანს უნდება.

როგორი იყო თვით კოლმეურნეობის სტრუქტურა? მის მართველ ორგანოს წარმოადგენდა საერთო კრების მიერ „არჩეული“ გამგეობა, (გამგეობის თავმჯდომარედ ინიშნებოდა ხშირად ცენტრიდან მოვლენილი პიროვნება, რომელიც არც იცნობდა ადგილობრივ მოსახლეობას) აპარატი შესდგებოდა თავმჯდომარის, პარტორგის, მოანგარიშის, ქოხსამკითხველოს გამგის, საწყობის გამგისა და ქოხლაბორატორიის ხელმძღვანელისაგან. ეს იყო ფასიანი აპარატი, რომელთა ჯამაგირი შრომადღეებით ნაზღაურდებოდა. კოლმეურნეობის გამგეობა ფორმალურად პასუხისმგებელია საერთო კრების წინაშე, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის.

ყველაზე მძიმე ქართველი გლეხისათვის არის სახელმწიფო დამზადება ხორცის, პურის, რძის ნაწარმის, კვერცხის, ხილის, თაშბაკოსი, ყურძნის, ღვინის, მატყლის და სხვა, რომლის ჩამოთვლა შეუძლებელია. სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება სწარმოებს კალოდან. გაზეთები სავსეა ასეთი ლოზუნგით: „პირველი გალეწილი პური კალოდანვე სახელმწიფოს“, წლიური მოსავლის განაწილება ხდება იანვრის რიცხვებში და ისიც არა ყოველთვის.

ტექნიკური კულტურა

მოკლედ საბჭოთა მეურნეობის ამ დარგსაც უნდა შეეხოთ. საქართველო გადააქციეს ტექნიკური კულტურათა მთავარ ბაზად საბჭოთა კავშირში. აფხაზეთი, გორი, სამეგრელო და ნაწილობრივ ბმერეთი გადააქციეს ჩაისა და ციტრუსების სავანეთ. ქართლი ხილისა და შაქრის ჭარხლის რაიონად გამოაცხადეს, კახეთში ნაწილობრივ თამბაქოს მოყვანას შეუდგნენ და ამ მიზნით სიღნაღის რაიონში ვენახები აჩეხეს, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია გლეხობაში.

განადგურდა სოფელი, ჩვენი ეროვნული მეობის ბურჯი და გლეხი გულაცრუებული, იმედ დაკარგული ქალაქისკენ მიეშურება ლუკმა პურის საძიებლად. აღსრულდა მარქსიზმის ბოგანო და მოხეტიალე თეორია გლეხობის გაპროლეტარების შესახებ. ასეთია ის „სოციალისტური“ ექსპერიმენტები, რომელმაც მრავალი ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა საქართველოში.

ქალაქი

საბჭოთა სისტემამ არ იცის კერძო საკუთრება, ამიტომ „სოციალიზმი“ ქალაქის მრეწველობასაც შეეხო. არსებული საწარმოები სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს და სათანადო უწყებას დაუქვემდებარეს; აკრძალეს კერძო ვაჭრობა და მთელი ვაჭრობა მოექცა სახელმწიფო და კოოპერატივების ხელში. გახსნეს აუარებელი უნივერსალური მაღაზიები, მაგრამ პირველ მოთხოვნილების საგნების შოვნა მეტად ძნელი იყო. ამიტომ გახშირდა რიგები, საქონლის მიღება შეეძლო მხოლოდ იმათ, ვისაც მაგარი მკლავები გააჩნდა.

ამ ნიადაგზე ადგილი აღვირახსნილ სპეკულაციას; მთავრობა ებრძოდა სპეკულიანტებს და არა იმ უკუღმართ საბჭოთა ეკონომიურ სისტემას რომელმაც ამ სპეკულიაციას იწვევენ და ხელს უწყობდა. კოოპერატიული სავაჭროები ყველაზე სავალალო მდგომარეობაში არიან და ბოლოს კი სულიც დაღაფეს და მათი ადგილი დაიჭირეს სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებმა.

ქალაქი დაუპირისპირდა სოფელს, მათ შორის მტრობას აშკარა ხასიათი აქვს. სავაჭროდ ჩამოსული გლეხი ქალაქში ვერ შრულობს პირველ მოთხოვნილების საგნებს; მიტკალი, რკინა, ჩითი, ნარმა, ტანისამოსი, ამის შეძენა მას უხდება მომატებულ ფასებში, იგი მას იძენს ქურდულად, შავს ბირჟაზე, ამან რა თქმა უნდა გამოიწვია სოფლის ნაწარმოების ზღაპრული ფასები.

საბჭოთა ეკონომიკამ ვერ გაართვა თავი „ექსპერიმენტებს“, ამან წარმოშვა ე. წ. „მემარჯვენე“ გადახრა ბოლშევიკური პარტიაში, რომელიც აშკარად იბრძოდა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ ეკონომიურ საკითხში. მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა პარტიის ამ „გენერალურმა“ ხაზმა.

პროფკავშირები

ყველაზე აბუჩად აგდებული ორგანო საბჭოეთში და კერძოდ საქართველოში არის პროფკავშირი. დეკრეტით იგი „კომუნიზმის სკოლათ“ ითვლება, მაგრამ მას არაფერს ეკითხებიან. იგი პარტიის „თანაშემწეთ“ იწოდება, მაგრამ კომპარტიას ის გამოყენებული ჰყავს მხოლოდ როგორც აპარატი.

მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური უფლების დაცვა მას კარგა ხანია რაც ჩამოართვეს.

პროფკავშირის ადგილობრივი ორგანოები (ადგილკომები, შემფასებელ საკონფლიქტო კომისიები, საწარმოებში შრომის დაცვის ინსპექტორა, სოციალური დაზღვევა

და სხვა) მართალია ფორმალურად პროფკავშირებს ეკუთვნიან, მაგრამ ფაქტიურად წარმოება-დაწესებულებათა ადმინისტრაციის ხელშია და პროფკავშირის ეს აპარატი საკუთარ მის ხელში იმყოფება. თვით ამ აპარატში მომუშავეთა ხელფასს დირექცია იხდის იმ ანარიცხებიდან, რაც გათვალისწინებულია პროფკავშირებისათვის. ამ გვარად პროფკავშირის ადგილობრივი მუშაკი დირექციის ინტერესებს ემსახურება, მუშათა უფლებრივი და მატერიალური საკითხები უკანა პლანზეა მოქცეული. ამიტომ მუშასა და ადმინისტრაციას შორის მომხდარი კონფლიქტი ყოველთვის დირექციის სასარგებლოდ წყდება.

პირველ ხანებში ადგილობრივი შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის დადგენილების გასაჩივრება შეიძლებოდა შრომის სასამართლოში, მაგრამ ამ უკანასკნელად ესეც აკრძალეს.

წარმოება-დაწესებულება საბჭოეთში სახელმწიფო ორგანიზაციაა დაკერძო ინტერესები საკუთარ დაქვემდებარებულია ამ ინტერესებზე. იქ დამქირავებელია სახელმწიფო ორგანიზაცია და ბრძოლა ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ ყოვლად წარმოუდგენელია.

გაფიცვები კანონით აკრძალულია, ანდა ამას არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი „მუშურ-გლეხური“ სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლების სათავეში „მუშები“ უდგანან.

სტახანოვური მოძრაობა.

ქართული ცხოვრების რა დარგი გინდათ, რომ ბოლშევიკებს არ მოეხდინათ თავისეური „ექსპერიმენტები“, ამ მხრივ შრომის საკითხშიაც „ფართედ“ გამოიყენეს იგი. ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე საწარმოებში მოახდინეს ხელფასის გათანასწორება. მუშისა და ინჟინერის ხელფასი ერთნაირი იყო. ამან გამოიწვია სპეციალისტების მხრივ გულაცრუება და არა ინტერესი საქმისადმი, მუშებიც ამ მხრივ არ ცდილობდნენ კვალიფიკაციის ამაღლებას, რამაც საწარმოები დაღუპვის გზაზე დააყენა. მაშინ ბოლშევიკებმა უარყვეს გათანაბრება, მას „წვრილბურჟუაზიული გათანაბრება“ დაარქვეს, რათქმა უნდა ესეც, როგორც ყოველთვის სხვას გადააბრალეს, ამ თავად თავიანთი „ექსპერიმენტებით“ დამღუპველი შედეგი ე. წ. „მუშათა ოპოზიციას“ მოახვიეს და მოახდინეს პროფკავშირების „რეფორმები“.

ამის შემდეგ ხელფასის „გათანაბრების“ ნაცვლად, შრომის ნაყოფიერების აწევის მიზნით შემოიღეს ე. წ. „სანარდო სისტემა“ და ხელფასის გაცემა სწარმოებს ნორმების გამომუშავების მიხედვით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ნორმების მომატება ხდება სისტემატიურად და ხელფასის ანაზღაურება კი მაღალი ნორმების მიხედვით, შრომის ნაყოფიერების ნორმებს ადგენს საწარმოთა დირექცია პარტორგანიზაციის ხელმძღვანელთან ერთად, პროფკავშირის წარმომადგენელის უსიტყვო „დასტურით“.

ამ მდგომარეობას მარქსისტული ტერმინოლოგიით შრომის ექსპლოატაცია ეწოდება. ამით არ შეჩერებულა ეს მდგომარეობა და დაიწყო სტახანოვური მოძრაობა, რომელიც წარმოადგენს შრომის ექსპლოატაციის ახალი ფორმას. გაჩნდნენ „სასწაულმომქმედი“ პირები: ჭიჭინაძე დავითი, სამხარაძე, კილაძე, სარსანია და სხვები. ამგვარად შეიქმნა მუშათა „არისტოკრატია“. საკუთარი სახლებით, ავტომანქანით და ყოველგვარი პრივილეგიით.

სხვათა შორის შემდეგში ეს მოძრაობა იმდენად გაზარდეს, რომ „შაბლონად“ გადაიქცა. ეხლა ეს მოძრაობა მოედვა ქართული ცხოვრების ყოველივე დარგს. სტახანოველი პროფესორი, სტახანოველი მსახიობი, სტუდენტი, ექიმი, მასწავლებელი, ინჟინერი, პოეტი. იდებოდა სოციალისტური ხელშეკრულება ექიმებს შორის თუ რომელი ვადაზე ადრე მოარჩენდა ავადმყოფს, სკოლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს აკადემიურ მიღწევათა საქმეში და სწარმოებდა მოწაფეთა აკადემიური წარმატების აწევა პროცენტებით, შედეგი ყველასათვის გასაგებია — გამომუშავებული პროდუქციის უხარისხობა.

ოჯახი

ყოველივე კეთილმოწყობილ და უფლებრივ სახელმწიფოში ოჯახი წარმოადგენს მის ძირითადი საყრდენს. ამიტომ ოჯახს, როგორც სახელმწიფოს ქვა-კუთხედს ევროპული სახელმწიფოებში მთავარი ყურადღება ექცევა. ამ მხრივ მეტად უნუგეშო მდგომარეობაა საბჭოეთში და კერძოდ საქართველოში.

ბოლშევიკებმა აქაც გამოიყენეს თავიანთი „ექსპერიმენტები“. იგი პირველ ხანებში, „ბურჟუაზიული“ ინსტიტუტად იქნა აღიარებული, გაიხსენეთ კოლონტაის „ცნობილი“ წერილები თავისუფალი სქესობრივი ცხოვრების შესახებ, ამ ნიადაგზე საქართველოში დაიბეჭდა მეტად უნიჭო რომანი ის. თალაკვაძისა „ოჯახი“ სადაც მისი როლის უარყოფამდე მივიდა ეს „ახლად მოვლენილი“ რომანისტი.

მრავალცოლიანობამ და „თავისუფალმა“ სიყვარულმა ფართე ნიადაგი ჰპოვა საბჭოთა საქართველოში. ქართველი ქალი, როგორც ქართული ოჯახის ფუძემდებელი, მანდილოსანი, ოჯახის სიამაყე, სახლობა, ჩამოყენებული იქნა უკანა პლანზე. ზოგიერთი პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი რატომღაც „საღვთო“ მოვალეობად თვლიდა ამა თუ იმ რაიონში ჰყოლოდა ცოლი, გაზეთი „კომუნისტის“ ფურცლებზე სისტემატიურად ნახავდით წერილებს სადაც ცოლი დაეძებდა ქმარს, შვილი მამას; ამის შესახებ გაზეთის ფურცლები სავსე იყო ცნობილი ფელეტონისტის გერმანე შუბიძის მეტად დამაფიქრებელი წერილებით.

საამართლო ორგანოებში უმთავრესად ირჩეოდა საალიმენტო საქმეები.

ჯანსაღი ოჯახი დაირღვა, ზნეობა და მორალი ბურჟუაზიულ გაგებით იქნა „მონათლული“. ცოლისა და ქმრის არა მეგობრული ურთიერთობა, უარყოფითი გავლენას ახდენდა ბავშვებზე, ამ ნიადაგზე საბჭოთა ბავშვი საბავშო ბაღშია ის თუ სკოლაში ნერვიულია, უხეშია, მეტს დროს ქუჩაში ატარებს, ქუჩა ახდენს მასზე უარყოფითი გავლენას. სკოლა უძლურია ამის წინააღმდეგ იბრძოლოს, რადგან მოსწავლეთა აღზრდის საქმე მთლიანად მინდობილი აქვს კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციას, რომელიც თვით მოითხოვს აღზრდას.

მცირე წლოვანთა შორის სხვა და სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედობამ (გამოძალვა, თაღლითობა, ქურდობა, მოტაცება) ფართედ იჩინა თავი, ამის გამო სპეციალური კაკონიც კი გამოვიდა მცირე წლოვანთა შორის დანაშაულის შესახებ.

იუსტიცია და ადმინისტრაცია

საბჭოეთში და კერძოდ საქართველოში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანო ერთი და იგივეა. სასამართლოს დანიშნულებაა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება. მოსამართლე, სასამართლოს წევრები, პროკურორი და დამცველი, (ნაფიც ვექილთა ინსტიტუტი გაუქმებულია), სასამართლო პროცესის შემადგენლობად ითლება, სასამართლო მხოლოდ კანონს ემორჩილება, იგი დამოუკიდებელია კონსტიტუციის მიხედვით, მაგრამ სასამართლო ორგანოების მოღვაწეობა ბევრად დამოკიდებულია პარტიულ ორგანოებზე.

გასაბჭოების პირველ ხანებში ფორმალურად გააჩნდა სასამართლო ორგანოებს დამოუკიდებლობა, სწარმოებდა საჯარო პროცესები, მაგრამ 1937 წლიდან რომელიც ცნობილია საბჭოეთში „ეჟოვშჩინათი“ შეიძლება ისე „გააქრონ“ ადამიანი, რომ მის კვალს ვერასდროს ვერ მიაგნოს ვინმემ, თუ რომელიმე მოქალაქე დააპატიმრა შინსახკომის ორგანოებმა, მერე უნდა გამოეთხოვო მას სამუდამოთ, მეტად ძნელია გაიგო თუ რა ბედი ეწია მას. თუ რომელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მოქალაქე დააპატიმრეს, მისი ოჯახი და უახლოესი ნათესავი გამუდმებით საფრთხეშია, იგიც დაპატიმრებას მოელის ყოველ წუთს. ამიტომ ხშირია მოვლენა, როცა შვილი პრესის ფურცელზე აცხადებს, რომ ის სწყვეტს ყოველგვარ ურთიერთობას თავის კონტრ-რევოლუციონერ მამასთან; იგი გამოდის საერთო კრებაზე და ხელისუფლებას მადლობით იხსენიებს სიფხიზლის გამო, რომელსაც მოჰყვა მამის თუ ახლო ნათესავის დაპატიმრება.

თვით კადრი იუსტიციის დარგის მუშაკებისა მეტად მოუმზადებელია, მართალია ბევრია იურიდიულ ფაკულტეტზე კურს დამთავრებულები, მაგრამ უპარტიოები არ შეიძლება პროკურორებად ან მოსამართლის თანამდებობაზე, ამ დარგში მხოლოდ პარტიისწევრებია და მეტწილად პარტიული სტაჟის მქონე დაწინაურებული მუშები, რომლებსაც ელემენტარული წარმოდგენა არა აქვთ იურისპრუდენციაზე.

იურისპრუდენცია მეტად რთული სახელმწიფოებრივი დარგია და აქედან გასაგებია თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია არამც თუ მარტო მოქალაქის დაცვის, არამედ თვით სახელმწიფოს განმტკიცების თვალსაზრისით ამ დარგში შემთხვევითი წამოყენებულ პირს.

ქართული წითელი ჯარი

მთელი მსოფლიო შეანძრიეს, დახეთ რას ჩადიოდა რუსეთის ძველი მთავრობა, განაპირა ქვეყნებს ეროვნულ და კლიმატიურ თავისებურებას ანგარიშს არ უწევდაო, კერძოდ ქართველი ახალგაზრდობა რუსეთის შორეულ ქვეყნებში გაყავს სავალდებლო სამხედრო სამსახურის მოსახდელად და სხვ. ისტორიამ მხოლოდ ჩვენ დაგვაკისრა ამ ბოროტებას ბოლო მოუღოთ და პირველ ხანებში მართლაც შეადგინეს ქართულ ნაციონალური წითელი ჯარი. შეიქმნა ქართველ მეთაურთა სკოლა, გამოიზარდნენ მშვენიერი კადრები ქართველი მეთაურებისა, ძველი მხედრებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში, მაგრამ აქაც არ დაივიწყეს ნაცადი „ექსპერიმენტები“ და 1936 წლიდან დაშალეს იგი. ქართველ ჯარისკაცს ნახავდით შორეულ ციმბირში, მურმანსკისა და ფინეთის ყელზე. მონგოლეთის საზღვარზე, უკრაინის ტრამალებზე და ვინ იცის სად. ქართველი ძველი ოფიცრები ზოგი დახვრიტეს და ზოგი გადაასახლეს; ბოლოს დროს წითელჯარში ქართულ ენაზე სამსახურის დროს ლაპარაკიც აკრძალეს.

იდეოლოგიური ფრონტი

ყველაზე საშინელი იყო „იდეოლოგიური ფრონტის“ ინსცენირება. ეს „დალოცვილები“. ყოველ წელიწადს ახალდაახალი თავსატეხ და ნერვებ ასაშლელ საქმეს გამოიგონებდნენ. განსაკუთრებით ეს დაიწყო 1927 წლიდან. ჯერ პარტიულ კადრებს დაერივნენ, შემოიღეს პარტიის რიგების წმენდა და ათასობით რიცხავდნენ პარტიიდან თავიანთი წევრებს, ბოლოს შეუდგნენ საბჭოთა აპარატის წმენდას, ამის შემდეგ დაიწყეს სახელმწიფო აპარატის „გამუშურება“ რის გამოც წარმოებებს მოსწყვიტეს კვალიფიციური მუშათა კადრები. მათი ადგილი შესცვალეს აგრეთვე „სახელდახელოდ“ დაწინაურებულმა არაკვალიფიციურმა კადრებმა, ამან გამოიწვია საწარმოებებში ჰაოსი, რკინისგზებზე დაუსრულებელი კატასტროფები და სხვ.

აპარატის ე. წ. „გამუშურებამ“ ცოტა ზიანი როდი მიაყენა წარმოება-დაწესებულებებს.

განსაცვიფრებელია ის გარემოება, რომ თუ საბჭოთა კავშირის ცენტრში, „აღმოჩნდებოდა“ რაიმე სახის მავნებლობა, ამის მზგავს მოვლენას აუცილებლად ადგილი უნდა ჰქონებოდა საქართველოში, თითქოს ეს სავალდებულო ყოფილიყოს.

რუსეთში სპეციალისტ აგრონომს, პროფესორ კონდრატიევს მავნებლობა დასწამეს, რაც ცნობილია „კონდრატიევშჩინის“ სახელით და ამის შემდეგ მიდგნენ და დაერივნენ ქართველ სპეციალისტებს და აგრონომ-პროფესორებს. ამ მოძრაობამ მრავალი სპეციალისტი შეიწირა, ამავე მოძრაობის მსხვერპლი გახდა პატიოსანი ადამიანი, ცნობილი ეკონომისტი ბიქტორ თევზაია.

„იდეოლოგიური ფრონტის“ ინსცენირება შეეხო აგრეთვე ქართული უნივერსიტეტის პროფესურას; ცნობილ იურისტს, პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ნაშრომი კონტრ-რევოლუციონურ შრომად გამოაცხადეს. შიშით შეპყრობილმა ცნობილმა პროფესორმა, გიორგი ჯავახიშვილმა ცეცხლში დასწვა ზოოლოგიის საუნივერსიტეტო კურსი.

ქართულ კლუბში ტალახაძის ხელმძღვანელობით მოეწყო ყოფილ პოლიტიკურ მოღვაწეთა საჯარო „დამუშავება“. ეს მოხდა ღია კარებში, ხალხით გაჭედილ დარბაზში, ამ საჯარო „დამუშავებამ“ სამარცხვინო მარცხი განიცადა, დამსწრე საზოგადოება მიუხედავად ჩეკის აგენტების შიშისა თანაგრძნობით და მრავალშემთხვევაში ტაშის ცემით ხვდებოდა ამა თუ იმ ცნობილ მოღვაწის „დამუშავებს“. მთელი დარბაზი ტაშის ცემით შეხვდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის გრიგოლ გიორგაძის გაბედულ გამოსვლას დარბაზში.

მეტად საინტერესოა განსაკუთრებით გრიგოლ გიორგაძისა და „პროცესის“ ხელმძღვანელის ტალახაძის „პაექრობა“. დარბაზში ზის გრ. გიორგაძე და ელოდება გამოძახებას. ტრიბუნაზე პორტფელით ხელში ადის ის. თავმჯდომარე ტალახაძე რუსულად აძლევს მას მთელ რიგ შეკითხვებს, იგი ქართულ ენაზე უპასუხებს, ტალახაძის წინააღმდეგობას ის საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-4 მუხლის ძალით მკვეთრად უპასუხებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენა არის ქართული და თვით თქვენ, როგორც საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელს გევალებათ მტკიცედ დაიცვათ თქვენს მიერ შექმნილი კანონიო.

მოსკოვის „ხალიფატის“ ეს ყურმოჭრილი მონა „სთხოვს“ გიორგაძეს, ილაპარაკოს რუსულად, რადგან აქ სტუმრები გვესწრებიან და მათ არ იციან ქართული ენაო.

სამარცხვინო მარცხის შემდეგ საჯარო „პროცესი“ გადაიტანეს ტრამვაის მუშათა კლუბში, იმ მოტივით, რომ თვით მუშებს გამოეტანათ დასკვნა, მაგრამ აქ უარესი მოუვიდა ტალახაძეს; ტრამვაის მუშები ტაშის გრიალით ხვდებოდა თვითეული მათგანის ტრიბუნაზე გამოჩენას. ეს „სამარცხვინო“ ინსცენირება რითი დამთავრდა არ ვიცით, მხოლოდ ფაქტია ის, რომ ამ პროცესს შეეწირა თვით გრ. გიორგაძე, თბილისის უნივერსიტეტის ლექტორი, ცნობილი იურისტი, სერგი დავითისძე ჯაფარიძე, პროფესორი ზოზო ნანეიშვილი, ვექილი ბიქტორ ნინიძე და სხვ.

არ დაინდვეს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, შემდეგში „მონანიებული“ სეით დევდარიანი და სადღაც გააქრეს. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს პარტიულ ორგანიზაციის დახურულ სხდომაზე „ამხილეს“ ცნობილი ბოლშევიკი თედორე კალანდაძე, რომელმაც ამავე სხდომაზე თავის მჭერმეტყველებით სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა საკავშირო საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ოტო კარკლინი.

რამდენი ასეთი საჯარო პროცესები ჩატარებულა საქართველოში, სხვათაშორის სახკომსაბჭოს პარტიულ ორგანიზაციას „გეგმაში“ ჰქონდა საჯარო პროცესის ჩატარება თვით სახკომსაბჭოში, ამ მიზნით მოიწვიეს ასეთი პროცესების ცნობილი „სპეციალისტი“, ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტი, აწ უკვე გაკომუნისტებული ზოსიმე ჩახავა. საჯარო კრებაზე უნდა „ემხილათ და დაემუშავებიათ“. სხვათაშორის უწყინარი ადამიანი, ცნობილი ძველი მოღვაწე ილია ზურაბიშვილი, რომელსაც „ბრალი“ მიუძღოდა იმაში, რომ მან 1918 წლის 26 მაისს მთავრობის სასახლის აივანიდან მოედანზე თავმოყრილ ხალხს წაუკითხა საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს დამოუკიდებლობის აქტი. აქაც სალომაზე უნდა მომხდარიყო აგრეთვე სახკომსაბჭოს კონსულტანტების და რეფერანტების გ. თულაშვილის, კახონთა კ. ებულის კოდიფიკატორის ი. გამრეკელის, ბეგი ფალავა ს და სხვების საჯარო „დამუშავება“ მაგრამ სახკომსაბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის ფ. მახარაძის ჩარევით ეს „პროცესი“ აღარ შემდგარა. არ ვიცი რა მოუვიდა ილია ზურაბიშვილს და ბეგი ფალავა კი დღესაც არ იციან თუ სად ჰარის.

საუბედუროდ არც ამ ქვეყნიდან სამუდამოთ წასულები დაივიწყეს და „იდეოლოგიური“ ბრძოლა გაუმართეს ქართველ გარდაცვლილ მწერლებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს, ამ მხრივ განსაკუთრებულ მოზანში ილია ჭავჭავაძე ამოიღეს. ერთხანს სულ ამოშალეს ის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოდან, ბოლოს კი დაიწყეს მის წინააღმდეგ „საჯარო პროცესები“ წარმოება-დაწესებულებებში, ამ საქმეში წილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის შემთხვევითი „კრიტიკოს“ ბესო ცეტ. მთავარი მომხსენებლად ილია ჭავჭავაძის ბიროვნების შესახებ გამოყავდათ ვიღაც ყალიჩავა უნივერსიტეტიდან, რომელიც შემდეგში მთელი რიგი სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ქმედობის გამო იძულებული გახდნენ უნივერსიტეტიდან გაეძევებიათ. ეს არა მკითხე მოამბე, ეს „ვიგინდარა“ საჯარო კრებებზე გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, გამოყავდა ის როგორც ბატონ-ყმობის ინსტიტუტის მოტრფიალე, თავად-აზნაურობის იდეოლოგი და ბურჟუაზიული რეაქციონერად.

აქაც „ექსპერიმენტები“ და ამ უკანასკნელად ილია ჭავჭავაძეს იუბილეც გაუმართეს, კრემლის „ხალიფატის“ ცენტრალურმა პრესამ „პრავდამ“ ილია ჭავჭავაძე აღიარა ნაციონალურ განმანთავისუფლებელ მოძრაობის იდეოლოგად და კინაღამ კომუნისტად გამოიყვანეს იგი, მაგრამ აქ გვიხსნა განგებამ და რაღაც სასწაულით ეს სახელი აშორდა ჩვენს საამაყო მოღვაწეს.

3. სწავლა-განათლება

საქართველოს გასაბჭოების პირველ წელსვე დახურეს ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, როგორც „ბურჟუაზიული“ სასწავლებლები, ამის ნაცვლად შემოიღეს ორი საფეხურიანი სისტემა, რომელიც მალე უარყვეს და 1927 წლიდან ორ საფეხურიანი სკოლები გადააკეთეს არასრული და სრული საშუალო სკოლებად.

სასწავლო სისტემა აგებულია საბჭოთა პედაგოგიკის პრინციპზე, რომელიც სწავლა-აღზრდის ძირითად დებულებად აღიარებს „ლენინ-სტალინის პარტიის“ ერთგულებად აღზრდას.

ერთხანს მეტად გავრცელდა ე. წ. „სკოლის კვდომის“ თეორია, რომლის მიხედვით მოწაფე თვითონ იძენდა ცოდნას ბუნებაში, სკოლას და მასწავლებელს არავითარი როლი არ ენიჭებოდა.

სკოლა გადააქციეს შრომის სახელოსნოებად, განდევნეს თეორია, მთავარი საკითხად ლაბორატორული მეთოდი და პრაქტიკა აღიარეს. სკოლა დაეცა, მასწავლებლის როლი დაქვეითდა.

იმათ ვისაც გული შეტკიოდათ ამ საქმის გამო ხმა ამოიღეს, მაგრამ სამუდამოთ დაადუმეს ისინი. მრავალი ცნობილი პედაგოგი და პროფესორი ციმბირში გადაასახლეს. ბოლოს კი „ექსპერიმენტების“ ეს შედეგიც „მემარცხენე ტროცკისტებს“ გადააბრალეს.

ამას მოჰყვა საკ. კ. პ. (ბ) ცეკასა და საკავშირო სახკომსაბჭოს 1935 წლის სექტემბრის დადგენილება სასკოლო რეფორმების შესახებ, რომლის ძალითაც უარყოფილი იქნა ლაბორატორული მეთოდი და სწავლის ცენტრალურ ფიგურად აღიარეს მასწავლებელი, ძალიან ძვირი დაუჯდა ქართველ ეს ეს რეფორმებიც.

მართალია დეკრეტით „აღადგინეს“ მასწავლებლის უფლება, მაგრამ სინამდვილეში მდგომარეობა უცვლელი დარჩა; მასწავლებლობა გამოყენებული იყო სხვა და სხვა კამპანიების ჩამტარებლად: სოფლად სახელმწიფო სესხის გავრცელება, იძულებითი დამზადებაში ხელმძღვანელობის გასაწევად, სხვა და სხვა ფულადი რესურსების აკრეფა. ამ ნაირად გლეხმა მასწავლებელში დაინახა არა მასწავლებელი, არა აღმზრდელი, არამედ სოფლის საბჭოს მოხელე, რომელიც წარმოადგენდა სასოფლო საბჭოს დამატებას. ამიტომ მშობლებმა გული აიცრუეს სკოლაზე. „დიდებულათ“ გაატარეს ლენინის მოძღვრება რომელიც ამბობდა, რომ „სახალხო მასწავლებელი უნდა ავიყვანოთ იმ სიმაღლეზე, რომელსაც ადგილი არ ჰქონია არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოშიო“ და მართლაც არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში ისე აბუჩად აგდებული არ არის მასწავლებლობა, როგორც ეს საბჭოთა საქართველოშია.

მასწავლებელს არა აქვს უფლება დასაჯოს მოწაფე, მოწაფეს არ ერიდება მისი. მის მოთხოვნას ანგარიშს არ უწევს, რადგან მან იცის რომ მასწავლებელს არ გააჩნია არავითარი უფლება, ამიტომაცაა რომ საბჭოთა საქართველოს სკოლებში აღვირახსნილ ხულიგნობას აქვს ადგილი, რასაც არ უარყოფს თვით საბჭოთა პრესა. „ავწიოთ“, „ზექსი“, „ჩავაფლაოთ გაკვეთილი“ ასეთი ტერმინები ბატონობენ საბჭოთა სკოლაში. თუ მოსწავლეს დაემუქრე ცუდი ნიშანის დაწერით, მას ეცინება, რადგან იცის განათლების ორგანოების დადგენილება სადაც ნათქვამია „მოსწავლის ამა თუ იმ საგანში ჩამორჩენის მთავარი მიზეზია მასწავლებელი“. ამ არგუმენტით ის არ სწავლობს, არაფერს აკეთებს წლის განმავლობაში, რის შედეგად უმაღლესი სასწავლებლები ივსება მოუმზადებელი კადრებით.

მოსწავლის აღზრდის მთავარ პრინციპად აღიარებულია მხოლოდ „ლენინ-სტალინის პარტიის“ ერთგულებად აღზრდა და სხვა არაფერი. მშობლის ავტორიტეტზე არავინ ზრუნავს, ხშირად მოსწავლე-პიონერი გამოყენებულია ერთგვარი „მეთვალყურედ“ საკუთარ ოჯახში.

აგრეთვე მოსწავლეთა შორის მთავარ დებულებადაა მიჩნეული მათი სამხედრო სულისკვეთებით აღზრდა, ამიტომ სასკოლო კედლის გაზეთები და ხელნაწერი ჟურნალები გამოდიან შემდეგი სახელწოდებით“. „მხედარი“, „ტანკისტი“ „მფრინავი“ „წითელი არტილერია“ „მეზღვაური“ და სხვ.

საშუალო კურსდამთავრებულმა არ იცის საფუძვლიანად გავლილი მასალა და ამიტომაა სწორედ ის რომ საბჭოთა საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მოქალაქე მოუმზადებელია პრაქტიკული ცხოვრებისათვის. მან კარგად იცის „ბრტყელი“ ლაპარაკი, ძალიან „ემარჯვება“ პოლიტიკურ თემებზე საუბარი, გაურბის შრომას და ცდილობს ადვილად „გაძვრეს“ ცხოვრების ასპარეზზე.

ქართული უნივერსიტეტი.

როგორც ვიცით 1918 წელს ჩვენმა საამაყო მეცნიერმა, პროფესორ ივანე ჯავახიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ უნივერსიტეტს, რომელიც შემდეგში გადაიქცა სახელმწიფო ნაციონალურ უნივერსიტეტად. ქართულმა უნივერსიტეტმა თავის კედლებში აღზარდა სათანადო კადრები რომლებიც საქვეყნოდ ცნობილნი არიან.

ბოლშევიკებმა პირველ ხანებში ხელუხლებლად დატოვეს უნივერსიტეტი, სავსებით ვერ შესძლეს მისი გასაბჭოება. ძრწოდნენ ისინი, ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტის წინაშე მაგრამ ათი წლის ბრძოლის შემდეგ მაინც შესძლეს უნივერსიტეტის დაპყრობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ საქართველო დაიპყრეს ორთვეში, სამაგიეროდ უნივერსიტეტი ქედ მოუხრელად იდგა ათი წლის განმავლობაში.

ქართული უნივერსიტეტი შიგნიდანვე „ააფეთქეს“; უნივერსიტეტის კედლებში შეჰქმნეს ე. წ. „ახალგაზრდა პროფესორთა და მეცნიერთა“ ოპოზიცია, რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლო იდეოლოგიურ ბრძოლა გამოუცხადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძველ დრომოჭმულ და დახავსებულ პროფესურას“: ივანე ჯავახიშვილს, ფ. გოგიჩაიშვილს გ. ზანდუკელს გრ. წერეთელს, სვ. ყაუხჩიშვილს, კ. კეკელიძეს, ალ. წერეთელს, ლ. ანდრონიკაშვილს ზ. ნანეიშვილს, ს. ჯაფარიძეს, ს. ჯანაშიას, შ. ნუცუბიძეს, ა. შანიძეს, ვ. კოტეტიშვილს, და სხვ. „პროგრესიული“ თაობის პლეადაში იბრძოდნენ: თედო ღლონტი, „წითელი პროფესურის ქურუმები“ ვაშაყმაძე, დოლიძე და სხვ.

ივანე ჯავახიშვილმა ოლიმპიურ სიმშვიდით დასტოვა მეცნიერებათა სავანე და რამოდენიმე წლის განმავლობაში „ჩაიკეტა“ მაგრამ ამ ხნის განმავლობაში შეჰქმნა მან მთელი რიგი ხელთუქმნელი ძეგლებისა, რომლითაც საუკუნის მანძილზე იამაყებს ჩვენი თაობა.

ამ „ტრიუმფიალურ“ გამარჯვებას მოჰყვა ქართული უნივერსიტეტის, როგორც „ბურჟუაზიულ შოვინისტური“ დაწესებულების დახურვა და მის ნაცვლად სოკოსავით მომრავლდა საქართველოში „უმაღლესი“ სასწავლებელი. თბილისში: პედაგოგიური ინსტიტუტი, დაუსწრებელი სექტორით (ქართული, სომხური, რუსული, აზერბაიჯანული) საბჭოთა სამართლისა და აღმშენებლობის ინსტიტუტი (ნაცვლად ქართული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა) ფინანსიური და ეკონომიური ინსტიტუტი საკოლმეურნეო ფაკულტეტით, სამედიცინო ინსტიტუტი, საინჟინერო ინსტიტუტი, აგრონომიული და პედაგოგიური ინსტიტუტი დაუსწრებელი სექტორით ქუთაისში, სამასწავლებლო ინსტიტუტი ზუგდიდში, პედაგოგიური ინსტიტუტი გორში, აუარებელი ფილიალები, საქართველო მოიფინა უმაღლესი ინსტიტუტების ქსელით, სოკოსავით გამრავლდა სტუდენტობა, მაგრამ ეს ის სტუდენტი არ გახლდათ, რომლის დანახვა მონარქიზმის დროს მთავრობის მოხელეს შიშს გვრიდა და მოსახლეობაში კი მომავლის იმედს აღძრავდა. არ იყო საკმარისი კადრი პროფესორებისა, მართალია მოსკოვის „წითელ პროფესურაში“ და „აკადემიებში“ იგზავნებოდნენ „დასტობით“ მოწინავე სტახანოველები, მაგრამ ეს სახელდახელოდ გამომცხვარი კადრები არ ვარგოდნენ, აქაც „ექსპერიმენტები“ ამანაც ადამიანთა მრავალი სიცოცხლე შეიწირა, არ დაინდეს თავიანთი პარტიული კადრებიც კი, მაგალითად სადღაც გააქრეს თბილისის უნივერსიტეტის რექტორი კ. ორაგველიძე, რომელსაც სწავლა-განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული.

„ექსპერიმენტი“ არ გამოდგა და ერთ მშვენიერ დღეს, მას შემდეგ რაც „მავნებლებს, ტროცკისტ-ბუხარინელებსა და სიროვ — ლომინაძის ოპოზიციას“ გადააბრალეს, ხელ ახლა აღადინეს უნივერსიტეტი, მაგრამ არა ქართული არამედ სტალინის სახელობის უნივერსიტეტი (ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ სექტორებით.

ხელისუფლება შეუდგა ინტელიგენციის მიმართ „დათმობას“ და ივანე ჯავახიშვილი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს.

ამნაირად საბჭოთა ხელისუფლებამ ქედი მოიხარა ამ დიდი ადამიანის წინაშე.

წერა-კითხვა.

ხელისუფლებამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა წერა-კითხვის უცოდინარეობას. განსაკუთრებული დეკრეტს ლენინმაც კი მოაწერა ხელი' და საბჭოთა კავშირის მასშტაბში ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა მისი მეუღლე, ქალბატონი კრუპსკაია რომელიც ითვლებოდა ამ საქმის უდიდესი „თეორეტიკოსად“. და სპეციალისტად.

დღიდან გასაბჭოებისა აუარებელი დეკრეტები გამოვიდა, მაგრამ წერა-კითხვის ლიკვიდაციას არაფერი ეშველა. აუარებელი ლიტერატურა და სახელმძღვანელოები გამოიცა; მაგრამ ამის მთავარი მიზეზი იყო ის ყოვლად ცნობილი „ექსპერიმენტები“ რომლის პრინციპებზეა აგებული მთელი ცხოვრება საბჭოეთისა. გულუბრყვილო მკითხველი ალბად შეგვეკითხება, რატომ არ ეშველა ამ საქმეს. იმიტომ რომ აქაც „ლაშქრობაა“.

რამდენი ასეთი „ლაშქრობა“ ახსოვს საქართველოს. 1933 წელს დიდი „კულტლაშქრობა“ რომელიც „ზეიმით“ დამთავრდა ამიერ-კავკასიის „პროლეტარულ“ ცენტრში ბაქოში. ამის შემდეგ ყოველ წელიწადს ასეთი დეკრეტი იცემა: „გასაბჭოების ათი წლის თავზე დაკვრითი წესით უნდა დავამთავროთ წერა-კითხვის უცოდინარეობა“. მაინც არაფერი ეშველა „1-ლი მაისისათვის — საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაულის დღისათვის უნდა დავამთავროთ წ-კითხვის უცოდინარეობა“. მაგრამ მაინც გრძელდება „ექსპერიმენტები“ და გამოდის ახალი ლოზუნგი: „დიდი ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლის თავზე უნდა დავამთავროთ ბურჟუაზიის მემკვიდრეობით დატოვებული ბოროტება“.

1937, 1939, 1940 წელი, დაკვრით წელი იყო, მაგრამ არაფერი ეშველა ამ საქმეს და არც ეშველება მას ამ სისტემის დროს.

ქართული მწერლობა

მეტად გაუჭირდათ ჩვენი ნაციონალური სიამაყის — ქართული მწერლობის გასაბჭოება. ქართული მწერლობა თავიდანვე მტრულად შეხვდა საქართველოს დაპყრობის აქტს. ბოლშევიკები პირველხანებში „ითმენდნენ“ მათ თავისუფალ შემოქმედებას, მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს და თავიანთი იერიშები აქაც მიიტანეს.

შეიქმნა ე. წ. პროლეტარული მწერლობა, რომლის იდეოლოგათ მეტად უნიჭო ჟურნალი „ქურას“ გარშემო თავმოყრილი პროლეტარული მწერლები იყვნენ. სანდრო ეული, ნოე ზომლეთელი, რ. კალაძე, სამსონიძე, შინატეხელი, გ. ხეჩუაშვილი, შ. ნავთლუღელი, ამათ გამოეყო და საკუთარი უფრო, „მემარცხენე“ ფრონტი შექმნეს „პროლეტარულმა“ ახალგაზრდობამ, რომელიც დაირაზმა გაზეთი „პროლემაფის“ გარშემო, ამ მიმართულების სულის ჩამდგმელი იყო მეტად მყვირალა ახალგაზრდა, პლატონ ქიქოძე, რომლის გარშემო თავი მოიყარეს კარლო კალაძემ, ფრიდონ ნაროუშვილმა, ე. ასტვაცატუროვმა, ალ. გომიაშვილმა. ალ. მაშაშვილმა და სხვ.

დაიწყო დაუსრულებელი დისპუტები, ეს ქუჩის ახალგაზრდობა ლიტერატურ კამათში ჩაება ჩვენი მწერლობის კორიფეებთან, შრომის სასახლის დიდ დაბრბაზში მწერალთა კონფერენციის ერთ ერთ სხდომაზე დეკლარაციით გამოვიდა პლატონ ქიქოძე, რომელმაც მოითხოვა ქართველი კლასიკოსების — ილიას, აკაკის, ვაჟას, ალ. ყაზბეგის, ნ. ლომაურის, ე. გაბაშვილის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის ნაწარმოებთა სანაგვე ყუთში გადაყრა. მან ქართულ პოეზიის სიამაყედ ქუჩის მოხეტიალე, მუდმივად გალოთებული ფრიდონ ნაროუშვილი და კალე-ფეოდოსიშვილი აღიარა.

კარიერისტმა კალე ბობოხიძემ თბილისის მილიციელთა სალიტერატურო წრის შეკრებაზე განაცხადა, რომ ქართული პოეზიის წამყვანად მე და ჩემი ამხანაგები ვითვლებითო (გულისხმობდა ალბად კ. ფეოდოსიშვილს, ალ. მაშაშვილს, ფრ. ნაროუშვილს და მთელ რიგი სხვა უნიჭო პოეტებს, რომლითაც დამძიმებელი იყო ისედაც აშმორებული ატმოსფერო).

პლატონ ქიქოძის შემდეგ ამ „მყვირალა“ მიმართულებას სათავეში ბენიტო ბუაჩიძე ჩაუდგა, რომელსაც ერთ ერთმა უპარტიო ძველმა მწერალმა „ლიტერატურული ჩეკა“ უწოდა, მართლაც და ეს „ლიტერატურული“ გარეწარი პირნათლად ასრულებდა შინსახკომის დავალებას მწერალთა შორის, სანამ ბოლოს თვით შინსახკომელებმა არ შეაბეზღეს ეს ბოროტი სული, როგორც ტროცკისტი.

დიდხანს ებრძოდა ბოლშევიკები ქართულ მწერლობას და ბოლოს შესძლეს კიდეც მათი დაპყრობა, ეხლა შეიქნა ე. წ. „თანამგზავრთა მიმართულება“ ბოლოს მწერალთა ყრილობაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლობა და დაუქვემდებარეს სრულიად საკავშირო საბჭოთა მწერლობის ცენტრალურ კავშირს. ამის შემდეგ ქართული მწერლობა, როგორც თეატრი და უნივერსიტეტი სავსებით დაუმორჩილეს ცეკას კულტპროპის განყოფილებას, რომლის იდეოლოგს ერთხანს წარმოადგენდა ვალია ბახტაძე, შემდეგ ვარდინ-მგელაძე და ბოლოს პ. შარია. ბახტაძესთან და მგელაძესთან კიდევ შეიძლებოდა საერთო ენის გამონახვა, შარიასთან ლაპარაკი მართლაც რომ შარი არის ამბობდნენ ჩვენი პოეტები.

ამის შემდეგ დაიწყო „შეკვეთები“ ყოფილი ერობის თავმჯდომარე ლეო ქიაჩელმა სახელი გაითქვა ახალი რომანით, მისი „გვადი ბიგვა“ აღიარებული იქნა საუკეთესო ნაწარმოებად და სტალინური პრემიაც კი არგუნეს, ერთხანს დევნილი შალვა დადიანი, რომელიც „აწამეს“ მისი მეტად ნიჭიერი რომანის „გიორგი რუსის“ გამო, ეხლა „თეთნულდით“ გამოვიდა; ამის შემდეგ იგი უფრო გაითქვიფა საბჭოთა სინამდვილეში და ეს სერიოზული მწერალი და დრამატურგი იმდენად „დახურდავდა“ რომ შეუდგა პიესა-პლაკატის გაკეთებას, რომლის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს პიესა „ნაპერწკლიდან“ რომელიც აგებულია ლ. ბერიას მოხსენებიდან „ა-კავკასიის ბოლშევიკების ისტორიის შესახებ“. კონსტანტინე გამსახურდიამ მთელი რიგი ნაწარმოებით „მივიდა“ საბჭოთა სინამდვილესთან, რომლის მთავარ „დაგვირგვინებას“ წარმოადგენს მისი რომანი „ბელადი“.

ქართ. საბჭოთა მწერლობის იდეოლოგათ თუ არა ყოველშემთხვევაში ერთ ერთი „ტრიბუნად“ ითვლება კარგად ცნობილი ბესო ჟღენტი, რომელსაც აქვს „უნარი“ თავისებური დააღი დაასოს ამათუმ მწერალს და რომელიც არ დაგიდევს თუ რა შედეგი მოჰყვება მის „მჭერმეტყველებას“ საჯარო ტრიბუნიდან.

ჩვენმა ცნობილმა დრამატურგმა „ბერდო ზმანიას“ და „უგვირგვინო მეფენის“ ავტორმა, ბევრი დუმილის შემდეგ რუსული პიესების გადაკეთებას შეუდგა და მართლაც ერისთავის შემდეგ პიესების გადაკეთების საქმეში სანდრო შანშიაშვილს ბადალი არა ჰყავს საქართველოში, მისი „ანზორი“ ორიგინალურ ნაწარმოებს უფრო შეადგენს; ამ უნიჭო პიესას სული ჩაუდგა ჩვენმა ნიჭიერმა დრამატურგმა.

ბოლშევიკებს ყოველთვის და ყველაფერში ჩვევიათ „ექსპერიმენტები“, და სწორეთ ერთი ასეთი, ექსპერიმენტთაგანია ცეკას დადგენილება მწერლობაში ე. წ. მუშათა გაწვევის შესახებ ე. ი. მწერლობის გამუშურების შესახებ; ამ მიზნით ამა თუ იმ წარმოებას პირდაპირ ეძლეოდათ გეგმა, თუ რამდენი მუშა უნდა გაეწვია მას მწერლობაში, ამ ნიადაგზე შეიქმნა აუარებელი მუშათა ლიტერატურული წრეები, ამ მხრივ ყველაზე „ბედნიერება“ ხვდა წილად გაზეთ „კომუნისტის“ სტამბას, აქ „წამოაყენეს“ დრამატურგად ვიღაც მუშა იაშვილი, რომელმაც ჩვენს დრამატურგიას „შესძინა“ პიესა „მოხუცი ენტუზიასტი“, საუბედუროდ ეს პიესა გადასცეს დასადგმელად მარჯანიშვილის თეატრს, ამ თეატრმაც „დიდი სიამოვნებით“ მიიღო ეს „ნაცოდვილარი“ ალბად იქნება ამით მაინც დაეზღო თავი ამ „ბურჟუაზიულ“ ხელოვანს. ხსენებული პიესა დაიდგა და ძლივს გაუძლო სცენას ერთი თვე.

რუსთაველის თეატრი დიდხანს გასტანჯა ალიო მაშაშვილის „განგაშმა“ და პეტრე სამსონიძის „სალტემ“.

თეატრი

გასაბჭოების პირველ დღიდან ბოლშევიკებმა იერიში მიიტანეს ქართულ თეატრზე, 1922 წელს საქართველოს განათლების კომისარიატში დაისვა საკითხი „დროებით“ დაეხურათ ქართული აკადემიური დრამის თეატრი იმ მოტივით, რომ მას მაყურებელი არ გააჩნია, არა ჰყავს მსახიობთა საკმარისი კადრები, არა აქვს რეპერტუარი და სხვ.

ჩვენ, ვიცით, რომ ქართული თეატრი ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროიდან წარმოადგენდა ქართული კულტურისა და ქართული ენის ტრიბუნას. თეატრი ზრდიდა და აღვივებდა ჩვენს ერში ნაციონალურ სულს.

ამ ტრადიციისათვის მას არ უღალატნია არაოდეს, მით უფრო საქ. გასაბჭოების შემდეგ.

ერთად ერთი ადამიანი, რომელმაც გაილაშქრა ქართული თეატრის დახურვის წინააღმდეგ იყო ჩვენი საამაყო ხელოვანი კოტე მარჯანიშვილი. ამ სასახელო ადამიანს და ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს უნდა უმადლოდეთ რომ ქართული თეატრი გასაბჭოების პირველ დღეებში არ გადაიქცა ბოლშევიკური „ექსპერიმენტების“ ობიექტად.

როგორც ქართული უნივერსიტეტი ისე ქართული თეატრი სალკლდესავით იდგა ჩვენი ნაციონალური მეობის სადარაჯოზე.

კოტე მარჯანიშვილის მიერ მტკიცედ შეკრულ „დურუჯელთა“ კორპორაციას მხარში ამოუდგა ჩვენი პოეზიის ერთ ერთი მწვერვალო გრიგოლ რობაქიძე, რომელსაც კოტე მარჯანიშვილმა „ჭეშმარიტი ქურუმი მზისა“. უწოდა. ამ ორმა ადამიანმა ქართული თეატრი მაღალ მწვერვალზე აიყვანეს.

დიდხანს აწამეს საბჭოეთში ეს ორი ადამიანი.

გრიგოლ რობაქიძე — ჩვენი პოეზიის თავისებურება და სიამაყე ქართველი ხალხის მტრად გამოაცხადეს.

კოტე მარჯანიშვილს კი „ბურჟუაზიული“ ხელოვნების „იარლიკი“ მიაკერეს და ყოველ მხრივ შეავიწროვეს ხელოვნების ეს ჯადოქარი. ბოლშევიკებმა თავიანთი ნაცადი ხერხი აქაც გამოიყენეს, მას აუმხედრეს მისი ნიჭიერი მოწაფე ალ. ახმეტელი, ფაფარ აყრილ „დურუჯს“ ლაგამი ამოსდვეს, კოტე მარჯანიშვილი თეატრიდან წავიდა.

„გასაბჭოვდა“ ქართული თეატრი. ალ. ახმეტელმა პირნათლად შეასრულა პარტიის ცეკას კულტპროპის შეკვეთები და ქართული აკადემიური დრამა „მემარცხენეობის გზაზე“ დააყენა. „განახლებული“ ქართული თეატრის სეზონი უნიჭო, რუსულიდან თარგმნილი პიესა „საჭე მარცხნივ“ გაიხსნა.

ქართული თეატრის მშვენება „ლამარა“ „მალშტრემი“ და „ლონდა“ „ღალატი“ და „სამშობლო“. „ჰამლეტი“ და „კაიუს გრაკხი“. ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ პიესებად გამოაცხადეს და ქართული თეატრის რეპერტუარი შეაფსეს „იდეოლოგიურად გამართლებული“ პიესებით, ამერიკელი ძია“. „დეზერტირკა“, კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს „ქართაქალაქი“, „ჰური“, ლავრენიევის „რღვევა“, ნიკიტინის „ანათეთ ვარსკვლავნო“, პროტესტი, ოლეშის „სამი ბღენძი“.

ქართული თეატრი გაშიშვლდა. ხალხი თეატრში არ დადიოდა; მაშინ ხელისუფლებამ საჭე შეაბრუნა, კვლავ მიმართეს კლასიკოსებს, მაგრამ ღიდი „ხირურგიულ“ ოპერაციების შემდეგ იდგმებოდა მათი პიესები.

სიტყვა საქართველო ყველგან ამოშალეს და მის ნაცვლად ხმარობდნენ „სამშობლოს“.

მეტად ამაღელვებელი და დაუვიწყარი სცენა „ღალატიდან“ როცა ოთარბეგი გლახა ანანიას სიტყვების შემდეგ სპარსულ ჩაბმას თავიდან გადაიძრობს და პირჯვარის გამოსახვით საქართველოს ერთგულად აცხადებს თავის თავს, ეს ადგილი ამოიღეს.

დიდხანს არც ალ. ახმეტელი შერჩა ქართულ თეატრს, იგი და მთელი რიგი ნიჭიერი მსახიობებისა თამარა წულუკიძე, ე. ლორთქიფანიძე, აბაშიძე, ია ქანთარია და სხვები სადღაც გააქრეს.

თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში დაიდგა არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ქართველმა საზოგადოებამ გულთბილად მიიღო იგი, მაგრამ პრესამ ასტეხა განგაში. გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოვიდა სილია თოდრიას უნიჭო, ლანძღვით აღსავსე რეცენზია. მან აღნიშნა, რომ ოპერა მეტის მეტად შოვინისტურიაო. რაში გამოიხატებოდა ეს? აი რაში! სცენაზე თამარ მეფის გამოჩენას ქართული ჯარი ეროვნული დრო-

შებითა და „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ — სიმღერით შეხვდა, ალბად თოდრიას სურდა წითელი დროშებითა და მარქსის სურათით შეხვედროდნენ მხედრები ქართველ მეფეს მე-12 საუკუნეში.

ამ გვარად თეატრალური ხელოვნება პარტიულ არტახებში მოაქციეს და კულტპროპის თანამშრომლებს დაუქვემდებარეს. დიდხანს „ხელმძღვანელობდა“ ქართული ხელოვნების საქმეს გარეწარი შურა დუდუჩავა, რომლის მოქმედებას შეეწირა ჩვენი საამაყო კოტე მარჯანიშვილი.

საქართველოში თეატრები სოკოსავით გამრავლდნენ, მაგრამ რეპერტუარის ერთგვარობა მოსაწყენი იყო.

საინტერესოა თეატრალური კრიტიკა საბჭოთა საქართველოში, ის როგორც ასეთი არ არსებობს. მაყურებელს ეშინია საკუთარი აზრი გამოსთქვას ამა თუ იმ დრამატიული ნაწარმოებისა თუ დადგმის გარშემო, ის ელოდება თუ რას იტყოდა პრესა ამის შესახებ. ხშირია შემთხვევა როცა რეცენზენტი არ დასწრებია წარმოდგენას და გაზეთის ფურცლებზე კი პიესისა და დადგმის შეფარებას იძლევა, მაგრამ ამაზე ქვევით.

საბჭოთა პრესა

საბჭოთა პრესას საგანგებო დღეც კი აქვს დათმობილი, 5 მაისი საბჭოთა პრესის დღეთ ითვლება. მართლაც საქართველოში აუარებელი გაზეთები გამოდის; არ არის რაიონი რომელსაც თავისი ორგანო არ გააჩნდეს, მაგრამ არც პრესაა დამოუკიდებელი ორგანო საბჭოთა საქართველოში. აქაც მტკიცედ არის გატარებული უკიდურესი ცენტრალიზმი.

წამყვანი გაზეთად საქართველოში ითვლება გაზეთი „კომუნისტი“ დიდი ფორმატის გაზეთი, რომელიც წარმოადგენს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგანოს; თითქოს ეს გაზეთი უნდა ითვლებოდეს საბჭოთა საქართველოში პოლიტიკისა და ეკონომიკის გეზის მიმცემად, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია, მას არ შეუძლია მეთაური წერილი მიუძღვნას ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხს, ამიტომ მეთაურად ქვეყნდება გაზეთი „პრავდის“ მეთაური წერილი უცვლელად.

კომკავშირულ ახალგაზრდობასაც გააჩნია საკუთარი ბეჭედითი ორგანო, ეს არის, „ახალგაზრდა კომუნისტი“, ერთხანს საქართველოს პროფსაბჭოსაც ჰქონდა საკუთარი ორგანო გაზეთი „მუშა“.

გარდა პარტიული გაზეთებისა თბილისში გამოდის სახელოვნო-სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ ყველა ესენი დაქვემდებარებულია კულტპროპგანყოფილებასთან და წარმოადგენენ პარტიული და საბჭოთა პროპაგანდის ორგანოს. პრესის მუშაკთა უმრავლესობას არა აქვს ჟურნალისტიკის სკოლა გავლილი, თუმცა ბევრი მათგანი „ჟურნალისტობის“ პრეტენზიით არიას გაჟღენთილი. მუშაკები შერჩეულნი არიან სათანადო პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებიდან, და ყველას როდი აქვს „ბედნიერება“ მუშაობდეს საბჭოთა პრესაში.

პრესის მუშაკთა „მოღვაწეობის“ საფუძვლად უდევს ყოველად უმზგავსო „თეორია“. თუ მასალა შეიცავს სინამდვილის ხუთ პროცენტს, მაშასადამე შეიძლება წერა. როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა დარგი პრესის მუშაობაც „ლაშქრულ და იერიშიანობის“ ხასიათს ატარებს. განსაკუთრებით პრესის მუშაკთა გამოჩენა სკოლებში, წარმოება-დაწესებულებებში თუ უნივერსიტეტში, კოლმეურნეობებში თუ საბჭოთა მეურნეობებში შიშს იწვევს, რადგან საბჭოთა პრესიდან შინსახკომის ჯურღმულებამდე ცოტა მანძილია გასავლელი. ვაი იმას ვინც „დამუშავებული“ იქნება პრესის ფურცლებზე, მისი საქმე გათავებულია. ტერმინი „დამუშავება“ ახალია, არ გეგონოთ რაიმე მეცნიერული საკითხის დამუშავება ხდებოდეს, არამედ „დამუშავება“ ეს არის განწირული პიროვნება, რომელიც გაიწერა გაზეთში. სხვათა შორის უმრავლეს შემთხვევაში ამათუიმ პირის გაზეთებში გაწერისას მრავალი კურიოზსა და დიდი უპასუხისმგებლობას აქვს ადგილი.

პრესის ზოგიერთი მუშაკი, „ფაქტებს“ შეუმოწმებლად სწერს, ხშირია შემთხვევა, როცა რეცენზენტი გაზეთში სწერს რეცენზიას ამათუიმ დადგმის გარშემო, როცა იგი წარმოდგენას არც დასწრებია, ასეთნაირად ხდება კინოსურათის შეფასებაც.

გაზეთი „კომუნისტის“ უნიჭო თანამშრომელმა შ. ჯიქიამ 1937 წლის აგვისტოს ნომერში გაზეთში გასწერა საშუალო სკოლის ერთერთი დირექტორი, შ. ჯიქიამ ალბად მიიღო „შეკვეთა“ და წილად ერგო ამ ადამიანის „დამუშავება“. არც აცივა, არც აცხელა შ. ჯიქიას და დასწერა, რომ იგივე პიროვნება იმავე დროს ითვლებოდა მოზრდილთა საღამოს საშუალო სკოლის დირექტორადაც, წლის განმავლობაში არაფერს აკეთებდა და ხელფას, „არხეინად“ ღებულობდაო. სკოლის დირექტორმა მიმართა გაზეთი „კომუნისტის“ მთავარ რედაქტორს ერ. ბედიას, მას წარუდგინა განათლების ორგანოებიდან ცნობა, იმის შესახებ, რომ გაზეთში მოხსენებულ რაიონში არავითარი საღამოს მოზრდილთა სკოლა არ არსებობს და არ არსებული სკოლის დირექტორად იგი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ამით არაფერი გამოვიდა.

როდესაც 1938 წელს ზოგიერთი ინტელიგენტი გადაურჩა 1937 წლის საშინელებას „ეჟოვშჩინას“ იმავე შ. ჯიქიამ ფოტო-სურათი მოსთხოვა გაზეთში მოსათავსებლად იმ ადამიანს, რომელიც 1937 წელს საჯაროდ, დაუმსახურებლად „ამხილა“ გაზეთის ფურცლებზე. ამგვარი უპასუხისმგებლობას მრავალს ჰქონდა ადგილი.

მეტად აუტანელი იყო ე. წ. „გამსვლელი“ რედაქციების მოსვლა ამათუიმ კოლმეურნეობებში თუ საბჭოთა მეურნეობებში. რამდენი პატიოსანი, მშრომელი ადამიანი მოუშორებიათ საკუთარი ოჯახიდან, რამდენი ადამიანისათვის აუშლიათ ისედაც დაწყვეტილი ნერვები საბჭოთა პრესის ამ „მჯღაბნელებს“. ზოგიერთი მათგანი ამა თუ იმ კოლმეურნეობის ავკარგიანობას პირადი გამორკვევის გარეშე, ტელეფონით მიღებული მასალაზე დაყრდნობილი ათავსებდა გაზეთის ფურცლებზე.

მუშაობის ყოველგვარი სურვილი ჩაუხშეს, ქართული ლიტერატურის მკვლევარს, საყვარელ პროფესორს მიხეილ ზანდუკელს, მას სრულიად დაუმსახურებლად პლაგიატობა დააბრალეს და გაზეთის ფურცლებზე „ამხილეს“. გაგიჟებამდე მიიყვანეს აგრეთვე პროფესორი ალ. წერეთელი.

მლიქვნელობა მთავარ საქმიანობად ჰქონდათ გადაქცეული, ამ მხრივ მოლოდინს „გადააჭარბა“, ჭიათურის სარაიონო გაზეთმა. მის ფურცლებზე ნახავდით ასეთ „შემოქმედებას“. ... ქალაქის თეატრში შეიკრიბა პარტიულ და კომკავშირული აქტივი, დღის წესრიგში იდგა რაიკომის მდივნის მოხსენება. ამის შემდეგ იწყება საბჭოთა პრესის მუშაკის მლიქვნელური სტილზე აგებული წერილი. რაიონის ხელმძღვანელის სცენაზე გამოჩენას აქტივი ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდა.. როცა რაიკომის მდივანი ტრიბუნასთან მივიდა ხელახლა იგრიალა ტაშმა... აქტივი ხშირად ტაშის ცემით აწყვეტინებდა მომხსენებელს სიტყვას... მან ჩვეული მჭერმეტყველებით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკრეტიული მასალებით მოუთხრო აქტივს და სხვ. სიტყვის დასასრულს აქტივმა ფეხზე ადგომით და ხანგრძლივი ტაშისცემით გააცილა რაიონის საყვარელი ხელმძღვანელი...

პრესის იგივე მუშაკს თუ ხვალ „შეუკვეთდნენ" ამავე რაიკომის მდივნის წინააღმდეგ, იგივე გაზეთის ფურცლებზე „საბრალმდებლო აქტით" გამოვიდოდა.

კამპანიები

საბჭოეთი და კერძოდ საბჭოთა საქართველო დაუსრულებელი კამპანიების, კრებებისა და კონფერენციების ქვეყანაა; ამ მხრივ მას ბადალი არა ჰყავს მთელ მსოფლიოში.

მოსავლის აღებისა და პურის დამზადების კამპანია, მძრალად ხვნის კამპანია, გათოხვნის კამპანია, წერა-კითხვის სალიკვიდაციო კამპანია, ინდუსტრიული სესხის კამპანია — ეს უკანასკნელი კამპანია, მეტისმეტად მძიმე ტვირთად აწევს საბჭოთა საქართველოს მოსახლეობას. როგორც ეს ჩვეიათ ბოლშევიკებს, ხალხისათვის ამ საძულველი კამპანიის ჩატარებას წინ უსწრებს მათი ნაცადი „ინსცენირება". ინდუსტრიული სესხის გამოშვებისას, წინასწარ „ახსნა-განმარტებითი" კამპანიას ჩაატარებენ პრესის ფურცლებზე, ბოლოს რომელიმე დიდი ქარხნის თუ ფაბრიკის მუშათა კოლექტივი „თხოვნით" მიმართავს მთავრობას „როგორმე" აასრულოს მათი სურვილი და გამოუშვას სესხი; მუშების ამ „თხოვნას" მთავრობა სასწრაფოდ „შეიწყნარებს" და უკვე ქალაქებში და სოფლად გამოკრულია პლაკატები და ლოზუნგები. იწყება მუშებსა და მოსამსახურეთა შორის სრული „ნებაყოფლობის" საფუძველზე სესხზე ხელის მოწერის კამპანია და, როგორც მთელ რიგ სხვა კამპანიებს, ამასაც დაკვრითი წესით ამთავრებენ.

აუტანელია ამ სესხის გავრცელება ისედაც ნივთიერად შეევიწროებული მოსახლეობისათვის. მაგალითისათვის მოვიყვანოთ საშუალო მოსამსახურის თვიური ბიუჯეტი:

შემოსავალი: (თვიური ხელფასი) 500 მანეთი.

გასავალი: (თვეში) 1. ინდ. სესხს 50 მან. 2. პროფკავშირის საწევრო 10 მან. 3. კულტ. და საშემოსავლო 25 მან. 4 „თავისუფალი" შესატანი თვითმფრინავის თუ ტანკის ასაგებ ფონდში 10 მან. 5. თავისუფალ საზ. საწევრო 2 მან. სულ: 97 მანეთი.

ეს 97 მანეთი მოსამსახურემ სალაროში უნდა დასტოვოს თვიური ხელფასის მიღებისას; დანარჩენი თანხიდან ე. ი. 403 მანეთიდან უნდა გადაიხადოს ბინის ქირა, მეზოვის, წყლის, ნაგვის გადასატანი; დაახლოებით თვეში 20 მანეთი და ხელზე რჩება მას 383 მანეთი. ამ დანარჩენი თანხიდან უნდა გამოკვებოს მან მთელი ოჯახი თვის განმავლობაში, იმ დროს როცა, მას არ შეუძლია სურათ-სანოვაგე შეიძინოს კოოპერატიულ ან სახელმწიფო ფასით და იძულებულია გავიდეს კერძო ბაზარზე.

ათი თვის განმავლობაში წელში წყდება ის; გათავდა ათი თვე და როგორც იქნა „ამოისუნთქა", მაგრამ ერთი თვის შემდეგ, ახლა რომელიღაც მაღაროს მუშების კოლექტივმა კვლავ „თხოვნით" მიმართა ხელისუფლებას; „გვიშველეთ", გამოუშვით სესხი. რა ქნას მთავრობამ, უწევს რა მუშების „თხოვნას" ანგარიშს, როგორც „მუშურ-გლეხური" მთავრობა „იძულებულია" აწარმოოს კამპანია.

მეტად კურიოზულია შემდეგი ამბავი; ვთქვათ დაგჭირდათ ფული, ამ მიზნით შემნახველ-სალაროში მიგაქვთ გადასახურდავებლად თქვენი ობლიგაცია, ვთქვათ 100 მანეთის რაოდენობის. შემნახველი სალარო 100 მანეთის ნაცვლად იხდის 30 მანეთს. მუშის თუ მოსამსახურის ამაზე მეტი ექსპლოატაციას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, რომელიმე ქვეყანაში, როგორც ეს საბჭოეთშია?

კონფერენციებს და კრებებს ხომ დასასრული არა აქვს. ბელადი რაიმე საკითხის გამო იტყვის თუ არა ორიოდე სიტყვას, ამას მოჰყვება კრებები და დემონსტრაციები; არის ერთი დაუსრულებელი ტაშის ცემა.

პოლიტწრეებმა, კონსტიტუციისა და საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელ წრეების მეცადინეობაზე დასწრებამ ხომ მთლად ბოლო მოუღო ისედაც მოღლილ და მოქანცულ ადამიანს. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოშვება დიდი ზეიმებით და ტრიუმფებით აღინიშნა; რა არ დაერქვა ამ წიგნს: რომ ის არის თვით ბელადის „ბრძნული" მონაწილეობის შედეგი, რომ ის მეცნიერული წიგნია, რომ იგი თვითეულ პარტიულ თუ საბჭოთა მუშაკს უნდა ედოს ყოველთვის მოუშორებლად მაგიდაზე, რომ თვითეულ მეცნიერს, ხელოვანს, პოეტსა თუ მუშას მხოლოდ ამ წიგნის სათანადოთ შესწავლის შემდეგ შეუძლია სავსებით დაეუფლოს თავის პროფესიას და ჰქონდეს სწორი ორენტირება. მოკლედ ეს წიგნი წარმოადგენს მე-20 საუკუნის სახარებას და ყურანს; და ვაი იმას ვისაც არ ამღოაჩნდება იგი. ამიტომაც ნახავდით შიშით დამფრთხალ საბჭოთა ადამიანის ოჯახში ამ წიგნის ქართულ-რუსულ გამოცემას, ყდაში და უყდოთ.

პირველ ხანებში როცა მოკლე კურსის მასალები იბეჭდებოდა გაზეთებში და ჯერ კიდევ არ ჰქონდათ „ბედნიერება" მისი ხილვისა, კრებებზე სწარმოებდა ამ „მეცნიერული", მასალის წაკითხვა, რომელსაც ერთ და იმავე დარბაზში ესწრებოდნენ პროფესორი და იატაკის მწმენდავი, მსახიობი და თეატრის დარაჯი, მასწავლებელი და პიონერი, ინჟინერი და მუშა, ბალეტის მოცეკვავე და მეჯინიბე, ქართველი და სომეხი, რუსი და თათარი, მუშა და გლეხი, და ყველანი ერთად ზოგი მძინარე, ზოგი მთქნარებით ისმენდა ამ მე-20 საუკუნის ყურანის აბდაუბდას. ბოლოს დაინახეს, რომ ეს „მეთოდი" არ გამართლდა და შემოიღეს მისი ინდივიდუალური წესით შესწავლა, მაგრამ მეტად განსაცვიფრებელი იყო ის მდგომარეობა, რომ ყველას უჭირდა ამ წიგნის მე-4 თავის (ისტორიული თუ დიალექტიკური მატერიალიზმის) გაგება. როგორც ამბობდნენ ამ წიგნის მე-4 თავი დაწერილია თვით სტალინის მიერ და რათქმა უნდა „ყველა უბრალო მომაკვდავს" როდი შეეძლო მისი გაგება. პარტიული მლიქვნელები დათვურ სამსახურს უწევდნენ თავიანთ ბელადს, როცა ამბობდნენ, რომ ეს თავი ბელადის მიერ არის დაწერილი და მისი გაგება ყველას როდი შეუძლიაო. მართლაც რომ მეტად ძნელია ეს თავი ამ წიგნში, მართლაც რომ მეტად „თავისებურად" არის განმარტებული ისტორიული მატერიალიზმი, რომლის გაგება ამ დარგის სპეციალისტსაც კი გაუჭირდება. ასეთია სურათი ამ დაუსრულებელი კამპანიებისა საბჭოთა საქართველოში.

„ხ ა ლ ტ უ რ ა"

როცა შევეცადეთ საბჭოთა საქართველოს სახის მოცემას, არ შეიძლება გვერდი აუაროთ ე. წ. „ხალტურის" განმარტებას, რადგან იგი წარმოადგენს საბჭოთა სისტემის ერთ ერთ „თვალმარგალიტს".

სიტყვა „ხალტურას" ვერ შეხვდებით ვერც ერთ მეცნიერულ ნარკვევებში, არც ერთს ჩვენს მწერალს თუ საზოგადო მოღვაწეს არსად მოუხსენებია ის. იგი „ღვიძლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილია“ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სისტემისა, ამიტომ მოვიყვანეთ ის ამ წერილში.

რა არის „ხალტურა“ იკითხავს მკითხველი. ხალტურა არის გაფცქვნა ადამიანისა, მაგალითად თქვენ ცხოვრობთ რომელიმე რაიონში, რკინიგზის ხაზიდან რამოდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებული, სარეისო ავტომანქანაში ადგილის უქონლობის გამო, თქვენ შოფერს სამჯერ მეტი უნდა მისცეთ ფული.

აღვირახსნილ „ხალტურას“ აქვს ადგილი სასადილოებში და სასტუმროებში. ვინც ხშირად ყოფილა მივლინებებში, განსაკუთრებით ცენტრალურ თუ საკურორტო ქალაქებში, სასტუმროში ბინის მოთხოვნის დროს, ყოველთვის გესმით ერთდაიგივე ტრაფარეტული პასუხი „ადგილი არა გვაქვს“, მაგრამ თუ სასტუმროს მოსამსახურეს პასპორტს დაუტოვებთ და ეტყვით „ცოტა ხანში შემოვივლი, იქნება ბინა განთავისუფლდესო“ მსახურისათვის ამის შემდეგ გასაგებია, რომ თქვენს მიერ დატოვებულ პასპორტში 10 ან 20 მანეთი ძევს; ეს არის აგრეთვე „ხალტურა“.

თბილისში, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში ძალიან ეტანებიან მოეწყოს სამუშაოდ ლუდისა თუ გამაგრილებელი წყლის გასაყიდ კიოსკებში; აქ სამუშაოზე მოსაწყობად წინასწარ აძლევენ ფულს ან იხდიან ე. წ. „ასტუპნოის“ ეს უნდა გავიგოთ ასე — ივანე რომელიც დღემდე მუშაობდა წყლის გამყიდველად, ეხლა სხვას (პეტრეს) უთმობს ადგილს, მაგრამ „ასტუპნოის“ გადახდის შემდეგ ესეც „ხალტურის“ ერთერთი სახე გახლავთ. (ქრთამი კანონით აკრძალულია საბჭოეთში, ამ მდგომარეობას კი არ ვიცი რა უწოდოთ). ამ მომუშავის თვიური ხელფასი რაღაც 200 მანეთამდე ძლივს აღწევს, მაგრამ ყველა ამკიოსკისაკენ მიისწრაფის, რადგან აქ მას ელოდება ყოვლად სანატრელი „ხალტურა“.

არამც თუ მარტო კიოსკებში; ღვინის სარდაფებშიც ხომ „ხალტურა“ ბატონობს, გასაყიდ ღვინოს „უთაქებენ“ (ეს სიტყვა „უთაქებენ“ ღვინის სარდაფებში შექმნილი ტერმინი გახლავთ), წყალს და წყალნარევი კახური თუ სვირის ღვინო იყიდება „მამა სისხლად“; ამას საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას ხელმძღვანელმა ლ. ბერიამაც მიაქცია „ყურადღება“ და ერთს თავის მოხსენებაში აღნიშნა ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ მაგრამ „ხალტურის“ წინააღმდეგ, ქართველი ხალხის „საყვარელი შვილის“ სიტყვა უძლური აღმოჩნდა.

საუცხოო „ხალტურშიკები“ არიან სასადილოში მომუშავე პირები, ხადაც განუკითხავად აძრობენ ადამიანს ტყავს. ამ საქმეში არ ჩამორჩებიან და პირდაპირ „რეკორდს“ ამყარებენ ე. წ. დამამზადებელი ორგანიზაციებს (ტრანსტორგპიტი, კვების ტრესტი, პიშჩეპრომი და სხვ.) აგენტები. მათი ოჯახები სავსეა „ნახალტურებით“. სიამაყის გრძნობით მოგიყვებათ ხოლმე ეს „ხალტურჩიკი“ თავისი „გმირული“ მოღვაწეობაზე.

საუბედუროდ „ხალტურა“ შეიჭრა ისეთ სათუთ და საამაყო დარგშიაც, როგორიცაა მწერლობა, თეატრი, მუსიკა. აქ „გონებრივი ხალტურას“ აქვს ადგილი და ეს „ხალტურა“ მეტად აუტანელია. „ლიტერატურული ხალტურითაა“ ცნობილი ეს გარემოება. „ხელში ვიღებ კალამს, რადგან დამკრა(?) მუზამ, თუ კარგს ხასიათზე ვიქნები, ორ ლექს შევთხუზამ...“ („პოეტი“ გ. ხეჩუაშვილი).

„ერთი ორი, ერთი ორი,
იყავ სწორი, მაღლა ასწი
ჩვენი დროშა, ალისფერი,
ცეცხლისფერი....

(პოეზიის „ქურუმი“ სანდრო ეული).

და შემდეგ მთელი რიგი „ხალტურული“ რომანებისა „ვარდნილი“ (იაკინთე ლისაშვილის) „ლელო“ (ჭეიშვილის) „ოჯახი“ (თალაკვაძის) იუმორული „ნაწარმოები“ სილია თოდრიასი „დემიან ბედნის თქმა, სილია თოდრიას თარგმნა“ (ასეთი სათაურით გამოვიდა მისი „ნაშრომი“). ანდა

„ვინ დაიარს დარიალს,
ავდარიანს, დარიანს... (ალიო მაშაშვილი)

აქვე უნდა მოვიხსენიოთ პ. საყვარელიძის დიდ ტანიანი რომანები „დაფანტული ფურცლები“ და „ქვა და რკინა“, და მართლაც ქვისა და რკინის თავი უნდა ჰქონებოდა ადამიანს, რომ წაეკითხა ეს „ლიტერატურული“ ნაცოდვილარი.

„ხალტურული“ მეთაური წერილები საბჭოთა გაზეთებიდან „წიწიბოს“ დამზადებაზე და „მძრალად ხვნის“ საკითხებზე. „ხალტურული“ ჟურნალი, ჯერ „ტარტაროზი“ და შემდეგ „ნიანგი“, როგორ იტანჯებოდა ქართველი მკითხველი როცა „ნიშადურისა“ და „ეშმაკის მათრახის“ შემდეგ ასეთ „ხალტურას“ შეაჩეჩებდნენ ხელში.

საუბედუროდ უნივერსიტეტშიაც კი შეიჭრა ეს „ხალტურა“. ზოგიერთი სტუდენტი, რომელიც წლის განმავლობაში არაფერს აკეთებდა, გამოცდების დროს „მოევლინებოდა“ უნივერსიტეტს, აქ გამომუშავდა ტერმინი „გაძრომა“. ესეც ხალტურაა, მხოლოდ უნივერსიტეტის კედლებში „გაკეთილშობილებული“.

შიში

ისტორიამ მრავალი მაგალითები იცის პიროვნების გაბატონებისა, დიქტატურას შორეულ წარსულშიაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ თანამდებობის პირისადმი უსიტყვოდ დამორჩილებას, როგორც ეს საბჭოეთშია და კერძოდ საქართველოში, არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა.

მარქსიზმი თითქოს უარყოფს პიროვნების როლს ისტორიაში, მას ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად მიაჩნია მასა, პიროვნება კი ამ მასის მიერ შექმნილია და მისი ნებისყოფის მატარებელი უნდა იყოს, მაგრამ საბჭოეთში ასე არ არის, ალბად ეს უნდა იყოს შედეგი იმ „შემოქმედებითი“ მარქსიზმისა, რომელსაც თავისი, „თეორიული“ დასაბუთება უპოვა სტალინმა.

თავისუფალი აზროვნება, თავისუფალი შემოქმედება საბჭოთა საქართველოში არ არსებობს, პოეზია თუ მწერლობა, თეატრი თუ მუსიკა, მეცნიერება თუ ფილოსოფია, ყოველივე ეს ემორჩილება დიქტატურის ნებისყოფას; ადამიანი გადაქცეულია უსიტყვო მანქანად და ყველაფერს აკეთებს არა შეგნებით, არამედ შიშით.

ეშინია მას დაწესებულებაში, იგი ცახცახებს უფროსის წინაშე, თუ პარტიის ცეკაში ამა თუ იმ პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკს გამოიძახებენ, იგი მაშინ დიდ სულიერ ღელვას განიცდის შიშის გამო, მით უმეტეს, შინსახკომის ორგანოებში ამ ადამიანს ქუდი, რომ შეუგდო გამოსატანად არ გაეკარება მას.

არის შემთხვევა როცა პარტიისა თუ კომკავშირის ორგანოებში მთელ რიგ ბრალდებებს უყენებენ მას, რომლის მონაწილე იგი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ყოველად შემძლე შიშის გამო, ის ბოლოს და ბოლოს „დეკლარაციითაც“ კი გამოდის; „ბოლშევიკურად“ ამხელს თავის თავს ეს უდანაშაულო ადამიანი.

ხშირად ნახავდით საბჭოთა პრესის ფურცლებზე, განსაკუთრებით 1924 წლის აგვისტოს დიდი სახალხო აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ზოგიერთ პოლიტიკური მომუშავის განცხადებას, რომ ის ეკუთვნოდა ამათუიმ პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკურ პარტიას მთელი 10—15 წლის განმავლობაში, მაგრამ ეხლა დარწმუნდა(?) რომ მისი იდეოლოგია აცდა სწორ გზას და ამიტომ იგი ყოველგვარ კავშირს წყვეტს თავის პარტიასთან, როგორც კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციასთან და დღეიდან სრული შეგნებით **(თუ შიშით?** ხაზგასმული ავტორისაა) დგება საბჭოთა პლატფორმაზე და სხვ. ასეთი „პლატფორმებზე" ჩამოხტომის შედეგები მრავალმა პოლიტიკურმა მოღვაწემ „იწვნია" თავის ზურგზე საბჭოთა საქართველოში.

შიშმა შექმნა ერთმანეთისადმი უნდობლობა, გაუტანლობა, უპატივცემლობა, დაბეზღება. თუ ორი მეგობარი შემთხვევით ბაასობდნენ ამა თუ იმ საკითხზე ანდა განსაკუთრებით აკრიტიკებდნენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას კერძო საუბრის დროს, ეს მეგობრები, იმდენად შეპყრობილნი არიან შიშით, რომ ერთმეორეს ასწრებდნენ დაბეზღებაში პარტიულ თუ საბჭოთა ორგანოების წინაშე.

ყოვლად შემძლე შიშს ჰქონდა ადგილი თვით ოჯახშიც, ოჯახის უფროსს ეშინოდა თავის მეუღლესთან საუბრისა ამათუიმ პოლიტიკურ თემაზე. შემდეგ როდესაც კომუნისტურმა პარტიამ გადმოისროლა ლოზუნგი სიფხიზლის შესახებ, შიშმა უფრო შეიპყრო საბჭოთა ადამიანი. თავისუფლად არ შეგეძლო მსჯელობა არამც თუ პოლიტიკურ საკითხებზე, არამედ როდი შეგეძლო გესაუბრა მეგობართან თუ გინდათ თეატრალურ დადგმაზე, სანამ ოფიციალური რეცეზენტი არ იტყოდა თავისი „აზრს" პრესის ფურცლებზე, რა თქმა უნდა ამის შემდეგ შეიძლებოდა ბაასი, პრესაში მოცემული შეფასების ჩარჩოში.

თუ დაგვალებდნენ ან გენდობოდნენ მოხსენების ან ლექციის წაკითხვას, რა თქმა უნდა, წინასწარ უნდა შეგეთანხმებინა იგი პარტიულ ორგანოსთან, რის შემდეგ შენი მოხსენებიდან არაფერი დარჩებოდა, მოხსენება უნდა დაგეწყო უსათუოდ სტალინის ბრძნული პოლიტიკის აღნიშვნით და უნდა დაგემთავრებია მისი პიროვნების შექებით. მთელი ლექციის თუ მოხსენების ყოველ მეოთხე სტრიქონზე უნდა გეხსენებია ბელადი, თორემ მოხსენება იდეოლოგიურად მოუღებელი აღმოჩნდებოდა.

შიშს მიჰყავდა ეს უამრავი მასა საერთო კრებებზე, მიტინგებზე, შიშით მიდიოდა ეს უამრავი მანქანა — ადამიანი დემონსტრაციაზე, შიშით ჩაუვლიდა ის მთავრობის ტრიბუნას, შიშის გამო შესძახებდა იგი საბჭოთა ლოზუნგებს, შიშით უკრავდა იგი ტაშს ამათუიმ პიროვნებას მოხსენებისა თუ სიტყვის წარმოთქმის დროს.

შიში ოჯახში, შიში დაწესებულებაში, პარტიულ ორგანოებში, შიში მიტინგზე, საერთო შეკრებაზე, შიში გარეთ, შიში მეგობრებთან საუბრის დროს „ვაი თუ რამე არ წამომცდესო". შიში ყველგან და ყოველთვის, ამის შემდეგ გასაგებია, თუ როგორ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საბჭოთა ადამიანი, როგორ შექმნეს მისგან „მანქანა-ადამიანი".

არ მახსოვს კარგად, მგონი ამერიკის მუშათა დელეგაციას ჰქონდა საუბარი სტალინთან საბჭოთა სისტემის შესახებ; მუშათა დელეგაციამ მას დაუყენა საკითხად, თუ რა ძალაა ის, რომელსაც ეს ზღვა ადამიანები (იგულისხმება საბჭოთა ადამიანები) მიჰყავს საერთო კრებებზე, კონფერენციებზე, მიტინგებზე, დემონსტრაციებზე. შიში ხომ არ არის ის ძალა, რომელიც ასეთი ინერციით მოჰყავს ეს მასა მოძრაობაში და სხვა... (ბოდიშს ვიხდი ამერიკელ მუშათა დელეგაციის წინაშე, თუ მისი საუბრის შინაარსი მასალების უქონლობის გამო შეიძლება დავამახინჯე)

შიშის გამოა სწორედ ის რომ ზოგიერთი საბჭოთა ადამიანი მოკლებულია პირდაპირობას, ეშინია დაპატიმრების, და აკეთებს ყველაფერს ოღონდ გადარჩეს, ოღონდ გაიტანოს თავი. უფრო პატივმოყვარენი და კარიერისტები ეწევიან მლიქვნელობას, ისინი სავსებით უსიტყვოდ ემორჩილებიან მათ. ესენი უფრო ახლოს არიან მმართველ პარტიასთან, ისინი ერთმანეთს ავსებენ და როცა საჭირო იქნება პარტია მათ „იყენებს" ამა თუ იმ პიროვნების წინააღმდეგ „მისასევად".

ზოგიერთი მათგანი მლიქვნელია და ამავე დროს თვით მეგობრობაშიც გაუტანელია იგი, მასში არ არის მეგობრობის ეთიკა, რადგან იგი ყველაფერს „ანგარიშით" აკეთებს. მას არა აქვს საკუთარი აზრი და შეუძლია აკეთოს მხოლოდ ის რასაც ეუბნებიან, ამიტომაა იგი მშიშარა, არა პირდაპირი, დამცინავი, ნერვიული, უხეში პასუხის მომცემი, ინტრიგანი, გაუტანელი, გამკბილავი, სხვისი ნებასურვილის უსიტყვო ამსრულებელი.

21 წლის განმავლობაში ბოლშევიკებმა მოახერხეს აღრევა შეეტანათ ქართულ რაიონდულ სულში; თუ სავსებით ვერ შესძლეს მისი დანგრევა, ნაწილობრივ მაინც გაბზარეს ქართული სულის, ზნეობისა და მორალის კედელი. გასაბჭოების შუა წლებში საქართველოდან გააძევეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები, ბევრი მათგანი პოლიტიკური მოსაზრებით საზღვარგარეთ მოყვა, შინდარჩენილები ზოგი დახვრიტეს, ზოგიც შორეულ ციმბირში სამუდამოდ გადაასახლეს, ვინც შინ დარჩა და ბრძოლაში დაიღალა, თუ ბრძოლას თავი დაანება, მონური დამორჩილების გზას დაადგა, რასაკვირველია დროებით, რადგან საქართველო შეიძლება დაიპყრო, მაგრამ ვერ დაამონებ მას, როგორც ეს განაცხადა ერთხელ ერთმა ევროპელმა პროფესორმა.

ასეთია შედეგი საბჭოთა სისტემისა, რომლის შესწავლა მოითხოვს მომავალ მკვლევარს, მე შევძელი მოგონებების საშუალებით, მომეცა საბჭოთა საქართველოს სახე; ეს ძალიან მცირეა, ეს არის მხოლოდ საკითხის დაყენება. მომავალ მკვლევარს ელოდება იგი.

ინგო ლაშაური.

ინგო ლაშაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიზმის ძირები და მისი გაბატონება რუსეთში

მთელი დედამიწის ზურგზე ბოლშევიზმმა მხოლოდ რუსეთში მოიკიდა ფეხი. თუმცა მრავალი იყო ცდა სხვა ქვეყნებშიც შეეტანათ ეს ახალი „მოძღვრება", სარგებლობდნენ რა მათში შექმნილი ხელ-საყრელი მდგომარეობით, მაგრამ იგი ყოველთვის დამარცხებით მთავრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში გამარჯვებული ბოლშევიზმი ყოველ-მხრივ ეხმარებოდა მის წარმატებას, როგორც იდეურ-მატერიალურად, აგრეთვე ცოცხალი ძალით. ევროპაში ზედი-ზედ სცადეს მოეხდინათ ამგვარივე ექსპერიმენტები, პირველი მსოფლიო ომის გათავებისთანავე, განსაკუთრებით დამარცხებულ ქვეყნებში: ავსტრიაში, უნგრეთში, სადაც საკმარისი იყო ბელა-კუნის მცირე დროის ბატონობა, რომ სისხლის ტბები დაეყენებინათ. ასეთივე ცდა მოხდა ბავარიაში. ბოლოს მოხდა „სპარტაკელების" გამოსვლა გერმანიაში, სადაც თითქონიადაგი მზად იყო „პროლეტარიატის დიქტატურის" დასამყარებლად, რადგან გერმანიაში ამ დროს ოთხი წლის ომის შემდეგ მძიმე საზავო პირობების გამო, მდგომარეობა მართლაც აუტანელი შეიქმნა. თუ მარქსიზმს ოდესმე გამარჯვება ბედად ეწერა, — ეს გამარჯვება სწორედ ამ დროს და აქ უნდა მომხდარიყო, რადგან ქვეყნის უმრავლესობას გაპროლეტარებული ნაწილი წარმოადგენდა და მეორე მხრივ, გერმანია მარქსიზმის სამშობლო იყო სადაც ჩაეყარა საძირკველი ამ იდეოლოგიას, რომელიც აღიარებდა, რომ მხოლოდ აქ იყო მოცემული „ობიექტური" და „სუბიექტური" პირობები სოციალისტური რევოლუციისათვის და არა ეკონომიურად ჩამორჩენილ რუსეთში. მიუხედავად ამისა, ვერც ძალმომრეობითი — აჯანყების საშუალებით ვერც დემოკრატიული — არჩევნების გზით ბოლშევიზმ-მარქსიზმი გერმანიაში ვერ გაბატონდა. გერმანიის ხალმა იგი არ მიიღო.

ასეთი ხელსაყრელი პირობები ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის ევროპის გამარჯვებულ ქვეყნებში გარდა იტალიისა, არ არსებობდა, ომისაგან გაღატაკებულ ამ ქვეყანას, თავისი მოკავშირეებისაგან მოტყუებულს, ბოლშევიზმის სენი საგრძნობლად მოედო, ანარქიამ ქვეყანა თითქმის მთლად მოიცვა. ნიტის დემოკრატიული-ლიბერალური რეჟიმი სრულიად მოუმზადებელი და უსუსური გამოდგა მის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვიდრე სახელმწიფოს მაგარი ხელი არ მოევლინა მუსოლინის სახით, რომელმაც ქვეყანა გადაარჩინა.

ევროპაში დამარცხებულმა ბოლშევიზმმა თავისი მოქმედების სარბიელი ახლა აზიაში გადაიტანა. ჩინეთი, მონღოლეთი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, თვით „იაპონიაც კი გახდნენ ასპარეზად მათი დაუბოლავებელი ცდებისა. რა საშუალებებს არ მიმართეს, რა სამოსელით არ სცადეს ამ, თითქოს ჩამორჩენილ ხალხთა, კომუნისტურ ქსელში გაბმა, რუსეთის გატყავებულ ხალთა რა რესურსები არ შეეწირა მათ განძრახვებს, მაგრამ ყველაფერი ეს ამაო გამოდგა. არც ერთმა ერმა ახალი „მესია" არ იცნო, არ მიიღო. აზიის ხალხთა ორგანიზმიც კი იმმუნი აღმოჩნდა ბოლშევიზმის ბაცილის წინააღმდეგ. არსად, რუსეთის გარეშე, არ გახდა ბოლშევიზმი მიმზიდველი ძალად, თვით ყოფილი ცარიზმის რუსეთის მრავალმა ხალხმაც კი იგი უარჰყო. პირველად გაემიჯნენ მას და კარანტინი გაავლეს საზღვარს ფინეთმა და ბალტიის სახელმწიფოებმა (ლიტვამ, ლატვიამ, და ესტონეთმა). თვით უკრაინის და კაზახთა ქვეყნების — ყუბანის, თერგის, დონის ხალხებსაც ეს სენი ვერ მოეკარა. კავკასიის ხალხებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, მით უმეტეს საქართველოზე, რომლის ბუნება ძირ-ბუდიანად ეწინააღმდეგება იმას, რასაც ეწოდება ბოლშევიზმი. დარჩა ბოლშევიზმის საბრძანებლად საკუთრივ წმინდა რუსეთი — ველიკოროსია — თავისი ცენტრებით მოსკოვით და პეტერბურგით. საგულისხმოა ამავე დროს, რომ ეს ძირი რუსეთისა, ბოლშევიზმის მიერ მარტო ძალმომრეობით კი არ იყო ხელში ჩაგდებული, არამედ იდეური იარაღით. ყველაფერიდან სჩანდა, რომ ველიკოროსიამ მიიღო იგი და შეისისხლხორცა. ეს ნათლად სჩანს სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების საყოველთაო არჩევნებიდან, რომელიც ბოლშევიზმის გაბატონების ორი თვის შემდეგ მოხდა და სადაც არჩეულ დეპუტატთა რიცხვის ერთი მესამედი ბოლშევიკები იყვნენ. **ისინი უმთავრესად არჩეული იყვნენ თვით საკუთრივ — წმინდა რუსულ მოსახლეობის მიერ — მოსკოვის, პეტერბურგის, სამარის, სარატოვის, კოსტრომისა და სხვა ველიკოროსული ოლქებიდან.** ამიტომ ბოლშევიზმს, მისი გაბატონების პირველ პერიოდში მაინც ერთნაირი გამართლება ჰქონდა. სამაგიეროდ ის საშინელი ძალმომრეობად გახდა დანარჩენ მოსახლეობის მიმართ და ამიტომ იყო, რომ ის ამ ხალებმა მოძალადეთ აღიარეს. მაგრამ ეს ხალხები ცალ-ცალკე დამარცხდნენ ბოლშევიზმთან იარაღით შეტაკებაში. ამის მიზეზი ერთის მხრით, ამ ქვეყნების გეოგრაფიულ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ. არა რუსი ერები დიდათ დაშორებულნი იყვნენ ერთი მეორისაგან, ერთმანეთის შველა, საერთო ორგანიზაციის შექმნა შეუძლებელი გახდა და, რაც მთავარია, აქ უდიდესი როლი ითამაშა ცარიზმის მზაკრულმა პოლიტიკამ, რომელმაც განაპირა ქვეყნების სრულიად უიარაღოთ დასტოვა, და თავის დროზე გარკვეული მოსაზრებითვე არავითარი სამხედრო ინდუსტრია არ შექმნა. აი, სად უნდა ვეძიოთ ჩვენ უმთავრესი მიზეზი ამ ხალხთა დამარცხებისა ბოლშევიკურ ძალებთან ბრძოლაში და კერძოთ საქართველოს დამარცხებაც. ძველმა რუსეთის მმართველობამ სრულიათ შეგნებით და განძრახ მოუყარა თავი იარაღის ქარხნებს მხოლოდ ცენტრებში, უმთავრესად მოსკოვის და პეტერბურგის გუბერნიებში. და ეს გარემოება საუკეთესოდ გამოადგათ ამ ცენტრებში გაბატონებულ ბოლშევიკებს. ამ რიგათ ჩვენ ვხედავთ ზემო-ნათქვამიდან, რომ ბოლშევიზმი წმინდა მოვლენაა. ის წარმოიშვა წმინდა რუსეთში, იქ გაბატონდა იგი და შემდეგში შესძლო მან დამორჩილება ძველი რუსეთის სხვა არა რუსული ნაწილებისა სრულიად გასაგებ მიზეზთა გამო.

ისმება ბუნებრივად საკითხი — შემთხვევითი მოვლენაა ეს, თუ მას რაიმე საფუძვლის უდევს? რაა მიზეზი, სად უნდა ვეძიოთ იმის ახსნა, რომ რუსის ხალხი მთელ მსოფლიოში განცალკავებული სდგას? ამ ამოცანის ასახსნელად უნდა მივმართოთ თვით რუსის ხალხის განვითარების თავისებურობას, მის ისტორიას, მის ფსიქიკას და ბოლოს მის ლიტერატურას, რომელშიც, როგორც სარკეში გამოიხატა მისი თავისებური განვითარება.

1.

რუსეთის ისტორიის წყაროები გადმოგვცემენ, რომ მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარშიც კი, 860 წლ. შინაური არევ-დარევით და უწესოებით გაწვალებული პატარა სამთავროები იძულებულნი გახდნენ უცხო ძალისათვის მიემართათ, რათა მათ ქვეყანაში წესრიგი და კანონიერება დაემყარებინათ. შვეციის ვარიაგთა მთავარ რიურიკთან მისული რუსის მთავრები სთხოვენ მას მობრძანდეს და მოუაროს მათ, რადგან, „ჩვენი ქვეყანა დიდია და გულ-უხვი, მაგრამ არავითარი წესი არ არის იქ". მოკლედ, რუსეთის სამფლობელობის წესრიგის დამყარება შინაური ძალებით დასაწყისდანვე შეუძლებელი შეიქნა, ასე გაგრძელდა დიდხანს ჩვენს დრომდე და **ასევე ბატონობს იქ უცხო ძალა დღესაც.**

ვიდრე კიევის სამეფო დაემხობოდა, მდინარე ოკას მიდამოებში დაარსდა ვლადიმერის სამეფო. თვით **მოსკოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშენებული იქნა მე-12 საუკუნის დასასრულს, როგორც სამეფოს დასავლეთის საზღვრის ციხე-სიმაგრე. მონღოლთა შემოსევის დროს რუსეთის მთავრებმა თავიანთი რეზიდენცია მოსკოვში გადაიტანეს, სადაც მონღოლთა დიდი ხანის მოადგილეთ და მისი ბრძანებების აღმასრულებლად ითვლებოდნენ. მონღოლთა გაბატონებით დაირღვა ის კულტურული გავლენა, რომელიც რუსეთზე ევროპიდან მოდიოდა. ამ ბატონობამ რუსეთის ხალხს თავისი წაუშლელი დაღი დაასვა. რუსულმა ელემენტმა მონღოლებისაგან შეითვისა არა მარტო კარგი თვისებები — რაინდობა, ორგანიზაციული ნიჭი, არამედ ბევრი უარყოფითი მხარეებიც: ბედისადმი მორჩილება, ფლიდობა, მოტყუება. გაუტანლობა, სიმხეცე. ერთი გერმანელი მწერალი ამბობს, რომ თვით ის ხერხი და საქციელი, რომლითაც რუსის მთავრები „ოქროს ორდას“ წინაშე დაწინაურებას ცდილობდნენ და მათგან წყალობას იღებდნენ, ისე დამამცირებელი იყო ადამიანური ღირსებისათვის, რომ ევროპის მეზობელ ხალებში ზიზღს და სირცხვილს იწვევდაო. ამნაირი დამამცირებელი საქციელით მიაღწია იოანე მრისხანემ მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს რუსეთის პირველი მთავრობას. მისი სამეფო იყო ნამდვილი აზიური დესპოტიური შენობა ყველა თავისი უარყოფითი თვისებებით. იოანე მრისხანეს ხანას რუსეთის ისტორიაში მოჰყვა ცნობილი, ეგრეთ წოდებული „აღრევის ხანა“, რომელმაც რუსის ხალხის თვისებების ჩამოყალიბებაზე ზედ-მეტად უარყოფითად იმოქმედა. ერთის სიტყვით, რუსის ხალში მრავალი მონღოლური ელემენტი შეზავებულია სლავიანურ მოდგმის ნეგატიური თვისებებთან. თვით მაქსიმ გორკი ერთ თავის ნაწერში ამბობს: „რუსის თავის ქალა, რომ გადაფხიკოთ „ბასურმანი“ დარჩებაო“. ამ ისტორიულ ფაქტორს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ რუსებმა ქრისტიანობა ძალიან დაგვიანებით მიიღეს — მეათე საუკუნეში. მან ვერ მოასწრო ღრმად გამჯდარიყო რუსის ბუნებაში მონღოლთა რამოდენიმე საუკუნის ბატონობის გამო, და ვერ შეასრულა ის უდიდესი ჰუმანიური როლი, რაც მან ხალთა ზნე-ჩვეულებების გარკვეულ მორალურ წარმოდგენების ჩამოყალიბებაში ითამაშა. ქართველმა ხალხმა კი ქრისტიანობა მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში — ე. ი. ექვსი საუკუნით ადრე მიიღო და კათალიკოს კირიონის მტკიცებით რუსთა გაქრისტიანებაში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის.

რომანოვების დინასტია, რომელიც 1613 წელს გამეფდა, ხოლო უმთავრესად პეტრე დიდი, ცდილობს ევროპიული რეფორმების გატარებას ცხოვრებაში, მაგრამ ისიც იძულებულია აზიური, დესპოტიური მეთოდების საშუალებით განახორციელოს ქვეყნისათვის ასე საჭირო რეფორმები. რუსის ბუნება საშინელ წინააღმდეგობას უწევს გაევროპიელებას. პეტრე დიდის აზრით, სანკტ-პეტერბურგის აშენება სიმბოლიური უნდა გამხდარიყო რუსთა სამეფოს გაევროპიელებისა. საინტერესოა, რომ პეტრე დიდი სხვა ქალაქებსაც და პალატებსაც გერმანულ სახელებს არქმევს ორანიენბაუმ, პეტერჰოფ, შლუსელბურგ. ის ხელს უწყობს გერმანული ელემენტის ჩათესვას რუსეთში, ამას აგრძელებენ მისი მემკვიდრეებიც, მაგრამ ამაოდ. პეტრე დიდი იყო უდიდესი რეფორმატორი, მაგრამ მისმა ნამოღვაწარმა ვერ შესძლო რუსის ხალხის მონღოლურ-სლავიანურ შინაგან ბუნებაში შეჭრა. ამიტომ უცხოელი, რომელიც სანკტპეტერბურგში მგზავრად გაივლიდა და ფიქრობდ, რომ ის რუსეთს უკვე იცნობს, შემცდარი იყო, ვინაიდან ნამდვილ რუსისათვის პეტერბურგი ყოველთვის უცხო იყო. სწორედ ამიტომ მალე, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, რუსეთის სატახტო ქალაქად ისევ მოსკოვი გამოცხადდა და პეტერბურგს ლენინგრადი დაერქვა. მივაქციოთ ყურადღება, მოსკოვი ლენინისათვის სატახტო ქალაქის მოსკოვში გადატანით რუსეთი დაუბრუნდა აზიას, მონღოლთა ხანას, მხოლოდ ახალ სამოსელში — სოციალისტური ფრაზეოლოგიით.

ცარიზმის რუსეთი მხოლოდ გარეგნულად იყო ევროპიული სამეფო. შინაგანი რღვევა იქ თავისი გზით მიდიოდა. როდესაც პეტრე დიდი თავის შვილს ახრჩობს და ამით იოანე მრისხანეს საქციელს იმეორებს, როცა იმპერატორი პავლე თავისი ჯარისკაცებს „აროზგინებს“ და ხვრეტავს, როცა ალექსანდრე პირველი მამის მკვლელობაში იღებს მონაწილეობას, ხოლო პეტრე დიდის ყველა მემკვიდრეები საწამლავით არიან მოშორებულნი ტახტს — აქ მონღოლური მეთოდები არიან მოქმედებაში.

კაპიტალიზმის შეჭრა რუსეთის ცხოვრებაში მთლად არღვევს ამ აზიურ შენობას. ალექსანდრე მეორე, რომელიც ევროპიულ რეფორების შემოტანას ჰბედავს, გლეხებს ანთავისუფლებს ბატონყმობისგან, შედარებით სამოქალაქო თავისუფლების მინიჭებას ჰფიქრობს თავისი ქვეშევრდომებისათვის, უმადური ხალხისგან მოკლულ — იქნა. მოწინავე მმართველი წრე განიცდის დეგენერაციას და კონსტრუქტიულ შემომქედებისათვის აღარ ვარგა. პირველი მსოფლიო ომი ულებს კარებს ევროპიულ ჯებირებს და მონღოლურ-ბოლშევიკური ტალღები ჰფარავენ მთელ უშველებელ ქვეყანას. დგება იოანე მრისხანეს ხანა, მონღოლური ტრადიცია იმარჯვებს ევროპიულზე და ის რაც რუსეთის ხალხს კიდევ დარჩენია კარგი, საღი, იგი ბოლშევიკური სისასტიკით, გაუგონარი სადიზმით ითრგუნება. რუსი-ადამიანი ხდება უბრალო მასალად, რომლისგანაც ახალი რეჟიმი ჰქმნის ადამიანს — მანქანას.

2.

რუსეთის ხალხის ეს თავისებური განვითარება და მდგომარეობა, მისი ფსიქიურ-სულიერი ჩამოყალიბება, საუკეთესოდ გამოხატა რუსულმა ლიტერატურამ, როგორც მხატრულ-ბელეტრისტულ-პუბლიცისტურმა, ისე პოლიტიკურმა. იგი ნამდვილი სარკეა რუსული ცხოვრების, რუსი ადამიანის შინაგანი არსის. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ორი დიდი მწერალი დოსტოევსკი და მაქსიმ გორკი, რომელთა ნაწარმოებში გასაოცარი პირდაპირობით, ახდილობით, დაუნდობლობით და სიძლიერითაა მოცემული რუს-ადამიანის სულიერი სიშიშვლე, გაორება, უცნაურ უკიდურესობაში გადავარდნა.

ამასთან ერთად რუსის ბუნებას ახასიათებს: ანარქიულობა, მაქსიმალისტობა, სიძულვილი ყოველივე წესრიგისადმი. ეს თვისებები ხშირად დამახინჯებულ სახეს ღებულობენ, რომლის მსგავსი არც ერთს ერს არ მოეპოვება. ეს არის რუსი ადამიანის „გაბოსიაკება“, „გახულიგნება“. „ბოსიაკად“ ხდება ყველა წრიდან და მდგომარეობიდან გამოსული რუსი. ადამიანი ნიჭიერი განათლებული, კარგი მდგომარეობით, მაღალი საზოგადოებიდან გამოსული, უცბად ეშვება, არაყის მსხვერპლი ხდება და საბოლოოდ იღუპება, მოძულებული საზოგადოების მიერ. თავის მხრივ ის გაბოროტებულია, მისი სული აბობოქრებულია და უკიდურესი სიძულვილით გაჟღენთილი საზოგადოების წინააღმდეგ. ასეთია მაქსიმ გორკის „ნა დნე“-ს გმირები:

სატინი რომელიც ამტკიცებს, რომ „ქვეყანაზე ყველაზე უკეთესი ხალხი ჯიბგირ-ქურდებია, რომ ადამიანისათვის შრომა, როცა იგი ვალდებულებაა, მონობაა“,

პეპელი, — „რომელიც ამბობს; რა საჭიროა პატიოსნება, სინიდისი. მას ჩექმის მაგივრად ვერ ჩავიცვამ. ყველაფერი ეს ესაჭიროება მას, ვისაც უფლება აქვს, ძალა“,

პოლიციელი მედვედევი, რომელსაც უკვირს, რატომაა საჭირო გაშველება ხალხის, როცა ისინი ქუჩაში ერთმანეთს ამტვრევენ. — „გაუშვით, თავისუფლად იჩხუბონ რამდენიც უნდათ. როცა დაიღლებიან, გაჩერდებიან. შემდეგისათვის მოაგონდებათ დაბეგვილი ფერდოები და ნაკლებად წაეკიდებიან ერთმანეთსო“ — ამბობს იგი;

ან **მსახიობი**, რომელიც აცხადებს: ბატონებო „თუ სიმართლისათვის ქვეყანას გზა ვერ უპოვნია, პატივი შეშლილს, რომელიც კაცობრიობას ოქროს სიზმარს დაანახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებს. თუ ხვალ მზეს დაავიწყდება ქვეყნის განათება, მას გაანათებს რომელიმე **შეშლილ-გადარეული აზრი**".

ამ ტიპებში, რომელნიც რუსულ საზოგადოების საშინელ დაავადმყოფობას გამოხატავენ, ჩამარხულია უკიდურესი ჯანყი მთელი საზოგადოების, განათლების წინააღმდეგ.

ევროპის კულტურის სიძულვილი მარტო მაქსიმ გორკის პერსონაჟებს არ ახასიათებთ. დოსტოევსკიმ მოგვცა ასეთი სცენა თავის ნაწარმოებში — „დამცირებულნი და შეურაცყოფილნი". კარპ ვასილიევიჩი და სტეპან ტერდტიევიჩი პარიზის ერთი ქალის საუკეთესოდ მოწყობილი სალონში, რაღაც უცნაური სურვილით, ჟინით, ძვირფას სარკეს ამტვრევენ. დიასახლისის შეწუხებაზე ამ განძის დაკარგვის გამო სტეპან ტერენტიევიჩი დამამშვიდებლად ეუბნება: „მადამ ჟუბერტ, აი ფული, აიღეთ რამდენიც გინდათ, მხოლოდ ჩვენს ზნეს ხელს ნუ უშლით".

იგივე დოსტოევსკიმ თავის რომან „ძმები კარამაზოვებში" გენიალურად განსჭვრიტა რუსეთის შემდეგი განვითარება. მან გადაგვიშალა სრული სურათი იმისა, რაც 1917 წ. 25 ოქტომბრიდან დაიწყო, გვიჩვენა ის უფსკრული, რომელიც რუსეთსა და ევროპას შორის ძევს, და წინასწარმეტყველურად წარმოადგინა ის სურათი, რომელიც ეხლაა გადაშლილი, როცა ევროპის გაერთიანებულ ძალთა ბრძოლა ხდება რუსული ბოლშევიზმის წინააღმდეგ. დოსტოევსკი ამ სურათს ბრალმდებელ იპოლიტ კრილოვიჩის და დამცველის ფიუტკოვიჩის სიტყვებით გვიხატავს მიტია კარამაზოვის პროტესტზე, რომელსაც მამის მკვლელობა ბრალდება.

ბრალმდებელი იპოლიტ კირილოვიჩი ამბობს: „ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ისაა, რომ მრავალი ჩვენი ნაციონალური სისხლის დანაშაულობანი მეტყველებენ სწორედ ჩვენს საერთო, საზოგადო უბედურობაზე, ჩვენთან შესისხლხორცებულ ბოროტებაზე, რომლის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, სჩანს, ჩვენ ძალა აღარ შეგვწევს. დიახ! რუსულ სისხლის დამნაშავეთა ფსიქოლოგიას შეისწავლიან შემდეგში ალბად საუკეთესო მოაზროვნენი ჩვენი და ევროპისა. ეს საგანი ღირს იმათ, რომ შესწავლილ იქნას. გასული საუკუნის უდიდესი ჩვენი მწერალი (გოგოლი) მისი შემოქმედების ფინალში რუსეთის ცხოვრებას ადარებს თავშეუკავებელი „ტროიკის" ქროლვას, რომელიც მიილტვის რაღაცა გამოუცნობელ მიზნისაკენ და ამბობს ამაყად უმატებს, რომ ამ „ტროიკას" ქროლვის წინ პატივით იხრიან თავს სხვა ხალხები, არიდებენ რა მას თავს. ბატონებო, მე არ ვიცი პატივით თუ სხვა მოტივით არიდებენ თავს უცხო ხალხები ამ რუსული „ტროიკის" დოღს, მაგრამ მე ცოდვილი ვფიქრობ, რომ გენიალურმა ხელოვანმა დაათავა ასე თავისი მშვენიერი აზრი, ვიტყოდით ჩვენ, ახალგაზრდული "გულ-უბრყვილობით, ვრცელდან მის „ტროიკაში", რომ შევაბათ ყველა მისი გმირები: სობაკევიჩები, ნოზდრიოვები, ჩიჩიკოვები, მაშინ, ვინც კი არ უნდა დავსვათ მეეტლედ, არაფერი საკეთილო არ გამოვა რა. ბატონებო, ნუ სტანჯავთ რუსეთის სხეულს, ხალხს და მის მოთმინების უნარს. **საბედისწერო „ტროიკა" მიჭრის, რაღაცა გიჟური თავდავიწყებით და სადღაც უფსკრულში გადიჩეხება. უკვე დიდი ხანია რუსეთის მრავალ მხრიდან შემოგვლაღადებენ შევაჩეროთ ეს გადარეული, უპატრონო დოღი და თუ სხვა ხალხები თავს არიდებენ ამ შეშლილ „ტროიკას" არა მისი პატივისცემისათვის, როგორც ეს პოეტს სურდა წარმოედგინა, არამედ შიშის გამო. გთხოვთ ეს კარგათ დაიმახსოვროთ. შიშის, ან უკეთ ზიზღის გამო მისადმი. კიდევ კარგი, რომ თავს არიდებენ, მაგრამ შესაძლებელია თავს კი აღარ მოარიდებენ, არამედ მაგარი ხელით შეაჩერებენ ამ რუსულს, გაგიჟებულს დოღს ჩვენი გათახსირებისა, საკუთარი თავის დასაცავად, განათლების და ცივილიზაციის გადასარჩენად. ყველაფრიდან სჩანს, რომ იქ (ევროპაში) უკვე იწყებენ ხმის ამაღლებას. ასეთი გამაფრთხილებელი ხმები უკვე გვესმის ევროპიდან. ნუ იწვევთ თქვენი საქციელით ევროპას რუსეთის საწინააღმდეგოთ?.** დამცველი ფეტიუკოვიჩი კი აცხადებს, რომ — **„ის რაც სხვა ხალხებისათვის ცარიელი სიტყვაა ან სასჯელი, ჩვენთვის რუსეთისათვის აზრია, სული, ჩვენი ხსნა და ახლად დაბადება, და თუ ეს ასეა და თუ ასეთია რუსეთი და მისი სამართალი, მაშ, წინ რუსეთის ხალხო, ნუ გვაშინებთ თქვენი შეშლილი „ტროიკით", რომელსაც ზიზღით ერიდებიან ევროპის ხალხები. არა გაშმაგებული „ტროიკა", არამედ დიდებული კავალვადა ზეიმით და წყნარად მიაღწევს თავის დასახულ მიზანს".**

აქ ამომწურავად წარმოდგენილია ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობა: ერთი წმინდა რუსული, სლავიანოფილური, რომელიც აღიარებდა რუსეთის განსაკუთრებულ დანიშნულებას კაცობრიობის წინაშე, მის მესიანობას, მეორე — ევროპული, „ზაპადნიკური", რომელიც აღიარებდა, რომ რუსეთის განვითარება უნდა წასულიყო ევროპის გზით.

ბაკუნინი და სხვა რევოლუციონერები 60 წლების სწერდნენ, რომ რუსეთის ხალხი განსაკუთრებული ისტორიული განვითარების გამო ანარქიულია, ანტი სახელმწიფოებრივი, არაა შეპყრობილი ბურჟუაზიული ცრუმორწმუნოებით. მისი კავშირი სახელმწიფოსთან გარეგანია, არაორგანიული. ის მხოლოდ ბეგარას, გადასახადს იხდის და სახელმწიფოს უცხოდ სთვლის. მისი შინაგანი მსოფლიო მხოლოდ „ობშჩინაა" და ბაკუნინი ფიქრობდა, რომ ეს ბუნებრივი ანარქიული იდეალი რუსეთის ხალხისა წასაბაძი უნდა ყოფილიყო დასავლეთისათვისაც. იგი და ჰერცენი სთვლიდნენ, რომ „ობშჩინური", იდეალური მმართველობა უკეთესი ფორმა იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპის მიერ შექმნილი მმართველობის ფორმა.

პირველი სლავიანოფილი უკატერინე მეორეს მოხელე ბელტინი სწერდა, რომ რუსეთის ბუნება თავისებურია და დასავლეთის მართველობა მას არ გამოადგებაო. ეკატერინე მეორე ამ შეხედულებას იზიარებდა და რუსეთის ჩამორჩენილობა მას მიაჩნდა (ოღონდაც) უკეთესად, ვიდრე ევროპის კულტურული განვითარება. დიდრო, ფრანგი მწერალი, კვერს უკრავდა ეკატერინეს და აცხადებდა, რომ რუსეთის ჩამორჩენილობა მისი უპირატესობაა(?!)

ამასვე აღიარებს ფონ-ვიზინი, რომელიც საფრანგეთიდან 1778 წელს სწერს: „აქ დაიწყეს ჩვენზე ადრე ცხოვრება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ რომ ეხლა ვიწყებთ ცხოვრებას, შევქმნით ისეთ ფორმას, რომელიც ჩვენ მოგვეწონება, რითაც ავიცდენთ ყველა იმ არა სასურველ მხარეებს, რომელიც დასავლეთს აქვს. მე ვფიქრობ ისაა ბედნიერი ვინც იბადება (რუსეთი) და არა ის ვინც კვდება (ევროპა). ჰერცენის აზრით: „რუსეთის „ობშჩინის" არსებობა საფუძველია სოციალიზმის, კომუნიზმისა ქალამანში, კომუნიზმისა ჩამორჩენილი, გაუთლელი გლეხისა". ამავე შეხედულებებისა იყვნენ ჩერნიშევსკი, მიხაილოვსკი. ბაკუნინი 1868 წელს ასეთს ფორმულას იძლევა: „ასეთი ახალგაზრდობით, რომელიც პრინციპიალურად მომხრეა არსებული მდგომარეობის მოსპობისა, სოციალური ინსტიქტით, ბუნებრივი რევოლუციონერობით — რევოლუცია აუცილებელია. პეტრე ტკაჩევი სწერდა: „მართალია, ჩვენ არ გვყავს პროლეტარიატი, მაგრამ არა გვყავს აგრეთვე ბურჟუაზიაც. ჩვენი ხალხი გაუთლელია, ეს არის ფაქტი, მაგრამ მისი დიდი ნაწილი ინსტიქტიურად სოციალისტია, ტრადიციით. მაშ ნათელია, რომ მიუხედავად მისი გაუთლელობისა, ის უფრო ახლოა სოციალიზმთან, ვიდრე დასავლეთი, თუმცა ის უფრო განათლებულია. ერთი ორი სამხედრო დამარცხება, აჯანყება ყველა გუბერნიებში ერთ და იმავე დროს, აჯანყება სატახტო ქალაქში ფინდ მშვიდობიანობის დროს და სახელმწიფოს გავლენა სწრაფად გაქრება და მთავრობა დაინახავს თავს განმარტოვებულად, ყველასაგან მიტოვებულად. როგორც სჩანს რუსეთს ამ მხრივ უფრო მეტი შანსები აქვს, ვიდრე დასავლეთს, კერძოთ გერმანიას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთია ის კონცეპცია, რომელზედაც აღიზარდა მრავალი თაობა რუსეთის ახალგაზრდობისა. ამ პრიმიტიულ კონცეპციის თანახმად ის მეთოდებიც, რომლითაც ერთმა ჯგუფმა, აქტიურმა რევოლუციონერებმა „ბედნიერება“ უნდა მოუტანოს რუსეთის ხალხს და ევროპასაც, უბრალოა და მარტივი: ყუმბარა, დანა, მკვლელობა, ჯანყი და სოციალისტური რევოლუცია. აი დაუგდოთ ყური რასა სწერს ამ თეორიის ერთი უკიდურესი მქადაგებელი ნეჩაევი: „გაანადგურე ყველა მოწინააღმდეგე ფიზიკურად და თუ საჭიროა მოსჭერი ენა. რომ საწინააღმდეგო აღარ ილაპარაკოს“ სტალინი უფრო შორს მიდის, ის ჰფიქრობს, რომ თუ გინდათ მოწინააღმდეგე მოიშოროთ, ამისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა თავი მოაჭრა მას, თქვენ იცით ამის შემდეგ, რომ ის გაჩუმებულია და ვეღარას გავნებს. ნეჩაევი აცხადებს, რომ რუსეთში ნამდვილი რევოლუციონური ელემენტი — ეს ყაჩაღებია. ისინი რევოლუციონერებია უფრაზოდ, არა მწიგნობრივი რიტორიკით. დაუღალავნი, შეურიგებელნი. ვისაც რუსეთში უნდა კონსპირატიული მუშაობა აწარმოვოს, ის ვალდებულია მივიდეს ამ ავაზაკ-ყაჩაღთა სამყაროში. არ ვეთანხმებით სხვა ფორმას ჩვენი მოღვაწეობისა გარდა ამოჟლეტისა, დანგრევისა და განადგურებისა, ჩვენ თანახმა ვართ, რომ ამის ფორმები იქნება სხვა და სხვა: საწამლავი, დანა, სახრჩობელა და სხვა. აი ასპარეზი სამოქმედოთ. ამას უწოდებენ ალბად ტერორიზმს, ასეთ მოქმედებას მიაკრავენ მაგარ სახელს, მაგრამ არა უშავს რა. ჩვენ არავითარ კომპრომისზე არ წავალთ მათ მიმართ, რომელნიც არიან განწირულნი დასალუპად. ჩვენმა თაობამ უნდა მოამზადოს და დააკავშიროს არაფრის არ დამნდობი, ტლანქი ძალა და წავიდეს გაუჩერებლივ დანგრევის და განადგურების გზაზე. მაშ ასე, დაე ყველა ჯანსაღი, ახალგაზრდა დაუყოვნებლივ შეუდგეს წმინდა საქმეს ბოროტების მოსპობას, დანგრევას განათლებისას და გაწმენდას რუსეთისა დედა მიწის ცეცხლითი და მახვილით, ძმურად შეუერთდება რა ყველა იმათ, ვინც ამასვე განაგრძობს აგრეთვე ევროპაში“. ეს წაგავს საფრანგეთის კონვენტის წევრის, ფოსტის მოხელის დრუეს თქმას, როელიც მოუწოდებდა ყველას, რომ ხალხის გასაბედნიერებლად ყველანი ყაჩაღებად გამხდარიყვნენ. კონვენტმა მას ერთხმად ზურგი შეაქცია მაშინ, მხოლოდ ეხლა ლენინ-სტალინმა რუსეთში ეს ანდერძი ნეჩაევისა და დრუესი განახორციელეს. თუ პირველი თეორეტიკოსი რევოლუციონურ ტერორისა მარატი დასაწყისში ითხოვდა მხოლოდ 500 თავს კონვენტისაგან, შემდეგში კი იგი 200.000-მდე აიყვანა; ლენინმა, სტალინმა ეს რიცხვი რუსული მაშტაბით მილიონობით გაზარდა. მათ არ სჭირდებოდათ საფრანგეთის მაგალითი. თვით რუსეთში იოანე მრისხანემ მე-16 საუკუნეში აწარმოვა მასიური ტეროორი თავისი ოპრიჩნიკებით, ლენინ-სტალინმა მას ახალი, მოდერნული სახელები მისცეს — ჩეკა, გეპეუ, ენკავედი, და სხვა. განსხვავება მხოლოდ იოანე მრისხანეს და ბოლშევიკებს შორის ის არის, რომ იოანე მრისხანე თავს აყრეკინებდა თავის ქვეშევრდომებს უმოწყალოდ, თვითმყრობელობის გასამტკიცებლად. მისი მიზანი იყო უფრო რეალური, ვიდრე ლენინ-სტალინის, რომელთაც „კომუნიზმის“ დამყარებისათვის ნეჩაევის ავადმყოფ ფანტაზიას ბევრად გადააჭარბეს.

3.

ასეთია ისტორიული განვითარება რუსეთის ხალხისა; იგი მართლაც თავისებურია, მხოლოდ არა პოზიტიური ელემენტებით აღსავსე, მდიდარი, არამედ მრავალი ნეგატიური გამოვლინებით. რაც მოხდა 1917 წ. 25 ოქტომბერს რუსეთში, მრავალ საუკუნეების მანძილზე მზადდებოდა, იმყნობოდა, ხალხის გულში გროვდებოდა, ფესვებს იღვამდა და გამოსავალს ეძებდა. მმართველი წრის, ხელმძღვანელი ნაწილის მოვალეობა იყო ნორმალური გამოსავალი მოენახა. ის წრე საზოგადოებისა კი, რომელიც ამ დამღუპველ განვითარების ტენდენციებს ნათლად ხედავდა (როგორც დოსტოევსკი), ძალიან ვიწრო იყო და გავლენას მოკლებული, თუმცა არც ამ პატარა ნაწილმა იცოდა, რა წამალი იყო საჭირო მოსალოდნელი უბედურებისაგან ქვეყნის გადასარჩენად. არ კმაროდა ავადმყოფობის შემჩნევა, საჭირო იყო სათანადო, რადიკალური ზომების მიღება. ეს კი არა სჩანდა. პირიქით, მმართველი წრე ისეთი არ აღმოჩნდა, რომ ქვეყნის სერიოზული მდგომარეობა ნათლად წარმოედგინა. ზომები, რეფორმები, რომელსაც ქვეყნის მდგომარეობა დაუყოვნებლივ თხოულობდა, ან დაგვიანებული იყო, ან გაუბედავი, მერყეევი. იმის მაგიერ, რომ ამ უშველებელი ტერიტორიის ცხოვრება მოეწესრიგებინათ, მიზან შეწონილი ზომებით შეექმნათ კანონიერება როგორც ცენტრში ისე პერიფერიებში, რომელიც ცენტრალურ მმართველობას დაუახლოვებდა, ორგანიულად გადაბამდა, ერთად ერთ ყოვლის გამკურნებელ ზომად იყო მიჩნეული ისედაც უზომოდ გაწეული ტერიტორიის გაფართოვება. ეს იყო რუსეთის პოლიტიკის სიბრძნეთ გამოცხადებული. ამის გამო დაუსრულებელ ომებში ჩათრევა, ევროპის საქმეებში მუდმივი ხელის ფათური და ინტრიგების მოწყობა, რომლის გამო რუსეთი ევროპის ჟანდარმად იქმნა მონათლული საუკეთესო მოაზროვნებისა და მოღვაწეების მიერ.

ამ იმპერიამ პირველი გამაფრთხილებელი მუჯლუგუნი მიიღო რუსეთ-იაპონიის ომის დროს, ცუსიმაში, სადაც მისი საუკეთესო ფლოტი იქმნა განადგურებული, პორტარტურსა და მუკდენში. 1905 წ. 9 იანვარს მღვდელ გაპონის მიერ ჯვრებით, ხატებით და რუსული ნაციონალური დროშებით მოწყობილმა მანიფესტაციამ ნიკოლოზ 2-ისთვის ხალხის სურვილების გადასაცემად — პეტიციის სახით, რომელიც საშინელი სისხლის ღვრით დამთავრდა, საბოლოოდ ჩაანგრია ხიდი მეფესა და ხალხს შორის. რუსეთი შეინძრა. ვულკანი, შიგნით დუღდა და ყოველ წუთს ამოხეთქას ლამობდა. ნიკოლოზ მეორის მმართველმა წრემ შესძლო ამ სტიქიის გარეგნულად შეჩერება და ცხოვრების ძველ კალაპოტში მოქცევა, თუმცა მაინც გახდა იძულებული ამ ვულკანისათვის ზოგიერთი ვენტილები გაეკეთებია სახელმწიფო „დუმის“ და პატარა რეფორმების სახით. ცხადი იყო, რომ ეს ზომები გამოუსადეგარი დარჩა იმ ტკივილების მოსარჩენად, რომელიც საუკუნოებით იზრდებოდა. ამნაირად, ქვეყანა უცდიდა მეორე მუჯლუგუნს და მასაც აღარ დაუყოვნებია. ეს იყო პირველი მსოფლიო ომი. თუ 1904—5 წწ. რუსეთის დაობებული რეჟიმის შენჯღრევის მიზეზი იაპონია იყო, 1901—17 წწ. მისი დანგრევის მიზეზი გერმანია გახდა. ამ ნგრევას საფუძველი დაედო ჯერ ტანენბერგში და შემდეგ კარპატებზედ, სადაც მიაღწია რუსეთის ტალღებმა ევროპაში შესაჭრელად, მაგრამ სადაც ერთი მაგარი დარტყმით უკუგდებული იქნა გერმანიის ლაშქრის მიერ 1917 წ. 28 თებერვალს ვერ გაუძლო რა ამ სამხედრო-პოლიტიკურ გამოცდას, ხელისუფლება განმარტოვებული დარჩა, როგორც ხალხისაგან, ისე „ქრისტეს-მოყვარე“ მხედრობისაგან. თებერვლის რევოლუცია უსისხლოთ დამთავრდა. მისი ვალი იყო ამ თავისი გამარჯვებით გონიერად ესარგებლა და დაავადმყოფებულ სხეულისათვის, რომელმაც მძიმე ქირურგიული ოპერაცია გამოიარა 2 ½ წლის ომით და რევოლუციონური შენჯღრევით, განვითარების სათანადო პირობები შეექმნა. აი სწორედ ეს ვერ მოხდა ობიექტურ და სუბიექტურ“ მიზეზთა გამო. ობიექტური მიზეზი იყო ძველი ისტორიული სნეულობა, რომელიც თან დაჰყვა თავიდან დიდ რუსეთის შექმნას, სუბიექტური მიზეზი კი **თვით რევოლუციის რეჟისორების** უსუსურობაში, სისუსტესა, უსაქმობაში — ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრით — რევოლუციაში ყოველ ჯურისა და მოდგმის, შინაური და უცხო უკიდურეს მაქსიმალისტურად განწყობილ ელემენტების აქტიურად ჩარევაში მდგომარეობდა. მაშინ დაუდგა საუკეთესო **დრო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინს, მას გადაეშალა ხელსაყრელი ასპარეზი „სამოქმედოთ“. ის ხომ დარწმუნებული იყო, რომ საკმარისია ერთი პატარა რევოლუციონური ჯგუფის ჩამოყალიბება ერთ მტკიცე ცენტრად, რომ რუსეთში ყოველგვარი გადატრიალება შესაძლებელი გახდეს. აი რასა სწერს ამ საგანზე თვით ლენინი: „მთავარია ცენტრი რევოლუციონური მუშაობისათვის... მომეცით ორგანიზაცია რევოლუციონერების და მთლად გადავატრიალებ რუსეთს... მუშები? ისინი უნდა გამოვიყენოთ რევოლიუციისათვის“. ასეთია ლენინის პრიმიტიული შეხედულება რევოლუციის წარმოშობაზე. თებერვლის რევოლუციამ ეს ბლანკისტური კონცეპცია ლენინისა პირწმინდათ დაარღვია. ის მოხდა ულენინოთ. პირიქით, მის შეხედულებათა წინააღმდეგ, სახელმწიფო სათათბირო და სხვა მრავალი ლეგალური ორგანიზაციები, რომელთაც ლენინი და მისი პარტია ბოიკოტს უცხადებდა, სთვლიდა რა მათ მავნებლად მოძრაობისათვის, გახდნენ რევოლუციის მებაირაღტრეთ და მის მეთაურებად. თვით პეტერბურგის მუშათა საბჭოს დიდი უმრავლესობა ლენინის პარტიის წინააღმდეგი აღმოჩნდა. პატარა ჯგუფი მისი მიმდევრებისა კამენევის მეთაურობით ფრიად ზომიერი იყო. მაგრამ ლენინი იმედს არ ჰკარგავდა. ის მოეშურება საზღვარგარეთიდან რევოლუციის ცენტრისკენ — პეტროგრადში სამოქედოთ. რაზე აშენებს ის თავის იმედებს? რასაკვირველია მასების უვიცობაზე, მის პოლიტიკურ მოუმზადებლობაზე და უფრო კი რევოლუციის ხელმძღვანელების შეცდომებზე. ამიტომ ის გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ყოველ მათ შემცდარ ნაბიჯებს, ჰბერავს, აზვიადებს და დემაგოგიურად ხმარობს აბობოქრებულ რუსული მასების ქვენა ინსტიქტებს. ეს მისთვის და მისი მიმდევრებისათვის მით უფრო ადვილია, რომ კერენსკი და მისი დროებითი მთავრობა ერთ საბედისწერო, გამოუსწორებელ შეცდომას უშვებს იმით, რომ წაგებულ ომს კიდევ აგრძელებს და ამისათვის ქალთა ბატალიონებსაც კი ჰქმნის, რომელთა გამოჩენა პეტერბურგის ქუჩებში და ფრონტზე საშინელი აღშფოთებას იწვევს ჯარის ნაწილებში. რასაკვირველია, ბოლშევიკები და მათ სათავეში მდგომი ლენინი საუკეთესოდ სარგებლობენ ამით. ომის გაგრძელებით თებერვლის რევოლუცია ჩიხში მოექცა. მისმა მეთაურობამ ერთი უბრალო გარემოება ვერ გაითვალისწინა, რომ ეს გადატრიალება იყო შედეგი ომის სიმძიმის, რომ ამ ტვირთს რუსეთის ხალხი ვეღარ სწევდა. და მერმე რა უნდა მოეტანა ომის გაგრძელებას, რატომ იყო იგი ასე საჭირო? კიდევ და კიდევ, საბედისწერო დარდანელის ხელში ჩასაგდებად, ბალკანეთის სლავიანური ქვეყნების რუსეთის იმპერიის სფეროში ამა თუ იმ სახით ოსაქცევად. და ეს ხომ იგივე მეფის რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები იყო, რომლის ზიდვა ძველმა რუსეთმა ვერ შეძლო და რასაც იგი გადაჰყვა კიდეც. პეტერბურგში გარნიზონად. იდგა ორასი ათასი ჯარისკაცი ეს იყო ძალა, რომელმაც მუშებთან ერთად ნიკოლოზის მთავრობა გადააყირავა. ჯარი მოითხოვდა სახლში გაშვებას. ყოველ-დღე ჯარის ნაწილები დემონსტრაციებს ახდენდნენ პეტერბურგის ქუჩებში წარწერებით: „გაგვიშვით მინდვრად სამუშაოდ — ყანები ხმება“; ფრონტზე წასვლაზე ერთხმად უარს აცადებდნენ, თვით ოფიცრებიც კი, ვინაიდან მათი წარმოდგენით ისინი მომპოვებელნი და დამცველნი იყვნენ რევოლუციის მონაპოვართა. პირიქით, სწორედ ეს ჯარის ნაწილები იყვნენ ყველაზე არა საიმედო ამავე რევოლუციისათვის. მისი სულიერი განწყობილება ყოველ დღე უკიდურეს მიმართულებას ღებულობდა, რაც თავის მხრივ მუშათა მასსებზე გადადიოდა, სწამლავდა მათ და უკიდურესობასაკენ იტაცებდა.

რა იყო საჭირო? პეტერბურგის განწმენდა ამ არასაიმედო ელემენტებისაგან, ამის ნაცვლად საიმედო ნაწილების, ნაციონალურ-რევოლიუციონურ გვარდიის შექმნა. კერენსკის მთავრობა კი არც ერთს აკეთებდა და არც მეორეს, ურემი იდგა ერთ ადგილას და შიგ შებმული მეთაურნი მიწას სტკეპნიდნენ.

ამ მდგომარეობით საუცხოვოთ ისარგებლეს ბოლშევიკებმა. მათი დისპოზიცია, სრულიად ბუნებრივი, პეტერბურგის — ამ რევოლუციონურ ცენტრის ხელში ჩაგდება — გახდა. აქეთკენ იყო მიმართული ყოველივე მათი ცდა. და ეს არც ისე ძნელი იყო. საჭირო იყო მხოლოდ დემორალიზებული ჯარის ნაწილების ხელში ჩაჭერა და ისინიც გამოდიან ლოზუნგით — „ძირს ომი, გაუმარჯოს ზავს“. ეს ხომ იგივე სურვილებია, რაც ამ ჯარს ამოძრავებს, ბოლშევიკები ახერხებენ ამ უდისციპლინო ჯარში თავის უჯრედების დაარსებას. უკვე ივლისის დღეებში მათ სცადეს გენერალური რეპეტიციის გათამაშება პეტერბურგის ხელში ჩასაგდებათ. ამ ჯერად ისინი დამარცხდნენ, მაგრამ ნათელი გახდა, რომ ჯარი მათ მხარეზეა. ეს გარემოება მუშებსაც იზიდავს. ისინი ამ ჯარის ფსიქოლოგიით იჟღინთებიან და ბოლშევიკების რიგებს ავსებენ. ასეთმა ვითარებამ გასტანა 25 ოქტომბრამდე. ახლა კი ლენინი და მისი კომპანია ნათლად ხედავენ, რომ ნიადაგი ქალაქის ხელში ჩასაგდებად მომზადებულია და ბრძანებას იძლევიან იერიშის მისატანად. კერენსკის მთავრობის წევრები დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ. თვით კერენსკი გატჩინაში იპარება ქალურ ტანსაცმელში გადაცმული. იგი კიდევ ერთხელ ცდილობს გატჩინიდან ყაზახთა ნაწილებით სატახტო ქალაქის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. მის გარშემო არავითარი სერიოზული ძალა აღარ არის. გამოირკვა, რომ არც ბოლშევიკურ ცენტრს მოეპოვებოდა საკმარისი სამხედრო ძალა. პეტერბურგის გარნიზონმა მასაც უღალატა. მან განაცხადა, რომ პეტერბურგიდან იგი არსად წავა და არავითარ ბრძოლაში მონაწილეობას არ მიიღებს. ბოლშევიკები საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. დადგა კრიზისის დღეები. ისინი იძულებული გახდნენ ნაჩქარევად შეედგინათ მუშათა ბატალიონები, მაგრამ ეს არ წარმოადგენდა რაიმე სერიოზულ სამხედრო ძალას. მაგრამ კერენსკის მდგომარეობა უფრო უარესი გამოდგა: უკანასკნელ წუთში მას არავითარი ძალა არ აღმოაჩნდა. ამიტომ ბოლშევიკების გამარჯვება იმით კი არ აიხსნება, რომ მათ რაღაც განსაკუთრებული ძალა მოეპოვებოდათ, არამედ იმით, რომ მოწინააღმდეგე ძალა სრულ არარაობას წარმოადგენდა. ერთის და მეორეს ძალები დემორალიზებული, მოშლილი, დადებით მოქმედებისათვის გამოუსედეგარი აღმოჩნდნენ. ამ მდგომარეობაში გამარჯვებული გამოვიდა ის, ვინც უკიდურეს, განუხორციელებელ დაპირებებს მისცემდა ხალხს,

ასეთებად აღმოჩნდნენ ბოლშევიკები და ბურთი და მოედანიც უშველებელ ტერიტორიაზე დარჩათ მათ. განუხორციელებელ დაპირებებით დაიმედებული ხალხის ხელში დასაჭერად საჭირო გახდა ტერორის ამოქმედება, გამოგონება ისეთი ზომების, რომელნიც მუდმივად შეუნარჩუნებდა ბოლშევიზმს ხალხზე ბატონობას. ბოლშევიკები უღვიძებდნენ რუსის ხალხს უკეთესი ცხოვრების დამყარების იმედებს, სხვისი ტერიტორიების დაპყრობის და პირველ რიგში ევროპის გასაბჭოების გზით.

საჭირო იყო მზადება და აკი ემზადებოდნენ კიდეც ამისათვის კრემლში მოკალათებულნი ვა-ბანქო — მოთამაშენი. მაგრამ, დოსტოევსკის გმირის იპოლიტ კირილოვიჩის თქმისა არ იყოს **„ევროპამ დაჰკარგა მოთმინება ყველა იმ უმგზავსოების ნახვით, რომელიც დედამიწას ერთ მეექვსედზე, სწარმოებდა“, მით უმეტესს რომ მისი „ტროიკის პირი“ ევროპისაკენ მიიმართა.**

და ევროპას თავის გადასარჩენად დასჭირდა ამ გაშმაგებული პანსლავიზმ ბოლშევიზმის „ტროიკის“ შეჩერება. ევროპა ვერ მოისვენებს და მშვიდობიანად ვერ ამოისუნთქავს, ვიდრე არ აღმოფხვრის ბოლშევიზმის ძირებს.

დ. საღირაშვილი.

აღმოსავლეთი ევროპა

იშვიათია ისეთი თხზულება, რომელიც აღმოსავლეთ ევროპას შეეხებოდეს და უზარმაზარი სივრცის ცხოვრებას ჭეშმარიტებით აღწერდეს. გავცნობივართ ან ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ქებადიდებას უმღერის მას, ან მხოლოდ აძაგებს; მიუდგომელი და მიუკერძოებელი განხილვა იშვიათი მოვლენას წარმოადგენს და სწორედ ეს იშვიათი თხზულებაა ზემოდასახელებული ნაშრომი. და ეს არც გასაკვირია, ვინაიდან ავტორი — პაულ რორბახი, — ცნობილი გერმანელი მწერალი და მკვლევარი, კარგად იცნობს აღმოსავლეთი ევროპის მყოფადსაც და აწმყოსაც, წარსულში იგი არა ერთჯერ შეხებია რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებს და. კერძოდ კავკასიის ერების ბედი მისთვის უცნობი არაა. ამიტომ, როდესაც მისი თხზულების შესწავლას შევუდექით, ჩვენ იმედი გვქონდა, ავტორი საკითხს საგნობრივად და სინამდვილით გაარჩევდა, და მართლაც, ეს იმედი ჩვენ სავსებით გაგვიმართლდა. ჭეშმარიტი მეცნიერული მიდგომით, ავტორი, პაულ რორბახი — რასაკვირველია, ჯერ განიხილავს აღმოსავლეთი ევროპის გეოგრაფიულ ვითარებას, რომელთანაც თითოული ხალხის ისტორიაა მარად დაკავშირებული, და შემდეგ მოკლედ მოგვითხრობს იმ ამბებს, რაც ამ მხარეს თავსგადახდა შორეულ წარსულში.

აღმოსავლეთი ევროპა, ამბობს ავტორი, ბევრსა ჰგონია მეფის რუსეთი იყო, ან საბჭოთა რუსეთიაო. ეს შემცდარი შეხედულებაა, რადგან არც გეოგრაფიულად და არც ისტორიულად იგი სიმართლეს არ გამოხატავს. აღმოსავლეთი ევროპა განიყოფება ოთხ სხვადასხვა გეოგრაფიულ და ისტორიულ მხარედ. პირველია უკრაინული აღმოსავლეთი ევროპა, ძველები რომ პონტუს იუქსინუს ეძახდნენ; ესაა სამხრეთი მხარე შავ-ზღვამდე; მეორეა — ჩრდილოეთის მხარე — მოსკოვური ანუ სარმატული აღმოსავლეთი ევროპა; მერმეა — აღმოსავლეთი ზღვის — ოსტზეეს — მხარენი, ფინლანდიიდან ლიტვამდე — ბალტიური აღმოსავლეთი ევროპა; და როგორც მეოთხე მხარე აღმოსავლეთ ევროპაში შემავალი, თუ გნებავთ, შეიძლება დავასახელოთ კავკასიის მხარეცო. აღმოსავლეთი ევროპა არც ევროპას და არც აზიას არ წარმოადგენს, არამც თუ მარტო ბუნება და კულტურა, არამედ ისტორიაც და აგრეთვე მეურნეობა, რომელიც კულტურის ანარეკლია, ამართლებენ იმ მცნებას, რომელითაც აღმოსავლეთი ევროპა— იქმნა მონათლული: იგია ნახევრად აზია.

ჩრდილოეთი ნაწილი აღმოსავლეთი ევროპისა დაფარული იყო ტყით, სამხრეთი წარმოადგენდა გაშლილ ველს, სტეპს და მთელ აღმოსავლეთში ურალამდე ვერცერთ მთას ვერ შეხვდებით; ზღვის დონეზე აწეული ადგილი ორას მეტრს არსად აღემატება, ჩრდილოეთის ტყიანი მხარე, სანამ იქ გაკაფვა და დასახლება დაიწყებოდა, მიუდგომელი იყო სტეპებზე მოხეტიალე მწყემს ხალხებისათვის, რომელნიც აზიიდან დასავლეთს აწყდებოდნენ ამიტომ პირველი ისტორია აქ ამ ხალხებს ეკუთვნის. აქ ცხოვრობდნენ ძველთაძველად სკვითები და სარმატები, ხოლო შავიზღვის ჩრდილო ნაპირზე იფურჩქნებოდნენ პირველად ბერძნული, შემდეგ რომაული, მერმე კიდევ ბიზანტიური, გენუის ან ვენეტიკის ქალაქები, რომელნიც ამ მომთაბარე ხალხებთან ვაჭრობას ეწეოდნენ. მესამე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ აქ დასახლდნენ გერმანული ტომები გუთები და ჰერულები. 375 წელს ქრისტეს შემდეგ გუთთა სახელმწიფო დაამხეს ჰუნნებმა. ჰუნნების მოსვლას ამ სტეპთა ქვეყანაში თან მოჰყვა ათასწლოვანი მუდმივი ტალღები ახალახალ ხალხებისა, რომელნიც ომით ერთიმეორეს სცვლიდნენ: პაჭანიკები, ხაზარები, ვენი, ჰუნგრელნი, ავარები და სხ.

აღმოსავლეთი ევროპის ისტორიის განვითარება კი იწყება არა აქ, ამ გაშლილ ველზე, სტეპებში, არამედ ჩრდილოეთით, ტყიან მხარეში, აქ ცხოვრობდნენ სლავები და ფინნები; ოსტზეესთან კიდევ — ლატენნი, ლეტტები და ესტები, ლივენნი და კურენნი. სლავიანთა ტომებისგან, რომელნიც სამხრეთით ჭაობიან მხარეში ბინადრობდნენ, წამოიწია უკრაინულმა ტომმა და მეექვსე საუკუნეში აქედან წამოსულნი, შეიჭრნენ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე და ეხლანდელ იუგოსლავიაში.

მაშინდელი ყველა ხალხის მიმზიდველი იყო მდიდარი და ბრწყინვალე კონსტანტინოპოლი. აქეთ მიიწეოდა ყველა ან სავაჭროდ, ან საცარცვავად, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე მცხოვრებნი ნორმანნები, კერძოდ შვედები მეცხრე საუკუნის ბოლოს, სამეფოს განმტკიცების შემდეგ, აღმოსავლეთის გზით ანუ დიდ მდინარეთა გზით მოიწევდნენ აგრეთვე ბიზანტიის ანუ საბერძნეთის დედაქალაქ კონსტანტინეპოლისაკენ, სავაჭროდ თუ გასაცარცვად. ამ შვედელ ნორმანეებს ეძახდნენ ვარიაგებს, ვარანგებს და აგრეთვე რჰოს ანუ რუსი-ს. ვერენგერ შვედურად ნიშნავს რაზმელს, ხოლო სიტყვა რუს წარმოშობილია სიტყვისაგან: რუოდს ლაგენ, რაც ნიშნავს მენავეთა ან ნავოსანთა კავშირს. სიტყვა **რუოტსი** არის მენავე, ნავოსანი და ასე ეძახდნენ მათ ბიზანტიელებიც და ფინნებიც. მაშასადამე, სახელი რუოტსი ანუ როსი ანუ რუსი ეკუთვნოდა ამ ვაჭარ ავაზაკ ნორმანეებს; ძველ შვედებს. როდესაც ამ როსებმა ანუ რუსებმა მდინარე დნეპრის გზით კონსტანტინეპოლთან მიმოსვლა დაიწყეს ვაჭრობისა და თავდასხმის მიზნით, მათ დაიკავეს ეს მხარე იარაღით და დამკვიდრდნენ ილმენის ტბიდან გამომავალ მდინარე ვოლხვოვზე, სადაც შეიქმნა ქალაქი ნოვგოროდი და მდინარე დნეპრზე მდებარე ქალაქ კიევში, ბატონობა ეკუთვნოდა ამ მხარეში ამ შვედელ ნორმანებს ანუ როსებს — რუსებს და აქედან წარმოიშვა სახელი რუსი და რუსეთი, როგორც ვხედავთ, რუსებს თავისი საკუთარი სახელიც კი არ გააჩნიათ!

როს რაზმელების პირველი მეთაური, რომელმაც ამ მხარეს თავისი ბატონობის უღელი დაადო, ნესტორის ქრონიკის გადმოცემით 863 წელს, იყო რურიკი, რომელიც არის შვედური სახელი ჰრორეკრ; მას მოჰყვა ჰელგი, რუსულად ოლეგი, ვინც თავის საჯდომ ქალაქად კიევი გახადა, რომელიც ბიზანტიასთან მშვიდობიანი თუ მეომარი ურთიერთობისათვის ხელსაყრელ წერტს წარმოადგენდა.

კიევის სახელმწიფომ განავრცო თავისი ბატონობა აგრეთვე სხვა სამთავროებზეც, რომელნიც აგრეთვე მდინარეთა გზებზე აღმოცენდნენ; მან შემოიერთა პოლოცკი, ნოვგოროდი, ჩერნიგოვი. კიევის თავადები ვაჭრობდნენ ბიზანტიასთან: გაჰქონდათ ხორბალი, თაფლი, ტყავეულობა, და რაც მთავარია, მონები. მონები იყვნენ უმთავრესად ტყვედჩავარდნილნი ან უბრალოდ დაჭერილნი, შემოჰქონდათ: ღვინო, ტანსაცმელი, ფარჩეულობა, ოქრო, ვერცხლი და სხ. როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო ურთიერთობის შედეგად, კიეველმა თავადმა ვლადიმირმა ქრისტიანობა აღიარა და თავისი ხალხი მონათლა. ამით დაიწყო და განმტკიცდა ბიზანტიის კულტურის გავლენა კიევის სახელმწიფოზე. როგორც ვხედავთ ძველი რუსეთი ანუ კიევის სახელმწიფო დაარსებული იყო შვედების მიერ და ამ სახელმწიფოს დაარსების მიზეზი გახდა კონსტანტინეპოლთან ურთიერთობა ანუ როგორც პაულ რორბახი ამბობს:

„იაროსლავის დრომდე, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევრამდე, უნდა წარმოვიდგინოთ ეს პირველადი რუსეთი, ძველი სახელმწიფო კიევისა, სადაც დიდთავადთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტახტი არსებობდა, როგორც ჩრდილო-გერმანული ბატონობა სლავიანურ ნიადაგზე, გერმანული რაზმული წესწყობილებით, გერმანული ცხოვრებისა და ბრძოლის ადათებითა. ხოლო კონსტანტინოპოლი იყო ისტორიული პირველადი მიზეზი რუსული სახელმწიფოს წარმოშობისათვის"-ო.

კიევის სახელმწიფოს ურთიერთობა ჰქონდა არამარტო ბიზანტიასთან, არამედ შუა და დასავლეთ ევროპასთან, და აღმოსავლეთანაც, და როგორც ჩვენ ვიცით, დავუმატებთ, საქართველოსთანაც. კიევის სახელმწიფომ როგორც ძლიერმა ძალამ დიდხანს ვერ იარსება, რადგან კიევის ტახტისათვის მემკვიდრეთა შორის მუდმივი ომი სწაროებდა და ქვეყანა ნაწილდებოდა, ამავე დროს იწყება ჩრდილოეთისაკენ სლავიანების გადასვლა და იმ ადგილებში დასახლება, რომელიც ფინნებს ეკუთვნოდათ.

ვოლგისა და ოკას ნაპირებზე წარმოიშვა მეთორმეტე საუკუნეში სუზდალის სამთავრო, რომლის დედაქალაქი შემდეგ ვლადიმერ, მდინარე კლიაზმაზე, გახდა, ცოტა ჩრდილო-აღმოსავლეთით ეხლანდელი მოსკოვიდან, მთელი ეს მხარე ფინნებს ეპირათ, რომელნიც სლავებს შეერივნენ, თვით სახელი მოსკოვი ფინურია და ნიშნავს ძროხის წყალს.

თუ კიევი იყო დედა პირველი რუსული სახელმწიფოსი, სუზდალი შეიქმნა დედა მეორე რუსული სახელმწიფოსი. ანდრეი ბოგოლუბსკი იყო პირველი თავადი (1158-1174 წ.) საუზდალისა.

მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნის მიჯნაზე ერთმანეთს ხვდება დასავლეთით გერმანული და რუსული გაფართოების გზები და იწყება ომები. ეს ის დროა, როცა მონღოლური ქარიშხალი კიევის სახელმწიფოს უახლოვდება. 1224 წელს მდინარე კალკასთან შეეტაკნენ თავადთა ჯარები მონღოლებს, — რუსები სასტიკად იქმნენ დამარცხებული. მაგრამ შემდეგ წელს, გარდაიცვალა მონღოლთა ბატონი ჩინგიზ ყაენი, და მხოლოდ 1237 წელს გამოჩდნენ ისევ მონღოლები, რომელთაც კიევის სახელმწიფო მიწასთან გაასწორეს. გადარჩა მხოლოდ ნოვგოროდის მხარე. ოსახლეობამ გადაინაცვლა დასავლეთისაკენ გალიციაში და ნოვგოროდისაკენ.

მეთოთხმეტე საუკუნეში იზრდება ლიტვის სათავადო, რომელსაც თავისი სამფლობელო კიევამდე მიჰყავს, ჰალიჩში ანუ გალიციაში ანუ წითელ რუსეთში თავადობს რურიკის ჩამომავალი თავადი დანილევიჩი, რომლის გვარი 1324 წელს მოისპო, გადაგვარდა და ეს მხარე გახდა საომარ მიზეზად პოლონეთისა, ლიტვისა, უნგრეთისა და მონღოლებისა, ანუ როგორც ეძახდნენ თათრებისა, რომელთაც თავისი ბატონობის ბინა ანუ ოქროს ორდა სარაიში, მდინარე ვოლგაზე ჰქონდათ. პოლონურ-ლიტვიური სახელმწიფო გაერთიანდა და ეს მხარე კიევამდე პოლონურ-ლიტვიურ სახელმწიფოში მოექცა. ამით გადარჩა ეს მხარე გადაგვარებას, რუსულ ქვაბში მოხარშვას, — და აქ ვხედავთ ჩვენ გადარჩენილ უკრაინას.

აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის გასაგებად ეს მნიშვნელოვანი ამბავია. უკრაინის ხალხი, უკრაინულ ენაზე მოლაპარაკე ერთია, და რუსის სახელით ცნობილი ხალხი — მეორეა.

250 წელიწადზე მეტი ბატონობდნენ მონღოლები რუსეთში. „ამ ხნის განმავლობაში ევროპამ გაიარა თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარება, რუსეთში კი იზრდებოდა მოსკოვის დიდი სათავადო, ერთი სათავადოთაგანი, რომელიც არა ერთი და ორი იყო მონღოლთა შემოსევის დროს", და მოსკოვი იერთებდა მათ მშვიდობიანი გზით თუ მიმძლავრებით და მიემართებოდა დიდი გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის გზაზე. „მაგრამ ეს მოვლენები დაკავშირებულია არა ძველ, ნორმანელთა მიერ დაარსებულ სახელმწიფოდან გამომდინარე რუსულ ისტორიასთან, არამედ იკვლევს თავის ახალ დასაწყისს; რადგან კიევი, რუსულ ქალაქთა დედა, გაპარტახებული იყო და ის სათავადოები, რომელზეც კიევის სახელმწიფო დანაწილდა ვლადიმირ მონომახის სიკვდილის შემდეგ (1113—1125), ერთნი ეკუთვნოდნენ ლიტვას და მასთან ერთად მე-14 და მე-15 საუკუნის ზღვარზე პოლონურ-ლიტვიურ ორმაგ სახელმწიფოს, მეორენი კი, როგორც ნოვგოროდი თავისი ვრცელი სამფლობელოებითურთ, თავის საკუთარ, არა აღმოსავლეთისაკენ მიმართულ, არამედ ფართო სავაჭრო ურთიერთობით თავისთავზე დაყრდნობილსა და დასავლეთთან კავშირში მყოფ ცხოვრებას ეწეოდნენ, მონღოლების ბატონობას რუსეთისათვის ჰქონდა სამი, მძიმე წონის შედეგი: 1) ხანგრძლივი ფინანსიური გამოწოვა, 2) ღრმად ფესვგადგმული გაველურება, 3) არაპირდაპირი თანამოქმედება პოლიტიკური გაერთიანებისათვის და აბსოლუტური ძალაუფლების შესაქმნელად".

1328 წ. ვლადიმეროსუზდალის თავადმა ივანემ თავისი სადგომი მოსკოვში გადაიტანა. აქედან იწყება მოსკოვური რუსეთის ამბავი. მან მონღოლებისაგან მიიღო უფლება მათთვის ხარკი შეეკრიბა; იგი დაუზოგავად კრებდა მას, და მხოლოდ ნაწილს უგზავნიდა ხანს, ნაწილს თავისთვის იტოვებდა და ამ თანხით მიწებს ყიდულობდა. ამ ივანეს დაექვა კალიტა ანუ ფულის ქისა. იგია პირველი დამწყები რუსული მიწების შეკრებაში. მისმა მემკვიდრეებმა განაგრძეს პატარა სათავადოების მოსკოვისთვის დამორჩილება ხან ძალით, ხან შესყიდვით, ამავე ხნის განმავლობაში მონღოლთა სახანო სარაიში სუსტდებოდა და ოქროს ორდას თავისი ბრწყინვალება სწრაფად ეკარგებოდა. უკვე 1480 წელს მოსკოვის თავადმა ივანე მესამემ(1462—1505) ხარკის მიცემაზე ხანს უარი უთხრა და ცოლად შეირთო ბიზანტიის უკანასკნელი კეისარის შვილიშვილი პალეოლოგი სოფიო. ივანეს ამან საბაბი მისცა დაღუპული ბიზანტიური იმპერიის ორმაგი არწივი თავის ალამზე დაეხატა და თავისთავისათვის კეისარი ანუ ცეზარი, გარუსულებულად ცარი, მეფე დაერქვა.

ივანე მეოთხემ, მრისხანემ (1535—1584) სამეფოს გაფართოება განაგრძო, შეტევაზე გადავიდა და ყაზანის სახანო, ასტრახანის სახანო დაიპყრო, ოსტზეესაკენაც მიმართა იარაღი, მაგრამ დაუმარცხდა. ამ ამბებს მოსდევს არეულობა რუსეთში და მხოლოდ 1613 წელს არჩეულ იქმნა რუსეთის მეფედ მიხეილ რომანოვი; ამ გვარმა იმეფა 1917 წლამდე.

მიხეილის შვილის დროს მოხდა შესამჩნევი ამბავი: მოსკოვს შეუერთდა უკრაინა. მონღოლების შემოსევის შემდეგ განადგურებულ კიევის სახელმწიფოს ყოფილ ადგილებზე კვლავ დაიწყო მოშენება მოსახლეობამ, რომელიც უმთავრესად გალიციიდან ბრუნდებოდა და მეცამეტე საუკუნიდან ჩნდება ამ მხარისათვის ახალი სახელი „უკრაინა". ყველა მეზობელი ქვეყნებიდან უკმაყოფილო ელემენტები თავს იყრიდნენ აქ და კაზაკების მეთაურობით დაარსებულ იქმნა „ზოპოროჟსკი სეჩი", რომელიც ხშირ ომებს აწარმოებდა, როგორც ყირიმელ თათრების, ისე პოლონელების, ლიტველების და რუსების წინააღმდეგ. 1654 წელს გეტმანმა ხმელნიცკიმ რუსეთის მეფეს ერთგულების ფიცი მისცა: — უკრაინას უნდა ჰქონოდა რუსეთის მფარველობით თავისი დამოუკიდებლობა, მას შეეძლო ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლები ჰყოლოდა, გარდა პოლონეთისა და თურქეთისა, პერეიასლავის ეს ხელშეკრულება 1654 წლისა", ამბობს ავტორი, არის თარიღი არა მარტო რუსული, არამედ ევროპიული ისტორიისათვისაც, ვინაიდან ეს ნიშნავს რუსული დიდი სახელმწიფოს დაბადების საათს"-ო.

პოლონეთი შეედავა უკრაინას, მაგრამ მოსკოვმა დაამარცხა იგი: „ამ წმინდა ბარბაროსულმა სახელმწიფომ მიიღო თათრების ბატონობის განმავლობაში სასტიკი მილიტარული, პოლიტიკური და ფინანსიური ორგანიზაცია" და მოსკოვმა ამით გაიმარჯვა; სახელმწიფოს მოწყობის მხრივ მაშინდელ რუსეთს, მეჩვიდმეტე საუკუნეში დასავლეთის სახელმწიფოებთან შედარებით უპირატესობაც ჰქონდა. პეტრე დიდმა (1672—1725) განაგრძო რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეთის გაფართოება და შეუდგა ქვეყნის ძალით გაევროპიელებას; მან დაამარცხა შვეცია პოლტავის ბრძოლაში 1709 წელს, შეიერთა ესტლანდია და ლივლანდია. 1721 წელს პეტრე დიდმა თავისი თავი იმპერატორად გამოაცხადა და ამგვარად რუსეთის იმპერია დაარსდა. ეკატერინე მეორემ განაგრძო იმპერიის გაფართოება, დაიპყრო ყირიმის სახანო და ოსმალეთთან ომებშიც გაიმარჯვა. პოლონეთის სამჯერ განაწილებით რუსეთსა, პრუსიასა და ავსტრიას შორის, რუსეთმა მიიღო პოლონეთის დიდი ნაწილი და ამგვარად ევროპიული სახელმწიფოების უშუალო მოსაზღვრე გახდა, ალექსანდრე პირველი უკვე ევროპის საქმეებში აქტიურად ერევა, ნაპოლეონის ომებში მონაწილეობას ღებულობს და 1809 წელს ფინეთს (ფინლანდიას) შეიერთებს.

გადავდივართ უკვე მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც რუსეთი უკვე უზარმაზარი იმპერიაა და რუსეთში ჩნდება გარკვეული მიმართულება ევროპაში ბატონობისათვის. მთავარი მიზანია: — კონსტანტინოპოლის ანუ სტამბულის ხელში ჩაგდება და ბალკანეთში ბატონობა, ნიკოლოზ პირველი მარცხდება ამ მიზნისათვის წარმოებულ ომში (ყირიმის ომი, 1855 წ.), ამავე დროს რუსეთი წინ მიიწევს აზიაში და მაგრდება კავკასიაში. „თანდათან, ამბობს ავტორი, „თურქულ-ორიენტალურ ინტერესებთან ერთად მეტლავნდება მეორე განვითარების ხაზი. მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე რუსეთს ხელში უვარდება ძველი ქრისტიანული სახელმწიფოები ამიერკავკასიისა, ქართლი და იმერეთი, შედეგობრივად ამან გამოიწვია მთელი კავკასიური ყელის დაპყრობა, რაც მეცხრამეტე საუკუნის შუას მერმე მალე დასრულდა. კავკასიური მხარეებიდან იხსნებოდა გამოსადეგი მისავალი სპარსეთისაკენ, რომელიც საკმაოდ სწრაფად აგრეთვე როგორც რუსული ექსპანსიის საგანი განიხილებოდა“–ო. აზიაში დაპყრობილ ან შემოერთებულ იქმნენ: ხივა, ბუხარა, კოკანდი, აქ რუსეთი მიუახლოვდა ინგლისის იმპერიის საფუძველს — ინდოეთს. კიდევ ზემოდ, ჩინეთზე ბატონობას ლამობდა და იაპონიას ემუქრებოდა, ამან გამოიწვია რუსეთ-იაპონიის ომი 1904 წ, როცა რუსეთი დამარცხდა და რევოლუციის საფრთხეში ჩავარდა.

1861 წელს ბატონყმობისაგან განთავისუფლებული გლეხობა უმიწოდ დარჩა, რაც გლეხობას გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა. დაიწყო სამრეწველო განვითარება და მუშებიც თავის უფლებების განხორციელებას მოითხოვდნენ; ინტელიგენცია, გატაცებული დასავლეთი ევროპის სახელმწიფოებრივი წესრიგით, თვითმპყრობელობას ებრძოდა, გლეხების სიღარიბე, მუშების სიღატაკე და ინტელიგენციის უკმაყოფილება რევოლუციურ მოძრაობას ფრთებს ასხამდა. 1881 წ. მოჰკლეს იმპერატორი ალექსანდრე მეორე. ერთი მხრივ იდგა თვითმპყრობელური მთავრობა, რომელსაც მრავალ მილიონიან მიწით მშიერი ხალხის ინტერესები არ ესმოდა, მეორე მხრივ ჩამორჩენილი და უკულტურო მილიონიანი მასსები, — და ეს იყო რუსეთის კატასტროფის მიზეზიც, 1905 წლის შემდეგ მოწვეულმა სახელმწიფო სათათბირომ (დუმამ) მიწა გლეხს ვერ მისცა და სტოლიპინის მიერ დაწყებული მიწის რეფორმა საბოლოოდ არ გატარდა და არც გადამწყვეტი იყო საკითხისა. ასე რომ, როცა 1917 წელს რევოლუცია მოხდა და ბოლშევიკებმა დასცეს ყიჟინა; მიწა მიწის მუშას, — მას გლეხობამაც დაუჭირა მხარი და მიწას მიესია.

მეფის რუსეთის მრეწველობის განვითარება თვითონ რუსეთს თავისი სახსრებით არ შეეძლო, ამიტომ უცხო კაპიტალს მიეცა გასაქანი და სახელმწიფო ხარჯებისათვის არა ერთი დიდი სესხიც იქმნა აღებული უცხოეთში. ახალმა კაპიტალისტურმა მრეწველობამ ძველი ფეოდალური წესების ნგრევა გამოიწვია და სოციალური კანონმდებლობის უქონობამ მუშათა მასსები უკმაყოფილებაში ჩააგდო. ამასთანავე ეროვნულ საკითხში, როგორც ცენტრალიზებული ქვეყანა, რუსეთი სცდილობდა ჩაეხრჩო ყოველგვარი ეროვნული მოძრაობა, და დაჟინებით მისდევდა გამარუსებელ პოლიტიკას, მაშინ როცა თვით სლავიანების გაერთიანების სახელით ბალკანეთში, ავსტრიაში და სერბიაში ხელებს აფათურებდა.

რუსეთის მოწინააღმდეგე ავსტრია, რომელსაც თავის სახელმწიფოს ფარგლებში მრავალი უკრაინელი ჰყავდა, უკრაინელთა შორის ნაციონალისტურ პროპაგანდას ხელს უწყობდა და ამით რუსეთის უკრაინას ემუქრებოდა. და როცა ავსტრიის მთავრობამ გადასწყვიტა უკრაინული უნივერსიტეტის დაარსება, რუსეთის მთავრობამ ეს მტრულ მოქმედებად მიიღო და „ნოვოე ვრემიამ“ დასწერა 1914 წ. „ლემბერგში უკრაინული უნივერსიტეტის დაარსება რუსეთისათვის იქნებოდა საომარი მიზეზი ავსტრო-უნგრეთთან“-. კონკურენციის შესახებ.

ამგვარად ახლოვდება მსოფლიოში (1914—1918) და რუსეთი ომში მონაწილეობას ღებულობს. რა მიზეზებით ჩაება რუსეთი ომში? პაულ რორბახის შეხედულებით ეს მიზეზები შემდეგი იყო:

1. დამპყრობელ დოგმად გადაქცეული პანსლავისტური იდეოლოგია, 2. სამეურნეო პოლიტიკურ საფუძველზე წარმოშობილი „ისტორიული“ მოთხოვნა, რომ რუსეთმა უნდა იბატონოს დარდანელზე, 3. საშიში ფინანსიური მდგომარეობა, რომლის გამოსწორება შეიძლებოდა მხოლოდ ომის კონტრიბუციით, 4. უკრაინული საკითხი, 5. რუსული ინდუსტრიის ჩივილი უცხოეთის და განსაკუთრებით გერმანული კონკურენციის შესახებ.-

შემდეგ თავში ავტორი ეხება მის მიერ ეგრედ წოდებულ „მესამე რუსეთს“ ანუ აღმოსავლეთი ევროპის ბალტიურ მხარეს. აქ მას მოკლედ აქვს გადმოცემული ფინეთის, ლატვია, ლიტვა, ესტონეთის და პოლონეთის ამბები, თუ როგორ დაიპყრო და შეიერთა რუსეთმა ეს ქვეყნები. შემდეგ კი მოსდევს თავი! „კავკასია“.

„გეოგრაფიულად განხილული, კავკასიის დიდი მთები წარმოადგენს გაცილებით უფრო ძლიერ საზღვარს აღმოსავლეთ ევროპასა და წინააზიას შუა, ვინემ ურალი ციმბირის წინაშე. კულტურულად და ეთნოგრაფიულად კიდევ, მთელი კავკასიური ყელი შავსა და კასპიის ზღვის შორის თავისთავად არის იმდენად თვითმყოფი, რომ ადგილი არაა იმიერ და ამიერკავკასია ერთი მეორესაგან განყო. ყუბანის ოლქი, ჩრდილო-დასავლეთი იმიერ მხარისა, რომელიც პონტიურ-ურალური შავი მიწის სარტყელის ერთ ნაწილს წარმოადგენს, უკრაინულ სტეპებს ისე ენათესავება, რომ უმჯობესია მას მიეთვალოს. იგი უმთავრესად კიდევ უკრაინელი გლეხებისაგანაა დასახლებული. თვით მთები იყო უკანდასახევი ადგილი მრავალ ხალხთა ნაშთებისათვის და ხალხთა ნამსხვრევებისათვის, რომელნიც უცნობი დროიდან აქ თავს აფარებდნენ. არაბები კავკასიას ეძახიან ენათა მთას, და ოდნავ გადაჭარბება არაა, თუ გვესმის, რომ თბილისის ბაზარზე 61 ენას ლაპარაკობენ. შავი ზღვის ნაპირზე კავკასიის მთები ისე უახლოვდება ზღვას, რომ მხოლოდ მოდერნულმა გზის შენებამ შექმნა ქვეყანასთან მიმოსვლის საშუალება, კასპიის ზღვის ნაპირი კი მოხერხებული და თავისუფალი გამოსავალია. ამიტომ არსებობდა აქ ძველთაძველი გზა ხალხებისა და აქ, მთის სამხრეთ მხარეზე სახელმწიფოებს უძველესი ხანიდან ჰქონდათ ჯებირი ჩრდილოეთიდან თავდასხმის წინააღმდეგ. კასპიის ზღვის ნაპირზე არსებული ქალაქი დერბენტის სახელი არის ამისი მღაღადებელი მოწამე, ვინაიდან სპარსულად იგი ნიშნავს: რკინის კარებს (სპარსულად თუ არაბულად?).

„ამიერკავკასია, დიდ მთაგრეხილის აქეთ მდებარე ქვეყანა, გეოგრაფიულად უკვე ევროპა აღარაა, მაგრამ ერთი საუკუნეა, რაც იგი რუსეთთან ისე მჭიდროდაა გადაბმული, რომ აღმოსავლეთი ევროპის ჩვენი განხილვიდან არ შეგვიძლია იგი გამოვრიცხოთ, ისე როგორც პოლონეთი, რომელიც შუაევროპაში იჭრება. სამი ხალხი, ქართველე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, სომხები და თათრები, მოსახლეობს ამიერკავკასიის მათვარ კუთხებში. ორივე პირველი აქ ძალიან ძველი დროიდან მოსახლეობს; თათრები, პირიქით, ახალი დროის შემოჭრილები არიან. ქართველებში, გეორგიერ, რუსები ეთახიან, გრუზინი შეიძლება დავინახოთ აქ უკანდახეული თამომავალნი ალაროდიელებისა ანუ ხალდეველთა, იმ ალხისა, რომელიც, სანამ მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს ინ შემოიჭრებოდნენ ინდო-გერმანული სომხები, სახლობდნენ ეხლა ეგრედწოდებულ სომხურ მაღალ მხარეში, ენ გვესმის მათ შესახებ ასირიელ მეფეთა წარწერებში, რომელთაც მრავალჯერ ილაშქრეს ხალდთა ქვეყანაში, მაგრამ სადაც მათ ფეხი ვერასოდეს ვერ მოიკიდეს. ხალდები (ხალდეველები) იყვნენ მაღლად კულტურული, სწერდნენ ლურსმულით და იყვნენ კარგი ოსტატები ციხეთა აგებაში, საბინაო გამოქვაბულთა კეთებაში და კლდეში გამოჭრილ მოსარწყავ წყალსადენთა მოწყობაში. კლდოვანი სიმაგრე ვანისა, რომელიც მათ მთავარ ქალაქს ტუსპა-ს ჰქონდა, გვიჩვენებს ხალდური მუშაობის მრავალ კვალს. და ვინაიდან მისდაგვარი შენებულებანი აგრეთვე საქართველოში მოიპოვებიან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხალდთა საბინადრო უკვე უძველეს დროში კავკასიამდე აღწევდა და დღეს ქართველების მიერ ასახლებულ მხარესაც შეიცავდა. საქართველოს ჰავა არაა ისე ლბილი, განსაკუთრებით ზამთარში, როგორც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო მხარის სამხრეთი მდებარეობისა გამო, მაგრამ მაინც იგი ატარებს ნახევრად ხმელთაშუაზღვისებური ხასიათს მარად მწვანე ბუჩქებით და ჭარბი ხილეულობით, განსაკუთრებით, ვაზით. ხეობანი და ბარი ჰფლობენ აგრეთვე მდიდარ მარცვლეულების ნიადაგს.

„უფრო უხეში ვინემ საქართველო, ვინაიდან უფრო მაღლა მდებარეობს, არის ამიერკავკასიური სომხეთი. სომხები ეკუთვნიან ინდო-გერმანულ მოხეტიალე ხალხთა რიგს, რომელთაც პირველსა და მეორე ათასეულ წლებში ქრისტეს წინ თავის ევროპიულ ბუდე სამშობლოდან აღმოსავლეთისაგენ წაიწიეს. ამ მოხეტიალეთა შორის უკანასკნელი იყვნენ, მესამე საუკუნეში ქრისტეს წინ, კელტები (გალლები), რომელთაც მიაღწიეს იმ მხარეს, რომელსაც მათი სახელი გალათია ჰქვია, კელტების წინ, მაგრამ ფრიგიელების შემდეგ, მოვიდნენ არმენიელები (სომხები), მათი სახელი გვხვდება პირველად სპარსეთის მეფე დარიუს პირველის მიერ კლდეზე ამოჭრილ წარწერაში. საიდან წარმოსდგება მათი სახელი, არ ვიცით, არმენები ტიპი მიგვითითებს, რომ ისინი, როგორც დამპყრობელნი (სომხები თავისთავს ჰაიკს უწოდებენ). მათი ეხლანდელი ქვეყნის წინა მკვიდრთ, ხალდამსა და ალბად ხეთებს შეერივნენ. მესამე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ, მათ განავრცეს თავისი საბინადრო უკვე ამიერკავკასიამდე. ჰანიბალმა, ამბობენ, სომხეთის მეფე არტაქსიას-ს დედა-ქალაქის არტაქსატას-ის გეგმა შეუდგინა, რომელიც იყო ეხლანდელი ერივანის ახლოს: პომპეიუს-მა თავის ლაშქრობაში მდინარე მტკვრის ხეობას მიაღწია, რომლის ზემო მიმდინარეობაზე ქართული დედაქალაქი თბილისი ძევს. რომაული კეისრების ხანაში აგრეთვე, შედიოდა ამიერკავკასია, თუმცა არა როგორც ორგანიზებული პროვინცია, რომის სამფლობელოში და შემდეგ ბიზანტიურში, ხანდაზმით განავრცეს აქამდე არაბთა ხალიფებმა თავისი ბატონობა, მათგან სუსტად დამოკიდებული, ხანდახან დამოუკიდებელი, მეფობდნენ მეცამეტე საუკუნემდე სომეხი მეფეები, ანი (ანისი), ამიერკავკასიის მაღალ მთებში, მრავალ საუკუნეთა მანძილზე, იყო სომეხი მეფის სატახტო ქალაქი. მონღოლთა შემოსევებმა საშინელი განადგურებით გააპარტახა აგრეთვე ამიერკავკასია, ხოლო მათ არ დაუტოვებიათ უკან ახალი ხალხური ელემენტები, მაგრამ პირიქით ხანგრძლივი იყო შემოსვლა-ლტოლვა აღმოსავლეთ-თურქული ტომებისა, ეგრედწოდებულ თათრებისა, რომელთაც სპარსეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარე დაიკავეს და იქიდან მტკვრის ქვედა ნაწილის მთელი მხარეზე გავრცელდნენ, თურქული წოდება აზერბაიჯან, რომელშიც ძველებური მედია ატროპატენე მოისმის, იხმარება ეხლა როგორც კავკასიური ისე სპარსული ნაწილის, თათრების მიერ დასახლებულ მხარის სახელად.

„საქართველომ თავი გადაირჩინა მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე თურქებისა და სპარსების მუდმივი საფრთხისაგან თავის ეროვნულ მპყრობელთა წყალობით, რომელნიც მეფის ტიტულს ატარებდნენ. ქართული ხალხური ნიადაგი ვრცელდება (უწევს) დასავლეთით შავზღვამდე; სანაპირო მხარეს ეწოდება იმერეთი; ესაა ძველი კოლხეთი, სადაც რამოდენიმე ბერძნული ქალაქი არსებობდა, აქ გაითამაშა გადმოცემამ ოქროს ვერძისა და არგონავტების მოგზაურობის შესახებ. სპარსულ-თათრულ-თურქულ შეჭირვებათა მიუხედავად, ქართველებმა შეინარჩუნეს მეოთხე საუკუნეში მიღებული ქრისტიანობა. უკანასკნელმა ქართველთა მეფემ ერეკლე მეორემ, — იგია პრინცი პერაკლიუს, ლესსინგის „მინნა ფონ ბარჰელმ"-ში, — თავისი ქვეყანა 1783 წელს დააყენა რუსეთის მფარველობაში და დაუმკვიდრა იგი თავისი ანდერძით რუსეთის იმპერატორს. 1801 წელს საქართველო გახდა რუსულ პროვინციად.

„საქართველოს მოპოვებას შედეგად ის ჰქონდა, რომ რუსეთმა 1828 წ. სპარსეთის წინააღმდეგ ომით სპარსულ ბატონობაში მყოფი ამიერკავკასიის ნაწილი ერივანითა და ბაქოთურთ დაიპყრო. ამით შევიდა რუსულ ბატონობაში მნიშვნელოვანი ნაწილი სომხური და თათრული ხალხებისა. ეს ბატონობა აღწევდა უკვე მთაგრეხილის გადაღმა შავიდან კასპიის ზღვამდე. მაგრამ რათა ამიერკავკასია რუსეთის იმპერიასთან მჭიდროდ ყოფილიყო დაკავშირებული, ამიტომ იგი ბატონი უნდა გამხდარიყო აგრეთვე თვით მთებში, მის შემოსასვლებში და გადასავალებზე და ჩრდილო წინამხარეში. ბრძოლანი მთის ხალხებთან, რომელნიც ძნელად მიუვალ ხეობებში მწარედ თავს იცავდნენ და თავისი ისლამური კნატიზმით კიდევ უფრო განმტკიცებული იყვნენ, დიდხანს გაგრძელდნენ. მხოლოდ სამოციან წლებში საბოლოოდ მოათავეს აქ საქმე რუსებმა. ზემო ყუბანის არეში მცხოვრებმა ჩერქეზებმა არ ჩიეს თურქეთს გადასახლება, ვინემ ქრისტიანთა ბატონობაში ცხოვრება, ორი თანამედროვე სამხედრო გზის გაკეთებით (განთქმული ქართული გზა, მთაგრეხილის ცენტრალ ნაწილში და დასავლეთით მდებარე, ოსური გზა), ამასგარდა რკინისგზის გაყვანით კასპიის ზღვის ნაპირის გასწვრივ, ამიერკავკასიის დაკავშირება დანარჩენ რუსეთთან უზრუნველყოფილ იქმნა. თურქეთთან ომით 1877—78 რუსულ ხელში გადავიდა მნიშვნელოვანი ნავთსადგური ბათუმი შავზღვაზე. რუსეთისათვის მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ის, რომ სომხური ეკლესიის მეთაური, სრულიად სომეხთა კათალიკოსი, რომელსაც საკათალიკოსო ტახტი ეჩმიაძინის მონასტერში, ერივანთან ახლოს, რუსულ სამფლობელოში იმყოფებოდა, „ნახევარკუნძულ ეპშერონზე, ბაქოსთან, მდიდარ სანავთო ბუდობების აღმოჩენამ 1859 წ. ასწია მნიშვნელოვანად კავკასიის მხარის ღირებულება რუსეთისათვის. 1900 წელში რუსეთის სანავთო წარმოება მსოფლიო წარმოების ნახევარზე ცოტა მეტი იყო, გადაასწია მაშინ შეერთებულ შტატებს, მას შემდეგ ჭაბურღილების გამოსავალი ჩრდილო ამერიკაში და სხვა სანავთო წარმოების წამყვან ქვეყნები ისე დიდათ გაიზარდა, რომ ბაქოსა და სხვა მწარმოებელი ადგილების გამოსავალი კავკასიაში მხოლოდ ერთ პატარა ნაწილაკს წარმოადგენს მთელ მსოფლიო წარმოებაში, დიდი ღირებულებისაა აგრეთვე კავკასიური ბუდობები მანგანეცისა (შავი ქვისა) და სპილენძისა. ნახშირი და რკინაც აგრეთვე მოიპოვება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრს არაფერს ნიშნავს. შესაძლებელია სომხური რკინის მადანი მნიშვნელოვანი გახდეს.

„გარუსების ცდა ალექსანდრე მესამეს დროიდან კავკასიაშიც მიმდინარეობდა, მაგრამ ქართველ, სომეხ და თათართა მტკიცე ხალხურ შეგნების წინააღმდეგ, მიუხედავად სკოლებში ნაცად ძალადობისა, ქალაქებში ნაკლებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღა სოფლებში სრულიად უშედეგო იყო. თავისთავად კიდევ რუსული კოლონიზაცია ამიერკავკასიაში არ არსებობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შინა-რუსული სამშობლოდან გამოძევებულ სექტანტებს, რომელსაც აქ ძალით ასახლებდნენ, სულ სხვაგვარად დაეწყო საქმე ვაკე, სტეპურ წინაადგილებში მთაგრეხილის ჩრდილო მხარეზე. აქეთკენ მიემართა მაგარი, სამი წყაროდან ნაკვები ჩასახლებითი მოძრაობა; წინალაშქარს წარმოადგენდნენ კაზაკები, რომელნიც ჩაასახლეს ყუბანის მხარეში, რათა თავი დაეცვათ ჩერქეზების ცარცვისაგან, მათ თან მიჰყვნენ შავ მიწაზე, ქვემო და შუა ყუბანზე, უკრაინელი გლეხები და აღმოსავლეთით, კასპიის ზღვის პირდაპირ მდებარე იმირკავკასიის ნაწილში აგრეთვე ველიკოროსების ახალშენები. ყუბანის მხარე, უწინ თითქმის უკაცრიელი, მაგრამ ნოყიერი შავი მიწა, რომელიც როგორც ხორბლეულობის ქვეყანა უკრაინას არ ჩამოუვარდება, ბადაიქცა სწორედ უკრაინულ სახალხო სამკვიდრებელ ნაწილად. წინასწარი პირობა ჩრდილო კავკასიური სტეპების კულტივიზაციისათვის იყო მთის ხალხთა ალაგმვა. მათთან ბრძოლაშ რუსებს დიდათ გაუჭირა საქმე, განსკუთრებით განთქმულ იმამ შამილთან, რომლის ფიგურა დღესაც კი ყველა კავკასიელი მაჰმადიანისათვის თავისუფლების მოთხოვნის სიმბოლოა მოსკოვიდან გამომდინარე მძლავრობის წინააღმდეგ.

„რუსეთის რევოლუციის დროს, 1917 .წ., ჩამოშორდა მოსკოვურ რუსეთს მთელი კავკასია, ისე როგორც უკრაინა. მთაგრეხილის იქეთ აღმოცენდნენ ეროვნული რესპუბლიკები ქართველებისა, სომხებისა და თათრებისა, აქეთ კი ამაოდ სცადეს კაზაკთა თავისუფალი სახელმწიფოს დაარსება. გერმანულმა ჯარებმა 1918 წ. მიაღწიეს თბილისამდე და თურქეთის წინააღმდეგ ქართველები და სომხები მფარველობაში აიყვანეს — სომხურმა სახალხო რესპუბლიკამ, ამ სამთაგან ყველაზე მცირემ, მიიღო ლტოლვილებად სომხები თურქეთიდან, რომელთაც თურქთა მიერ მათი ხალხის ჟლეტის დროს თავი დაახწიეს. მას შემდეგ რაც გერმანულმა ჯარებმა ამიერკავკასია დასტოვეს, ინგლისელებმა ხელთ იგდეს დროებით ბაქოს სანავთო მხარე, მაგრამ დიდხანს არ შეჩერებულან. მოსკოვურ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ამ სამმა, ამიერკავკასიურმა თავისუფალმა სახელმწიფომ ვერ შესძლო თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცება. გაუერთიანებელნი, ცალკეულად დაპყრობილნი, ისინი იძულებით გადაბეს საბჭოთა კავშირს, ესე იგი მოსკოვურ ბოლშევიკურ ბატონობას დაუმორჩილეს. ქართველების აჯანყება წითელ ბატონთა წინააღმდეგ 1924 წ. სისხლში იქმნა ჩახრჩობილი. საბჭოთა საქართველოს დედაქალაქია თბილისი, საბჭოთა სომხეთის — ერივანი, საბჭოთა აზერბაიჯანის— ბაქო“.

ასე მოკლედ გადმოგვცემს პაულ რორბახი კავკასიის ისტორიას და თუმცა ამ ნაამბობში მცირე შეცდომებიც მოიპოვება, მაინც საერთოდ სწორ სურათს იძლევა. პირველად ყოვლისა სადავოა ის საკითხი, რომ თბილისში 61 ენას მოისმენთ, ეს ძველი ზღაპარი, დღემდე დაუვიწყებელია. ამიერკავკასია გეოგრაფიულად ევროპა არაა, მაგრამ არც აზიაა. იგი არ ეკუთვნის არც ცენტრალ და არც მცირე აზიას; შავი და კასპიის ზღვის შორისი მხარე უფრო მიჯნაა, და როგორც ასეთი უფრო დამოუკიდებელი, გეოგრაფიულადაც და შეიძლება, ითქვას რასიულადაც, რამდენად იგი უმეტესად იაფეტურ ოჯახს ეკუთვნის. სადავოა აგრეთვე ქართველთა თუ სომეხთა წარმოშობა. ამ საკითხის შესახებ სხვადასხვა, დღემდე გაურკვეველი შეხედულება არსებობს. ერეკლე მეორეს 1798 წელს არ დაუდევს მფარველობითი ხელშეკრულება (1783 წ.!). იმ წელს ერეკლე გარდაიცვალა, და არც ანდერძით დაუმკვიდრებია თავისი ქვეყანა რუსეთისათვის; საქართველო რუსულ პროვინციად გახდა 1801 წელს. კავკასიის ნავთის წარმოებას დღეს არა მცირე ნაწილი, არამედ მეოთხე ადგილი უკავია მთელი მსოფლიო სანავთო წარმოების რიგში და სხვა ასეთი წვრილმანი შეცდომა.

შემდეგ თავში ავტორი ეხება გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობას და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს საკითხები უკანასკნელი მსოფლიო ომის დროიდან. ავტორი სამართლიანად ასკვნის, რომ რუსეთის შესვლა ომში ანტანტის (საფრანგეთ-ინგლის-იტალიის) და სხ.) მხარეზე გამოწვეული იყო გერმანია-ავსტრო-ჰუნგრეთის მოწინააღმდეგე ინტერესებით, კონსტანტინოპოლისა და ბალკანეთის ხელში ჩაგდების გულისათვის, და სწორედ მსოფლიო ომის წინ, 1914 წ. პაულ რორბახი ამტკიცებდა, რომ რუსეთი დაინტერესებულია ომით, და საფრთხეში აყენებს გერმანიასა და ავსტრია-ჰუნგრეთსო! და რადგან ომი მოხდა, და ომი კი არის შეცვლილი საშუალებით პოლიტიკის გაგრძელება, გერმანიის პოლიტიკა უნდა ყოფილიყო რუსეთის დანაწილება, ვინაიდან არ არსებობს ერთი და ერთიანი რუსეთი, არამედ არის სამი რუსეთი, და აღმოსავლეთ ევროპაში, დიდი რუსეთის მაგივრად, განთავისუფლებულ სახელმწიფოთა შექმნით გერმანიას ზურგი თავისუფალი ექმნებოდა და შემოქალტვას ასცდებოდაო. ავტორს ეს აზრი ძველად არა ერთჯერ გამოუთქვამს და ამისათვის ლამაზი შედარებაც მოუტანია. „რუსეთი არის ფორთოხალი, მისი კანი იჭერს ნაწილებს, რომლის ერთი მეორედან მოშორება, კანის მოშორების შემდეგ, სრულიად იოლიაო. საჭირო არ იყო რუსეთის დაჭრა, ადვილი იყო მისი დანაწილება. სხვა ევროპიული სახელმწიფოს სხეულის დაჭრა გამოიწვევდა სისხლიან საზღვრებს. სულ სხვა იყო რუსეთი, რომელიც 1914 წ. ომში შეგვხვდა. მაგრამ ამის შესახებ არავის არა ჰქონდა წარმოდგენა, და ამ უვიცობიდან წარმოიშვა პოლიტიკურ-მილიტარული შეცდომითი ხელმძღვანელობა“-ო. 1915 წ. პოლონეთში და ლიტვაში მიღწეულ დიდ გამარჯვებათა შემდეგ, პაულ რორბახს მიუმართავს გერმანიის საგარეო სამინისტროსათვის, უმაღლეს სამხედრო პირებისათვის, რაიხსტაგის დეპუტატებისათვის მოხსენებით, რომლითაც იგი ამტკიცებდა, რომ რუსეთი ეხლავე უნდა იქმნეს დანაწილებული და უკრაინის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდესო. გერმანიის მტრებს, ამბობს ავტორი, უკეთესად გაეგებოდა რუსეთის ვითარება, ვინემ გერმანელ პოლიტიკოსებსო. საფრანგეთის ელჩი რუსეთში, პალეოლოგი ეუბნებოდა რუსეთის საგარეო მინისტრს საზონოვს 1915 წლის 30 იანვარს: „ერთი მოვლენათაგანი, ამ ერთი წლის განმავლობაში, რაც თქვენში ვცხოვრობ, და თვალში მომხვდა და რაზეც უცხოეთში (გერმანია!) ყველაზე ნაკლებ ანგარიშს უწევენ, არის მნიშვნელობა არა რუსული ხალხებისა, რომელთაც იმპერია თავის ფარგლებში შეიცავს. მე არ ვლაპარაკობ მხოლოდ მათ რიცხობრივ მნიშვნელობაზე; საქმე ეხება უმთავრესად მათ, მორალურ მნიშვნელობას, მათ ეთნიურ ინდივიდუალიზმის მტკიცე თვითშეგნებას, მათ მოთხოვნილებას, რომელსაც ისინი არდგენენ, რათა მათ რუსული მასსებისაგან გამოყოფილი არსებობა დაიმკვიდრონ. ყველა თქვენი უცხო-რასიული ხალხები (ტუზემცები), პოლონელები, ლეტტები, ლივლანდერები(?), ბალტები, ესტები, ქართველები, სომხები, თათრები და სხვები, იტანჯებიან თქვენი ცენტრალისტური მართველობის ქვეშ, და კიდევ უფრო მეტად იმიტომ, რომ თქვენს ბიურკრატიას მსუბუქი ხელი არა აქვს. ადრე თუ გვიან თქვენ იძულებული გახდებით მხარეთა ავტონომიები მოაწყოთ“-ო. „გერმანიაში“, ამბობს რორბახი, „შორს იყვნენ ამ შეხედულებისაგან, რომლის მოპოვებისათვის ჭკვიან ფ.რანგს რუსეთში მხოლოდ მოკლე დროის ყოფნა დასჭირდა“-ო. და პალეოლოგს უწინასწარ-მეტყველებია რუსეთის სამეურნეო მინისტრ კრივოშეინისათვის: როგორც კი შემაკავებელი სალტე მოშორდება რუსეთს, იგი დაირღვევა და დანაწილდებაო. პაულ რორბახი-კი ჯავრობს იმის შესახებ, რომ გერმანელებს ამის შეგნება და წარმოდგენა არა ჰქონდათო. ამიტომ პაულ რორბახს ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულვწვია, რათა ეს შეხედულება გერმანელთა შორის განემტკიცებინა და მრავალი ნაბიჯი გადაუდგამს ამ მიმართულებით. ჩემი საბუთები, ამბობს იგი, რამოდენიმე იყო.

1. რუსეთი, განცდილი დამარცხებებით, უკვე გადამწყვეტად დასუსტებულია; 2. იმპერიის განაპირა კუთხეებში მცხოვრები „უცხო-ხალხები" მოსკოვური რუსეთისაგან ჩამოშორებას მიესალმებიან როგორც განთავისუფლებას; 3. ეს შეეხება აგრეთვე უკრაინასაც, სადაც 40 მილიონნიანი მკვიდრია, მდიდარია და შეიძლება მისი სახელმწიფოს აღდგენა; 4. რუსეთის დანაწილება აღმოსავლეთ-ევროპის სახელმწიფოებად უნდა იყოს ამიტომ გერმანიის პოლიტიკის სამხედრო მიზანი, „ვინაიდან ეს სახელმწიფონი მათ შორის არსებულ შინაგან სხვადასხვაობათა, განსხვავებათა და წინააღმდეგობათა გამო აღარაოდეს აღარ აღსდგებიან ერთ ეროვნულ ერთეულად, ზოგიერთ მათგანს დასჭირდება ხანგრძლივად გერმანიაზე დაყრდნობა და ამგვარად გერმანია იქნება აღმოსავლეთში ზურგ-თავისუფალი და ამით ბოლოს მოუღებს თავის შემოსალტულ მდგომარეობას"-ო.

მაგრამ პაულ რორბახს არავინ გაუგონა გერმანიაში, და იმის მაგივრად რომ რუსეთში ეს პოლიტიკა გერმანიას ეწარმოებინა და ამით, იარალთან ერთად, რუსეთი დაემხო, მილიტარული ოპერაციების მთავარი მოქმედება 1916 წელში გადატანილ იქმნა დასავლეთით, საფრანგეთის მიმართ, რამაც გამოიწვია დამღუპველი შედეგები გერმანიისათვისო.

პაულ რორბახს გერმანიინ რაიხსკანცლერი ბეტმან-ჰოლვეგიც უნახავს ამ საკითხის შესახებ და მისთვის დასაბუთებული მოხსენებაც წარუდგენია, მაგრამ, უშედეგოდ. გენერალ ფონ ფალკენჰაინს გადაუწყვეტია 1916 წ. დამდეგს ვერდენზე შეტევა და ამით რუსული ოპერაციები შეჩერებულ იქმნა. რორბახს უცდია აგრთვე რუსული საკითხის შესახებ ჰინდენბურგის ნახვაც და ჯერ ჰქონია ლაპარაკი ლიუდენდორფთან. მას, სხვათაშორის უთქვამს რორბახისათვის, „ვერდენი იყო ბოროტმოქმედება"-ო. ამაზე რორბახს უპასუხნია: „ჩვენ უნდა გვქონდეს მისახწევი საომარი მიზანი, და ეს მხოლოდ შეიძლება იყოს: რუსეთი დღევანდელი მისი სახით სამუდამოდ უნდა გაჰქრობილ იქმნას ევროპის კარტიდან. რუსეთი შეიძლება დაყოფილ იქმნას მის შემადგენელ ნაწილებად, ვინაიდან იგი შეკოწიწებულია ძალადობით ცარიზმის მიერ. საფრანგეთსა და ინგლისს ჩვენ მართლა ვერ წავაქცევთ. ჩვენ მათ ომის დასრულების გადაწყვეტილებას შევუმსუბუქებთ მით, რომ არ დავისახავთ არავითარ ისეთ მიზანს, რომელიც ბრძოლის გაგრძელებას მოგვიტანს. რუსეთის მაგივრათ როგორც კი მოვაწყობთ აღმოსავლეთ-ევროპიულ სახელმწიფოთა ჯგუფებს, აღარ გვექნება შიში „კოალიციის მაჯლაჯუნის" გამო, ბისმარკს რომ აწუხებდა. ამაზე გენერალ ლიუდენდორფმა მიპასუხა: „ეს არის პოლიტიკა, მე როგორც ჯარისკაცი მაგას არ ვაკეთებ. და თუ გავაკეთებდი მას, ამას ეწოდებოდა: მძაგს ინგლისი! „ჩემს შეკითხვაზე, შემიძლია თუ არა ფელდმარშალი (ჰინდენბურგი) ვინახულო-თქო, ლიუდენდორფმა მიპასუხა: „ბრაუნშვაიგის ჰერცოგი არის მასთან, მაგრამ მე სრულებითაც არა ვფიქრობ, თქვენ მოგცეთ საშუალება ფელდმარშალს თქვენი იდეები გააცნოთ"-ო.

თუ რამდენად მართალი იყო პაულ რორბახი ამას ამტკიცებს იგი იმ აზრებით, რომელიც ამ საკითხის შესახებ პალეოლოგს და შემდეგ ჩორჩილს გამოუთქვამს.

რუსეთი წარსულ ომში დამარცხდა. მოხდა თებერვლის რევოლუცია, შემდეგ ბოლშევიკური გადატრიალება. მაგრამ ჩვენს გამარჯვებისათვისო, ამბობს რორბახი, უკვე გვიან იყო-ო.

ბრესტლიტოვსკში მოსკოვურმა ბოლშევიკურმა მთავრობამ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. პაულ რორბახი არ არის კმაყოფილი გერმანიის არც ამ საზავო პოლიტიკით. იგი ამბობს:

„თვით საზავო მოლაპარაკებანი ბრესტლიტოვსკში საბჭოთა მთავრობასთან და ბოლოსდაბოლოს უკრაინული კარტის გათამაშება მით, რომ უკრაინა, როგორც სახელმწიფო აღიარებულ იქმნა, დაზიანებული იყო იმ შეხედულების უქონლობით, რომ იგივე უნდა შეხებოდა მთელ ახალ აღმოსავლეთ ევროპას. როცა 1918 წლის მაისში მე გამიწვიეს ოფიციალურად კიევში, რათა უკრაინელებთან ურთიერთობაში შევსულიყავი, ვიყავი გარეგნულად კმაყოფილი, როცა უკრაინულ სოციალდემოკრატიულ გაზეთში წავიკითხე, ოსტატი მოვედი, რათა თავისი ნამოღვაწი დავათვალიერო, რომ უკრაინა, როგორც სახელმწიფო, ჩემი ქმნილება იყოო, — მაგრამ ყველა გერმანულ დაწესებულებაში, რომელთანაც მე კიევში რაიმე საქმე მქონდა, არავის არ გაეგებოდა ნამდვილი სახე უკრაინული საკითხისა, ყველა ფიქრობდა, რომ შემდეგში ავტომატიური გაერთიანება უკრაინისა რუსეთთან თავისთავად საგულისხმოაო.

„ბრესტლიტოვსკში ბოლშევიკებს არ უნდა მისცემოდათ უფლება ყოფილი რუსეთის სახელმწიფოს რომელიმე ნაწილის სახელით ელაპარაკათ, გარდა იმ მხარისა, რომელიც მოსკოვური ხალხითაა დასახლებული. ქვემოდ, კავკასიამდე ყველა ხალხს უნდა მოესმინა გერმანული ძახილი: თქვენ ხართ თავისუფალი მოსკოვისაგან! თქვენ თვითონ გადასწყვიტეთ: საით გსურთ წახვიდეთ, როგორ გწადიათ მოაწყოთ თქვენი მმართველობა! ეს იქნებოდა უმაგალითო მორალური დაპყრობა გერმანიისათვის მთელს აღმოსავლეთში და მატერიალური ნაყოფი თავისთავად ხელთ ჩაგვივარდებოდა. გერმანიის საომარი მიზანი შეიძლება და უნდა ყოფილიყო, 1914 წლის რუსეთის იმპერიის სივრცეზე აღმოსავლეთ-ევროპიულ სახელმწიფოთა ჯგუფის შექმნა, რომელიც დაახლოებით ასეთ სურათს მოგვცემდა; მოსკოვია, უკრაინა, ფინეთი, პოლონეთი, ბალტიური მხარე, საქართველო, სომხეთი. ამასთან, არსად სისხლიანი საზღვარი არ იქნებოდა, პირიქით, ყველაფერი შეიძლება განხორციელებულიყო როგორც დიდი თავისუფლების პროგრამა არა-მოსკოვური ხალხებისათვის! შეუწყვეტელი გაგრძელება შეტევისა 1915 წელს აღმოსავლეთში, როგორც ამას ჰინდენბურგი მოითხოვდა, მიზანს მიაღწევდა. გერმანია იქნებოდა აღმოსავლეთში ზურგ-თავისუფალი, დასავლეთით მტრები დაინახავდნენ, რომ ჩვენი დაჩოქება შეუძლებელი იქნებოდა. ეს დიდი თამაში 1918 წ. წაგებულ იქმნა. საბჭოთა რუსეთი, დასავლეთით ტერიტორიების დაკარგვის მიუხედავად, იმდენად ძლიერი მაინც დარჩა, რომ დაუცავი უკრაინა და კავკასია ისევ სისხლიანი ბრძოლებით, დაეპყრო. თითქმის მთელი აღმოსავლეთ-ევროპიულ ტერიტორიათა მასსა ჩაუვარდა ბოლშევიკებს ხელში და მას შეეძლო უკვე მათგან შექმნილი არსენალი განათლებული კაცობრიობის მუქარად გადაექცია.

„არსებობს ერთგვარი უნარი, რომელსაც ინგლისელები „ვიზიონს" ეძახიან (განჭვრეტა, ალლო), ერთნაირი ხილვა, რომელშიც ცოდნა ქვეყნისა, ერების პოლიტიკური ნებისყოფის შექმნისა, და ცნობა შესაძლებლობათა, რათა საგარეო ვითარებანი თავისი საკუთარი ეროვნული პოლიტიკისათვის გამოიყენო, ინტუიტურად ერთმანეთს გადაბმულია. ეს გვაკლდა ჩვენ მსოფლიო ომის დროს, და ამიტომ დავმარცხდით ჩვენ. უყურეთ რუსეთს!".

პაულ რორბახის ეს თხუზულება გამოქვეყნებულია 1942 წელს პოტსდამში და უკანთვალის გადავლებით იგი ჭეშმარიტებით აღნიშნავს იმ ნაკლს, რომელმაც, ჩვენის აზრითაც, გერმანიას მსოფლიო ომი მაშინ წააგებინა.

შემდეგი, მეოთხე თავი ამ თხუზულებისა, არის „აღმოსავლეთი ევროპა მსოფლიო ომის შემდეგ: საბჭოთა კავშირი". ბოლშევიკური წესწყობილების წარმოშობის ისტორია, საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ისტორია პაულ რორბახს, ისტორიული ჭეშმარიტებითა აქვს განხილული. მართალია, პეტრე დიდმა დაიწყო რუსული ხალხის გაევროპიელება, მაგრამ რუსეთი არსებითად ისევ

აზია დარჩა, როგორც პოლიტიკურად, ისე სოციალურად და კულტურულად. ზავის მოთხოვნილებამ და უმიწობამ რუსის გლეხი მიიყვანა ბოლშევიზმთან. — რუსის გლეხს უმიწობის მიზეზით სახელმწიფოსთან და მთავრობასთან ყოველგვარი კავშირი დაკარგული ჰქონდა და იგი გაჰყვა მას, ვინც მიწა შეპირდა. ლენინმა თვითონ სთქვა: „რამ მოგვიტანა ჩვენ გამარჯვება? მან, რომ ზავი და მიწა აღუთქვით!“. მასების ძახილი ზავისაკენ და გლეხთა ძახილი მიწისათვის იყო ელემენტარული ძალა, რომელმაც თვითმპყრობელობაც და დროებითი მთავრობებიც დაამხო. მოვიდა ბოლშევიზმი და დამყარდა ტერორი; ნეპი შესცვალა კოლექტივიზაციამ. შეუძლებელია გაიგოთ ბოლშევიკური შინაური პოლიტიკა, განსაკუთრებით მისი სამეურნეო პოლიტიკა, თუ მას საგარეო პოლიტიკას ჩამოაშორებთ. საგარეო პოლიტიკის მიზანია: მსოფლიო კომუნისტური რევოლუცია, რომელსაც ყველაფერი ემსახურება, და განსაკუთრებით ის მოვლენა, რომ საბჭოთა კავშირი მილიტარულად ისე ძლიერი უნდა გამხდარიყო, რომ მსოფლიო გადატრიალების საქმე თვითონ აეღო ხელში. ამაში მდებარეობს ფესვები სტალინის პოლიტიკისა, რომლის მიხედვით უნდა მომხდარიყო საბჭოთა კავშირის მილიტარიზაცია და ამ ნიადაგზე იქმნა აწყობილი საბჭოთა მეურნეობაც. კოლექტივიზაციის დაწესების მიზეზი იყო პირველი ის, რომ სახელმწიფოს პური ჰქონოდა უხოეთში გასასყიდათ და იქ მანქანების შესაძენად, რათა სამხედრო, მძიმე და მჩატე ინდუსტრია, განევითარებინათ; და მეორე ის, რომ კოლექტივიზაციით გლეხობა არ გამდიდრებულიყო და კერძო საკუთრებას ფეხი არ მოედგა, რაც მსოფლიო რევოლუციისათვის ანგარიშში არ შედიოდა. ამგვარად, საბჭოთა გლეხი გადაიქცა, გადაუჭარბებლად რომ ითქვას, სახელმწიფო მონად, რომლის შრომის შემოსავალი სახელმწიფოს მიაქვს და თვითონ კი უფლებაც არა აქვს თავისი ცოლშვილის გამოსაკვები გადაინახოს. კოლექტივიზაციის მიზანი იყო აგრეთვე, ამგვარად მიღებული პურით მოსკოვს ქალაქები და ინდუსტრიული მხარენი გამოეკვება, გლეხები ქარხნებში შეერეკა და ჯარიც შეექმნა.

ის დიდი ინდუსტრიალიზაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში წამოიწყო მილიტარიზაციას ემსახურებოდა და ამისათვის დაწყებულ იქმნა გეგმობრივი მუშაობა, რომლის შედეგად ასეთი სამრეწველო რაიონები შეიქმნა: დასავლეთის ინდუსტრიული ზონა, ლენინგრადითურთ; იაროსლავ-როსტოვის ზონა, თავისი მანქანათა ამგები ინდუსტრიით და ლითონთა გადამმუშავებელი მრეწველობით. აქ სამხრეთით უმთავრესად შავი და ჭრელი მეტალურგიით და მძიმე ქიმიით, ჩრდილოეთით ელექტრო-ტექნიკით და მსუბუქი ქიმიით; მესამე ზონა — ვოლგა, სადაც სჭარბობს მანქანათმშენებლობა, და ლითონთა გადამუშავება, ნავთის გაწმენდა, ხის გადამუშავება, ჭამასმისა და ტექსტილის ინდუსტრია; ამას მოსდევს შემდეგ ურალის დიდი ინდუსტრია და კუზნეცკის სამთო-მადნო მრეწველობა, რომელიც დაკავშირებულია ურალთან და ჰქმნის ურალ-კუზნეცკის კომბინატს; ამას შემდეგ მოჰყვება ციმბირში ენისეი-ანგარას სამრეწველო მხარე და სხ. ურალისა და კუზნეცის კომბინატის შექმნა იმითაა გამოწვეული, რომ ურალს თავისი საკუთარი ქვანახშირი არ გააჩნია და იგი უნდა მიზიდოს ყველაზე უფრო ახლო მდებარე კუზნეცკიდან, რომლის მანძილი ორი ათას კილომეტრზე მეტს უდრის; მრეწველობითი სტანდორტის თვალსაზრისით ეს მოვლენა დიდი მეურნული ნაკლია, მაგრამ იქ, სადაც არც ადამიანს აფასებენ და არც მის შრომას, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ავტორი ეხება აგრეთვე ოქროს წარმოებას, აღნიშნავს თუ როგორი სისწრაფით განავითარეს იგი საბჭოთა კავშირში, ადამიანთა და მისი შრომის დაუზოგავობით, და ამბობს, რომ კავკასიაშიც დაიწყეს, როგორც უძველეს დროში, ოქროს ბუდობების დამუშავებაო.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ბუნებრივ სამეურნეო საფუძვლებს, აქ ავტორი ეყრდნობა რა სპეციალისტების მიერ გამომუშავებულ შეხედულებებს, ასკვნის, რომ საბჭოთა კავშირი თუმცა მეტად მდიდარი ქვეყანაა, როგორც ეს უცხოეთში გადაჭარბებითაც წარმოუდგენიათ, მაგრამ მისი სიმდიდრე ამ უზარმაზარ სივრცეზე ისე გაბნეულია და ხშირად ისე მიუწვდომელი, რომ თავის ღირებულებას ჰკარგავს. საბჭოთა კავშირი აგრარული ქვეყანაა, და ბოლშევიკებმა მოისურვეს მისი ინდუსტრიალიზაცია; ესო, ამბობს ნიდერმაიერი, აუცილებელი მოვლენა იყო, როგორც ეს ამერიკაში მოხდა, მაგრამ იქ განვითარება იყო ნორმალური და აქ ძალობრივი. გეგმის ძალით განხორციელება, ამ ძალადობის შედეგად, რამაც მილიონ-მილიონი ადამიანთა მსხვერპლი შეიწირა, საბჭოთა კავშირმა მართლაც გააძლიერა თავისი მძიმე მრეწველობა; 1913 წელთან შედარებით საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის ვოლუმი გაიზარდა 1932 წლამდე 94-ით, ამერიკაში — 90, გერმანიაში — 58, საბჭოთა კავშირში — 334. ასეთ ზრდას უმთავრეს დანიშნულებად ჰქონდა პირველად ყოვლისა ავტარკია, ესეიგი ეკონომიურად უცხოეთისაგან განთავისუფლება და თავისთავის შინაური წარმოებით დაკმაყოფილება, და მეორე მხრივ მსოფლიო რევოლუციის მიზნით სამხედრო შეუჩერებელი მზადება. მაგრამ ზემოდ აღნიშნული გაბნეულობა და ერთი მეორეზე დაშორება მდიდარი ადგილებისა უმთავრეს ხელისშემშლელად მაინც რჩება. არამც თუ მარტო საწვავი მასალის ბალანსი, არამედ ნედლი მასალის ბალანსიც ამ უზარმაზარ ქვეყანაში მეურნულად მხოლოდ ზარალის მომცემია და საგარეო ვაჭრობისათვის გამოუსადეგარიც. ამ მოვლენის გასაგებად მოვიტანთ აქ მხოლოდ ერთ მაგალითს, — ურალ-კუზნეცკის კომბინატი. იგი დაშორებულია ნოვოროსიისკზე 4015 კილომეტრით, როსტოვთან — 3757 კილმ.; სემიპალატინსკიდან როსტოვამდე კიდევ 3533 კილომეტრია, და ნოვოსიბირსკიდან მოსკოვამდე 2313 კლმ. წერტილთა ეს სიშორე წარმოუდგენელად აძვირებს საქონელს და ექსპორტის საკითხი აქ გადაუწყვეტელია. ამიტომ ამ დუხჭირი ვითარებიდან გამოსავალის ძებნამ ყურადღება მიაქცია ადგილობრივი, ავტარკული ზონების მოწყობას და მთელი სიმძიმე განვითარებისა ამ ნიადაგზე გადავიდა. მაგრამ ეს მომავალის მუსიკაა! ის მოვლენა, რომ რუსეთი ერთ მეურნულ მთლიანობას არ წარმოადგენს, ძველადაც კარგად ესმოდათ, მაგალითად მენდელეევს და ვიტტეს, და განსაკუთრებით ეს უკანასკნელი სცდილობდა ეს შორიშორ მყოფი სამეურნეო რაიონები რკინისგზის ქსელის შექმნით ერთმანეთთან დაეკავშირებინა. ასეთი მძიმე არის საბჭოთა კავშირის ეკონომიურ-გეოგრაფიული განსაკუთრებულება და ეს კარგად ესმით ბოლშევიკებსაც, რომელთაც ძალადობით მოისურვეს ამ ნაკლთა გადალახვა და დაგეგმვის საშუალებით ერთი მთლიანი საბჭოთა მეურნეობის შექმნა.

მაგრამ რომ საერთოდ გაგებულ იქმნას საბჭოთა კავშირის ვითარება, მხედველობაში უნდა მივიღოთ სამი მოვლენა: 1) გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული ეკონომიური შედეგები, თუ რამდენად შესძლებენ მართველები ყველა ზემოაღნიშნული მძიმე ნაკლულოვანებანი საწვავ და ნედლ მასალათა ბალანსისა დასძლიონ; 2) ეროვნებათა საკითხი. თუმცა ბევრს ქადაგებდნენ, რომ მეფის რუსეთი ერთი და მთლიანიაო, მაგრამ თვითონ რუსები ამ მთლიან საიმპერატორო რუსეთში მხოლოდ 47 პროცენტს წარმოადგენდნენ, საბჭოთა კავშირიც, რასაკვირველია, ეროვნებათა სახელმწიფოა და ერთა დაპირისპირება აქ უფრო გამწვავებულია; 3) მესამე მოვლენა მდებარეობს თვით ბოლშევიზმში არსებულ სიძნელეებში, გამოცემულ გეგმათა ტეხნიკურად დაძლევის საკითხში. უგულებელ არ უნდა ვყოთ ის ფაქტი, რომ საბჭოთა რეჟიმი სრულიად ანგარიშს არ უწევს ადამიანთა მსხვერპლს და მასალათა გაფუჭებას; რომ ბოლშევიკები არაფრად აგდებენ რაციონალური შეხედულებით უარყოფილ სამეურნეო ზარალს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ხალხთა მასსებს ისინი დაუზოგველად ერთი ადგილიდან შორეულ მეორე ადგილს მიათრევენ, სადაც ისინი შიმშილს განიცდიან და სიკვდილს ეტრფიან. დამუშავებულ უნდა იქმნეს ამდენი და ამდენი რკინა, ამდენი ყუმბარა, ამდენი ხე, ამდენი მოტორი, სხვადასხვა, მაგრამ რა მსხვერპლით, ეს მათ არ აინტერესებთ. აქ ბატონობს მხოლოდ მილიტარიზმის მიზნები, პოლიტიკის მისწრაფება, და სხვა არაფერი. ამის დასამტკიცებლად ავტორს არა ერთი საბუთი და მკვლევართა დასკვნები მოაქვს, და ყველა ერთად ამტკიცებს, რომ მეურნეობა ზარალს იძლევა და ხალხი უბრალოდ ეწირება მეთვალყურე გეპეუს თუ ენკავედეს, რომელიც ყველა წარმოების მეთვალყურეა. ყველას უხეში პატრონი და ბატონი კომუნისტური პარტიაა, და განსაკუთრებით მისი მოწინავე ნაწილი, რომლის რიცხვი 200.000-სს არ აღემატება, და რომელიც მთელ უზარმაზარ საბჭოთა სივრცეზე უპასუხისმგებლოდ ბატონობს და „სოციალიზაციას", „კოლექტივიზაციას", „ინდუსტრიალიზაციას" და სხვადასხვა „ზაციას" დაუზოგველად და დაუთვლელად ხალხს სწირავს: ხვრეტა, გადასახლებაში თუ ლაგერებში სიკვდილი, ჩვეულებრივი მასიური მოვლენაა და აგრეთვე ჩვეულებრივია შიმშილობაც, სიყმილი, რომელიც ხალხს ანადგურებს. ესაა მიზეზი იმისა, რომ ბოლშევიკები სახალხო აღწერის ნამდვილ რიცხვს არ აცხადებენ, არც უკანასკნელი, 1937 წლის აღწერის შედეგები გამოუქვეყნებიათ! სპეციალისტების გამოანგარიშებით კი კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის დაწყების შემდეგ რუსეთს მოაკლდა ოცდაათი მილიონი ადამიანი. 1933 წლიდან 1938 წლამდე ხალხთა ზრდა კი არ მომხდარა, არამედ უკანდახევა: 165,7 მილიონიდან 151,8 მილიონამდე! და ვ. ჰ. ჩამბერლენი ამტკიცებს, რომ სამრეწველო ხუთწლედის გეგმას ორი მილიონი ადამიანი შეეწირა, რომელთა კვალი არავინ იცისო! შიშლილობა ანუ სიყმილი კიდევ აპარტახებს ქვეყანას, — მას ძველი რუსეთიც კარგად იცნობს: ერთ ნაწილში სიყმილი იყო, მეორე შორეულ ნაწილში კიდევ არ იცოდნენ ჭირნახულისათვის რა ეყოთ! ასევეა ეხლაც. 1932—3 წ. უკრაინამ და ბელორუსიამ დაჰკარგა სიყმილის გამო 40 პროცენტი მცხოვრებთა! ეს იყო კოლექტივიზაციის შედეგი! და ამას მიესალმებიან კიდევ: ნაკლები მჭამელი იქნებაო! და ამგვარად სიყმილი შეიქმნა საბჭოთა ხელში პოლიტიკურ იარაღადაც. მთელი ძველი თაობა, ვისაც წარმოდგენა ჰქონდა სხვა ცხოვრებაზე, სამშობლოს სიყვარულზე, თავისუფლებაზე განადგურებულ იქმნა. „სტალინი ამასთან არ ზოგავს თავის საკუთარ თანამემამულეებსაც, ქართველებსაც კი. 1937 წ. უცბად გარდაიცვალა ერთი მისი ერთგულთაგანი, ქართველი ორჯონიკიძე. იგი იყო თავჯდომარე საორგანიზაციო კომიტეტისა მძიმე მრეწველობისათვის და პოლიტბიუროს ერთ სხდომაზე სტალინთან შეჯახება მოუხდა ქართული საკითხის გამო, „წითელმა მეფემ" დაიგიწყა თავისი ქართული ჩამომავლობა, თუმცა მის მცველთა რაზმი 200 კავკასიელისაგან შესდგება, მაგრამ იგი თვითონ ისევე უხეშად და განურჩევლად მიმართავს ეროვნებათა წინააღმდეგ პოლიტიკას, როგორც წინად ცარიზმი. ქართული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობაში დაყენებულ კომუნისტებს არ სურდათ ხალხის სავსებით და სრულიად დენაციონალიზაცია და მფარველობას პოულობდნენ ერთხანს ორჯონიკიძესთან. პოლიტბიუროში კონფლიქტის შემდეგ, იგი უცბად გარდაიცვალა, როგორც ქართველები ამბობენ, საწამლავით. მაშინათვე ქართულ დედაქალაქ თბილისში დახვრეტილ იქმნენ ეროვნული ოპოზიციის წარმომადგენელნი. საბჭოთა კავშირში ამისთანა შემთხვევაზე ამბობენ „ლიკვიდირებულ იქმნენ-ო". ეს ბრძოლა ეროვნულ ოპოზიციათა წინააღმდეგ მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს და ათასობით და ათასობით ქართველები, სომხები, თათრები, უკრაინელები და სხვანი იღუპებიან; თუმცა გარეგნულად, ანუ კონსტიტუციის მიხედვით, ყველა ერი თავისუფალია. 1923 წელს 6 ივლისს დაარსებულ იქმნა „საბჭოთა კავშირი". 1936 წელს დაწესდა სტალინური კონსტიტუცია, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკათა რიცხვი ოთხიდან თერთმეტი გახდა. ამავე კონსტიტუციის მეოთხე მუხლის ძალით თითოეულ რესპუბლიკას უფლება აქვს კავშირიდან გავიდეს. მაგრამ ეს ცარიელი სიტყვაა, როგორც მთელი კონსტიტუცია, რადგან მთელი პოლიტიკური, სამხედრო და სამეურნეო ხელისუფლება მოსკოვის ხელშია. მოსკოვის ხელშია: საგარეო ვაჭრობა, რკინისგზები, ფოსტა, ფინანსები, სამეურნეო დარგი, სამხედრო, საგარეო. და ჩეკა ანუ გეპეუ და სხ. ადგილობრივ რესპუბლიკების ხელშია: კომუნალური მეურნეობა, სასამართლო, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა, ადგილობრივი ხასიათის მრეწველობა. და ყველაფერს ხომ საერთოდ ფლობს მთლიანი კომუნისტური პარტია!, რომელსაც ხშირად სწმენდენ, არა-სასურველ პირთ თავიდან იშორებენ. ამ კომუნისტურ პარტიაში კიდევ ებრაელებს დიდათ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. სხვათაშორის ებრაელთა ჩამოთვლის დროს ავტორს შეცდომა აქვს. იგი ბერიას ებრაელებს მიაკუთვნებს, თუმცა ამით ქართველობა არაფერს ჰკარგავს!

რუსულ კომუნისტურ პარტიას მიზნად აქვს დასახული მსოფლიო რევოლუცია და მთელი ბოლშევიკური მოღვაწეობა იქით იყო მიმართული, რომ ამ რევოლუციისათვის საბჭოთა კავშირი იარაღით ხელში მომზადებული ყოფილიყო. 1939 წ. კომუნისტურ პარტიის კონგრესზე სამხედრო კომისარმა ვოროშილოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა ჯარის რიცხვი გაიზარდა — 103 პროცენტით, ჯავშნოსნები — 1911 პროც.; მსუბუქი არტილერია — 34 პროც.; საშუალო არტილერია — 26 პროც.; მძიმე არტილერია — 85 პროც.; ზენიტის — 169 პროც.; ავიაცია — 130 პროც.; რასთან შედარებით მოხდა ეს ზრდა, რასაკვირველია, მან არა სთქვა. და ეს ზრდა იყო ინდუსტრიალიზაციის მიზანი! და არავინ დაგიდევდა, თუ რა მსხვერპლითა და ზარალით გატარდა იგი. მარტო 1937 და 38 წლებში წუნდებული საქონლის ფასი 397 მილიონ მანეთს უდრიდა! მაგრამ ყველაფერი სამხედრო საქმისათვის უნდა გაკეთებულიყო. შედეგი?

„შედეგი ოცდაათხწლოვანი ბოლშევიკური სახელმწიფოებრივი და ეკონომიური ხელმძღვანელობისა აღმოსავლეთ ევროპის სივრცეზე არის განადგურება კულტურისა საფუძვლებამდე. მისი ხელახლა აშენება გამოსადეგი ფორმით მეტად ძნელი ამოცანა იქნება — ყველაზე უფრო იმიტომ, რომ ადგილობრივ არავითარი მოქმედი ძალა აღარ არსებობს, ვისთანაც ერთად შეიძლებოდა მუშაობა. ზემოფენა ძველი რუსული საზოგადოებისა და ქვემოდ წვრილ ბურჟუაზიამდე თითქმის საფსებით განადგურებულია; ბეჩავ ნაშთიდან, რომელიც ჯერ კიდევაა დარჩენილი, შეუძლებელია უნარიანი თანამშრომლების მოპოვება. გლეხი, რომლის შესახებ სამართლიანად ნათქვამი იყო, არასოდეს რუსეთში იგი ნაციონალური კულტურის მატარებელი არა ყოფილა, არამედ მხოლოდ მოუთმენია იგი, შეიძლებოდა სტოლიპინის აგრარული რეფორმით ნელნელ განვითარებულიყო, მაგრამ ეს გეგმა დამარხულ იქმნა სანამ იგი შედეგებს მისცემდა. ბოლშევიზმისაგან გლეხობა უფრო მეტად დამონებულია, ვინემ ეს იყო ბატონყმობის დროს და იგი მოწყვეტილ იქმნა სისხლისა და მიწის მთლიანობისაგან"...

ასეთი არის პაულ რორბახის მიერ გამოტანილი დასკვნა საბჭოთა რუსეთის მეურნეობისა და ადამიანის შესახებ. და დღესაც საბჭოთა რუსეთი ბრძოლის ველზე აგრეთვე დაუზოგავად სისხლსა ღვრის და მასალას ანადგურებს, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მსოფლიო რევოლუციას გაამარჯვებინოს! ხოლო თუ რას მოუტანს იგი ევროპასა და მსოფლიოს, ეს თვითეულმა ქართველმა კარგად იცის, ვინც საბჭოთა წესწყობილებაში ცხოვრობდა და მოქმედებდა; ეს იქნება ნგრევა ევროპის კულტურისა, ჟლეტა ევროპის ხალხებისა და საერთოდ ევროპის აღსასრული.

ბ. ვარდანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამეები

ბ. ბ—ძე

I

ღამე ნათევი და უბინაო
მივდივარ, მივსდევ მწუხარე წვიმებს.
მსურს სული სადმე დავაბინაო,
მსურს სული მივსცე თეთრ სერაფიმებს.
როგორც არტახებს, როგორც მარწუხებს
მომიჭერს ღამე უშავეს მკლავებს;
მე რაც მაღონებს და რაც მაწუხებს,
შევჩივი ჩუმად: — მთვარეს, ვარსკვლავებს.
როს განთიადი წამოშლის გედებს
და გაჰფანტს ღამის დაღლილ ჰუნეებს,
მე ავტირდები და მკვდარ იმედებს
გავატან განვლილ საუკუნეებს.

II

ისევ ის ღამე, ისევ ის სევდა
მე ამ ღამეებს ვერ ვეძმობილე.
მივალ და ხეთა ტოტებზე ვხედავ:
თვითმკვლელებს ბაწრით ჩამოხრჩობილებს.
მე კვლავ ძველ ხსოვნებს გავეკიდები...
(ვერ მიხსნის ფიქრი ზვარზე, მარანზე).
ალბათ მეც ბაწრით დავეკიდები —
ვით ესენინი, სადმე ფარანზე.

III

მოვიდა დილა... გათენდა ისევ,
მაგრამ ეს დილაც ალარ მახარებს.
რაც ძალა მქონდა, რაც სიხალისე
ღამეებს თავზე გადავაყარე.
მივდივარ უგზოდ... ბილიკს ვერ ვხედავ...
გულში დავიცემ გალეხილ დანას...
„რისთვის გამზარდა ნეტავი დედამ —
„რისთვის მეტყოდა ნეტავი ნანას“.

IV

შენი თვალების მელანი ბნელი,
მაგონებს ღამის უშავეს გიშერს.
შენ საწამლავი შემასვამ მწველი
და ღამეც თასით საწამლავს მიშვერს.
ღამეა ჩემი აწ, მეგობარი,
რადგან არავინ არ მყავს ძმებიდან
და ვტირი როგორც ბუ ნათოფარი
ძველი საყდარის ნანგრევებიდან.
როდესაც დავრჩი განმარტოებით
და ღამემ დამჭრა ბასრი ისარით:
ვგოდებდი მარტო, — მწარე გოდებით
ვით უსინათლო, ბრმა კეისარი.
არვის ესმოდა ტირილის ხმები,
არც განწირული სულის ტაროსი.
და დამცინოდა უხეშ გინებით
ყველა მახინჯი და ბარბაროსი.
ველოდი თქვენგან საქციელს ქველურს:
ვერ მიხსნა ლექსმა, ვერც სახსოვარმა.
მე გაპატიებთ საქციელს ველურს,
შეგინდოთ ქრისტემ და მაცხოვარმა.
თქვენ ეხლა გიცქერთ მეტად ამაყად,
დღეს ირონიით თქვენ გაკვირდებით.
მაგრამ წუხილი მოვა ამაღამ
და კვლავ ქუჩებში გავნაპირდები.

V

ღამე მაღალი ვით პირამიდა
მოფრინდა ყორნის შრიალა ფრთებით.
შენზე ოცნება ეხლა რათ მინდა —
შენთან ბაასით როგორ დავთვრები?!..
გავყვები ღამეს — გავყვები ზეცას....
შევალ კაფეში, გადავკრავ არაყს.
და ჭიანურის მწუხარე კვნესას
მე ვამჯობინებ შენთან ლაპარაკს.

VI

ისევ ის ღამე, როგორც წუხელი
ჩამოშლის გიშრის უშავეს კავებს.
და როგორც ლეკვი თვალაუხელი
ჩემი ოთახის კართან წკავწკავებს.
მე თვალს ვარიდებ მის თვალთა მინებს: —
თან შიში მიპყრობს ველურ ზმანებით
და კარში ქარი ოხრავს, ქვითინებს —
ცოცხზე გადამჯდარ კუდიანებით.

VII

ვერ გადვურჩები აწ ღამის წყვდიადს —
თქვენ ერთად იართ, როგორც ტყუპები.
რა ვქნათ, რომ ქარი გიმღერს ბაიათს,
რა ვქნათ, თუ სადმე დაიღუპები.
მაგრამ ლექსები და გრძნობა შენი
ერთს მაინც თუ კი მოაგონდება,
გადაიკითხავს ამ ფურცლებს შთენილს.
გადაიკითხავს და დაღონდება.

ამბავი დღეთა

დილით... სარკესთან...

ადგები დილით.... ნელი ზმორებით
ფიქრებს, ოცნებებს ღამეში ნაკრებს
და ლურჯ სიზმრების მუქი მორევით —
შენ მიადგები უძირო სარკეს.
დაიწყებ დინჯად თმის გადავარცხნით —
(გტანჯავს სიმრავლე დაცვენილ თმების)
და შენს გარშემო მარჯვნით და მარცხნით
თუ საკუთარ თავს სარკეში ხედავ: —
ისმის შრიალი გაფრენილ წლების.
შენ სასტიკ პროტესტს ცივ სარკეს ახლი,
ვით ფრთებს წყლის ჭავლებს თეთრი თოლია
და გსურს არ გესვას ბეჭედი დაღლის
და დაბერების მელანქოლია.
თუ ცაა სუფთა და მზეც ლივლივებს

შუადღით...

მაგრამ გოდება დიდია უფრო —
ივიწყებ განვლილ ღამის სიავეს...
გახვალ და შვადღის მხურვალე სხივებს
გაუფენ სულის სინოტიავეს.
შენ ფურცლავ სულში საყვარელ წიგნებს,
ხან ითვლი ცაზე გაფრენილ მტრედებს.
და გულიც ისევ გარშემო იკრებს
სხვა აღტაცებებს, ახალ იმედებს.
მაგრამ თუ ლეგა ღრუბელი შავი
ცის სუფთა გუმბათს გადაეხურა,
ხარ მოწყენილი და საცოდავი,
ვით გაწუნწული ტყეში ბეღურა.
ასეთი დღე არ გიწვევს ბინიდან
ხარ ნერვიული, ქუში, მწყურვალე.
და სვამ ზედიზედ წითელ ღვინიდან
მზის ტემპერამენტს და სიმხურვალეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმრები

I

ჩაგეძინება.... რულში ჩაგძირავს....
ფერად სიზმრების გაიბმის ძაფი,
როგორც მდინარის რძისფერი ქაფი
ძველ დახავსებულ წისქვილის პირად.
თუ ნდომა მწველი დღისით ვერ ახდა,
ღამე სიზმრებში მიდედინაცვლებს;
და სინამდვილეს შიშველს და გამხდარს
ჭრელ, აბრეშუმის ჩააცმევს საცვლებს
და სანახავებს ნათელს და მზიანს,
სპარსულ ნოხებათ ფეხქვეშ გაიგებს.
ვხედავ უდაბნოს ცხელს და სილიანს
და ცივ ქვეყნების ულრან ტაიგებს.
კანადის წყლები: ცივი, ანკარა.
ოქროს თევზები ჩინეთის ტბებში.
ლომის ღრიალი: — ატლასის მთებში,
მთვლემარე ინდი და ნიაგარა —
თვალწინ მეშლება, უცხო მითებით
მსოფლიო სახის ჭრელ ალმანახებს
ფურცლავს სიზმარი ყვითელ თითებით
და ყოველივეს ცხადად მანახებს.

II

მინდვრები, წყლებიჭალა თუ მთები
სხვა და სხვა სახე სიზმარი მალი
იშლება როგორც ყორანის ფრთები
შრიალა, შავი, და იდუმალი,
მაგრამ უეცრად სურათი ქრება
ვით ძველი ზღაპრის ჯადო-ფერია
ოცნება ჩემი სხვა სახეთ ჰკრებავს
ვხედავ სიზმრების მახინჯ სერიას...

III

აწეულ კუზით მოხუცი ქალი,
ჩამტყდარ კბილებით, ბნელ სათვალეთი;
გამიშლის კარტებს ტუჩთა კანკალით
ხელში უჭირავს ყვავის ვალეტი.
ცხვირი: — ნისკარტი კაპუეტ ქორის.
მუმია... ჩონჩხი... ყრუ მისტერია...
და გამხმარ შუბლზე დაუწერია: —
შავ ასოებით „მემენტო მორი!"
შენ კუდიანო ჩემგან რას ელი?
რას მოგცემს ზვავი და ქარტეხილი?!?
ჰო, ბედი ჩემი ხიდია ძველი
ეხლა ჩაშლილი და ჩატეხილი.
თუ ნდომა მწველი ვერ ახდეს დღისა,
სიზმრებში მაინც დამატკბოს წამმა.
განვედი ჩემგან.... დაგწყევლოს ქრისტემ
და წმიდა გიორგიმ სამოცდასამმა

IV

სხვა გვარ სურათებს ძილი მომისევს,
სასტიკ სიზმრების ვერ ვუძლებ შვავებს.
ვხედავ: მძლავრ ტალღებს მეწამულ ზღვისას
და შავ გველების შხამიან თავებს.
ვერ გავექცევი წყეულებს მგონი,
და მოვარიდო მათ მინდა თვალი.
თითქოს შევიქენ ლაოკონი
მხრებს მეჭიდება გველების რკალი.
ბანჯგვლიან ქაჯის უხეში მასსა
სულს შემიხუთავს, გულს დამედება.
მინდა ვიყვირო, ვერ ვიღებ ხმასა.
მინდა გავიქცე, ფერხთ მეკვეთება .
გამეღვიძება... საშინელ სიზმარს
ქარს დავადევნებ მსხვრეულ მინებათ.
ავანთებ სანთელს და ვიწერ პირჯვარს
სანამდე ისევ ჩამეძინება....

V

მთვრალ, მეამბოხე ქერა მეზღვაურს
მე დავამზგავსე სიზმრები ჩემი,
მარად ტალღების რომ ისმენს ხმაურს
და მარად ზღვებში რომ მიყავს გემი.
მან კაპიტანი შეჰჭობა ძალით
ჯანყის ალამი გემზე ასწია,
მაგრამ არ იცის ნავიგაცია
და არც მიზნისკენ სავალნი გზანი.
ეგრედ, როს დამღლის ფიქრი და შრომა
და ძილი ტკბილი მომპარავს თვალებს;
უცხო სიზმართა ფერადი კრთომა
მთვრალ მატროსივით მახეტიალებს.

VI

მე ნეტარება დიდხანს ვეძიე,
მაგრამ ამ ქვეყნად ვერსად ვერ-ვპოვე.
ქარივით ფრთამალს ვერ მივეწიე,
გამოვიტირე და მივატოვე.
ან კი რას ნიშნავს ცბიერი ბედი
ქარივით ჩქარი და წარმავალი?!?
ვინ მოუხარა ქარიშხალს ქედი
ვინ შეუცვალა წყლებს გზა სავალი???
როგორც ნამებით სოფელი ყანა,
ანდა ცეკვის დროს ფერადი ქოში
იელვებს... ჰკრება ფატა მორგანა:
მწველი სურვილი — კრულ უდაბნოში.
აღელდეს ზღვანი.... მოვარდეს ქარი....
იყეფოს სეტყვამ ტყესა და ველში.
მთელი სიცოცხლე სიზმარი არი,
სიზმარი ჭრელი: — ვალეტით ხელში.

ბ. ბ — ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ როგაჭიძე

საქართველოს სათავენი

შინაგანი გეზი ამ ნარკვევისა მოქცეულია იმ მსოფლხედვაში, რომელსაც „ტრადიციულს“ უწოდებენ. „ტოადიცია“ — სიტყვა უცხო. ფრანგულად: tradition. გერმანულად: Ueberlieferung, რუსულად: პრედანიე, ქართულად: გადმოცემა. ნაგულისხმევია არა ჩვეული გაგება ამ ცნებისა — მაგალითად არა ესა თუ ის ჩვეულება რომელიმე ტომისა თუ გვარის, არამედ: ხილვით თუ ქმედებით გამოსლვა მეტაფიზიურ სათავეებიდან. მრავალ ავტორთაგან, რომელნიც იკვლევენ ტრადიციას ამ გაგებით, მინდა აქ დავასახელო მხოლოდ ხუთი: ფრანგი René Guénon გერმანელი Leopold Ziegler, იტალიელი Julius Evola, დანელი Wilhelm Prönbeck, რუსი დიმიტრი მერეჟკოვსკი. ტრადიციაში მხილდება მსოფლსახე, ერის შინაგანი არსის მიერ ხილული. ამ მხრით მრავალი მსოფლიო კულტურაა განხილული, ზოგი გაკვრით, ზოგი ვრცლად: ჩინელთა, ჰინდოელთა, ჰალდეველთა, ასურელთა, ბაბილონელთა, ირანელთა, ეგვიპტელთა, ბერძენთა, ლათინელთა, კელტთა, გერმანელთა, სლავთა და სხვათა. ტრადიცია ქართველი ერისა ჯერ კიდევ არ არის რკვეული: მასალა კი მისი რკვევისათვის მრავლადაა „მონივთული“.

მე მარგუნა ბედმა შინაგან ვწდომოდი შემოქმედების დროს ქართველთა ტრადიციას და მინდა: ვამცნო ქართველობას მისი, ტრადიციის, თაურები.

ქცეული და ქცევადი

რას ნიშნავს გამოსლვა მეტაფიზიურ სათავეებიდან? ამ კითხვის გასაშუქებლად საჭიროა უპირველეს ყოვლისა ზღვარი იყოს გავლებული „ქცეულისა“ და „ქცევადის“ ‘ძორის. ავიღოთ მაგალითი. ვარდის მორჩი თავსა ჰყოფს მიწის საშოდან, იზრდება თანდათან, მტკიცდება როგორც კლერტი და ბოლოს ისხამს კოკორს, რომლისაგან ყვავილოვან იფურცლება: შემდგომ, მიაღწევს რა სრულყოფას, ჭკნება იგი, ხმება, ჭრება: თითქო უბრუნდება მის მშობ წიაღს, რათა იქიდან კვლავ მოევლინოს არეს, თუცა-ღა არა როგორც „იგივე“ გარნა მაინც „იმგვარი“. და ასე: წლიდან წლამდე, უკუნითი უკუნისამდე. ვარდი-მცენარე, ვხედავთ, „ქცეულია“ იმ თავითვე: მისი ვითარება: მორჩიდან კლერტამდე, კლერტიდან კოკრამდე, კოკრიდან აყვავილებამდე — მიდის ერთი უცვლელი ხაზით; უცვლელით, ვინაიდან დროგანვლილი ვითარება მისი დადგენილია ზესთადროულ დამყარებულ კანონიერებით. ასეთია ვითარება „ქცეულ“ სამყაროში. ამ სამყაროში არა აქვს ადგილი: არცა სწორს და არც მრუდეს, არცა წაღმართს და არც უკუღმართს, არცა მართალს და არც უმართლოს, არცა კარგს და არც ავს, არცა კეთილს და არც ბოროტს. ეს მეტაფიზიური ტეხილი შეაქვს სამყაროში მხოლოდ ერთ არსს: ადამიანს. ერთი მხრით ადამიანი „ქცეულია“: მის ბუნებაში მინერალურიცაა, მცენარეულიც და ცხოველურიც.

მეორე მხრით იგი მეტია ვიდრე მინერალი თუ მცენარე ან თუ ცხოველი. რა არის ეს ზედმეტი მასში? პასუხი ერთია მხოლოდ: ლოგოს, ქართულად „ჰარი“ ან „გონი“. ჰარით თუ გონით ადამიანი თანაზიარია თვითონ შემოქმედისა, ღმერთის. ეს არის საოცარი და საცნაური. ზოგნი ამტკიცებენ: თითქო ღმერთი სამყაროს გარე იდგეს — ტრანსცენდენტურ, ვიეთნი კიდევ: თითქო სამყაროში ვლინებით იწურებოდეს იგი — იმმანენტურ. ცალცალკე აგებული, არც პირველი მტკიცებაა მართალი და არც მეორე; ხოლო ერთიმეორესთან „შერიგებული“, ორივე სწორია. ღმერთი „ადგენს“ თავის თავს სამყაროში, გარნა ამ „დგინებით“ არ „თავდება“ იგი. ყოველი მქმედი აცხადებს — კიდევ მეტი: ამყარებს — თავისს არსებას ნაქნარში, მაგრამ შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ: რომ მქნელი და ქმნილი ერთი და იგივეა? არა. ასე თუ ისე, უდავოა ერთი რამ: ღმერთი მხილდება, ცნაურდება სამყაროში — ხოლო ორი გზით: „ქცეულში“ მისი ქმედითი აქტი, ასე ვთქვათ, დასრულებულია — აქედან: უცვლელი კანონიერება მინერალურში თუ მცენარეულში ან თუ ცხოველურში; ადამიანში კი ეს აქტი ღვთისა ჩანასახია თითქო, რომელიც ადამიანმა თვითონ უნდა განასხეულოს. აქ მარხია ადამიანის ღვთიურ-ზიარყოფილობა. ადამიანს შეუძლია ასეც იმოქმედოს და ისეც — თავისუფლება ღვთიურობის ნიშანია. ხოლო: რადგან ადამიანი ღმერთი არ არის მაინც, ამის გამო სიცოცხლე მისი ცდაა შინაგანი, ცდა: რომელსაც „ცდენა“ — „ცდომა“ თან ახლავს მუდამ ჟამ. შესაძლოა ვიდოდეს ადამიანი ღვთიური გეზით, შესაძლოა გადაუხვიოს მან ამ გეზს — და აი, გვევლინება იგი: სწორად ან მრუდედ, წაღმართად ან უკუღმართად, მართლად ან უმართლოდ, კარგად ან ავად, კეთილად ან ბოროტად. იგი ყოველ წუთს გზაჯვარედინზეა მიმდგარი: მარჯვნით მარჯი, ანუ მისი ღვთიური მოდგმის „განაღდება“, მარცხნით — მარცხი, ანუ თავის თავის ღალატი და განადგურება. ეს უსაშინელესი და თანვე უნაყოფიერესი ჭიმი თუ ძაბული ღვთიურისა და არაღვთიურის ადამიანის ბუნებაში მაისტერ Eckhart -მა გამოჰკვეთა ერთს სწორუპოვარ თქმაში: „თუცა-ღა სრულიად სხვა, იგი, ღმერთი, უფრო ახლოა ჩემთან ვიდრე მე თვითონ ჩემ თავთან“. ეს ერთი წინადადება ორმოც ტომს უდრის — ისეთი უკანასკნელი წდომით არის აქ ჩამოსხმული სიღრმე ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთ მიმოქცევისა. დააკვირდით ამ თქმას! „სრულიად სხვა“—ესე იგი ტრანსცედენტი: „უფრო ახლო“—ესე იგი იმმანენტი; და შემდეგ: „უფრო ახლო ჩემთან ვიდრე მე თვითონ ჩემ თავთან“ — ანუ: მე ვარ ნამდვილი მხოლოდ იმდენად, რამდენად ჩემში ხორციელდება იგი: „სრულიად სხვა“, ანუ ღმერთი. დავასკვნათ: ადამიანი, „ქცეულია“, რადგან იგი ნახევრად ნივთიერ სამყაროს ეკუთვნის; იგი თანვე „ქცევადია“, ვინაიდან მეორე ნახევრით თავის ბუნებისა იგი ღვთიურ თაურსაა ზიარებული: მქმნელი და მქნადი ერთად. ქცევადი სამყარო — არა სამყარო, ერთხელ და სამუდამოთ ქმნილი, არამედ ისეთი, რომელიც მუდამ ჟამ იქმნის — არის არე ადამიანის თვითმხილების და თვითმყარებისა. ვითარება ამ არეში არ არის უბრალო „პროცესსი“, ანუ ნატურალური დგენა მინერალის, მცენარის, ცხოველის, — არამედ ქმედითი „ისტორია“, სავსე დრამატიული ხვეულით და განფენით. „ისტორია“ ესე მოითხოვს არა მარტო წინხედვას: „საითკენ“, არამედ უკან გახედვასაც: „საიდან“. ტრადიციის სათავეც აქაა. ტრადიცია აქვს მხოლოდ მას, ვისაც ძალუძს სიღმიდან თავის არსებისა აღიაროს ეკჰარტივით: „თუმცა-ღა სრულიად სხვა, იგი, ღმერთი, უფრო ახლოა ჩემთან ვიდრე მე თვითონ ჩემთავთან“.

სათავე მრთიურ სახული.

ტრადიციული სათავეს გნდესთან იშვის პირველხილვა (Umschau) და პირველქმედება (Urtat) ხილვა და ქმედება ტომისა თუ ხალხის. სიტყვით „სათავე“ ნაგულისხმევია აქ არა ისტორიული „დასაწყისი“: „ჯერ ეს იყო და შემდეგ ეს“, არამედ ზესთადროული ხტილი მარადი მყოფადისა: „ეს არ ყოფილა ერთხელ; ეს არის ყოველთვის“, ძველი რომაელი ავტორის სალლუსტის ბრძული თქმა რომ ვიხმაროთ. ავიღოთ მაგალითი. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს, ვთქვათ, სადღაც ერთი რამ ნაშენი განსაკუთრებული აღნაგობისა, რომელსაც ისინი როგორც მცოდნენი აკუთვნებენ მეშვიდე საუკუნის დამდეგს ჩვენი წელთაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვისა. ეს იქნება ისტორიული „დათარიღება“ აღმოჩენილი ნაშენისა. ეხლა ვიკითხოთ: შეგვიძლია თუ არა ასეთნაირად დავათარიღოთ რომელიმე ტომის თუ ხალხის მოვლინება? არა. „ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ მაგალითად, რომ ესა თუ ის ტომი თუ ხალხი გვხვდება ისტორიაში არა უადრეს მეათე საუკუნისა ქრისტეს დაბადებამდე — გარნა ეს დათარიღება სრულიად არ უდრის აღმოჩენილი შენობის დათარიღებას: შენობა იგი „შენდება“, ვგულისხმობთ, მეშვიდე საუკუნის დამდეგს ჩვენი წელთ აღრიცხვისა, მანამდე იგი არ არსებობს. მონახული ტომი თუ ხალხი კი არ „დგინდება“ პირველად მეათე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე, იგი უკვე დგინებული გვხვდება წინ: ჯიშით, ენით, კულტურით; თარიღი მისი იქნება მხოლოდ აღნიშვნა მისი გამოსვლისა ისტორიულ არეზე — სხვა არაფერი; რაც შეეხება აქტს მისი შექმნისა, იგი ეონებში იკარგება. როგორ? იგი არსია და მაშასადამე: ღვთის მიერ ქმნილი სახე და როგორც ასეთი: „დასაწყისის“ გარე სდგას. კიდევ მეტი. მას არც ბოლო აქვს. შესაძლოა რომელიმე ტომი თუ ხალხი კიდეც გადაშენდეს, ხოლო ღვთიურ ქმნილი სახე მისი ამით არ აღიგვება სამყაროდან: იგი სადმე ამოყოფს თავს უთუოდ, — მართალია არა როგორც ტომი თუ ხალხი, ხოლო მაინც როგორც დანაშთი ყოფილისა. ეტრუსკები მაგალითად როგორც ხალხი დიდი ხანია აღარ არსებობენ, გარნა მათ ნაშიერს დღესაც შეხვდებით ფლორენციაში. დაახლოვებით ასეთს მაგალითს იძლევიან ჩვენი უდებიც.

„ურფენომენი“

ტომი თუ ხალხი არის ღვთიური ქმნილი სახე: იგი ცოცხალი არსია. მისი წარმოსახვა მხოლოდ მითიური ხილვით შეიძლება, რომლის სწორუპოვარი მზმელი დიდი გოეთეა: მგოსანი და ბრძენი. მისი სწავლა Urphänomen-ის შესახებ უგენიალესი ცნაურებაა მთელს კულტურაში დასავლეთისა. მოკლედ ეს სწავლა. გოეთე იკვლევს მცენარის ბუნებას. მცენარე განამდვილებით ვლინდება მხოლოდ რომელიმე ხტილში თავის ვითარებისა: ან მორჩობისას ან ცენებისა ან ყვავილობისას, — ასე ვთქვათ, ნაწილობით და არა მთლად. გოეთე ჰვრეტს მის ვლენას წინისკენ: მორჩიდან ყლორტამდე, ხოლო თანვე უკანისკენაც: ყლორტიდან მორჩამდე. ამავე დროს მას ცოდნაც აქვს მოპოვებული: რომ ყოველ ნაწილისაგან მცენარისა შესაძლოა მთელი მცენარე აღმოცენდეს — და აი: იგი ხედავს მთელ მცენარეს ყოველ მის ბიჯრში და სალტავს მას როგორც „შინაგან სახეს“ მცენარისა. ეს სახე ერთთავადაა მოცემული მცენარის ვითარების ყოველ მუხლში. იგი არაა ხელსახები, ხოლო ნამდვილზე უნამდვილესია — რადგან იგი შინაგანი მქმედია მცენარისა. „Urpflanze“ — ეს სახელი დაარქვა მხილველმა მცენარის შინაგან სახეს. ამ ხილვაში პლასტიური, თითქმის ნივთიერი „სისრქე“ (Dichte) იპოვა დიდი ტრადიციონალისტის ცნაურებამ: პლატონის „იდეამ“. არავის ეგონოს: გოეთეს ხილვა იყოს თითქო მხოლოდ პოეტური. ეს ხილვა ჩვენი დროის ბუნების მეტყველების გამოსასვლელ მუხლად ითვლება. ამ რიგად: „პირველ მცენარე“ შინაგანი სახეა მცენარის და როგორც ასეთი, ასე ვთქვათ, მისი მითიური რეალობა.

ხატი.

შინაგანი სახე: ესევეა ტომი თუ ხალხი როგორც კრებული არსი. არსად არ მიუღია კრებული არსის მითიურ ხილვას ისეთი „სახე“, როგორც ქართველი ხალხის გნების ერთ ხტილში: ვგულისხმობ „ხატს“. ბარში ხატი ნიშნავს სათაყვანო სურათს რომელიმე წმინდანისა, ხოლო მთაში მას ჯერაც არ დაუკარგავს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა: მითიური. ხატი მთაში სახელია სალოცავის; ხშირად მის მაგიერ „ჯვარიც“ იხმარება: „სკამს იჯდა ბაბურაული გუდანს გუდანის ჯვარშია“ — ნათქვამია ვაჟა-ფშაველას ერთს შაირში; „წილისმყრელები შევარდენ ბაბურაულთან ხატშია“ — ნათქვამია მისსავე მეორე შაირში. ხოლო საკვირველი: მთიელთა — „ხატში“ — სალოცავში არავითარი „ხატი“ ამ სახელის ბარის გაგებით არ მოიპოვება. შესაძლოა ვინმემ იფიქროს, რომ „ხატი“ შენობაა სალოცავი. არც ეს იქნება სწორი. იგივე ვაჟა-ფშაველა თავის შესანიშნავ შაირში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი დედის მიმართ“ ასე ამეტყველებს მეომარს:

„ერთი რამ უნდა გაუწყო,
გაკვირვებულ ვართ ამითა:
როცა ომი გვაქვს ქართველის ჯარს,
ნათელი გვიძღვის ღამითა;
კაცი-რამ ლურჯ-ცხენიანი,
ამოღებული ხმალითა,
მაღლიდან თავზე დაგვბრუნავს
ტურფა სახით და ტანითა;
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდი კაეშანითა;
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვცანითა“.

„ჯვარი“ ანუ „ხატი“ შენობის ამსახველი რომ იყოს, რანაირად მოევლინებოდა იგი მეომართ როგორც „კაცი-რამ ლურჯ-ცხენიანი?“ არა: ჯვარი თუ ხატი რქმევია შინაგანი სახისა. ვისი სახის? ლაშარის — აი პასუხი, მოცემული ვაჟას უკვდავი შაირიდან. ლაშარი — ბრწყინვალე, სხივოსანი — გვევლინება როგორც პიროვნული განსახიერება ტომის ფიზიურ-„ჰარითი“ ღვთიური შუაგულისა. ლაშარი იგივეა ტომის ცალკეულთათვის, რაიც პირველმცენარე რეალურ მცენარესათვის: იგი მითიური სახეა კრებული არსისა. ამ ჰიპოტეზს ამაგრებს შემდეგი. ლუდის რიტუალურ გამოხდისათვის წყალი მთელმა სოფელმა უნდა მიიტანოს ერთად სალოცავში: ხაზგასმულია ტომის დგინება როგორც ერთი „მთელისა“. კიდევ უფრო გარკვეულ: შესაწირავი მიაქვს სალოცავში ყოველ კომლს თანაბრად, მიუხედავად მეკომურთა რიცხვისა; ტომის განუცალკევებელი მთლიანობა აქ უკვე ხელსახებადაა გულვებული. ტომი: ერთი მთლიანი არსი, რომელიც პიროვნდება შინაგან სახედ ცალკეულთა ხილვაში — აი რა არის „ხატი“ ქართველთა. „ხატი“ მითიური ხილვა უხილავი არსის — მთაში ჯერ კიდევ ცოცხალია. ბარში ეს ხილვა უკვე დაკარგულია. ამ ხილვის ნათელსაყოფელად არ იქნება ზედმეტი, მოვიყვანო აქ როგორც ერთგვარი ანალოგია ჩვენი დროის ბიოლოგიიდან. სახელგანთქმულმა მეცნიერმა Hans Driesch ერთი საკვირველი სცადა. მან აიღო სინსილა ზღვის ბუძგვისა და განკვეთა იგი ორად. განკვეთილ სინსილასაგან წარმოიშვა ერთი წყვილი, მაგრამ არა ნახევარ-ნახევარ, როგორც საფიქრალი იყო, არამედ მთელ-მთელ. მხოლოდ ოდნობით, მილაგებულნი ერთიმეორესთან, უდრიდნენ წარმოშობილნი არწარმოშობილს. გასაოცარი საიდუმლო მთელისა, რომელიც ყოველთვის მთელი რჩება, მაშინაც კი, როცა იგი ნაწილდება. ზღვისბუძგი, რომელიც უნდა შობილიყო, არ წარმოშობილა. გარნა არ არსებობს იგი? იგი ცოცხალია — თუმცა ვრცეულ არ მოვლენილი — მისი სინსილასაგან წარმოშობილი წყვილი. მიეცით ამ პატარა ბუძგებს თვითცნობა ადამიანისა — თვითეული მათგანი იგრძნობს თავის თავში არშობილს: როგორც მის შინაგან მდგენს. უკანასკნელი — უხილავი და ხელუხლებელი — იქნება თვითეულ მათგანში წამოსახული როგორც სახე შინაგანი, ანუ: „ხატი“. ეს მაგალითი სწორუპოვრად გვისახავს ტომის „ხატებას“ ცალკეულთა თვითშეცნევაში. ხოლო ანალოგია ამის იქით ადამიანის სამყაროში არ უნდა გავცელდეს, რადგან, როგორც უკვე ითქვა: ადამიანი მეტაბიოლოგიური მოვლენაა. ცხოველთა სამეფოში ცალკეული წარმავალია, გვარი კი წარუვალი; ადამიანთა სამყაროში კი იგივე ვერ ითქმის. მაგრამ ეს ცალკე საგანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა და შესატყვისი

ტომი როგორც ცოცხალი არსი პირველ ყოვლისა ენაში ცხადდება. საოცარია ეს ცხადება ენის ძირა ფენებში. ავიღოთ ქართული სიტყვა: „სიტყვა". ამ სიტყვას არავითარი კავშირი არ აქვს ზედა ფენში სიტყვასთან: „ტყვე"; ძირა ფენში კი — ყრმა. სიტყვა თითქო იჭერს საგანს თუ მოვლენას, როცა იგი ერქმევა მას: „ატყვევებს", აქედან: „მჭერ-მეტყველი", ხოლო დატყვევება აქ ძალადობას კი არ მოასწავებს, არამედ განაყოფიერებას — და სიტყვა „ტყვე" ნახულობს გამოხმაურებას თავის მხრით კიდევ სხვა საიდუმლო სიტყვაში. თვითონ „რქმევაც" ამგვარი აგებულობისაა. იგი ნიშნავს „ხურვას". აქედან: „სარქველი" (ჭურის); „სარქმელი" (ქუდი, თავსახურავი); შემდგომ: „დარქმევა" — სახელი ერქმის საგანს თუ მოვლენას: ხურავს, სალტავს მას; აგრეთვე: „მირქმევა" (მირქმევა უფლისა): ბოლოს: „აღქმევა" ათვისება Perception ენის ქვედენაში ცნაურდება პირველად „ლოგოს" — და ნიშნავს იგი ხომ „სიტვასთან" ერთად „გონსაც"! ყოველი მოვლენა არის ის, რაც არის, თანახმად არისტოტელეს დებულებისა: A=A. ხოლო ეს კანონი იგივეობისა ვერ ხსნის მაინც საბოლოოდ მოვლენას. „კაცი" მაგალითად არის კაცი — ეს ცხადია, მაგრამ მის ბუნებაში თანვე მზიურიცაა, მუხურიც, ქვაურიც — და აი რომელიმე სახსარში თავის ყოფისა იგი „ედარება": მზეს, მუხას, ქვას. ჩვენი დროის აზროვნებაში ფესვს იდგამს იგივეობის კანონის გვერდით მეორე დებულება: A. არის A, მაგრამ იგი სადღაც ბ-ც.არის: ესე იგი იქ, საცა A ეხმაურება B-ს. საგანთა თუ მოვლენათა ამგვარად ხილულ ურთიერთობას ფრანგები უწოდებენ: „Correspondance" , გერმანელები: Entsprechung ქართველში ამ ცნების გამოსათქმელად მრავალი სიტყვა მოიპოვება: შესიტყვება, შეხამება, შეფერება, შეფარდება, შეთანხმება. საგანთა თუ მოვლენათა გამოხმაურში ერთი მეორესთან ქართული უფრო მეტად ყურადღებს თვითონ საგანს თუ მოვლენას: რომელი ეხმაურება რომელს, ვიდრე თვითონ აქტს გამოხმაურისა, და ამისათვის ამბობს: „შესატყვისი" მაგიერ „შესიტყვებისა". კეთილხმოვანებისათვის მე ავირჩევდი: „შესადარს", ან უფრო მოკვეთილ: „სადარს". ამ რიგად: საგანი და მოვლენანი ერთი მეორეს ეხმაურებიან და ეთანხმებიან: ყოველი საგანი თუ მოვლენა ამსახველი სარკეა მეორე საგნის თუ მოვლენისათვის. ენა ამზეურებს ამ საიდუმლოს. იგი უღრმესი მოაზრეა, რადგან მის მიერ ცხადებული აზრი სახეა თვითონ; იგი უდიდესი მგოსანია, რადგან მის მიერ ხილული სახე აზრია თვითონ. „სადარის" ცნაურებაში ქართულს, ვფიქრობ, სხვა ენა ვერ გაეტოლება. მარტოდ მარტო ზემოხსენებული „რქმევა" რად ღირს? და ეს ერთი მაგალითია ათასიდან. ტომის თუ ხალხის არსი ხშირად ორი სიტყვის გადაბმით უნივერსალურ ასპექტს იძლევა მსოფლიოისა. ვარსკვლავთა არეში ერთ ალაგს ქართველი ხედავს „ირმის ნახტომს" იქ, საცა სხვა ხალხნი „დიდ დათვს" ხედავენ. განიხილეთ მითიურ სვანეთის წმინდა ცხოველი თეთრი ჯიხვი (ჯვეგი თვაალ) და მისი შესატყვისი ხევსურეთში თეთრი ხარირემი („ჯონქაი"), არკვიეთ მითიურადვე, თუ რას ნიშნავს „ნახტომი" — და თქვენ დაინახავთ, რომ ეს სახელდება „ირმის ნახტომი" სწორუპოვარ პოემას უდრის. და ასეთი მაგალითი რამდენია ქართულში! დავუბრუნდეთ ისევ თვითონ საგანს და ვიკითხოთ: ვინ არის ავტორი მაგალითად ქართულ ენაში მოქცეული სახისა თუ აზრის? ცალკეულ აგებული, არც ერთი ქართველი: რადგან ყოველ ქართველს ქართული ენა მზად ხვდება წინ. ენის მიერ ცხადებული აზრი თუ ხილული სახე იმთავითვეა მოცემული — „იმთავითვე", ამ სიტყვის ზემორკვეულ მითიური გაგებით. ენაში აზროვნობს „რაღაც", ენით სახავს „რაღაც" — ხოლო აქ სიტყვა „რაღაც", ატყობთ უაზროა: შეუძლია განა „რაღაცას" რაიმე გაიაზროს ან რამე გამოსახოს? იძულებული ვართ ვიხმაროთ „რაღაცას" მაგიერ „ვიღაც". ეს აუცილებელია და მართებული. ვინ არის ეს „ვიღაც"?

კარდჰუ.

ეს „ვიღაც" ტომია, ხალხი — როგორც ცოცხალი არსი ან უკეთ: „ხატი" — როგორც შინაგანი სახე ტომისა თუ ხალხის. უკვე მივადექით საქართველოს სათავეებს. ქართველთა შეგნებაში ეს „ხატი" ისე მძლავრად და მძაფრად იყო გზნებული, რომ იგი პიროვნებადაც იქცა. სახელი მისი: კარდჰუ. ეხმაროს ამ სახელს მისი პირვანდელი რქმევით. „ქართლოს" — მერმინდელი ფორმაა მისი, ბერძნული დაბოლოვებით. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა „ქართუ", ხოლო გავურბი სილბილეს ამ სახელისა. „კარდჰუ" — უფრო ხერხემალმაგარია, როგორც ის „ვიღაც", ვინც ამ სახელით არის რქმეული. კარდჰუ: აქაა მოცემული საქართველო ათასი წლების მანძილზე. იგი, კარდჰუ, შორეთშია გადასული; იგი, კარდჰუ თითქო გამქრალია კიდეც. — ხოლო საკმაოა, რომ ჟამსა უბედურების თავდატეხისა გინდა მძლავრი გახარებით აღტყინებისა შეირხეს ერთიანად საქართველოს ცეცხლეული შუაგული, რომ უეცრად გამოაშუქოს მან, კარდჰუმ თავის მზეოსან წიაღიდან.

კარდჰუს გრძნობს ყოველი ქართველი, ერთი უფრო სუსტად ვიდრე მეორე, მაგრამ გრძობს მაინც, გრძნობს ქართულ სიტყვაში, ქართულ ხმალის ამართვაში, ქართულ ბეგობრობაში, ქართულ გულგადახსნილობაში, ქართულ წყაროს თვალივით ციალა გამოხედვაში, ქართულ ხალისში — გრძნობს განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი, შორს გადახვეწილი და სამშობლოს გულისა თუ მაჯიცემას დანატრებული, თანამემამულეს ხვდება, და კიდევ უფრო მძაფრად, როცა ეს შეხვედრა უეცარია. დიახ კარდჰუ ცოცხალია, ეხლაც, ხოლო მომალული სადღაც შორს-შორს. ოდესღაც კი ქართველნი ისეთი დანამდვილებით გრძნობდენ მის პიროვნებას, რომ მცხეთის ახლო მის საფლავსაც კი იგულვებდნენ: მიდიოდნენ ყოველ წელს და მუხლს იდრეკდნენ მის წინაშე და გლოვობდნენ ლოცვით. ეს საფლავის ამბავი გვაფიქრებს ოდნავ. როგორ? მითიური არსი — ვიხმაროთ კიდევ თქმა სალლუსტისა: „ეს არ ყოფილა ერთხელ, ეს იყო ყოველთვის" — მითიური არსი და საფლავი? აქ ორი რამაა შესაძლო. თუ ეს ამბავი საფლავისა წარმოიშვა იმ ხანაში, როცა ქართველთ ჯერ კიდევ არ მოჰკლებოდათ ხილვა მითიური, მაშინ კარდჰუს საფლავი სიმბოლიურად უნდა გავიგოთ: ალბათ ხალხმა თავის დაკნინების, ასე ვთქვათ, „მილევის" ხანაში ისე მტკივნეულად იგრძნო დაშრეტა ძალთა პირველ-მდგენისა, რომ მან უკანასკნელი გარდაცვალებულად მიიჩნია; ანდა ეს მოხდა იმ ხანაში, რომელსაც ისტორიული ეწოდება, და მაშინ საფლავი კარდჰუსი საკვირველი არაა: რადგან ამ ხანაში მითიური არსი ბიოლოგიურ წინაპრად გამოდის ხოლმე, რომელსაც: ერთხელცაა დასასრული მოელის.

ასე თუ ისე კარდჰუს საფლავის ამბავი ნათელყოფს, თუ როგორი სიძლიერით დგინდებოდა ქართველი ხალხის ფიზიურ-ჰარითს შუაგულში მდგენი მისი შინაგახი მყარებისა.

ლაშარი.

გავიხსენოთ ეხლა, თუ რა ითქვა ზემოდ „ლაშარზე" და „ხატზე". რაც ბარში „ისტორიად" იქცა, მთაში დარჩა მითოსად. მთის მითოსში ლაშარი „ხატია", ანუ შინაგანი სახე ტომისა. ხატით წარმოსახული არსი წმინდანია და გმირი, რადგან მდგენი ღვთიურ ქმნილი სახისაა. კარდჰუ ღვთიურ ქმნილი სახეა ქართველთა. მაშასადამე იგი წმინდანია და თანვე გმირი: იგი ლაშარია. სიტყვა „ლაშარი" ეპითეტია. „ლაშა" — „ქვეყნის მანათობელი", ასე მარტავს ამ სიტყვას ქართული ენის უდიდესი მწდომი და მხვედრი: საბა სულხან ორბელიანი. „ქვეყნის მანათობელი" ამ სახით გვევლინება ჩვენ დიდი კარდჰუ. ამ სახეშია მოცემული მისი პირველ ხილვა და პირველ-ქმედება. მივმართოთ ამ ხილვას და ქმედებას. რას მოასწავებს „ქვეყნის მანათობელი"?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლარული ხანა.

ჰეზიოდი კაცობრიობის ვითარებას ოთხი ხანით საზღვრავს. აი ეს ხანანი: ხანა ოქროსი, ხანა ვერცხლის, ხანა სპილენძის და ხანა რკინის. სპილენძისა და რკინის ხანის შუა იგი ათავსებს კიდევ ერთს მოკლე ხანს: როგორც ცდას ოქროს ხანისაკენ დაბრუნებისა. ჰინდოელთა გადმოცემაც აღნიშნავს ოთხ ხანას: „satya-yuga" (ანუ „krtha-yuga"), „dvapara-yuga", „kali-yuga". ირანის გადმოცემაშიდაც ოთხი ხანაა დაცული: ოქროსი, ვერცხლის, რკინის და ერთი კიდევ რომელიღაც შეზავებული ლითონისა. ამგვარივეა დაახლოვებით ქალდეველთა გადმოცემა. ასეთივეა საბერძნეთისაც. ქმედითი ძალა ღვთიურისა ამ ხანების განვლაში თანდათან კლებულობს: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა. პირველ ხანაში იგი სრულია და ნაყოფიერი, ბოლო ხანაში კი დაშრეტილი და უნაყოფო. ჰინდოელთა გადმოცემა ამ „მილევას" თუ დაკნინებას ხარის სახით წარმოიდგენს: ამ ხარს პირველ ხანაში ოთხივე ფეხი აქვს, მეორეში ერთი ფეხი ეკარგება, მესამეში, მეორე, მეოთხეში მესამე: ასე რომ იგი აქ ერთ ფეხზე დგას მხოლოდ. **„კალი-იუგა"** ნიშნავს ბნელ ხანს, რომელსაც გერმანელთა გადმოცემაში უდრის „მგლის ხანა". **„რაგნაროკკრ"**, ანუ ღმერთთა დაბნელება. ტრადიციათა მკვლევარნი პირველ ხანას იგულვებენ ჩრდილო პოლიუსის არეში. — ცნობილია ასტროფიზიური ღერძის გადახრა იწვევს ჰავის გადანაცვლებას. ყინვამ და მარადმა ღამემ — განაგრძობენ მკვლევარნი — მოიცვეს ჩრდილოეთი. მცხოვრებნი გაეშურნენ დასავლეთისაკენ: წარმოიშვა ატლანტის კულტურა. დეკლინაციას, ასტროფიზიური ღერძის გადახრას თან მოჰყვა დევიაცია: ქმედით ძალთა კლება. ხოლო ამ განხრით გამოწვეულ ცვლილებას და ძალთა კლებას ფიქრობენ ვიეთნი სრულიად სამართლიანად, პარალელურ ჰქონდა ადგილი და არა მიზეზ-შედეგის მიმართებით.

მეორე გეზი მსოფლიო კულტურის ვითარების იმართება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. თვითონ ცვლა „ხანებისა" ბევრს „ისტორიულად" აქვს წარმოდგენილი: ჯერ ხანა ოქროსი, შემდეგ ვერცხლის, მერე სპილენძის და ბოლოს რკინის. მართებული კი იქნებოდა იგიც მითიურად წარმოგვესახა: იქ, სადაც, მუდმივი დაძაბულობა სუფევს — ღვთიურსა და არა ღვთიურს შორის, იქ ყოველთვისაა „ოქროც", „ვერცხლიც", „სპილენძიც" და „რკინაც" — იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ დაახლოებულია თუ დაშორებული არაღვთიური ღვთიურს. პირველ ხანას ისახავენ როგორ „სოლარულს": მზიურს. იქ მთავრობს „ქვეყნის მანათობელი". ჰინდოელთა „Vishnu" იწოდების ვითარ „hari"; თეთრყირმიზი, ოქროვანი; „hari" არის აგრეთვე „Indra"- ირანის მზემეფის სახე მოფენილი იყო „hvareno"-თი, შარავანდით: ნიშნით მარჯისა. ეგვიპტელთა მეფე იხსენებოდა ვითარ ქმნილი ოქროსაგან — ვინაიდან ეგვიპტელნი მზეში ჰგონებდნენ ფლუიდუმს ანუ სხივეონვას, საცა ვითომ უნდა იქმოდეს უხრწნელი სხეული ღვთიურ-უკვდავისა. დელფის აპოლლონ ცნობილია როგორც „სხივთმფენელი". ოქროვან ბზინავს გერმანეთის „Asgard"--ში ციხე-სიმაგრე ოდინისა. ჰინდოელთა უპანაშიდებში ნახსენებია „sueta dvipra": „ადგილი სხივოსან ციალისა". აცტეკების ჩრდილო მხარე რქმეულია როგორც „Aztlan" — სიტყვის ფესვი ჰგულისხმობს „ელვარეს". ბრძენთა „Tule"-ს მზიური ფერი გადაჰკრავს. მექსიკოს ღმერთკაცი „quetzalqoatl" წარმოსახულია როგორც „თეთრი". ატლანტების ტრადიციაში ღრმა მნიშვნელობა აქვს მინიჭებული „Avallon" '-ს: „თეთრს კუნძულს". შევჩერდეთ! ოქროს ხანის გადმოშლა შორს წაგვიყვანდა. როცა ქართველი ისმენს ამ ხანის ნიშნების ჩამოთვლას, იგი ალბათ მოუთმენლად ელის: როდის იქნება აქ ნეტავ ხსენებული ერთი სახელიც: „ლაშარი". გასაგებია ასეთი მოლოდინი, რადგან ამ სახელში მზიურ არის სხმული მთელი ოქროს ხანა. „ლაშა" — ეს სახელი არაა უბრალო რქმევა, თუგინდ უაღრესად პოეტური: მასში მოცემულია კარდჰუ, მისი პირველ-ხილვა და პირველ ქმედება. საბუთი რამდენიც გნებავთ. შევუდგეთ ამ ხილვის და ქმედების მადნეულობის გადმოშლას, ანუ „გამოშიგნვას" — ვხმარობ ილია ჭავჭავაძის ჯიქნიან სიტყვას.

მზის ხანა ქართველთა

1. დიდი ბრძენი პლოტინის მსოფლხილვაში გვხდება: „თვალი მზიური". გოეთემ მზიურობა თვალისა ერთ თავის შაირში შესანიშნავ ხტილად გამოჰკვეთა: თუ არ იყოს თვალი მზიურ, ვით შეეძლოს მას ხილვა მზისა? მტევნის მწიფობის დროს ქართველი მევენახე ამბობს: „თვალი ჩასულა მტევანში". თვალით აქ ნაგულისხმევია მზე. პლოტინი, გოეთე, ქართველი მევენახე — სამივე დიდ საიდუმლოს აცნაურებენ, მხოლოდ ერთი განსხვავებით: პლოტინისათვის და გოეთესათვის თვალი „მზიურ", ქართველი მევენახისათვის კი იგი მზეა თვითონ. ხატული „სხეობის" მხრით ქართველი მევენახის თქმას თვითონ გოეთეც არგუნებდა პირველობას. თვალი მზეა, ფიქრობს ქართველი, რადგან იცის, რომ „მზე" და „მზერა" სადღაც ეთანხმებიან ერთი მეორეს. გავიხსენოთ საბა სულხან ორბელიანის განმარტება სიტყვისა: „ღმერთი": „წვა და ხედვა". ეს განმარტება მზეზეა თითქო გამოჭრილი. მზე იწვის, არ იფერფლება, იწვის და „მზერს": ანათებს. „თვალი ჩასულა მტევანში" — ეს ნამდვილი პოემაა ხსენებულ პოემასთან ერთად: „ირმის ნახტომი".

2. უძველესი დროიდან სათაყვანო სიმბოლოდ მზისა „სვასტიკა" ითვლებოდა: კაკვიანი ჯვარი, ბორბალში მოქცეული. ბორბალი ანიშნებდა მნათობის კოსმიურ ბრუნვას და ეს იმ დროს: როცა ნივთიერ კულტურაში ურემი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. ავიღოთ ეხლა ქართული დასახელება: „ურმის თვალი". აქ თვალით ბორბალი იგულისხმება. აქვს ბორბალს მსგავსება თვალთან — ისე მაგალითად: როგორც წყაროს ძირიდან მოჩუხჩუხე ნაკადს, რომელსაც ჩვენ „წყაროს თვალს" ვუხმობთ? გარდა სიმრგვალისა არავითარი. საგულვებელია მაშასადამე, რომ ქართულ ხილვას — შერჩა სახულობა სვასტიკისა — და რადგან ამ ხილვაში მზე თვალად იყო ცნეული, ურმის გამოგონებისას ბორბალი ჯვარისა ურმის თვალში გადმოვიდა საგნურად. ეს როგორც ჰიპოტეზი მხოლოდ.

3. მზე არის სიცოცხლის თესლი. ქართული ენის მკვლევარი მიხეილ წერეთელი გვამცნევს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულში ფესვს: „ცხ". — მისი აზრით „მუცელის" პირვანდელი ფორმა იყო „მუცხელი". მთავარი აქ „ცხ" — არის, როგორც სიტყვაში „სიცოცხლე" — შესატყვისი რუსულში: „ჟივოტ — ჟიზნ", გერმანულში: „Leib - Leben". თუ ეს ასეა, მაშინ „სიცოცხლე" და „ცეცხლი" სიტყვიერი ტყუპები ყოფილან. როგორ გაიხარებდა ჰერაკლის ეფესელი, სცოდნოდა მას: რომ რომელიღაც ენაში „სიცოცხლე" ნაზრევია ვითარ „ცეცხლი". სწამდა ხომ მას, რომ სამყაროს ძირითადი თაური ცეცხლია.

4. ცხოველთა შორის ყველაზე უფრო ცეცხლოვანი ცხენია. იმავე მკვლევარის მიგნებით, სიტყვაში „ცხენი" იგივე ფესვი „ცხ" — ცოცხლობს.

5. მზისაგან იშვის სხივი და ნივთიერი იღებს „სახეს" — იმდენად, რამდენად იგი სხივმფენია. მხოლოდ სხივის გამოკრთობით ეზიარების ნივთიერი ღვთიურსა: იქცევა „სახიერ". არც ერთს ენაში არ იხმარება ზედშესრული „სახიერი" ღვთის მიმართ ისეთი ღრმა მნიშვნელობით **რ**ოგორც სწორედ ქართულში. რაც სახიერია, ის ღვთიურია— ასე ვგონებთ ქართველნი.

6. საუბარში ჩვენ შეფიცვის თუ შეჯერებისას ვხმარობთ ასეთ თქმას: „ჩემმა მზემ", „შენმა მზემ": თითქო ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი მზე ჰქონდეს. „ვეფხისტყაოსანი", ეს მზეთანაზიარობა პირდაპირ კოსმიურ ყა-

ლიბს იღებს. გავიხსენოთ დაუვიწყარი წერილი ნესტანისა, რომლითაც იგი, ქაჯეთის ციხეში დატყვევებული, ტარიელს, მის მეტრფეს, ანუგეშებს:

„მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი.
განაღამცა მას ეახლე მისი ეტლი არ თუ წბილი.
მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი“.

აკადემიკოსი ნიკო მარი ამ სიტყვებში ნეოპლატონიზმის გამოძახილს ხედავს, ხოლო არ იცის მან, რომ თვითონ ნეოპლატონიზმში ეს გზნება მზიურობისა ოქროს ხანიდანაა გადასული. მარადიულ განსხეულებას მზიურში აქ კიდევ უფრო აძლიერებს გენიალური ხტილი ქართული ზმნისა: მარადი მყოფადი. მითიურმა დრომ მხოლოდ აბსოლუტური აწმყო იცის, რომელიც „წარსულად“ არ იქცევა და „მომავალი“ შინაგან აქვს უკვე. ნესტანია არ ამბობს: „გნახავ“, „დაგსახავ“, „განმინათლებ“, არამედ: „გნახო“, „გსახო“, „განმინათლო“.

7. მზე სათავეა სინათლის, რომელიც სიბნელეს ებრძვის. ამ „შებმაში“ წარმოიშვის „ფერი“. ფერი უბრალო „ჩენა“ კი არაა, ეთერტალღების რხევათაგან გამოწვეული. ბრმად შობილს შეუძლია გამოცდისას სწორი ფორმულა გადასცეს მაგალითად წითელი ფერისა, მაგრამ წითელი მისთვის მაინც უხილავია. ფერი „თვისებაა“ და არა „ოდნობა“. ასე ესმოდა ფერი გოეთეს, ასე ესმოდათ იგი ჰინდოელებს. ფერის ასეთი გაგება მოქცეულია ქართულ ყოველდღიურ საუბარში. ჩვენ ეხმარობთ ხშირად „ყველას“ მაგიერ სიტყვას „ყველაფერი“ და „არა რას“ მაგიერ სიტყვას „არაფერი“. აქ ფერი „რაობად“ გამოდის რაიც შემდეგ თქმაში კიდევ უფრო ნათელი ხდება: „რაფერ გააკეთე?“. დღემდე აუხსნელი სახელი „სწორფერი“, რომელსაც ხევსურეთში მეტრფეს უწოდებენ, ეხლა ნათელი ხდება: სწორფერი, ესე იგი „შესაფერი, სიყვარულში მეორის სადარმხვედრი. კიდევ ერთი რამ მეტად მნიშვნელოვანი. ბაგრატიონთა საომარი ალამი მეწამული იყო, რომელსაც შუაგულში თეთრი ალი ჰქონდა გაწვდილი. ეს არ იყო შემთხვევით არჩევა ფერისა. ინდოელთა „Vedanta‘ სამფენად ისახავს ყოფას. ძირა ფენი ბნელია და ქაოტიური: „tamas“ — მას უდრის შავი ფერი; შუანა ფენი ჭიდილია, ბრძოლა, შებმა სინათლისა სიბნელესთან, წყობისა და რიგის ქაოტიურთან: „rajas“ — მას უდრის წითელი; ზედა ფენი სისრულეა და ყუდროება ღვთიური: „sattva“ — მას უდრის თეთრი. ბაგრატიონთა ალამი გვამცნევს: მეწამული ფერით ალამის ამმართველი ჯერ კიდევ შუანა ანუ ადამიანურ ფენაშია მოქცეული, ხოლო თანვე თეთრი ზოლით მას თითქო წინასწარ აქვს მოზმული ზედა ანუ ღვთიური ფენი. René Guénon-ის მოწმობით, ფრანგ მეფეთა საომარი ალამი მეწამული იყო; თეთრი ზოლი მას არ ჰქონია. თავის წიგნში — „Autorité spirituelle et pouvoir temporel“-ში შენიშნავს: —

„La substitution ultérieure du blanc au rouge comme couleur royal marque en quelque sorte l'usurpation d'un des attributs de l'autorité spirituelle“.

უდავოა: ბაგრატიონთა ალამი თავის სიმბოლიკით უფრო მაღლა სდგას ვიდრე ალამი ფრანგ მეფეთა. აქედან ნათლად სჩანს ისიც, თუ რად უწოდა ქართველმა ხალხმა თავის მცველს წმინდა გიორგის: „თეთრი“. უკანასკნელი — როგორ გმირი და წმინდანი — მოქცეულია ყოფის ზედა ფენაში, ჰინდოელთა თქმით: „sattva“-ში, ქართველთა ხილვა აქ ჯეროვნად ეხმარება „vedanta“ სიბრძნეს.

ლაშარი და თეთრი გიორგი

ასეთია პირველ-ხილვა ქართველთა მდგენის: კარდჰუსი. ვერც ერთი ტრადიცია, რომელიც გვამცნევს ოქროს ხანას, ვერ იძლევა სიბრძნითა და „სხეობით“ ასეთს მძლავრს ხილვას მზიურობისას. სხვა ტრადიციებში, „სწავლებაა“ უფრო ვიდრე, სინამდვილე. ქართულ გადმოცემაში კი იგი მოცემულია ვითარ ხელსახები მადნეული ყოფისა. ამ ყოფაში, საცა ყოველი სახსარი და ხვეულ-ცხრათვალა მზით არის აცოცხლებული, ელვარებს ერთი თვალისმომჭრელი არსი: ლაშარი — სხივმფენი, ბრწყინვალე, მზეოსანი. ლაშარი ეპიტეტია, როგორც ზემოთ აღინიშნა. ვისი ეპიტეტი? ეს არაა თქმული, ეს ნაგულისხმევია; ამის გამო სახელად გამოდის. ძნელი არაა ამ სახელ-ქცეულ ეპიტეტში ნამდვილი სახელი ამოვიკითხოთ: კარდჰუ. ლაშარი ანუ: მზეოსანი კარდჰუ. ლაშარი განფენილი თვისებაა კარდჰუსი, ნეოპლატონური გამოთქმა რომ ვიხმაროთ: მისი „მეორე“, მისი „სხვა“. **კარდჰუ მზეობს ლაშარში** — აი უკანასკნელი განსაზღვრა. თეთრი გიორგი იგივე ლაშარია, ქრისტიანობის გავლენით სახეცვლილი. ერთი საგულისხმო დეტალი: ჩვენს ფრესკოსურათებში წმინდა გიორგი გვხვდება აქაიქ არა როგორც ცხენოსანი, არამედ როგორც ქვეითი გმირი, რომელიც შუბით ჰგმირავს ვეშაპს — იგი აქ, ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ არაა ბოლომდე „გაქრისტიანებული“. არსებითად ორივე ერთი და იგივე ფენომენია: ლაშარი და წმინდა გიორგი. ლაშარი წარმართული ჰიპოსტასია გიორგის: იგი წინ ხვდება უკანასკნელს; პირველ შეხვედრისას ისინი ეუცხოვებიან ერთიმეორეს, შემდეგ კი ეცნაურებიან: ერთი ცნობს თავის თავს მეორეში. ხდება ძმების მისტიური ერთსახედ ქცევა. პირველი აძლევს მეორეს ეპიტეტს „ლაშარი“ ანუ ბრწყინვალე: „თეთრი“, მეორე აძლევს პირველს სახელს „გიორგი“. იშვის „თეთრი გიორგი“. გავიხსენოთ თეთრი გიორგის მისტერიები ალაევრდის ტაძრის ირგვლივ და ჩვენ წინ აღდგება ცოცხლად ერთსახედქმნა ძმებისა. ქართულ მეცნიერებას ამ მისტერიების ხასიათი— სტრაბონის მოკლე ცნობის მიხედვით — მთვარის კულტისაგან გამოჰყავს. 1917 წელს გაზეთ „საქართველო“-ში დაბეჭდა ჩემი ვრცელი ნარკვევი: „დიონისოს კულტი საქართველოში“. დიონისოსა და თეთრი გიორგის შორის მე მოვნახე 12 ნათესაური მუხლი. განსხვავება ჩემი შეხედულებისა ქართულ მეცნიერების შეხედულებისაგან არც ისე არსებითია, რადგან დიონისოს კულტში „მთვარული“ თაურიც მძლავრია. მაგრამ აქ ამას არ გამოვუდგები. აქ საჭიროა მხოლოდ ერთი რამის ახსნა: როგორ? თეთრი გიორგი, ძმა-ნაშიერი მზეოსანი ლაშარის, და მთვარის თუ მთვარულ დიონისოს კულტი? ამ უცნაურობის ახსნა არც ისე ძნელია. ავიღოთ მთვარის მომენტი თეთრი გიორგისა. მოვიგონოთ ერთხელ კიდევ, რომ ლაშარი მითიური რეალობაა ანუ შინაგანი სინამდვილე ქართველთა ტომისა. შესაძლოა ამ ტომის „წვამ“ ლაშარით იკლო ერთხელ; მაშინ უკანასკნელის მზეობაც დაიკლებდა: იგი როგორც „ხატი“ სისხლნაკლულად გამოჩნდებოდა, სხივმკრთალად, ანუ „მთვარედ“. რაც შეეხება თეთრი გიორგის დიონისურ მუხლს, ამის შესახებ ითქმის შემდეგი. დიონისოს ბუნება ცვალებადია. დიდი მითოს-მკვლევარის ბახოფენის მოწმობით დიონისო ვლინდება: ხან როგორც ხტონიური არსი, ხან როგორც მთვარის თანაზიარი, ხან კი როგორც ნათელმდგენი, აპოლლონს შემმობილებული. საფიქრალია, რომ თეთრი გიორგი დიონისოს მესამე ვარიანტია. ამ ვარიანტს ბახოფენი ნათლავს ასე: „ვნებული მზე“. არსად ისე არ „ვნებულა“ მზე როგორც საქართველოში — და სახელდება „ვნებული მზე“ პირდაპირ თეთრ გიორგიზეა გამოჭრილი. „ვნებული“ — ხოლო მაინც „მზე“: აი თეთრი გიორგი, ანუ ლაშარი.

„სახე აქვს შავად მოცული
მას დიდი კაეშანითა —
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვცანითა“.

საკრალური წყობა

ოქროს ხანაში იყო წმინდა იერარქია დადგენილი. ქართული ყოფაც ამ იერარქიით იყო იმთავითვე დამყარებული. უთვალავი მაგალითებიდან აქ მხოლოდ რამოდენიმე. ჩვენ, ქართველებს, შეგვიძლია მანდილოსანს ხელზე „ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოცოთ“, ღვთისმშობელ მარიამის ხატს კი უნდა „ვეამ-ბოროთ“; იქ — „კოცნა“, აქ — „ამბორი“, ვინაიდან მან-დილოსანი ერთია და ღვთიშობელი კიდევ სხვა, თუმცა ორივე ქალია. ჩვენ შეგვიძლია სადმე დარბაზში „ვიმღე-როთ“, სალოცავში კი უნდა „ვიგალობოთ“; იქ — „სიმ-ღერაა“, აქ კი — „გალობაა“, რადგან დარბაზი ერთია და სალოცავი კიდევ სხვა, თუმცა ორივე შენობაა. ჩვენ ვხმა-რობთ საერო წიგნისათვის „მხედრულს“, სადვთო წე-რილისათვის კი „ხუცურს“, რათა ზღვარი იყოს გავლე-ბული საეროსა და საღვთოს შორის. მე შემიძლია მივმა-რთო ვინმეს: „ბატონო გიორგი!“ შემიძლია მე ასე მივმა-რთო ღმერთს: „ბატონო ღმერთო?“ ეს ხომ საშინელება იქნებოდა ქართველისათვის. და აი ღვთის მიმართ ჩვენ ვხმრობთ: „უფალო!“ და საოცარი: „უფლება“ ქართუ-ლში „ბატონისაგან“ კი არ გამოდის, არამედ „უფლისა-გან“. ქართული გაგებით, მაშასადამე, უფლება საკრალუ-რი ბუნების ყოფილა, სწორედ ისე, როგორც ეს ესმო-დათ ოქროს ხანაში. ამას ქართული მითიური თქმულება-ნიც ადასტურებენ. უძველეს დროში, მოგვითხრობს ერთი თქმულება, დვალთა მთაზე მეფენი ისხდნენ დროდადრო; ესენი ცდილობდნენ: ერთი ციდან მოწყვეტილი ვარს-კვლავი დაეჭირათო. რა მიზნით? თავიანთ ხალხთა ბედი მართებულად რომ წარემართათ. აზრი ამ თქმულებისა ნათელია: მეფემ თავისი მიწიერი ძალა ციური მადლით უნდა ანოყიერეს და ამტკიცოს. ეს მადლი აქ ვარსკვლავის სახით ვლინდება, თვითონ ვარსკვლავი „ხატია“ გრალისა; პირინეის გრალის ვარიანტით გრალი ქვაა, გვირგვინიდან ამოვარდნილი, ციდან მოსხლეტილი ლუციფერისა. და ამ ვარსკვლავ-ქვას იჭერენ თქმულების მეფენი. თამარ ედოფალს, მეორე თქმულებით, ჰქონდა იმავ დვალის ქუაზე კრმკი, საცა ერთს სკივრში ასეთი ვარსკვლავი ეს-ვენა, ციდან მიღებული. ერთხელ, როცა დედოფალი შინ არ იყო, მსახური გოგო მიეპარა სკივრს, ახადა მას სახუ-რავი, ვარსკვლავი ამოვარდა და გაფრინდა ცისკენო. ამ თქმულებაში სხვა აზრია: ვიგინდარას არ შეუძლია მიეკაროს საკრალურს; თანვე ისიცაა ნაგულისხმევი, რომ „მეუფლე“ საკრალურისა „მუდამ ფხიზელი“ უნდა იყოს („Egregoroi“), რათა ხელიდან, ასე ვთქვათ, არ „გაუშ-ვას“ იგი.

არც ერთს ტრადიციაში ეს ცნება საკრალურისა არ ჩა-მოსხმულა ისე ღრმად და მძლავრად, როგორც ეს არის გამოკვეთილი უგენიალეს ქართულ სახელდებაში: „ხელ-მწიფე“. აი კიდევ ერთი პოემა ქართული ხილვისა, ერთი სიტყვით თუ ერთ სიტყვაში გამოთქმული. რატომ მაინც და მაინც „ხელი“ და რატომ მაინცა და მაინც „მწიფე“? ხელი, რადგან ხელი სდებს ზღვარს კულტურის მხრით ადამიანსა და ცხოველს შორის; ვინ უნდა გზნებდეს ამ ზღვარს უკიდურეს, თუ არ მმართველი, მეთაური ტომისა თუ ხალხის? რად უნდა იყოს მისი ხელი „მწიფე“? ოქროს ხანაში მმართველი ეგულვებოდათ მდიდრად და უხვად — რას ნიშნავს „მწიფე ხელი“, თუ არა სიმდიდრესა და სიუხვეს? ოქროს ხანაში მმართვე-ლი იყო ძლიერი და მარჯვე — რას ნიშნავს „მწიფე ხე-ლი“, თუ არ სიძლიერესა და მარჯს? მიხეილ წერეთე-ლის აზრით, „მწიფე“ ნიშნავს „მიწდომასაც“. მაშასადამე „მწიფე ხელით“ ნაგულისხმევია „მწდომელიც“: ესე იგი ის, ვინც წვდება მას, რაიც სხვისათვის მიუწვდომელია. ხოლო ამით არ თავდება ხელმწიფის სახელდებით ნააზრი: იგი კიდევ მეტს, უფრო გულისხმიერს მოასწავებს. ოქროს ხანაში მმართველი მეფეც იყო და მღვდელიც. ქართული გაგებით ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ით-ქვა, „ფლობა“ გამოვლინებულია „უფლისაგან“. მფლო-ბელი, მაშასადამე, „მღვდელიცაა“. იმავ მკვლევარის მიგ-ნებით, სიტყვა „მღვდელი“ წარმოსდგება სიტყვისაგან „ღუდვა“, რაიცა „წვას“ ნიშნავს. მღვდელი: ანუ მწველი. იგულისხმება წვა არა მარტო გარეგანი: წვა შესაწირავ ცხოველისა, არამედ შინაგანიც: წვა წადილით ღვთიურის მისაღებად. მფლობელი — როგორც მეფე და მღვდელი ერთს პიროვნებაში — კურთხეულად ითვლებოდა: იგი ჰფენდა ირგვლივ გარდამქნელ ძალას, სხეოსანს—მარჯს, გერმანული შესატყვისით (Heil) „ჰაილ“-ს, რაიცა ხელ-დასმით გადადიოდა სხვაზე. რენე გენონ-ის მოწმობით, ამ ძალ-გადავლენას არაბულ-ებრაულად „ბარაქაჰ“ ეწო-დებოდა. ეს სიტყვა ქართულ სიტყვარშიაც გვხდება და სწორედ ხელთან დაკავშირებით უმთავრესად: „ბარაქიანი ხელი“; ნაგულისხმევია კურთხეული ხელი, მადლის გა-მომვლინებელი. რა არის ეს ხელი კურთხეული, თუ არ იგივე „მწიფე ხელი“? დიახ, ქართულ სახელდებით, „ხელ-მწიფე“, მოცემულია პლასტიურად მთელი კონცეპცია „Priester-König“-სა, მღვდელ-მეფის. ასე გვირგვინდება საკრალური წყობა კარდჰუს პირველ-ხილვაში, რომელიც აქ ყველაზე უფრო გარკვეულად მის პირველ-ქმედებაში გადადის.

დავით აღმაშენებელი

ეს მეფური მართვა—კიდევ უნდა დავლოცოთ გენია ქარ-თული სიტყვისა: „მართვა“, ანუ დგინება „მართლისა“ — ეს მეფური მართვა, საკრალურად მიჩნეული, გვხვდება არა მარტო „მითოსში“, არამედ ქართულ „ისტორიაშიც“. „რამეთუ თქვენ ხელმწიფენი უფალ-გაყვნა ღმერთმან ქვეყანასა განგებასა“ — ვკითხულობთ გიორგი მერჩულის უკვდავ ნაწარმოებში: „ცხოვრებაჲ წმინდა გრიგოლ ხან-ძთელისა“. „სამეფო ტახტი მერწმუნა პირველ ღვთისაგან და მერე მშობელთა ჩეთაგან“ — ამბობს დიდი დედოფა-ლი თამარ. კიდევ უფრო საოცარი: საქართველოში ჩვენ გვხვდება თვით „მეფე-მღვდელიც“. სახელი მისი: აღმა-შენებელი დავით, დიდი მხედარი და ნათელმოსილი პი-როვნება. ომში მას „სამღვთო წერილიც“ მიჰქონდა ხოლ-მე თან. ერთხელ „სამოციქულოს“ კითხვამ ისე გაიტაცა იგი, რომ კინაღამ წააგო ბრძოლა მან. თავის სახელს იგი სჭრიდა ფულზე ხან როგორც „ხრმალი ქრისტესი“ ხან კი როგორც „ყმა ქრისტესი“: „ხრმალი“ აქ მეფეა, „ყმა“ კი მღვდელი. გავიხსენოთ Saint-Bernard და მისი „Regle de l'Ordre du Temple“ მის მიერ როგორც „Milice de Dieu“ წოდებული. ჯვაროსანთა მიერ დავითი უდიდეს პიროვნე-ბად იყო მიჩნეული. მოვიყვანოთ ის ცნობანი, რომელიც შე-სანიშნავად „მონიეთა ზ. ავალიშვილმა თავის ცნობილ ნარკვევებში. 1109 წელს პარიზში მიიღეს ჯვარი, რო-მელზედაც ქრისტე აცვეს გადმოცემით. გამომგზავნი იყო Ansellus, წმინდა საფლავის კანტორი იერუსალიმში. ჯვარი დაასვენეს დიდი მოწიწებით ერთს პატარა ბაზი-ლიკაში, რომლის ალაგს შემდგომ აღიმართა ცნობილი ტაძარი „Notre Dame“ 1793 წელს, რევოლუციის დროს, ეს ტაძარიც დაარბიეს და ააოხრეს: ჯვარი დაიკარგა უკ-ვალოდ. კანტორი სწერს თავის ეპისტოლეში: მე ეს ჯვა-რი საქართველოს მეფის დავითის ქვრივისაგან მივიღეო. ნუ გამოვუდგებით აქ ისტორიულ შეცდომას: დავითი იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ჩვენთვის საგულისხმო ეპისტოლეში ერთი თქმა: დავითმა „გოგსა და მაგოგს“ კასპიის ბჭენი გადაურაზა და გზები მოუჭრაო. ვინ არიან ეს გოგი და მაგოგი? ჰინდოარიულ ტრადიციაში ხშირად იხსენიება „sakravatri“: მეუფე ქვეყნისა, რომლის სამ-ყოფელ ადგილად იგულვებენ ჩრდილო პოლის არეს, საი-დანაც იგი ებრძვის ბნელსა და ქაოტიურს. „მზე მეფე-ნი“ — გადმოცემათა მიხედვით — ამ „საკრავატრ“-ის მსა-ხიერებელნი არიან, რომელნიც ავსა და უკუღმართთან ბრძოლაში წარღვნას გადაურჩებიან ხოლმე და მაღალ მთებს აფარებენ თავს — (გავიხსენოთ ნოე და მისი კიდო-ბანი). ისინი მეფეებად ითვლებიან თორმეტისა: როგორც ზიგფრიდი, კარლოს დიდი და მეფე არტუს. ხალხთა თქმუ-ლებებში ამნაირადვე ისახება ალექსანდრე დიდი, აგრეთვე ცეზარიც. ახლოვდება თუ არა ბნელი ხანა, ანუ „ღმერთთა დაბნელება“, ეს მზე მეფენი ევლინებიან კვლავ ქვეყანას სხვადასხვა განპიროვნებით, აღვივებენ თავიანთ ქმედით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალას ღვთიურისა მოწოლილი ბნელისა და ქაოტიურის წინააღმდეგ. გოგი და მაგოგი, ტრადიციათა ცნობით, ხალხნია: ბოროტისა და უკეთმართის მატარებელნი. საკვირველი არაა, თუ ეს რწმენა გაცხოველდა ჯვაროსანთა რიგებში, რომელნიც იბრძოდნენ წმინდა საფლავის განთავისუფლებისათვის. და აი ერთი ჯვაროსანი აღნიშნავს სიხარულით — დავითმა, საქართველოს მეფემ, გოგსა და მაგოგს კასპიის საზღვარზე ბჭენი გადაურაზაო. და ვის შეეძლო ეს, თუ არ „მზე მეფეს“, ანუ „მღვდელ-მეფეს“? ხედავთ, სად ასულა სახელი აღმაშენებელისა? გავყვეთ ქვევით. სირიაში და პალესტინაში საქრისტიანო სამთავროების დაარსებით საგრძნობლად შელახეს მუსლიმის სამფლობელო. ხოლო უკანასკნელი არ თვლის თავის თავს დამარცხებულად: იგი იკრებს ძალას და უცდის ხელსაყრელ ჟამს, რომ შეუტიოს ჯვაროსნებს და უკუაგდოს იგინი. 1119 წელს ნადიმ ედდინ ელღაზმა, ალეპპოს სულთანმა, დაამარცხა ანტიოქიის მმართველი როჟერ, ანტიოქიელად წოდებული. მუსილმთა სამფლობელოს იმედი მიეცა. ხოლო ამ იმედს ჩრდილიც მოადგა: სწორედ ამ დროს მძლავრდებოდა ჩრდილოეთში ერთი საქრისტიანო მხარე: საქართველო. მუსლიმთა წინაშე გეგმა წამოიჭრა: ჯერ საქართველოს მოსპობა და შემდეგ ჯვაროსანთა გარეკვა, გეგმა სწორი და კარგად ნაანგარიშევი. 1121 წელს აგვისტოში საქართველოს მოადგა ნადიმ ედდინ ელღაზის მეთაურობით დიდი ლაშქარი: ექვსასი ათასი მხედარი — არაბები, სელჯუკები, თურქმენები. აგვისტოს 14 „დიდგორის“ ველზე დავით აღმაშენებელმა დიდი საომარი ოსტატობით დაამარცხა ეს ურდოები. ნადიმ ედდინ ელღაზ თავში დაიჭრა და განადგურებული ჯარი უკუიქცა. დავითმა გაანთავისუფლა თბილისი საემიროსაგან და ძველი ქალაქი სომხეთისა: ანი საქართველოს შემოუერთა. ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას გამოიწვევდა ჯვაროსანთა რიგებში „დიდგორის“ გამარჯვება. დავითმა ამ გამარჯვებით არა თუ იხსნა მხოლოდ საქართველო განსაცდელისაგან, არამედ ამით მან ფასდაუდებელი დახმარებაც გაუწია ჯვაროსნებსაც. და აი იზრდება მისი სახელი ლეგენდად კიდითი კიდემდე. ერთი ინგლისური ქრონიკა როგორც ეს აქვს მოყვანილი ტიტე მარგველაშვილს ერთ ისტორიულ ნარკვევში — მოგვითხრობს: დავითმა, საქართველოს მეფემ, დაირქვა სახელი „Presbyter Johannes“, გადავიდა აღმოსავლეთში და იქიდან მოდის ეხლა საქრისტეანოს მოსაშველებლადო. შევჩერდეთ ამ ცნობაზე. საშვალო საუკუნოებში წამოიჭრა მძაფრად ევროპაში იდეა „მღვდელ-მეფისა“. „Das Heilige Römische Reich“ გერმანელ მეფეთა მიერ ქმნილი მსოფლმნიშვნელი ცდა იყო ამ იდეის განხორციელებისა. ცდა ცდად დარჩა, რადგან „მღვდელისა“ და „მეფესი“ შეერთება ერთს პიროვნებაში არ მოხდა. კიდევ მეტი: იგი მღვდელისა და მეფის ერთიმეორესთან შეხლად იქცა. ამ შეხლაში მღვდელი დარჩა თავისთვის და მეფე თავისთვის. მარცხი ამ ცდისა საბედისწეროდ იქცა მთელი დასავლეთისათვის. ნატვრა მღვდელისა და მეფესი ერთ-სახედ ქცევისა ისე ღრმად იყო საშვალო საუკუნეთა ევროპაში ფესვგამდგარი, რომ მნატვრელთ მონატრებული სინამდვილედ წარმოესახათ: შორს, აღმოსავლეთში, არსებობს მფლობელი, რომელიც ერთსა და იმავე დროს „მღვდელიც“ არის და „მეფეც“, სახელით: პრესბიტერ იოჰანეს, ფიქრობდნენ დასავლეთში. პრესბიტერ: მღვდელმთავარი. და აი: ინგლისურ მატიანეს ეს მღვდელმთავარი დავით აღმაშენებელი ჰგონია. არც ერთს ისტორიულ მფლობელს, თუ გინდ „მზემეფედ“ სახულს, არ რგუნებია სახელის ასეთი ამაღლება: მითიური რეალობის ისტორიულ პიროვნებად ქცევა, ეს ქცევა არ არის შემთხვევითი ამბავი. წიაღში იმ ხალხისა, რომლის მდგენის პირველ-ხილვით მფლობელი „მწიფე ხელიანია“, ესე იგი: ხელკურთხეული და ხელმადლიანი, ერთხელც არის, „ხელ-მწიფე“ უნდა მოვლენილიყო. დავით აღმაშენებელი არის ხელმწიფე კარდაუს გაგებით და როგორც ასეთი: მღვდელი და მეფე ერთსა და იმავე დროს — „Priester-König“. მისი ხელის „სიმწიფეს“, მის სიმარჯეს, საქართველოს ისტორიაში შემდგომ განმტკიცებულს, განუწყვეტლივ გრძნობდნენ ჯვაროსანნი შემდეგშიაც. ერთი რაინდი ჯვაროსანი სწერს მთავარეპისკოპოზს ბეზანსონისა, და დაახლოებით 1195—1220 წლებში: საქართველოს ჯარმა, თამარ დედოფლის ახალგაზრდა ვაჟის მეთაურობით, გადმოლახა მძლეობით მცირე აზია, აიღო ცხრა დიდი ქალაქი და სამასი ციხე შეანგრია; გამარჯვებულ სარდალს თან მოაქვს ნეშტი განსვენებული დედისა, რომლის სურვილი იყო იერუსალიმის განთავისუფლება; აფრთოვანებით მოველით აქ ჩვენ მასს — აბოლოვებს რაინდი. ეს ლეგენდაა მხოლოდ, ჯვაროსანთა ნატვრით შექმნილი, მაგრამ ხშირად ლეგენდა უფრო ნამდვილია ვიდრე ისტორიული ამბავი.

ჯვარი ვაზისა

უძველეს ქართველობას, უნდა ვიფიქროთ, მზის თაურით უცოცხლია, თორემ იგი ვერ შექმნიდა ასეთ მზეოსან მსოფლსახეს. იგი აგრეთვე მიწის ერთგულიც უნდა ყოფილიყო — ამის ნიშნებიც მრავალია საქართველოში. ჩვენში მიწა ხორცია და სისხლი თვითონ. იგი ჩვენში არის ნამდვილი „მაგნა მატერ“ — არა მხოლოდ როგორც მთელი: ყოველს ნაწილს მისას აქვს ზევრცეული რაობა, რომელიც მეტაფიზიურ არეში რომელიმე ზემიწიურ სინამდვილეს „ესიტყვება“. ფშავეთში და ხევსურეთში ადიდებენ „მაგნა მატერ“-ს როგორც „ადგილის დედას“, ესე იგი: როგორც „ნაშიერს“ დიდი დედისა. ყოველ სალოცავი იქ განსაკუთრებულ ადგილსაა აგებული: ერთი შეელის ცხოველთა გამრავლებას, მეორე არჩენს უნაყოფო ქალებს და ასე ყველგან. ამ რიგად საქართველოში „მზე“ და „მიწა“ შეუღლებულ არიან ერთი მეორესთან როგორც ქმარი და ცოლი. ეს შეუღლება არსად ისე მკაფიოდ და ხატულად არ სჩანს როგორც „ვაზის ჯვარში“, რომელიც დღეს სიონის ტაძარში სვენია. მეოთხე საუკუნის დამდეგს მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული წმინდა ნინოსაგან. ამ მომხიბლავმა ქალწულმა გამოსჭრა ვაზის ნასხლეტისაგან ჯვარი, რომელსაც „ჭრილობა თავის თმებით შეუხვია“. ეს ჯვარი ქრისტემდეც სიმბოლო იყო ვნებული ღმერთისა. მას სჭრიდნენ ხისაგან, ან ჰკვეთდნენ ქვისაგან, ან სჭედნენ რკინისაგან. წმინდა ნინომ იგი ვაზის ნასხლეტისაგან გამოსჭრა.

ვაზი სახეა მიწის ხალისისა ნაყოფში, სახე სწორუპოვარი: იგი მიწის ლხინია თვითონ, ვაზის ჯვარში ქრისტეს ვნება „წამებად“ კი არ ვლინდება, არამედ „შვებად“. ვაზი მიწის ნოყიერების სახეა, სახე შეუდარებელი. ვაზის ჯვარი დედურ ანაყოფიერებს ქრისტეს ვნებას; ქალწულის თმები კიდევ უფრო აძლიერებენ ამ დედობას. ვაზის ჯვარში ღვთიური ვნება „ნაყოფად“ „იშვის“ — აი მისი ულრმესი აზრი და მნიშვნელობა. თუ ზემიწიური არ იშვა მიწიურში, იგი უბრალო „ratio“- რჩება, რომელსაც არ აქვს გარდამქმნელი ძალა. აი რას გვასწავებს ვაზის ჯვარი. ეს უდიდესი საიდუმლო დარჩა უგულვებელი საქრისტიანოში — აქედან სხვათა შორის, მკაცრი ბრძოლა უკანასკნელისა წარმართობის ამოსაფხვრელად, რაიც ქრისტეს სჯულის განმტკიცებისათვის საბედისწეროდ იქცა. საქართველოში ეს საიდუმლო იმთავითვე იყო გულისმიერ ყურადღებული — ამით აიხსნება ისიც, რომ ქართულმა ქრისტიანობამ წარმართობა კი არ მოსპო, არამედ შინაგან შეიზარდა იგი: ამით მან ნამდვილი გზა მოუნახა ქრისტეს სჯულის განაყოფიერებას. დიახ, ჯვარი ვაზისა უნივერსალური სიმბოლოა მთელს საქრისტიანოში.

პრომეთე: ამირანი.

დავით აღმაშენებელის დროის ერთ მემატიანეს მოჰყავს ცნობა, ცნობილი უკვე ძველ ქართველ მემატიანეთა მიერ: რომ ქართველთა მოდგმა, „ორგულია თვისთა უფალთა მიმართო“. როგორ? მზის შვილნი და ორგულნი ხავიანთ ხელისუფალთა? ეს საიდუმლო ჩვენი ხასიათისა არც ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელ ასახსნელია. ყოფა არის არა მხოლოდ ღვთიური „ნიჭი“, იგი აგრეთვე ადამიანის „სა-ქმეცაა“. თუ ამ „სა-ქმეს“ მართებულად არ ასრულებ, გიფუჭდება თვითონ „ნიჭი“. ორგულობა ქართველთა თავის ხელისუფალთა მიმართ „თვისება“ კი არაა ქართველთა, არამედ მათი „საფრხე“. ხსენებული ქრონისტის ცნობა ასე უნდა იქნას გაგებული. გენია მაგალითად ცეცხლია, ხოლო ამ ცეცხლს მასალა თუ არ მიეცი, როგორც იცოდნენ ეს არაბებმა, იგი თავის თავს „შესჭამს“, ესე იგი, დაიფერფლება. ფერფლი მაშასადამე „საფრხეა“ გენიისა და არა მისი „თვისება“: იმ თავითვე იგი ცეცხლია და არა ფერფლი. ქართველთაც აქვთ ამგვარი „საფრხე“. მზის შვილი „თავისთავადია“ პირველ ყოვლის. შელახავს ვინმე ამ თავისთავადობას მისას, იგი განზე დგება, ხდება „თავნებად“. „თავნებობა“ კი ძირია: განდგომის, განკერძოების, განაპირების, გათიშვის. საქართველოს სამეფოს შინაგანი რღვევის სათავე სწორედ აქ უნდა ვიგულვოთ. ესაა ჩემი ღრმა რწმენა. ქართველ მეთაურთ-უმრავლესობას არ ჰქონდათ შეგნებული თვისება ქართული ხასიათისა და ამის გამო ვერ შესძლეს მათ: ქართველი ხალხის ბედი მართებულად წარემართათ. ხალხის ქვეშეცნეულ ფენებში კი ეს არ იყო და არც ეხლა არის უცნობი. რა არის მაგალითად ქართული სუფრა, რომელსაც ბადალს ვერსად მოუნახავ, თუ არ შეგნება საიდუმლოსი ქართული ხასიათისა? ბრძანებით საქართველოში ვერაფერს მიაღწევ, „შესახელებით“ კი ყველაფერს. მიზეზი? ქართველის თავისთავადობა. განსაკეთებელი ქართველმა თვითონ უნდა მოაგვაროს და არა სხვისი ბრძანებით. „შესახელება“ აქ იმალება: სადაა „სახელი“, თუ შესრულებული ბრძანების შედეგია? დიახ, ქართველი ბუნებით თავისთავადია, უბრალო გლეხიც კი. საკვირველი არაა, თუ მას უყვარს „პირველობა“. ქართულ სუფრაზე ყოველი დამსწრე რომელიმე მხრით „პირველია“: ერთი როგორც მომღერალი, მეორე როგორც მროკავი, მესამე როგორც მორკინალი, მეოთხე როგორც მჭერმეტყველი, მეხუთე როგორც მოშაირე, მეექვსე როგორც მოხდენილი და ლამაზი, მეშვიდე როგორც ბრძენი და ასე ბოლომდე. თუ რომელიმე მათგანს მოქიშპე ჰყავს სუფრაზე, მაგალითად მოშაირეს, მაშინ მის „სხვაობა-“ს აკუთვნებენ „პირველობას“. ამრიგად ქართული სუფრა უბრალო „ქეიფი“ კი არაა, ანუ „დროსტარება“, არამედ ნამდვილი კულტი, რომელიც პოლიფონიურ მართავს მათ შეხვედრას ერთი მეორესთან. ქართული სუფრა აძლევს ქართველს საშვალებას აიცდინოს „თავნებობა“, ანუ: განდგომა, განკერძოება, განაპირება, გათიშვა. თვითონ მითოსიც პრომეთეამირანისა ამ გეზით არის გამართული ქართულ შეგნებაში. პრომეთემ ცეცხლით გააბედნიერა კაცობრიობა. ხოლო მას ეს ცეცხლი შინაგან კი არ მიუღია ღვთისაგან მსხვერპლის გზით, მან იგი მოსტაცა ღმერთებს. იგიც თავნებაა ამ მხრით. დააკვირდით ეხლა ქართულ ვარიანტს პრომეთეს მითოსისა. ამირანი მიჯაჭვულია კავკასიის ერთ ნაპრალზე. მას უკორტნის ღვიძლს არწივი: მზის ფრინველი. ორი ძაღლი, ერთი შავი და მეორე თეთრი, ლოკავენ ჯაჭვს. იმ წუთს როცა ჯაჭვი ისეა დაცრეცილი, რომ ამირანს შეუძლია აიწყვიტოს — და საოცარი მითოსი აქ კულტურ ქმედებაში გადადის — იმ წუთს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ყოველ წლობით ვნების კვირის ხუთშაბათს ალიონზე მჭედელნი იწყებენ ჭედვას სიმბოლიური ჯაჭვისა. შეკითხვაზე, თუ რისთვის — მჭედელნი იძლევიან პასუხს: თუ ვინიცობაა ამირანმა აიწყვიტა, ახალი ჯაჭვი მზად გვექნებაო. არა მგონია რომელიმე ერის სიბრძნე ამაზე შორს წავიდეს. დიახ, ამირანი ჩვენი ძალაა, ხოლო აგრეთვე ჩვენი „საფრხეც“ — ტყვილად კი არ არის იგი მიჯაჭვული კავკასიის ნაპრალზე. ვისაც უნდა საქართველოს აღდგენა და მისი ხელმწიფების განმტკიცება, იგი ყოველ დღე უნდა იგონებდეს — არა მხოლოდ ვნების კვირის ხუთშაბათს—ქართველ მჭედელთა სიმბოლიურ ჯაჭვს.

ბოლოსიტყვა

აი საქართველოს სათავენი! მინდა ბოლო სიტყვაც დავუმატო ამ ნარკვევს.

1. ამ სათავეებშია მოქცეული ქართველთა მსოფლხილვა და მსოფლ სახე. ეს მსოფლხილვა თუ მსოფლსახე არ ჩამოვუარდება მსოფლხილვათა და მსოფლსახეთ, შექმნილთ დიდ ხალხთა მიერ. ზოგიერთ მუხლებში იგი კიდეც უსწრებს მათ. ამას მერმისში უთუოდ დაინახავენ მკვლევარნი როგორც ქართველნი ისე უცხონი; დაინახავენ გაოცებით.

2. ჩემს შემოქმედებაში მე გამოვდივარ სწორედ ამ სათავეებიდან. ამით აიხსნება სხვათაშორის ისიც, თუ რად იპოვა ჩემმა მწერლობამ გერმანიაში თუ გერმანიის გარე ასეთი გამოხმაურება.

3. მიუყენეთ ამ სათავეებს ბოლშევისტური გაგება კულტურისა, სტალინის მიერ განსაზღვრული და საბჭოეთში კანონად ქცეული: „შინაარსით ინტერნაციონალური და ფორმით ნაციონალური“. დაინახავთ უდავოდ: „შინაარსი“ ჩვენი კულტურისა ამ ფორმულის მიხედვით, უნდა ამოვარდეს ძირიანფესვიანად.

4. მთავარი მიზეზი იმისა, თუ რად დავტოვე მე საბჭოეთი იყო ეს: ამ ნარკვევში გატარებული გაგებით, ყოველ კულტურას ბოლო ეღება, როგორც კულტურას ქართველების, ისე სხვა ხალხთა. კულტურა, „შინაარსით ინტერნაციონალური და ფორმით ნაციონალური“, არის კულტურა ანონიმისა, უსახო, ესე იგი არავითარი კულტურა. გასაგებია, თუ რად გადმოვიტანე ჩემი მუშაობა უცხოეთში.

5. საქართველოს სათავენი ამ ნარკვევში განხილულნი, წარმოადგენენ გზს ჩვენი შინაგანი ვითარებისა. ხილვა და გამოყენება ამ გეზისა გამოადგება ყოველ ქართველს: მგოსანს, მოაზრეს, მეცნიერს, პოლიტიკურ მომქმედს, მეომარს, მღვდელს, ყველას. ყოველი ქართველი, რომელიც კი ამ სათავეებს ეზიარება, იტყვის უთუოდ, გამხნევებული და ხერხემალ-გამაგრებული, ხევსურულ: „ჯანი მამიმატის!“

6. „სცდების და სცდების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“. ჩემს მეგობარს მიხეილ წერეთელს ეს სტრიქონი „ვეფხის-ტყაოსნისა“ ჩამატებულად მიაჩნია. თუ ეს მართალია, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩამმატებელი რუსთაველზე არა ნაკლები ბრძენი ყოფილა. მე ჯერ კიდევ არ „ვაპირებ“ გადასვლას ამა სოფლისაგან, მაგრამ ვინ იცის: „სცდების და სცდების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“. ამ ნარკვევს მე ვუტოვებ ქართველობას ანდერძად.

7. ვლოცავ სიყვარულით იმ გენიას, რომელმაც შექმნა ასეთი გულისხმიერი მსოფლხილვა და მსოფლსახე. კურთხეულ იყოს შენი საშო, საქართველო! ნუ მოგაკლოს მადლი ზეციერმა! მუდამ იყავი: მზიური, მზიანი, მზეოსანი, მზეგრძელ! შენი „წყაროს თვალი“ არ დაიშრიტება.

გრიგოლ რობაქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ერთობის საფუძვლები

საქართველოს მთლიანობის დაცვისათვის :

დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს პირველი საზრუნავი იყო ზავისა და მშვიდობის დამყარება. ამ მიზნით ოსმალეთთან საერთო ენა უნდა გამოძებნილიყო და ამისათვის გერმანიის დახმარება ხდებოდა აუცილებელი. ამიტომ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი დაუყონებლივ გაემგზავრნენ ფოთს, სადაც იმ დროს გერმანიის დელეგაცია იმყოფებოდა. 28 მაისს 1918 წ. აქ მათ ხელი მოაწერეს გერმანიასთან შეთანხმებაზე, რომლის ძალით გერმანია კისრულობდა საქართველოს საზღვრების დაცვას, რისთვისაც მას თავისი ჯარით დახმარება უნდა გაეწია. გერმანიას მიეცემოდა საქართველოში ეკონომიური კონცესიები და მონაწილეობას მიიღებდა ქართული ჯარის შექმნაში. გერმანიამ საქართველოს აღუთქვა აგრეთვე დახმარება სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაშიც. ეს ხელშეკრულება სრულებით მეგობრულ დახმარებაზე დამყარებული, შესდგებოდა სულ ხუთი მუხლისაგან, რომელთაგან ორი სასწრაფოდ იქმნა ცხოვრებაში გატარებული. გერმანიამ ოსმალეთზე ერთგვარი დიპლომატიური დაწნევა მოახდინა, რომლის შედეგად ოსმალეთის ჯარების წინსვლა შეჩერდა და ამასთანავე გერმანული ნაწილები მოულოდნელად გაჩდნენ საქართველოს საზღვარზე. როგორ? მაშინ ხომ თვითმფრინავებით ჯარების გადაყვანა არ სწარმოებდა? საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები შეიარაღეს და გაგზავნეს საქართველოს საზღვრებზე! ოსმალები განცვიფრებით უცქეროდნენ უჩინმაჩინ გამოცხადებულ გერმანულ ჯარისკაცებს! არა ერთ ადგილზე და ბორჩალოში, მოუხდათ გერმანელებს ქართველებთან ერთად ოსმალურ თუ მათ მიერ მოწყობილ რაზმებთან შეტაკება. არა ერთი და ორი გერმანელი ჯარისკაცის გვამი მიებარა საქართველოს მიწას! მალე შემოვიდა საქართველოში გერმანული ჯარიც (დაახლოებით 17.000) გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინის უფროსობით. ქართველი ხალხი დიდი სიხარულითა და ზეიმით შეეგება მას და ქვეყანამ შვებით ამოისუნთქა.

ოსმალეთი?

31 მაისს 1918 წელს საქართველოს მთავრობის თავჯდომარე ნოე რამიშვილი აცნობებს ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავჯდომარე ხალილ-ბეის საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ და ეკითხება: 26 მაისის ულტიმატუმი, ამიერკავკასიის საზავო დელეგაციას რომ წარედგინა, ეხება თუ არა დამოუკიდებელ საქართველოსო. რასაკვირველია, ხალილ-ბეიმ არ დააყოვნა დასტურით ეპასუხებინა. გერმანელების რჩევით, საქართველოს წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს ოსმალეთთან საჩქაროდ მორიგებულიყვნენ და დათმობაც მოეხდინათ. ამიტომ ნ. რამიშვილი უპასუხებდა ხალილ-ბეის: საქართველოს საზღვარი უნდა შემოიხაზოს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით; პრინციპში თანახმა ვართ ახალ-ქალაქ — ახალ-ციხის საკითხი გადაისინჯოს და ოსმალებმა ისარგებლონ საქართველოს რკინისგზებითო.

ამ დროს სწორედ ქართველებმა დასდეს ხელშეკრულება გერმანელებთან, რომლის ძალით რკინისგზებით სარგებლობის უფლება მიენდო გერმანულ სამხედრო კომისიას და ამგვარად ოსმალეთს აღარ შეეძლო საქართველოს რკინისგზები თავისი სურვილებისამებრ გამოეყენებინა.

ოსმალეთთან საზავო პირობების გამოსამუშავებლად ბათუმს ჩავიდა საქართველოს დელეგაცია, რომელშიც ყველა პარტიის წარმომადგენლები შედიოდნენ.

3 ივნისს 1918 წელს ხელი მოაწერეს ბათუმის საზავო ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვით ოსმალეთსა და საქართველოს შორის საზღვარი გადიოდა დაახლოებით 1828 წლის საზღვართან ესე იგი ოსმალეთმა მიიღო ბათუმ-არდაგანის მხარე, ახალ-ციხე-ახალქალაქის მხარე, აწყურისა და აბასთუმანის გამოკლებით. ამნაირად, ოსმალეთმა თითქმის მიაღწია თავის მიზანს და არც აწყურ-აბასთუმნიდან გაჰყავდა თავისი ჯარები ანუ როგორც იწერებოდა ვეხიბ-ფაშა 20 ივნისს 1918 წელს: ზოგიერთი ტერიტორია არ გავათავისუფლეთ და დავსტოვეთ როგორც წაწინდარი, სანამ საქართველოს მთავრობა ხელშეკრულების პირობებს არ განახორციელებსო! ამასთან ერთად ოსმალები შეუდგნენ ქართველების ანუ აჭარლების დევნას, ატუსაღებდნენ მათ და ამის გამო საქართველოს მთავრობა საქართველოში გერმანიის წარმომადგენელს გრაფ ფონ შულენბურგს პროტესტით მიმართავდა.

14 ივლისს 1918 წ. ოსმალეთმა ბათუმში მოახდინა, კომისიის გარეშე, რეფერენდუმი ხელშეკრულების მიხედვით, მაგრამ ისე, რომ აჭარლები, ქართველები გამორიცხა და ამის გამოც პროტესტი იქმნა განცხადებული.

გერმანიის დელეგაციაც 28 ივლისს 1918 წ. იძლეოდა პასუხს: ის მოვლენა, რომ ოსმალეთმა მეზობელ სახელმწიფოთა დაუკითხავად, მარტო მოახდინა ბათუმში რეფერენდუმი, ხელშეკრულებას არ შეეფერებაო. ამიტომ 1 აგვისტოს 1918 წ. საქართველოს მთავრობამ პროტესტი განუცხადა ოსმალეთს უკანონო რეფერენდუმის გამო, რაზეც 12 აგვისტოს ოსმალების სარდალი ესად ფაშა უპასუხებდა: კენჭისყრა კანონიერად მოხდა, ბათუმი იარაღით დავიკავეთ და ოსმალეთს ეკუთვნისო.

ამ ხანაშივე, 28 ივლისს 1919 წ. ოსმალებმა გადასხეს ჯარი აფხაზეთში, მდინარე ჟოდორთან. საქართველოს მთავრობამ ასეთი ძალადობის წინააღმდეგაც პროტესტი განაცხადა. აფხაზეთში მყოფმა ქართული ნაწილების სარდალმა, გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა ფიცხლავ დაიკავა სოხუმის პოზიციები. გერმანელებმა თავის მხრივ დაუყონებლივ მოსთხოვეს ოსმალეთს აფხაზეთიდან ჯარები გაეყვანა. ქართულ და თურქულ ნაწილთა შორის შეტაკებებიც მოხდა და ოსმალეთმა დასცალა აფხაზეთი.

ბათუმში დადებული საქართველო-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება უნდა დამტკიცებულიყო ერთ თვეში ესე იგი უნდა მომხდარიყო მისი რატიფიკაცია. მაგრამ საკითხი გადატანილი იყო სტამბოლში გერმანელების დახმარებით; და ზურაბ ავალიშვილისა და გერმანელ, ჩვენთვის უკვე ცნობილ, ფონ ლოსოვის მოლაპარაკების შედეგად ოსმალეთმა გაათავისუფლა ახალციხის მაზრა და ყველა ადგილი, რომელიც ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებაში აღნიშნული არ იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც ოსმალეთის იმპერია ქანაობდა, მისი დახავსებული შენობა ტორტმანობდა და დღე-დღეზე წაქცევას ელოდა. ამიტომ იყო, ოსმალეთის მთავრობის თავმჯდომარე, დიდი ვეზირი იზეტ-ფაშა ზურაბ ავალიშვილს პირდებოდა: თუ ოსმალეთი იძულებული გახდა ბათუმისა, არდაგანისა და ყარსის ოლქები დასცალოს, მაშინ საქართველოს დაუთმობს მის მიწაწყალსო. რამოდენიმე დღის შემდეგ ოსმალეთის იმპერია მსოფლიო ომის ასპარეზზე გაინართხა და 31 ოქტობერს 1918 წელს, სასტიკად დამარცხებულმა მუდროსის დროებით ზავზე ხელი მოაწერა. ამ ხელშეკრულების ძალით ოსმალეთს უნდა გამოეყვანა ჯარები კავკასიიდან; გამარჯვებულ ანტანტას (ინგლისი, საფრანგეთი, იტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია და სხ.) უფლება ჰქონდა დაეჭირა ყველა ის ადგილი, რომელსაც ისინი მოიწადინებდნენ და საჭიროების მიხედ-ვით, მთელ ოსმალურ სომხეთსაც დაიკავებდნენ.

როგორც ვხედავთ, საქართველო — ოსმალეთის ეს მწარე დავა გადასწყდა საერთაშორისო ბრძოლის ველზე და ამჟამად უკვე იწყება ანტანტის სახელმწიფოებისა და საქართველოს ურთიერთობის ამბავი.

11 ნოემბერს 1918 წელს გერმანიამაც დაჰყარა იარაღი და დროებითი ხელშეკრულების ძალით მისი ჯარებიც უნდა გასულიყვნენ ყველა დაკავებული ტერიტორიიდან.

მას შემდეგ რაც თურქი-ოსმალები საქართველოს მეზობლად გაჩდნენ და სტამბოლის იმპერია დაამკვიდრეს, საქართველო მოსწყდა ევროპას; ქართველი ერი მოექცა მაჰმადიანურ რკალში. ამ რკალის გარღვევას სცდილობდნენ ქართველი მეფენი, და გიორგი მერვეთი დაწყებული (1445—1469 წ.) ერეკლე მეორემდე (1744—1798) არა ერთჯერ სცადეს ოსმალური თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირეების მოძებნა ევროპაში, მაგრამ ამაოდ, მას იქ ინტერესები არა ჰქონდა. სამ საუკუნეზე მეტი გაგრძელდა ევროპიელი მოკავშირის ძებნა და ბოლოს რუსეთი იქმნა მონახული, რომელიც უფრო აზია იყო, ვინემ ევროპა. მხოლოდ რუსეთის წაქცევის შემდეგ მოვიდა საქართველოში ევროპა. და მოვიდა იგი საქართველოს დასაცავად. ევროპას ინტერესები გაუჩნდა საქართველოში. ეს პირველი ევროპიელი იყო — გერმანია.

იმ დროის განმავლობაში, როდესაც საქართველოს დავა და ჩხუბი ჰქონდა ოსმალეთთან, შინ და გარედ ბოლშევიკები საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ და ახალ სახელმწიფოს ძირს უთხრიდნენ. ქართველი ბოლშევიკები, რომელთა რიცხვი მეტისმეტად მცირე იყო, იმ შეხედულებას ადგენენ „რომ მსოფლიო რევოლუცია მალე მოხდება და ამიტომ ოსმალეთთან დავა ზედმეტიაო ვინაიდან მსოფლიო კომუნიზმის დროს საზღვრებს მნიშვნელობა არ ექნება, რადგან კომუნისტური ძმობა დამყარდება ხალხთა შორისო, ამიტომ ისინი წინააღმდეგი იყვნენ ოსმალეთთან ომის, მაგრამ სცდილობდნენ ომი თვით შიგნით გამოეწვიათ და საქართველოში საბჭოთა წესწყობილება დაეყარებინათ. ასეთი ბრიყვული თვალსაზრისით აღჭურვილნი, ისინი სცდილობდნენ საქართველოში არეულობა და აჯანყება მოეხდინათ და ამ მიზნით რუსული ბოლშევიკური ძალებით ესარგებლათ. — ჯერ კიდევ 1918 წლის მაისში, თურქეთთან ომის დროს ბოლშევიკებმა ვლადიკავკაკში შეადგინეს ბოლშევიკური რაზმები, რომელთაც დარიალის ხეობა უნდა გამოეჭრათ და თბილისი აეღოთ. მაგრამ ამ ცდამ ფუჭად ჩაუარათ. აქ რომ საქმე წაუხდათ, ივნისში და მერმე ივლისში 1918 წ. ბოლშევიკური დიდი ძალები მოადგენენ სოჭისა და სოხუმის მხარეს, დაიკავეს კიდეც იგი, მაგრამ გენერალ მაზნიაშვილმა ისინი სასტიკად დაამარცხა და გარეკა, ფეხდაფეხ მისდია მათ, 27 ივლისს 1918 წ. ქართულმა ნაწილებმა ტუაპსე დაიპყრეს.

მაგრამ ამ მხრიდან ცოტახნის შემდეგ ბოლშევიკები შესცვალეს თეთრგვარდიელებმა, რომელთაც უკვე ხელში ეჭირათ მთელი ყუბანის მხარე. თეთრგვარდიელები დიდი ძალებით მოადგნენ ტუაპსეს რაიონს და რადგან იქ ქართველების მხრივ მხოლოდ სამასამდე კაცი იმყოფებოდა, ამათ დაიხიეს სოჭისაკენ. სოჭის რაიონის მოსახლეობა იძულებითი არჩევანის წინაშე დადგა, ან თეთრგვარდიელებს უნდა მიმხრობოდა, ან საქართველოს უზენაესობა მიეღო; სოჭის მოსახლეობა უკანასკნელს გადაწყვეტილებას დაადგა და საქართველოს მფარველობა სთხოვა. საქართველოს მთავრობამ თავის მხრივ სოჭის მოსახლეობის სურვილი გაიზიარა და განაცხადა: სანამ საბოლოოდ გამორკვეოდეს საზღვრების საკითხი, საქართველო კისრულობს სოჭის რაიონის მფარველობასო.

ამ ამბავმა თეთრგვარდიელთა შორის აღშფოთება გამოიწვია. თეთრგვარდიელები, რომელნიც რუსეთის აღდგენაზე ოცნებობდნენ და ერების დამოუკიდებლობას სასტიკად უარჰყოფდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობას, რასაკვირველია, არა სცნობდნენ; და ამას ეხლა კიდევ ზედ დაემატა სოჭის მოსახლეობის ქცევა. შეტაკება ფართო ხასიათისა დღედღეზე მოსალოდნელი იყო და ამიტომ საქართველოს მთავრობამ მიმართა მშვიდობიან საშუალებას, მოლაპარაკების გზით ერთგვარი კეთილი განწყობილება დაემყარებინა. ამის შედეგად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი 25 სექტემბერს 1918 წელს შეხვდა თეთრგვარდიელ მოხალისე არმიის წარმომადგენელს, გენერალ ალექსეევს, რომელიც მაშინ იმავე დროს არმიის მთავარსარდალიც იყო. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გენ. ალექსეევმა არამც თუ არ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, არამც თუ სოჭის მხარეს დაცლა მოითხოვა, არამედ აფხაზეთსაც წაეპოტინა. მაშ ომი და თავდაცვა!

რუსის მოხალისე ჯარებმა შემოუტიეს საქართველოს არა ერთჯერ და ორჯერ, ხან ხმელეთით, - ხან ზღვით. ქართული ერთეულები თავგანწირვით იცავდნენ სამშობლოს, ხან წინსვლით, ხან დახევით. ერთხანს ქართველები იძულებული გახდნენ მდინარე კოდისკიდან მდინარე ბზიბამდე დაეხიათ, მაგრამ შემდეგში ისევ შესძლეს წინწაწევა და მდინარე მოხადირზე გამაგრდნენ; ეს ამბავი მოხდა 1918 წ. ოქტომბერში.

ბოლშევიკები თავისმხრივ კიდევ არ ისვენებდნენ და სექტემბერში 1918 წელს კვლავ დარიალის მხრიდან შეუტიეს საქართველოს და ამასთანავე მოაწყვეს ამბოხება დუშეთის მაზრაში, სადაც უკმაყოფილო ელემენტებთან ერთად თავი მოეყარათ რუსის ყოფილ: პოლიციელებს, ჟანდარმებს, ოფიცრებს, უბრალოდ ავაზაკებსა და გაბრიყვებულ ხალხს. საქართველოს ამ მხრიდან აწიოკების ცდაც ბოლშევიკებს ხელმეორედ ჩაეფუშათ.

როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ თეთრგვარდიელები, და მეორე მხრივ ბოლშევიკები საქართველოს მოსვენებას არ აძლევდნენ და მის დაღუპვას ლამობდნენ. როგორც თეთრგვარდიელები, ისე ბოლშევიკები თავს ესხმოდენ საქართველოს, მაგრამ ყოველი მათი ცდა ქართული სახელმწიფოს წაქცევის წადილით ნაკარნახევი, მათთვის ყოველთვის დიდი მარცხით დასრულდა. საქართველომ შესძლო ამ ორი დაუძინებელი მტრის გალახვა და ალაგმვა.

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით როცა ეს ამბები ხდებოდა, მის სამხრეთში, სამცხე-საათაბაგოში ანუ ძველ მესხეთში, რომელსაც უწინ აგრეთვე ზემოქართლი ერქვა, რუსეთის დროს კი ახალქალაქ-ახალციხის მაზრების სახელით იყო ცნობილი, ომი სწარმოებდა. ომი შეიძლება დიდი სიტყვაა, მაგრამ მუდმივი თავდასხმა-შეტაკებები და სისხლისღვრა მიმდინარეობდა. რა ხდებოდა იქ?

ბათუმში საზავო ხელშეკრულების დადების მიუხედავათ (4 ივნისი 1918 წ.) ოსმალეთი მაინც ცდილობდა ფაქტიურად ახალი ვითარება შეექმნა და ამ მიზნით მისი ჯარის ნაწილები და მის მიერ შექმნილი რაზმები საქართველოში ნამდვილ ბრძოლებს აწარმოებდნენ. მათ ერთხანს თითქმის მთელი ბორჩალო დაიკავეს და რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე თბილისს დაემუქრნენ. აქ მათ წინააღუდგა ქართული მხედრობა გერმანელებთან ერთად და ბორჩალოს მაზრა ივნისის ბოლოს 1918 წ. თურქული ბანდებისაგან უკვე გაწმენდილი იყო. არ გასულა ცოტა ხანიც, რომ თურქებმა ეხლა ბორჯომისაკენ გამოილაშქრეს. მათ აქაც მოაგროვეს და მოაწყვეს თათრული ნაწილები, კარგად შეიარაღეს ისინი და რეგულიარული ბრძოლით ბორჯომზე წამოვიდნენ. მხოლოდ აგვისტოს დასას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულისათვის გასწმინდა ეს მხარე ქართულმა მხედრობამ. დაკავებულ იქმნა აწყური და აბასთუმანი; ხოლო ახალციხე და ახალქალაქის მხარედან თურქები და მათი დამქაში რაზმები ოქტომბერში იქმნენ გარეკილი, როცა ოსმალეთი უკვე მარცხდებოდა.

მუდროსის დროებითი ზავის თანახმად და გერმანია-ანტანტის (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და სხ.) დროებითი ზავის მიხედვით, ის ადგილები, სადაც თურქული ან გერმანული ჯარები იდგნენ, შეიძლება ანტანტის ჯარებს დაეკავებინათ. ინგლისის სამხედრო გემები საქართველოს ნაპირს მოადგნენ. ჯარების სარდალმა გენერალმა ტომსონმა ქალაქ ბათუმის ქუჩებში პროკლამაცია გააკვრევინა, რომელშიც, სხვათა შორის, ეწერა: „მოკავშირეთა ჯარების კავკასიაში გამოგზავნას მიზნად აქვს საზოგადოებრივი უზრუნველყოფა დაამყაროს კასპიისა და შავი ზღვის შორის მდებარე რუსეთის ტერიტორიაზე“-ო. მაშასადამე, მოკავშირე სახელმწიფოები ანუ ანტანტა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და სხვანი) ამიერკავკასიას რუსეთის ტერიტორიად აცხადებდა და, ცხადია, საქართველოს სახელმწიფოს არა სცნობდა!

საქართველოს მთავრობის თავჯდომარემ, ნოე ჯორდანიამ გენერალ ტომსონს პროტესტი წარუდგინა და პროკლამაციის გაკვრა აუკრძალა. მართალია, პროკლამაციის გაკვრა არ შეაჩერეს, მაგრამ საქართველოს მთავრობის განკარგულებით ფურცლების გამკვრელები დააპატიმრეს და გამოუშვეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გენერალმა ტომსონმა წერილობით განაცხადა, რომ ინგლისელები საქართველოს შინაურ საქმეებში არ ჩაერევიან, მხოლოდ ინგლისური ჯარებისათვის საცხოვრებელი ბინების მიცემა ითხოვა. ასეთი იყო პირველი გაცნობა!

ინგლისის მოსვლამ ამიერკავკასიაში სომხეთს ფრთები შეასხა, ვინაიდან უცხოეთში და კერძოდ ინგლის-ამერიკაში სომხეთის საკითხი ოსმალეთის პოლიტიკის შედეგად (ხოცვა-ჟლეტა სომხეთისა თურქების მიერ) ცნობილი იყო, ამიტომ სომხეთს იმედი მიეცა, რომ მან მშველელი ძალა გაიჩინა და მოისურვა მისი შემწეობით თავისი წადილის განხორციელება: დიდი არმენიის დაარსება. ამ დიდ სომხეთში, სომხების აზრით, უნდა შესულიყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრა, ბორჩალო, ბათუმსაც ეპოტინებოდნენ! ესე იგი სომხეთს სურდა წაეღო მესხეთი ანუ სამცხე-საათაბაგო (ახალქალაქ-ახალციხის მაზრები) და ბორჩალო.

ბორჩალოს მაზრას ძველს ქართულ ისტორიაში **სომხითი** ეწოდებოდა, ვინაიდან იქ, ქართულ მოსახლეობაში, ფართოდ იყო გავრცელებული სომხური ანუ გრიგორიანული სარწმუნოება. ბორჩალოში შედიოდა სამი მხარე: თრიალეთი (წალკა), ლორე (ტაშირი) და ხუნანი (მაზრის ჩრდილო ნაწილი). მეჩვიდმეტე საუკუნეში ხუნანში სპარსელებმა დაასახლეს თათართა მომთაბარე ანუ მოწოწიალე ტომი ბორჩალუ და აქედან მთელ ამ მხარეს დაერქვა ბორჩალო. ბორჩალო ყოველთვის ქართულ სამეფოს ეკუთვნოდა, და მის მეწინავე დროშას წარმოადგენდა. აი ამ ბორჩალოს დაკავება მოისურვეს სომხებმა.

ჯერ კიდევ ოქტომბერში (1918 წ.) სომხური ჯარის ნაწილები შეიჭრნენ ბორჩალოში და დაიპყრეს ნათერი და კორინჯი. მერმე მოაწყვეს აჯანყება სომხურ სოფლებში სანაინ-კობერის გასწრივ. 9 დეკემბერს (1918 წ.) თავს დაესხნენ ქართულ ჯარებს და სადარაჯო რაზმებს, ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი ტყვედ იგდეს. და მერმე უკვე აშკარად, სომხეთის მთავრობამ საქართველოს წარუდგინა ულტიმატუმი ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრის დაცლის შესახებ. 18 დეკემბერს (1918 წ.) საქართველომ მობილიზაციით უპასუხა. ამ ხნის განმავლობაში სომხებმა დაიკავეს უკვე ჯავახეთი (ახალქალაქის მხარე) და ბორჩალოში მდინარე ხრამს მოადგნენ. ასითმა მზაკვრულმა თავდასხმამ მთელი საქართველო აღაშფოთა და მრავალი მოხალისე გამოიწვია.

19 დეკემბერს სახალხო გვარდიამ ეკატერინოფელდთან სომხეთის ჯარი დაამარცხა. ჯავახეთიდანაც იქმნენ ისინი გარეკილი. შემდეგ დაიწყო ქართული ჯარის საერთო შეტევა და 29 დეკემბერს შულავერი იქმნა აღებული, მერმე კიდევ. სადახლო და ბოლნისიც. 31 დეკემბერს 1918 წ. ინგლის-საფრანგეთის ჩარევით ომი შეწყდა შემდეგი პირობების მიხედვით: ჯავახეთი და ბორჩალოს მაზრის ჩრდილო ნაწილი საქართველოს დარჩა, ხოლო ლორე შეიქმნა ნეიტრალურ ზონად, და მისი მართვა საქართველო-სომხეთის შეთანხმებით უნდა მომხდარიყო.

გათავდა სომხეთთან ომი საქართველოს გამარჯვებით და იანვარში 1919 წ. ოსმალეთის აგენტების მიერ შექმნილი რაზმები ფოცხოვის რაიონში შემოიჭრნენ. თებერვალში (1919 წ.) ოსმალთა აგენტებმა მოაწყვეს ახალციხის მაზრაში აჯანყება და კარგად შეიარაღებულმა რაზმებმა ქართულ ნაწილებს უკან დაახევინეს.

ინგლისურმა ხელისუფლებამ, რომელმაც ოსმალური შესცვალა, ბათუმის მხარე საქართველოს კი არ დაუბრუნა, როგორც ეს ბუნებრივად მოსალოდნელი იყო, არამედ მისი მართვა თეთრგვარდიელებს ანუ დენიკინელებს ჩააბარა. ეს იმას ნიშნავდა კიდევ, რომ ბათუმის მხარეს ინგლისური სარდლობა აღსადგენ რუსეთისათვის ინახავდა და მის მომავალ პატრონს, დენიკინის ჯარებს, სამმართველოდ აძლევდა. აქედან სჩანს ის მტრული განწყობილებაც, რომელიც ინგლისურ სარლობას საქართველოს მიმართ ჰქონდა. თეთგვარდიელებმა ბათუმში შეადგინეს „მმართველი საბჭო“ მოსლოვის თავმჯდომარეობით. აქ სწარმოებდა კანონიერი ცარცვა-გლეჯა და მექრთამეობა; ასეთი აშკარა ბოროტმოქმედება ინგლისელებმა ველარ მოითმინეს და მასლოვი გააძევეს, მაგრამ მართველობა მაინც თეთრგვარდიელი რუსების ხელში დარჩა. არაა დასავიწყი ისიც, რომ ბათუმის მხარისათვის უმაღლესი სასამართლო ეკატერინობურგს მიაწერეს. იდევნებოდა ქართველობა. სამაგიეროდ აარსებდნენ რუსულ სკოლებს, ატუსაღებდნენ საქართველოს მომხრე აჭარლებს და სხვა. ეს ის ხანაა, როდესაც ახალი ოსმალურ-ინგლისურ-რუსული ინტრიგები იწყებოდა და სისხლიც იღვრებოდა.

ყარსში შეიქმნა ეგრედწოდებული ყარსის მთავრობა, რომელსაც თათრები ხელმძღვანელობდნენ. მთავრობამ პარლამენტიც კი მოაწყო და თავის ტერიტორიად გამოაცხადა: ყარაის, არდაგანის, ახალციხის, ახალქალაქის და ბათუმის მხარენი. ინგლისელებმა ამ საქმეში დიდი მზაკვრული როლი ითამაშეს, მათ უნდოდათ ეს საქმე თავის მიზნებისათვის გამოეყენებინათ და მათ ზურგს კიდევ თეთრგვარდიელი რუსები იდგნენ.

ახალქალაქისა და ახალციხის მაზრაში სერვერ-ბეგმა თავისი რაზმების შემწეობით აჯანყება მოაწყო და თავისი თავმჯდომარეობით დროებითი კომისარიატი გამოაცხადა. ქართულმა ჯარებმა გენერალ გიორგი კვინიტაძის სარდლობით დაამარცხეს სერვერ-ბეგის ჯარები, 9 მარტს 1919 წ. აიღეს ახალციხე და მალე მთელი მხარე გაიწმინდა თურქული და ადგილობრივი ბანდიტისაგან. აპრილის დასასრულს ინგლისის გენერალიტეტის წარმომადგენელი მივიდა „ყარსის პარლამენტში“ და იქ შემდეგი, მეტად საგულისხმო, განცხადება გააკეთა:

„ინგლისის მთავრობის სურვილით თქვენ ჩაგაბარეთ ხელისუფლება და გევალებოდათ თქვენ ამ ოლქის მართველობა იმ ერთადერთი მიზნით, რომ ინგლისისათვის გემეშაავათ. თქვენ იმის მაგვარად, რომ ცხოვრებაში ინგლისის მიზნები გაგეტარებინათ, — სხვა ორიენტაციისაკენ იწევდით. ეს ყოვლად მოუღებელია. თქვენი პარლამენტი დაშლილადაა გამოცხადებული და ამიერიდან მთელი ძალა-უფლება ინგლისელების ხელში გადადის, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალაუფლებას გადასცემს იმას, ვინც ინგლისის ინტერესებს დაიცავს""-ო. და ეგრეთწოდებული „ყარსის მთავრობა"-ც დააპატიმრეს. ეს „სხვა ორიენტაცია", რომელზეც ინგლისელი გენერალი ლაპარაკობდა, იყო ოსმალური, რადგან სწორედ ოსმალეთისათვის იბრძოდნენ „ყარსის მთავრობაც" და მისი „პარლამენტიც".

ამგვარად, ინგლისის წარმომადგენელნი, იმის მაგივრად რომ ახლად წარმოშობილ საქართველოს სახელმწიფოს დახმარებოდნენ, მას ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიდნენ და მის ისტორიულ მიწაწყალს სათამაშოდ ხდიდნენ და ამით ქართულ ინტერესებს აბუჩად იგდებნენ, თორემ ძველი მესხეთი ანუ სამცხე-საათაბაგო სადავო არ იყო, იგი საქართველოს ეკუთვნოდა, რაც დადასტურდა მალე დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნებით. ამ არჩევნებმა პასუხი გასცა ერთი მხრივ სომხეთს, მეორე მხრივ ოსმალეთსა და ინგლისს. ახალციხის მაზრის არჩევნებში ქართულმა პარტიებმა მიიღეს 26.500 ხმა; სომხურმა პარტიამ კი მიიღო — 3000 ხმა. და ეს 30.000 ამრჩეველის რიცხვში! ახალქალაქის მაზრაში ამრჩეველი იყო 21.000; აქედან ქართულმა პარტიებმა მიიღეს 13.000 ხმა და სომხურმა — 8 ათასი. ამ კენჭისყრით ზედმეტად კიდევ დადასტურდა, რომ ძველი სამცხე-საათაბაგო საქართველოს განუყრელი ნაწილია!

როგორი მდგომარეობა იყო ბათუმის ოლქში? ბათუმში ინგლისური ოკუპაცია იყო. — მაგრამ საქართველოსთან ბათუმის ოლქის გაერთიანების აზრმა დაიპყრო მთელი აჭარა. ჯერ კიდევ 31 აგვისტოს 1919 წ.ბათუმში შესდგა საოლქო ყრილობა, რომელმაც საქართველოსთან ბათუმის ოლქის გაერთიანება მოითხოვა. არჩეულ იქმნა ოცი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელიც თბილისს ჩავიდა 5 დეკემბერს 1919 წ. და ეს რეზოლუცია მთავრობას გადასცა. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ბათუმის ოლქის შემოერთებისა და ავტონომიის მიცემის შესახებ და 25 დეკემბერს 1919 წ. მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანიამ სამუსულმანო საქართველოს მოწოდებით მიმართა: „რამდენიმე საუკუნის წინათ თქვენ, დროთა ვითარების გამო, მოსწყდით ძველ საქართველოს და მას ჭირში და ლხინში გამოეთიშეთ, მაგრამ თქვენი სულიერი კავშირი სამშობლო კერასთან, საქართველოსთან არ შეწყვეტილა, თვით დაუძინებელი მტრებიც კი თქვენ გურჯებად, ან ქართველებად, გიხსენიებენ. მიუხედავად სასტიკი დევნისა, თქვენ დღემდის შეინარჩუნეთ მამა-პაპათა ენა და ადათები. თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსულმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას".

ბათუმის „მმართველი საბჭოს" გარშემო და თვით ბათუმში დენიკინელებმა, ბოლშევიკებმა, სომხეთის აგენტებმა, ოსმალეთის აგენტებმა, აზერბაიჯანის აგენტებმა, ინგლისის აგენტებმა, — ყველამ აქ მოიყარა თავი და ყველა ებრძოდა აქედან საქართველოს. აჭარაში დენიკინელები აწყობდნენ კრებებს; სადაც ძალით მოსყიდვით გამოჰქონდათ რეზოლუციები, რომ არ გვინდა საქართველოსთან შეერთებაო. ამ რეზოლუციებს რუსები აგზავნიდნენ პარიზს, საზავო კონფერენციისათვის. 29 თებერვალს 1920 წ. ბათუმში ინგლისელებმა მოახდინეს საქალაქო არჩევნები. ყველა ებრძოდა ქართველობას, მაგრამ ქართველობამ მაინც გაიმარჯვა. ასარჩევი იყო 36 ხმოსანი; აქედან ქართველებმა გაიყვანეს 20 ხმოსანი, რუსებმა — 2, ბერძნებმა — 8, სომხებმა — 4 ებრაელებმა — 2. ეს იყო ქართველობის ბრწყინვალე გამარჯვება ბათუმში ინგლისელების ოკუპაციის დროს.

მალე კიდევ, 6 მაისს 1920 წ. ანტანტის საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, ბათუმი საქართველოსათვის უნდა გადაეცათ, 6 ივლის ქართული ჯარი ბათუმში შევიდა და 7 ივლისს 1920 წ. ჩამოიხსნა ინგლისური დროშა. აფრიალდა ქართული დროშა! ქალაქი ბათუმი და მისი ოლქი ოფიციალურად საქართველოს შეუერთდა და ამგვარად საქართველომ დაიბრუნა აჭარა.

ჩვენ დავინახეთ, რომ ბრესტლიტოვსკში დადებულმა ზავმა, რომლის მიხედვით ამიერკავკასიის ერების დაუკითხავად, ბოლშევიკურმა რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო ყარს-არდაგან-ბათუმის მხარენი, — რა დიდი უბედურება დაატეხა თავზე საქართველოს! ბოლშევიკების ღალატისა, მზაკვრობისა, მუხანათობისა და გაიძვერობის შედეგად საქართველოს დიდი უბედურება ეწვია. ბოლევიკურმა ბრესტლიტოვსკის ზავმა საქართველოს მიწაწყალი — სამცხე საათაბაგო — სადავოდ გახადა, რამაც ოსმალეთთან ომი გამოიწვია და ორი წლის განმავლობაში ძველი მესხეთი საომარ ასპარეზად გადააქცია. ამავე ზავის ნაყოფი იყო ინგლისური ოკუპაციაც. რამდენი მსხვერპლი შეეწირა ამ მხარის საქართველოსათვის შენარჩუნების ბრძოლას, მსხვერპლი ნივთიერი და სისხლითი! საქართველოსათვის მესხეთის დაკარგვა, ბათუმის სხვის ხელში გადასვლა, მომაკვდინებელი იყო და ქართველმა ერმაც არ დაზოგა თავი ეს უბედურება აეცდინა. დაბოლოს გაიმარჯვა მან. ბოლშევიკური რუსეთის წყალობით შექმნილი ამ დუხჭირი მდგომარეობიდან საქართველო ბრძოლით გამოვიდა და მთლიანი სხეული გამოიტანა, დაგლეჯისა და დაფლეთისაგან თავი გადაირჩინა: გაერთიანებული ძველი საქართველო კვლავ აღსდგა.

როგორიღა იყო ვითარება აფხაზეთში? რა ურთიერთობა დამყარდა აფხაზეთსა და საქართველოს შორის? როგორც ყველგან ამიერკავკასიაში, აფხაზეთშიც დაწესებულ იქმნა აფხაზეთის ეროვნული საბჭო. პირველად აფხაზეთის საბჭომ კავშირი დაიკავა კავკასიის მთიელებთან და მოლაპარაკება გაიმართა საერთო მთის მოსახლეობათა კავშირის შექმნისათვის. გრძელი მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდნენ კიდეც მთის ხალხების კავშირის დასამყარებლად, მაგრამ მთაში ისე აწეწილი იყო მდგომარეობა, რომ აქედან არაფერი გამოვიდა. შემდეგ, როცა ამიერკავკასიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, აფხაზეთის ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტა ამიერკავკასიის ფარგლებში შესულიყო. ამ დროს აფხაზეთს შემოესივნენ ბოლშევიკური რაზმები, რომელთა გასარეკად იქ ქართული ჯარები ჩავიდნენ. ამას შემდეგ - მოჰყვა ოსმალების ჯარის გადმოსხმა აფხაზეთში, მერმე მათი გაძევება და ტატაშა მარშანიას მიერ მოწყობილი აჯანყება; ყველაფერს ამას მალე ბოლო მოეღო და აფხაზეთის ახალმა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკება; ამ მიზნით თბილისს გაგზავნილ იქმნა აფხაზთა წარმომადგენლობა, რომელმაც მთავრობასთან სრულ შეთანხმებას მიაღწია; ამ მოლაპარაკების თანახმად

აფხაზეთში უნდა მომხდარიყო ეროვნული საბჭოს ახალი არჩევნები და ეს ახალი საბჭო გადასწყვეტდა აფხაზეთის მომავალსაც. 20 მარტს 1919 წელს აფხაზეთის ახლად არჩეულმა „სახალხო საბჭომ“ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1. აფხაზეთი შედის საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში როგორც ავტონომიური ერთეული; 2. ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის–გამოსამუშავებლად და საქართველო-აფხაზეთის უფლებრივი ურთიერთობის დასადგენად ამოჩეულ იქმნას შერეული კომისია, რომელშიც თანასწორი რიცხვით შევლენ საქ. დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატები. რასაკვირველია, აფხაზეთის ავტონომიაც მალე გამოცხადდა. ქართველ ერთან ამ განუყრელმა ხალხმაც განაგრძო საქართველოსთან ერთად ბრძოლა საერთო სამშობლოს დასაცავად.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქართული სამხედრო ერთეულები მდინარე მეხადირის პოზიციებზე იდგნენ რუსული მოხალისეთა ჯარის მოპირდაპირეთ. საქართველოს მთავრობამ კარგად იცოდა, რომ დენიკინი მას მოსვენებას არ მიცემდა, ამიტომ იგი სცდილობდა ინგლისელები დაეჯერებინა, საკითხის საბოლოო გამორკვევამდე, ამ მხარეში ნეიტრალური ზონა შეექმნათ. ინგლისელი გენერალი კორის ჩარევით მართლაც ასეთი უზრუნველყოფელი ზონა დაწესებულ იქმნა და ამის მიხედვით ქართულ ჯარებს მდინარე ბზიბამდე უნდა დაეხიათ. ინგლისელები თავის მხრივ საქართველოს მთავრობას დაპირდნენ, რომ დენიკინელები ამ ზონას დაიცავდნენ, მაგრამ ეს არ შესრულდა და უცბად რუსული ჯარები თავს დაესხნენ ქართულ მცირე ნაწილებს და გაგრის რაიონი დაიჭირეს. საპასუხოდ ქართველებმა შეუტიეს და 17 აპრილს 1919 წელს გაგრა დაიბრუნეს. ამის შედეგად 23 მაისს 1919 წ. თბილისში მოხდა მოლაპარაკება საქართველოს მთავრობისა და მოხალისეთა (დენიკინის) ჯარის წარმომადგენელთა შორის. ეს მოლაპარაკება მრავალმხრივ იყო საინტერესო; 1) მოხალისეთა არმიის წარმომადგენელად თბილისს მობრძანდა ინგლისელი გენერალი ბრიგსი, რომელიც იყო ინგლისის წარმომადგენლად მოხალისეთა არმიასთან; 2) რუსები მოითხოვდნენ აფხაზეთს და ამტკიცებდნენ, რომ აფხაზეთს საქართველოსთან შეერთება არა სურსო; 3) დენიკინი არა სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას. მაინც დაბოლოს საქართველოსა და რუს მოხალისე ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიას შორის დაწესდა ნეიტრალური–ზონა.

ამ ნეიტრალურ ზონად გამოცხადებული იქმნა სოჭის მხარე, მაგრამ ფაქტიურად არც ეს ნეიტრალური ადგილი არსებობდა, რადგან ინგლისელებმა მისი პატრონობა სინამდვილეში დენიკინელებს ჩააბარეს, მაგრამ ეს „პატრონობა“ დიდხანს არ გაგრძელებულა. სოჭის მხარეში მალე დაიწყო აჯანყება რუსული მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ და ეგრედწოდებული. „მწვანე არმია“, იარაღით ხელში ებრძოდა მათ და შემდეგში ბოლშევიკებსაც, ეს ამბები დაიწყო 1920 წლის იანვარს და ამას შემდეგ მოხალისეთა არმიას თვითონ დიდხანს აღარ უცოცხლია. მისი რეგვენული პოლიტიკის წყალობით მას გადაუდგნენ კაზაკები და გლეხები, ბოლშევიკები გააფთრებით აწვებოდნენ მას და ბოლოს აპრილში 1920 წ. სრულიად განიარაღებული შეიქმნა და რუსული მოხალისეთა არმიის ისტორიაც დასრულდა. სამაგიეროდ საქართველოს საზღვრებს მოადგნენ ბოლშევიკური წითელი ჯარები და ბოლშევიკური რუსეთი საქართველოს უშუალო მეზობელი გახდა.

ამგვარად, საქართველომ, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, ქართველი ერის სახელმწიფოებრივი სხეულის მთლიანობისთვის განუწყვეტელი ბრძოლა აწარმოა და გამარჯვებული გამოვიდა, — სანამ მას ისევ რუსეთი, ამჟამად წითელი, მზაკვრულად თავს არ დაესხა.

ვ. ნოზაძე

გამომცემელი: ქართული საკავშირო შტაბი. მთავარი რედაქტორი: **ბ. ფრონელი.**
რედაქტორი: **ვ. ნოზაძე.** მდივანი: მოხ. **ი. დურუჯელი.**

Berlin W 35, Ludendorffstr. 60. ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა